საბაჟო ურთიერთობათა მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები

შემდგენლები:

გონერ ურიდია, მერაბ არახამია

თბილისი
2003

წიგნი წარმოადგენს საბაჟო ურთიერთობათა მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების (ამონარიდების, აგრეთვე ზოგიერთი კანონის სრული ტექსტის) ორიგინალურ კრებულს, რომელშიც შესაბამისი კანონების მიღების ქრონოლოგიზაციის პრინციპით დალაგებულია იმ სფეროთა საკანონმდებლო ნორმები, რომელიც საბაჟო საკითხებთან არის დაკავშირებული.

წიგნი განკუთვნილია შესაბამისი საკითხებით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის.

წინათქმა

საბაჟო ურთიერთობები საზოგადოებრივ ურთიერთობათა ის სფეროა, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს. შრომის საერთაშორისო დანაწილების უნივერსალური ეკონომიკური პრინციპი „აიძულებს" ჩვენს ქვეყანას ჩაერთოს საგარეო გაცვლის ფერხულში, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ეკონომიკურ სუვერენიტეტსა და ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან. ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი უმთავრესი ბერკეტი სახელმწიფოს ხელში არის საბაჟო ინსტიტუტი, რომლის ეფექტური ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა სწორედ საკანონმდებლო ბაზა და მისი სრულყოფაა.

წიგნში ქრონოლოგიურად, კანონების მიღების თარიღის პრინციპით დალაგებულია ყველა მოქმედი საკანონმდებლო აქტის ის შესაბამისი ნორმა, რომელიც არეგულირებს საბაჟო ურთიერთობებს. კანონთა სიმრავლე განპირობებულია იმით, რომ სპეციალური საბაჟო ნორმები არ შეიძლება განთავსდეს საბაჟო კოდექსში. მაგალითად, სამედიცინო, სამხედრო, სოფლის მეურნეობის, კულტურის და სხვა საკითხები, რომლებიც საჭიროებენ საბაჟო რეგულირებას - გადმოცემულია შესაბამისი სპეციალური ნორმებით, რომლის ცოდნა აუცილებელია, როგორც საბაჟო ორგანოს თანამშრომელთათვის, ასევე მეწარმე სუბიექტთათვის და იმ პირთათვის, რომლებსაც უწევთ ქვეყნის საზღვრის გადაკვეთა.

წიგნი შედგენილია საბაჟო საკითხთა ამონარიდების პრინციპით შესაბამისი მუხლების, ნაწილების, პუნქტებისა და ქვეპუნქტების ჩვენებით. აქვე შეტანილია აგრეთვე, საბაჟო კოდექსის, „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ", „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ" და რიგი იმ კანონების სრული ტექსტები, რომლებიც მთლიანად საბაჟო საკითხებს უკავშირდება.

წიგნში შეტანილმა სათანადო კანონების (ამონარიდების) რიცხვმა 80 ერთეულს გადააჭარბა, რაც ფაქტობრივად მთლიანად ფარავს საბაჟო-საკანონმდებლო აქტებით დარეგულირებულ სფეროს.

მიგვაჩნია, რომ წინამდებარე წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს და ყველა იმ პირს, რომლებსაც სურვილი აქვთ თავიანთი მომავალი საქმიანობა დაუკავშირონ საბაჟო სისტემას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსი *(15.12.84, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები №12-ის დანართი)*

მუხლი 9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის მოქმედება

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენმა პასუხი უნდა აგოს სამართალდარღვევის ჩადენის დროს და ადგილას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტებს აქვთ უკუქცევითი ძალა, ესე იგი ვრცელდებიან ამ აქტების გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზეც. აქტებს, რომლებიც აწესებენ ან აძლიერებენ პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, უკუქცევითი ძალა არა აქვთ.

მუხლი 10. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

მუხლი 13. ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგ დგება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირთ.

ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მუხლი 24. ადმინისტრაციული სახდელების სახეობანი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები:

1) გაფრთხილება;

2) ჯარიმა;

3) იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს, უშუალო ობიექტს ან საბაჟო წესების დარღვევის საგანს, საქონლის ტრანსპორტირებისა და მინოდების საშუალებას წარმოადგენდა;

4) იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს, უშუალო ობიექტს ან საბაჟო წესების დარღვევის საგანს, საქონლის ტრანსპორტირებისა და მინოდების საშუალებას წარმოადგენდა;

5) მოქალაქისათვის მინიჭებული სპეციალური უფლების (სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, ნადირობის უფლება) ჩამორთმევა;

6) გამასწორებელი სამუშაოები;

7) ადმინისტრაციული პატიმრობა.

მუხლი 28. იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი ან უშუალო ობიექტი იყო

იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საბაჟო წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მინოდების საშუალება იყო, მდგომარეობს მის იძულებით ჩამორთმევასა და შემდგომ რეალიზაციაში, ნავაჭრი თანხის ყოფილი მესაკუთრისათვის გადაცემით, ჩამორთმეული საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაქვითვით.

მუხლი 29. იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი ან უშუალო ობიექტი იყო

იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საბაჟო წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მინოდების საშუალება იყო, მდგომარეობს ამ საგნის სახელმწიფო საკუთრებად იძულებით უსასყიდლო გადაცემაში. კონფისკაციას ექვემდებარება მხოლოდ დამრღვევის პირადი საკუთრების საგანი. თუ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 38. ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადები

ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს

ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია - არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის ან სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შემთხვევაში, მაგრამ, როცა დამრღვევის მოქმედებაში არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნები, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ერთი თვისა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

ამ მუხლში აღნიშნული ვადები არ ვრცელდება საქართველოს საბაჟო კოდექსის საფუძველზე კონტრაბანდის საგნების კონფისკაციის და 190[1] მუხლის შეფარდებისას.

მუხლი 91[2]. საქართველოს ტერიტორიაზე ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის, აგრეთვე, ფალსიფიცირებული საყოფაცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი ან რეალიზაცია

საქართველოს ტერიტორიაზე ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის, აგრეთვე, ფალსიფიცირებული საყოფაცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი ან რეალიზაცია, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობით ათიდან ასმაგ ოდენობამდე, პროდუქციის კონფისკაციით.

მუხლი 92[2]. თამბაქოს პროდუქციით ლიცენზიის გარეშე ვაჭრობა ან/და გადაზიდვა

„თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ლიცენზიის გარეშე ვაჭრობა ან/და გადაზიდვა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას საქონლის ღირებულების ხუთმაგი ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 3000 ლარისა.

(ეს მუხლი ძალაშია 2004 წლის 1 მაისიდან)

მუხლი 98[2]. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოების, შემოტანის, რეალიზაციისა და გამოყენების წესების დარღვევა

არარეგისტრირებული და ფალსიფიცირებული, ვადაგასული და უხარისხო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემოტანა და რეალიზაცია, რასაც მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა სასოფლო-

სამეურნეო კულტურების დაზიანება, აგრეთვე პროდუქციაში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნარჩენების ზენორმატიული შემცველობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1000 ლარამდე.

მუხლი 99. მასალების საკარანტინო შემოწმებისა და სათანადო დამუშავების გარეშე გატანა

სასაზღვრო საზღვაო პორტიდან (ნავმისადგომიდან), რკინიგზის სადგურიდან, ავტოვაგზლიდან (ავტოსადგურიდან), აეროპორტიდან და სხვა სასაზღვრო პუნქტიდან საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი მასალების საკარანტინო შემოწმებისა და სათანადო დამუშავების გარეშე გატანა, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა - შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 114. საზღვაო პორტებში დატვირთვის, გადმოტვირთვის და ტვირთის დაწყობის წესების დარღვევა

საზღვაო პორტებში დატვირთვის, გადმოტვირთვის და ტვირთის დაწყობის წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 165[1]. გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გადახდევინება

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გადახდევინება და გადამხდელთათვის ზარალის მიყენება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ასოცდაათ ლარამდე.

მუხლი 177[1]. საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირების და ლიცენზირების წესების დარღვევა

საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირების და ლიცენზირების მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოცდან სამოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო თუ საქმის გარემოების მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომების გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე.

შენიშვნა: უცხოელი მოქალაქეები ავტოსატრანსპორტო მომსახურების განხორციელებისას ლიცენზირების წესების დარღვევის შემთხვევაში დაჯარიმდებიან ადგილზე საგზაო პოლიციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

მუხლი 193. საბაჟო წესების დარღვევა

1. საბაჟო კონტროლის რეჟიმის, საბაჟო კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების გავლის, დგომის და გაჩერების, დეკლარირების წესების და საბაჟო კანონმდებლობის სხვა მოთხოვნათა დარღვევა:

ა) საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, ფიზიკურ პირთა უნებართვოდ გადაადგილება საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიაზე;

ბ) საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების უნებართვოდ განკარგვა, დაკარგვა (დაკარგვის საფრთხის ასაცილებლად ზომების მიუღებლობის გამო), საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილას დადგენილ ვადაში მიუტანლობა და შენახვის წესების სხვაგვარი დარღვევა;

გ) არამართლზომიერი ოპერაციების ჩატარება გარკვეული საბაჟო რეჟიმით მოთავსებული საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით, მათი მდგომარეობის შეცვლა, სარგებლობა ან განკარგვა საბაჟო რეჟიმის დაუცველად;

დ) საბაჟო ორგანოების მიერ გამოყენებული იდენტიფიკაციის საშუალებათა შეცვლა, მოსპობა, დაზიანება ან მოცილება;

ე) საბაჟო საწყობში ან საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ადგილზე საქონლის მოთავსებისა და შენახვის წესების დარღვევა;

ვ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებში ადრე შემოტანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუტანლობა, თუ გატანა სავალდებულოა, ან ადრე გატანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დაუბრუნებლობა თუ დაბრუნება სავალდებულოა და მოქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;

ზ) საქონლის განადგურების წესის დარღვევა, განადგურების შემდეგ წარმოქმნილი ნარჩენების მოთავსების დადგენილი მოთხოვნების, შეზღუდვებისა და პირობების დარღვევა;

თ) საბაჟო კონტროლისათვის იმ საქონლის დამალვა, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილდება, აგრეთვე სამალავებისა და სხვა საშუალებების გამოყენება, რაც აძნელებს

საქონლის მიგნებას, ან ერთი საქონლისათვის მეორე საქონლის სახის მინიჭება, თუ ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;

ი) საბაჟო საზღვრის გავლისას საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუჩერებლობა;

კ) ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების დასაცავად ზომების მიუღებლობა;

ლ) საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გასვლა მათი დგომის ადგილიდან საბაჟო ორგანოების უნებართვოდ;

მ) საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებულ გემთან ან სხვა მცურავ საშუალებებთან გემით თუ სხვა მცურავი საშუალებებით მიდგომა საბაჟო ორგანოების უნებართვოდ;

ნ) საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, დატვირთვა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, დაზიანებული შეფუთვის შეკეთება, შეფუთვა, ხელახალი შეფუთვა, გადასაზიდად მიღება, სათავსებისა და სხვა ადგილების გახსნა საბაჟო ორგანოების უნებართვოდ;

ო) პირობითად გაშვებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ან განკარგვა იმისგან განსხვავებული მიზნით, რის გამოც მიენიჭათ საბაჟო გადასახდელების შეღავათები, თუ არ არის საბაჟო ორგანოების ნებართვა;

პ) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარაციაში შეუტანლობა ან უზუსტო დეკლარირება, მცდარი ცნობების შეტანა, რაც გავლენას ახდენს საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილებაზე საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების, საბაჟო რეჟიმით მათი მოთავსების შესახებ;

ჟ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან დოკუმენტებისა და იდენტიფიკაციის საშუალებების ყალბად გამოყენების შედეგად უზუსტო დეკლარირების გზით შემოტანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირება, შენახვა, შეძენა, გამოყენება და განკარგვა;

რ) საბაჟო დეკლარაციაში ან სხვა დოკუმენტებში საბაჟო რეჟიმის, საბაჟო ღირებულების ან საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარმოშობის ქვეყნის შესახებ ან სხვა ისეთი უზუსტო

ცნობების შეტანა, რაც საფუძველს იძლევა საბაჟო გადასახდელებისაგან გასათავისუფლებლად ან ოდენობის შესამცირებლად, თუ ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;

ს) საბაჟო დეკლარირების განხორციელება პირის მიერ, რომელსაც არა აქვს საბაჟო ბროკერის ლიცენზია, ან ყალბი ლიცენზიით, აგრეთვე საბაჟო ბროკერის ან მისი წარმომადგენლის მიერ დაცული საიდუმლო ან კონფიდენციალური ინფორმაციის შემცველი ცნობების გამოყენება პირადი მიზნებისათვის, თუ ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;

ტ) საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის განხორციელება ულიცენზიოდ, ან გაუქმებული, შეჩერებული ან ყალბი ლიცენზიით, -

გამოინვევს დაჯარიმებას ხუთასიდან რვაას ლარამდე ან საბაჟო გადასახდელების სამმაგი ოდენობით, საბაჟო წესების დარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევათაგან ერთ-ერთის განმეორებით ჩადენა, -

გამოინვევს დაჯარიმებას ათასიდან ათას ხუთას ლარამდე ან საბაჟო გადასახდელების ხუთმაგი ოდენობით, საბაჟო წესების დარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემთხვევაში საბაჟო და საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან ჯარიმის გადახდამდე დააკავონ საბაჟო წესების დარღვევით შემოტანილი საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები. კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობისას დაკავებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების რეალიზაცია მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი საქონლის გადაზიდვამდე მისი რაოდენობის, ხარისხისა და ღირებულების სავალდებულო ინსპექტირებისათვის ექსპორტიორ ქვეყანაში, სახელმწიფოსა და ინსპექტირებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში შესაბამისი დოკუმენტებისა და საქონლის წარუდგენლობა, -

გამოინვევს საქონლის იმპორტიორის დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 6%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.

იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, -

გამოიწვევს საქონლის მფლობელის დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 12%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2000 ლარისა.

სახელმწიფოს უფლებამოსილი პირის მიერ სახელმწიფოსა და ინსპექტირებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულებით დადგენილი, გადაზიდვამდე ინსპექტირების ვადების დარღვევა, -

გამოიწვევს ამ პირის დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 6%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა.

იგივე ქმედება ჩადენილი ერთი და იმავე პირის მიმართ განმეორებით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 12%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2000 ლარისა.

მუხლი 194. საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობა

საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობა არსებული წესების დარღვევით, აგრეთვე შენობა-ნაგებობების მშენებლობა დადგენილი წესებისა და ნორმების დარღვევით, -

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას ას ორმოცდაათიდან ორას ლარამდე, ხოლო იურიდიულ პირთა - სამასიდან ხუთას ლარამდე.

მუხლი 219. ფინანსთა სამინისტროს ორგანოები

1. ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 155^2, 164^1 - 164^3, 165-ე, 193-ე და 194-ე მუხლებით, ხოლო 157-ე და 195-ე მუხლებით - თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

2. ფინანსთა სამინისტროს სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ:

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 155^2, 157-ე,.164^1-164^3, 165-ე და 195-ე მუხლებით - საგადასახადო ორგანოების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, საგანგებო ლეგიონის უფროსს და მის მოადგილეებს, საგანგებო ლეგიონის სამმართველოსა და განყოფილების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, საგანგებო ლეგიონის რეგიონ-

ალური ქვედანაყოფების უფროსებსა და მათ მოადგილეებს;

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 193-ე და 194-ე მუხლებით - საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს, საბაჟო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსსა და მის მოადგილეებს, რეგიონალური საბაჟოს უფროსებსა და მათ მოადგილეებს, საგანგებო ლეგიონის უფროსსა და მის მოადგილეებს, საგანგებო ლეგიონის სამმართველოსა და განყოფილების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, საგანგებო ლეგიონის რეგიონალური ქვედანაყოფების უფროსებსა და მათ მოადგილეებს.

მუხლი 239. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

ამ კოდექსის 153-ე, 153[1]-153[2], 154-154[2], 155[1], 158-ე, 158[1], 159-ე, 159[1]-159[4], 163-ე, 163[2] და 178-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სისტემის უფლებამოსილი ორგანოები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

საქართველოს კანონი „ემიგრაციის შესახებ“ *(20.07.93, უწყებები № 9)*

მუხლი 4. საქართველოს მოქალაქის მიერ ქონების გატანა საზღვარგარეთ

საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ემიგრაციაში მიდის უფლება აქვს საზღვარგარეთ გაიტანოს ნებისმიერი საკუთარი მოძრავი ქონება, თუ ეს აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს კანონი „საქართველოში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ“ *(27.07.93, უწყებები №9)*

მუხლი 18. უცხოელებს საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო გავლა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, მათ შორის საერთაშორისო საავტომობილო ტვირთზიდვა შეუძლიათ მხოლოდ საერთაშორისო საავტომობილო კავშირებისათვის ღია გზებზე.

საქართველოს კანონი „ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ“ *(27.07.93, უწყებები №9)*

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ძირითადი ცნებების განმარტება

„დემპინგური ფასი“ ეწოდება შიდა ბაზრის ფასებთან (მათ შორის წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯებთან) შედარებით განზრახ შემცირებულ ფასს, რომელსაც გამყიდველი აწესებს საექსპორტო პროდუქციაზე საგარეო ბაზარზე უპატიოსნო კონკურენციის მიზნით.

მუხლი 6. ფასებისა და ფასწარმოქმნის ზოგადი ეკონომიკური პირობების სახელმწიფო რეგულირების მეთოდები

1. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ ფასწარმოქმნის ეკონომიკური პირობების რეგულირებას ისეთი პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა:

შიდა ბაზრის ფასების რეგულირების მიზნით ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზირებისა და კვოტირების გამოყენება, საბაჟო ტარიფების, საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური ვალუტის მიმოქცევის რეჟიმის დაწესება, უცხოური ვალუტის მიმართ ფულის კურსის რეგულირება (განმტკიცება).

მუხლი 9. ფასწარმოქმნა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში

ფასწარმოქმნა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობაში ხორციელდება საერთაშორისო პრაქტიკაში საყოველთაოდ მიღებული პრინციპების საფუძველზე.

საექსპორტო და საიმპორტო ფასების ფორმირებისას, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, პრიორიტეტი ენიჭება ექსპორტის სტიმულირებას, საექსპორტო პოტენციალის ზრდასა და რესპუბლიკის შიდა ბაზრის სტაბილიზაციას.

საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ (*07.12.93. უწყებები №12-13)*

მუხლი 4. საქართველოს მოქალაქის მიერ ქონების საზღვარგარეთ გატანის უფლება

საქართველოს მოქალაქეს, რომელიც დროებით გადის საქართველოდან უფლება აქვს საზღვარგარეთ გაიტანოს ნებისმიერი

მოძრავი ქონება, რომელიც მას აქვს საკუთრების უფლებით ან კანონიერ საფუძველზე გადაცემულია მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში, თუ ეს აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს კანონი „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ *(12.10.94, უწყებები №21-22)*

მუხლი 4. საკარანტინო სამსახური

1. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს მცენარეთა საგარეო და საშინაო კარანტინის სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა სისტემა, რომლის დანიშნულებაა აღკვეთოს რესპუბლიკაში მცენარეთა მავნე ორგანიზმების შემოტანა და გავრცელება.

მუხლი 5. მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოცდა და რეგისტრაცია

1. რეგისტრაციას ექვემდებარება საქართველოში და საზღვარგარეთ წარმოებული პესტიციდების მხოლოდ ის პრეპარატული ფორმები და ბიოლოგიური საშუალებები, რომლებიც სახელმწიფო გამოცდის პროცესში ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენურად და ეკოლოგიურად დადებითად შეფასდა და დიდი ბიოლოგიური ეფექტურობა გამოავლინა.

2. მცენარეთა დაცვის საშუალებების სახელმწიფო გამოცდის მიზანია მათი ეფექტურობის, ადამიანებისათვის საფრთხის ხარისხის დადგენა.

3. რეგისტრირებული პრეპარატების, მცენარეთა ზრდის რეგულატორების ნუსხის, მათი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების, ხმარების რეგლამენტის და გამოსაყენებლად რეკომენდებული ტექნიკური საშუალებების (მანქანების) სიის გამოქვეყნება ხდება პერიოდულად შესაბამისი უწყების მიერ.

რეგისტრაციის მოქმედების ვადა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს, თუ პრეპარატები და ზრდის რეგულატორები გამოავლენენ ახალ თვისებებს, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიან გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას.

მუხლი 7. მცენარეთა დაცვის საშუალებათა გამოყენება

1. მცენარეთა დაცვის საშუალებები გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ ისინი რეგისტრირებული აქვს შესაბამის უწყებას ნებადართ-

ული პრეპარატების სიაში.

2. რეგისტრაციაში გატარებული მცენარეთა დაცვის საშუალებების შემოტანა დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი უწყების ნებართვით, მეცნიერული კვლევისათვის.

3. მცენარეთა დაცვის საშუალებანი, რომლებიც რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი სამუშაოებისათვის არაკომერციული მიზნით, აგრეთვე, სახელმწიფო გამოცდისათვის შემოდის, თავისუფლდება საბაჟო გადასახადების მოსაკრებლებისაგან.

მუხლი 10. აკრძალვები მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას

1. საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია მცენარეთა დაცვის საშუალებათა (შხამ-ქიმიკატების) გამოყენება წყალშემკრებ, წყალსაცავ, დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების სათავე ნაგებობებისა და კანონით დადგენილ სხვა განსაკუთრებით საგანგებო ზონებში;

დასაშვებ ნორმაზე მეტი პესტიციდების ნარჩენების შემცველი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოყენება და მისი იმპორტი;

რეგისტრაციაში გაუტარებელი მცენარეთა დაცვის საშუალებების შემოტანა და გამოყენება.

მუხლი 14. კანონში მოცემულ ტერმინთა განმარტებანი

პესტიციდები - მცენარეთა დაცვის საშუალებები, რომლებიც წარმოშობით შეიძლება იყოს ქიმიური, ბიოლოგიური და მცენარეული.

საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ *(28.10.94, უწყებები №21-22)*

მუხლი 11. სავაჭრო წარმომადგენელი და დამოუკიდებელი მოვაჭრე კომისიონერი

11.1. სავაჭრო წარმომადგენლად, ამ კანონის მიხედვით, მიიჩნევა პირი, რომელიც საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობებში შუამავლობს ან დებს გარიგებებს სხვა საწარმოს სახელითა და ხარჯვით ისე, რომ თვითონ არ არის დასაქმებული ამ საწარმოში.

ამ კანონის მიხედვით, სავაჭრო წარმომადგენლად მიიჩნევა აგრეთვე დამოუკიდებელი მოვაჭრე, რომელიც მოქმედებს საკუ-

თარი სახელითა და ხარჯით, თუმცა უპირატესად იმყოფება სხვა სანარმოს სავაჭრო ორგანიზაციის შემადგენლობაში ისე, რომ მოზიდული მუდმივი კლიენტურა სხვა სანარმოს განეკუთვნება და ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ ეს კლიენტურა მას რჩება.

პირი, რომელიც საქონლის ან უფლებების რეალიზაციის ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით, ოღონდ სხვისი ხარჯით, ამ კანონის მიხედვით, არის კომისიონერი.

მუხლი 12. სავაჭრო მაკლერი

12.1. სავაჭრო მაკლერის უფლება-მოვალეობები აქვს იმ პირს, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის სახით სხვა პირთათვის კისრულობს საქონლის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის, დაზღვევის, ტვირთის გადაზიდვის, გემების ქირავნობის ხელშეკრულებათა დადების ან სავაჭრო საქმიანობის სხვა საგნების შუამავლობას ისე, რომ მათგან არა აქვს ეს ხელშეკრულებით მუდმივად დავალებული.

ზემოთ ჩამოთვლილი გარიგებების გარდა, სხვა გარიგებების, კერძოდ, უძრავი ნივთების გამო გარიგებების შუამავლობის მიმართ, არ გამოიყენება ამ მუხლის წესები, მაშინაც კი, როცა შუამავლობა ხორციელდება სავაჭრო მაკლერის მეშვეობით.

12.2. სავაჭრო მაკლერმა გარიგების დადების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს მხარეებს მის მიერ ხელმოწერილი დასკვნითი აქტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს მხარეების, გარიგების საგნისა და პირობების, განსაკუთრებით, საქონლისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვისას, მათი სახეობისა და რაოდენობის, ასევე ფასისა და გარიგების საბოლოო შესრულების დროის შესახებ, თუკი მხარეებმა მას ეს არ აუკრძალეს ან საქონლის სახეობის ადგილობრივი მოხმარების გათვალისწინებით, იგი გათავისუფლებული არ არის ამ მოვალეობისაგან.

იმ გარიგებებში, რომლებიც დაუყოვნებლივ არ სრულდება, დასკვნით აქტს ხელს აწერენ მხარეები და ყოველ მათგანს გადაეცემა ხელმოწერილი დასკვნითი აქტი.

თუ მხარე უარს განაცხადებს დასკვნითი აქტის მიღებაზე ან მის ხელმოწერაზე, სავაჭრო მაკლერმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს სხვა მხარეებს.

საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ *(11.11.94, უწყებები №21-22)*

მუხლი 22. სახელმწიფო ვალდებულებანი საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური თანამშრომლობის სფეროში

1. ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების მოსაზიდად და მის გამოსაყენებლად გამიზნულ კაპიტალის იმპორტირებისათვის სახელმწიფო ქმნის ხელშემწყობ სამართლებრივ და ეკონომიურ პირობებს, მხარს უჭერს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზაციებს შორის თანასწორუფლებიანი სამეცნიერო-ტექნოლოგიური ურთიერთობის დამყარებას.

2. სახელმწიფო ცალკეულ შემთხვევაში საერთო სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ახდენს უახლესი მეცნიერული მიღწევებისა და ტექნოლოგიების იმპორტის სუბსიდირებას. მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტის შეღავათიან დაკრედიტებასა და მიზნობრივი დოტაციების მეშვეობით მის ნაწილობრივ სუბსიდირებას.

საქართველოს კანონი „საკონსულო დაწესებულებათა შესახებ“ *(22.11.94, უწყებები № 21-22)*

მუხლი 92. საკონსულო ოლქის ფარგლებში საშიშ დაავადებათა ან სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებელთა გაჩენისას, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველის მასობრივი დაავადების ან ადამიანისა და ცხოველებისათვის საერთო დაავადებათა გავრცელების შემთხვევაში, კონსული დაუყოვნებლივ ატყობინებს ამის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მცენარეთა დაცვის საკარანტინო სამსახურს და სხვა სათანადო ორგანოებს.

მუხლი 93. იმ მოქალაქეებს, რომლებმაც მიიღეს საქართველოში შესვლის ნებართვა, კონსული აფრთხილებს, რომ საქართველოში შესვლისას საჭიროა შესაბამისი სერტიფიკატების წარდგენა ცხოველებზე, მცენარეებზე, ცხოველური და მცენარეული წარმოშობის

პროდუქტებსა და ნედლეულზე, უცხოური წარმოების შხამქიმიკატებსა და პესტიციდებზე.

საქართველოს კანონი „საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ“ *(21.12.94, უწყებები №27-30)*

მუხლი 1. კონცესიის ცნება

კონცესია არის უცხოური კაპიტალის დაბანდების (ინვესტიციის) მიზნით სახელმწიფოს მიერ გაფორმებული გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება განახლებადი და განუახლებადი ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციასა და მასთან დაკავშირებულ სხვა სამეურნეო საქმიანობაზე.

საკონცესიო ურთიერთობის კონკრეტული პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 12. კონცენსიონერის უფლებები

კონცენსიონერს უფლება აქვს:

საწარმოო პროცესების უზრუნველსაყოფად ისარგებლოს მოწყობილობების, ინსტრუმენტების, სპეცტანსაცმლის და სურსათის უბაჟოდ შემოტანის უფლებით, კონცესიების ფარგლებს გარეთ მათი მოხმარებისა და უფლების გარეშე;

ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დაბეგვრის, საბაჟო და სხვა შეღავათებით გრძელვადიანი კაპიტალდაბანდების რეალიზაციისა და მიღებული მოგების რეინვესტიციისას, საკონცესიო საწარმოების და ინფრასტრუქტურის განვითარების და ან საქველმოქმედო საქმიანობის მიზნით.

საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ *(08.02.95, უწყებები №23-26)*

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინები

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „ბაზელის კონვენცია“ - 1989 წლის 22 მარტის ბაზელის კონ-

ვენცია ,,სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ". საქართველოს მიერ ბაზელის კონვენციის სამართლებრივ მოთხოვნათა შესრულების სფეროში ევროგაერთიანებებთან თანამშრომლობის ვალდებულება გათვალისწინებულია ,,პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, ერთი მხრივ, ევროპის გაერთიანებებსა და მათ წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის" 1996 წლის 22 აპრილის შეთანხმებით, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 1996 წლის 4 სექტემბერს;

ბ) **,,ევროგაერთიანების საბჭოს 1993 წლის 259/93 დებულება** - ევროგაერთიანების საბჭოს 1993 წლის 1 თებერვლის 259/93 დებულება ,,ევროგაერთიანების ფარგლებში, ევროგაერთიანებაში და ევროგაერთიანების ფარგლებს გარეთ ნარჩენების გადაზიდვებზე ზედამხედველობისა და კონტროლის შესახებ".

მუხლი 2. ნარჩენები, რომელთა ტრანზიტი და იმპორტი აკრძალულია

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით) აკრძალულია ყოველგვარი ნარჩენების ტრანზიტი და იმპორტი, თუ ამის შესახებ პირდაპირ არ უთითებს ეს კანონი.

2. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით) აკრძალულია:

ა) სახიფათო (მათ შორის ტოქსიკური) და რადიაქტიური, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ნარჩენების ტრანზიტი და იმპორტი მათი უტილიზაციის, გაუვნებელყოფის, გადამუშავების, დამარხვის ან ნებისმიერი სხვა მიზნით (ბაზელის კონვენციის მე-4 დანართით დადგენილი ნარჩენების განთავსების ოპერაციების ჩათვლით);

ბ) არასახიფათო (მათ შორის არატოქსიკური) და არარადიაქტიური სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ნარჩენების იმპორტი მათი გაუვნებელყოფის, დამარხვის ან ნებისმიერი სხვა მიზნით, რომელსაც ითვალისწინებს ბაზელის კონვენციის მე-4 დანართით განსაზღვრული ,,ნარჩენებთან დაკავშირებულ განთავსების ოპერაციათა ,,A" ჯგუფი".

მუხლი 3. ნარჩენები, რომელთა ტრანზიტი და იმპორტი დაშვებულია

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით) დაშვებულია არასახიფათო (მათ შორის არატოქსიკური) და არარადიაქტიური ნარჩენების იმპორტი მხოლოდ მათი შემდგომი გადამუშავების, რეექსპორტის ან ნებისმიერი სხვა მიზნით, რომელსაც ითვალისწინებს ბაზელის კონვენციის მე-4 დანართით განსაზღვრული ,,ნარჩენებთან დაკავშირებულ განთავსების ოპერაციათა ,,B" ჯგუფი". ეს ნარჩენებია: შავი და ფერადი ლითონების ჯართი, ყველა ტიპის მაკულატურა, პლასტმასები (მხოლოდ იმ ტიპისა, რომელთა გადამუშავებაც საქართველოში შესაძლებელია), საფეიქრო და საგალანტერიო ნარმოების, ხის გადამუშავების (ბურბუშელა, ნახერხი), აგრეთვე მინის ნარჩენები. ეს ნარჩენები ევროგაერთიანების საბჭოს 1993 წლის 259/93 დებულებით დადგენილი ,,ნარჩენების მწვანე სიით" განსაზღვრულ ნარჩენების კატეგორიათა მიხედვით მიეკუთვნებიან:

ა) კატეგორია ,,GA"-ს (არადისპერსიულ ფორმაში მყოფი ნარჩენები, რომლებიც შედგება მეტალებისა და მეტალთა შენადნობებისაგან; არადისპერსიულ ფორმაში მყოფ ნარჩენებს არ მიეკუთვნება ნარჩენები ფხვნილის, წიდის ან მტვრის სახით, აგრეთვე მყარი საგნები, რომლებიც შეიცავენ სახიფათო ნარჩენებს თხევადი ფორმით);

ბ) კატეგორია ,,GH"-ს (მყარი პლასტმასის ნარჩენები);

გ) კატეგორია ,,GI"-ს (ქაღალდის, მუყაოსა და ქაღალდის ნაწარმის ნარჩენები);

დ) კატეგორია ,,GJ"-ს (საფეიქრო ნარჩენები);

ე) კატეგორია ,,GN"-ის ,,GN010/ყვ0502 00"-ის სახეობას;

ვ) კატეგორია ,,GL"-ს (დაუმუშავებელი კორპისა და მერქნის ნარჩენები);

ზ) კატეგორია ,,GE"-ს (მინის ნარჩენები არადისპერსიულ ფორმაში).

2. ნარჩენების იმპორტი დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ საქართველოსა და ექსპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობების მოთხოვნათა შორის უმკაცრესს.

მუხლი 4. სახიფათო და რადიაქტიური ნარჩენების იდენტიფიკაცია

1. რადიაქტიურ ნარჩენებს განეკუთვნება ყოველგვარი ნარჩე-

ნები (ნაკეთობები, მასალები, ნივთიერებები და ბიოლოგიური ობიექტები), დაბინძურებული რადიაქტიური ნივთიერებების ისეთი ოდენობით, რომელიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასაშვებ ნორმებს.

2. სახიფათო ნარჩენებს განაკუთვნება:

ა) ბაზელის კონვენციის პირველი დანართით დადგენილი, კონტროლსა და განსაკუთრებულ განხილვას დაქვემდებარებული ნარჩენების კატეგორიათა ჯგუფები, რომლებიც ხასიათდებიან ამავე კონვენციის მე-3 დანართით დადგენილი სახიფათო თვისებებით;

ბ) ევროგაერთიანების საბჭოს 1993 წლის №259/93 დებულებით დადგენილი ,,ნარჩენების ყვითელი სიითა" და ,,ნარჩენების წითელი სიით" განსაზღვრული ნარჩენები.

მუხლი 5. დოკუმენტაცია, რომელიც უნდა ერთვოდეს ნარჩენებს ტრანზიტისა და იმპორტის დროს

1. ნარჩენებს ტრანზიტისა და იმპორტის დროს უნდა ერთვოდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაცია, აგრეთვე ბაზელის კონვენციის სამართლებრივი მოთხოვნებით დადგენილი მონაცემები.

2. ევროპის კავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებიდან ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შემთხვევაში დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ევროგაერთიანების საბჭოს 1993 წლის №259/93 დებულებით გათვალისწინებულ ფორმებს.

მუხლი 6. ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის რეგულირება

1. ნარჩენების ტრანზიტსა და იმპორტს არეგულირებენ საქართველოს საბაჟო ორგანოები სხვა უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან ერთად.

2. ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის რეგულირების სფეროში ბაზელის კონვენციის მე-2 მუხლითა და ევროგაერთიანების საბჭოს 1993 წლის №259/93 დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს ფუნქციებს ასრულებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

3. საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის რეგულირების პროცედურა და წესი განისაზღვრება დებულებით ,,საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტი-

სა და იმპორტის რეგულირების პროცედურისა და წესის შესახებ", რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 7. ეკოლოგიური მოთხოვნები ნარჩენებისადმი

ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის დროს დაცული უნდა იყოს ,,გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 10 დეკემბრის კანონის 34-ე მუხლით, ,,გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონით, ,,სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ეკოლოგიური მოთხოვნები ნარჩენებისადმი.

მუხლი 8. პასუხისმგებლობა ,,საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ"

საქართველოს კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. ამ კანონით განსაზღვრულ ,,საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის რეგულირების პროცედურისა და წესის შესახებ" დებულების დამტკიცებამდე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის რეგულირების (კონტროლის) პროცედურასა და წესს განსაზღვრავენ ბაზელის კონვენციითა და ევროგაერთიანების საბჭოს 1993 წლის № 259/93 დებულებით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმები.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რადიაქტიური ნარჩენების იდენტიფიკაციისათვის საჭირო დასაშვები ნორმების არარსებობის ან მათი გაუქმების შემთხვევაში მოქმედებს ამ სფეროში ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ნორმებიდან უმკაცრესი.

საქართველოს კანონი „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ" *(21.03.95, უწყებები № 25-26)*

მუხლი 15. დონორის სისხლის, მისი კომპონენტებისა და პრეპარატების გაცვლის, საქართველოს საზღვრებს გარეთ მათი გადატანის წესი

საზღვარგარეთის სამედიცინო ორგანიზაციებთან დონორის

სისხლის, მისი კომპონენტებისა და პრეპარატების გაცვლის, საქართველოს საზღვრებს გარეთ მათი გატანის წესს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტთან არსებული დონორობის საკოორდინაციო სამსახურისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი წარდგინებით.

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და გადასახადის შესახებ“ *(04.04.95. უწყებები, № 27-30)*

მუხლი 5. გადასახადის განაკვეთები, გაანგარიშების და გადახდის წესი

4. ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის საქართველოს ტერიტორიაზე რეექსპორტით შემომტანი საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება ვალდებულია ერთი თვის ვადაში გაიტანოს აღნიშნული პროდუქცია საქართველოდან. თუ რეექსპორტით შემოტანილი პროდუქციიდან ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ პროდუქცია, ან მისი ნაწილი განუხორციელებლად აღმოჩნდება საქართველოში, მაშინ შესაბამისი პროდუქციის რეექსპორტით შემომტანი დაწესებულება (საწარმო, ორგანიზაცია) ვალდებულია დადგენილი გადასახადი გადაიხადოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში რეექსპორტით შემოტანილი საქონლის მთელი პარტიისათვის. ასეთ შემთხვევაში საურავის გადახდა და დაჯარიმება ხდება ქვეყნის შიგნით პროდუქციის რეალიზაციის შემთხვევისათვის განსაზღვრული წესით.

საქართველოს კანონი „ვეტერინარიის შესახებ“ *(14.06.95. უწყებები № 27-30)*

მუხლი 20. საქართველოს ვეტერინარული მედიცინის სახელმწიფო ინსპექციის უფლებები

- ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ნედლეულის, ფურაჟის და ვეტერინარული კონტროლქვემდებარე სხვა ტვირთების ექსპორტ-იმპორტზე და ტრანზიტზე ნებართვის გაცემა;

- სამუშაო ბიოლოგიური, სადიაგნოსტიკო, ქიმიურ-ფარმაცევ-

ტიული, სხვა ვეტერინარული პრეპარატების წარმოების, შენახვის, რეალიზაციის, ასევე იმპორტული ბიოლოგიური პრეპარატების შემოტანა-გატანის და გამოყენების ნებართვის გაცემა.

მუხლი 30. საქართველოს ტერიტორიის დაცვა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ცხოველების საშიში გადამდები დაავადებების შემოტანისგან

- დაიშვება საქართველოში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჯანმრთელი ცხოველების შემოყვანა და ასეთი ცხოველებისაგან მიღებული პროდუქტების შემოტანა; აუცილებელია ცხოველების და მეცხოველეობის პროდუქტების ექსპორტიორი ქვეყანა იყოს პირუტყვის საშიში გადამდები დაავადებების მხრივ კეთილსაიმედო;

- რესპუბლიკის მმართველობის ცენტრალური ორგანოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, საწარმოები, უწყებები, ფირმები, კომერციული სტრუქტურები, მოქალაქეები საზღვარგარეთის ქვეყნებში შეისყიდიან და შემოიყვანენ საქართველოს რესპუბლიკაში ცხოველებს, შემოიტანენ მეცხოველეობის პროდუქტებს, ნედლეულს, ფურაჟს და ვეტკონტროლქვემდებარე სხვა ტვირთებს, ან გაიტანენ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ვეტერინარული მედიცინის სახელმწიფო ინსპექციის ნებართვით;

- საქართველოს ტერიტორიაზე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ცხოველების და ადამიანების საერთო საშიში გადამდები დაავადებების შემოტანის აღკვეთის მიზნით რესპუბლიკის სასაზღვრო გადასასვლელების (საერთაშორისო მიმოსვლის რკინიგზის სადგურებში, ავტოსადგურებში, საზღვაო პორტებში, აეროპორტებში, ავტოტრასებზე) უშუალოდ საბაჟო კონტროლის ზონაში ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობით, ყველა სახის გზავნილებით (სარკინიგზო, საფოსტო, მათ შორის მგზავრთა ხელბარგით), ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე ექსპორტ-იმპორტის და ტრანზიტული ტვირთების შემოწმება შესაბამისი ღონისძიებების მიღება) ვეტსერტიფიკაციებისა და ვეტმონმობების გაფორმება ტვირთგადაზიდვების განხორციელების შემდგომი უფლებით, ხოლო ტვირთების კეთილსაიმედობასა და ვარგისიანობაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, ან მათი ტრანსპორტირების ვეტსანიტარული ნორმების დარღვევისას ტვირთების დაკავება, გაუვნებლება ან ამოღება-მოსპობა (ხორციელდება სასაზღვრო-სატრანსპორტო ვეტერინარული კონტროლის სამსახურის მიერ);

- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე განლაგებული სასაზღვრო-საკონტროლო და სასაზღვრო-სატრანსპორტო ვეტერინარული მედიცინის უბნები ეწევიან ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების ვეტერინარული მედიცინის სახელმწიფო ინსპექციებთან; იმ სასაზღვრო რაიონებში, რომლებიც არ შედიან ავტონომიურ ფორმირებებში - შესაბამისი სახელმწიფო ვეტერინარული მედიცინის სამსახურებთან;

- საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ცხოველების გადაყვანა, მეცხოველეობის პროდუქტების, ნედლეულის, ფურაჟის და ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე სხვა ტვირთების გადაზიდვა დაიშვება მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც მოწყობილია სახელმწიფო სასაზღვრო-სატრანსპორტო საკონტროლო ვეტერინარული უბნები.

მუხლი 37. ვეტერინარული მედიცინის სხვა ღონისძიებების დაფინანსება

ცხოველების გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და სალიკვიდაციო ღონისძიებები (გარდა ამ კანონის 36-ე მუხლში აღნიშნულისა) ავადმყოფი ცხოველების მკურნალობა, ლაბორატორიული გამოკვლევები, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში (საბაჟოებში) მომსახურება, ბაზრებში, ბაზრობებზე, სხვა სავაჭრო ობიექტებში ცხოველების, მეცხოველეობის პროდუქტების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის, მცენარეული ყველა სხვა პროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზა და სხვა ღონისძიებები ხორციელდება მეპატრონის ხარჯზე ფასიანი მომსახურების ტარიფების შესაბამისად.

მუხლი 39. ვეტერინარული მედიცინის სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა და ადმინისტრაციული სახდელების დადება

ვეტერინარული მედიცინის სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების თანამდებობის პირებს შეუძლიათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ჯარიმა გადაახდევინონ.

3. სახელმწიფო საზღვარზე უცხოეთის სახელმწიფოებიდან ცხოველთა (მათ შორის ფრინველის, თევზისა და ფუტკრის) გადამდები დაავადებების შემოტანისგან საქართველოს ტერიტორიის დაცვის ვეტერინარულ-სანიტარული წესების დარღვევისათვის.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ *(23.06.95, უწყებები №27-30)*

მუხლი 3. ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა

3. საქართველოს ეროვნული ბანკი, მისი აქტივები, ქონება და შემოსავალი, აგრეთვე მისი საქმიანობა და ოპერაციები თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადის, გადასახდელისა და მოსაკრებლისაგან (მათ შორის სახელმწიფო ბაჟისაგან). (23.10.2001, №1114, საკანონმდებლო მაცნე №32)

მუხლი 37. ფულის ნიშნებისა და სამახსოვრო მონეტების ემისიის უფლება

2. ეროვნული ბანკი ადგენს ქვეყნის საზღვარზე ფულის ნიშნების შემოტანა-გატანისა და ქვეყნის ტერიტორიაზე მათ გადაზიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ ბაზას.

საქართველოს კონსტიტუცია *(24.08.95, უწყებები №31-33)*

მუხლი 3

1. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

ვ) საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები;

ზ) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა, საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და საგადასახადო კანონმდებლობა.

მუხლი 93

1. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტია უფლებამოსილი პარლამენტს წარუდგინოს ბიუჯეტის პროექტი.

2. პრეზიდენტი მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს არა უგვიანეს 3 თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე. ბიუჯეტის პროექტთან ერთად პრეზიდენტი წარადგენს მოხსენებას მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს პრეზიდენტი პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს

3 თვისა.

3. პრეზიდენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა, პრეზიდენტს მხოლოდ იმ პირობით შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.

4. თუ პარლამენტმა ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ვერ მოახერხა ბიუჯეტის მიღება, სახელმწიფოს მიერ ადრე ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი ხარჯები დაიფარება წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით.

მუხლი 94.

1. სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.

2. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი.

3. გადასახადებისაგან განთავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით.

მუხლი 97.

1. სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს საქართველოს კონტროლის პალატა. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

საქართველოს კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ *(17.10.95, უწყებები №31-33)*

მუხლი 14. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდების სოციალური დაცვა

მე-11 და მე-12 მუხლებში აღნიშნული ინვალიდების სოციალური დაცვის მიზნით წესდება შემდეგი უფლებები და შეღავათები;

2) განთავისუფლება ყველა სახის სახელმწიფო დაბეგვრისაგან;

საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ *(20.03.96, უწყებანი №007)*

მუხლი 3. მომხმარებლის უფლება პროდუქციის ხარისხზე

7. პროდუქცია, რომელზეც საკანონმდებლო აქტებითა და სტანდარტებით განსაზღვრულია მოთხოვნები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს უსაფრთხოება, აგრეთვე მომხმარებლის ქონებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების აუცილებელი პირობები, ექვემდებარება სავალდებულო სერტიფიკაციას.

იკრძალება საქონლის (მათ შორის იმპორტულის) რეალიზება, სამუშაოთა შესრულება და მომსახურების გაწევა ამ პუნქტის პირველ აბზაცში მითითებული მოთხოვნების შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკაციის გარეშე. საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის შემოსატანად ნებართვის საფუძველია საბაჟო ორგანოებში წარდგენილი სერტიფიკატი, რომელსაც გასცემს ან ცნობს საქართველოს სათანადო რწმუნების მქონე ორგანო.

პასუხისმგებლობა პროდუქციის უსაფრთხოების ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისათვის, აგრეთვე სერტიფიკატის დასაბუთებული გაცემისათვის განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ინფორმაცია პროდუქციის შესახებ

1. დამამზადებელი (გამყიდველი) ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს აუცილებელი უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, რაც მას მისცემს სწორი არჩევანის შესაძლებლობას.

2. მომხმარებელს პროდუქციის შესახებ უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) პროდუქციის დასახელება და სახე;

ბ) პროდუქციის დამამზადებლის საფირმო სახელწოდება და მისამართი, იმ ქვეყნის დასახელება, სადაც დამზადებულია პროდუქცია;

გ) იმ საქონლის ვარგისობის ვადა (საქონლის გამოყენების ბოლო თარიღი ან დამზადების თარიღი და შენახვის ვადა), რომლის სამომხმარებლო თვისებები უარესდება დროთა განმავლობაში (საკვები, კოსმეტიკური, სამკურნალო და საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქცია);

დ) საქონლის წონა ან/და მოცულობა;

ე) იმ ტექნიკური რეგლამენტის ან/და სტანდარტის დასახელება, რომლის მოთხოვნებსაც შეესაბამება პროდუქცია;

ვ) პროდუქციის ძირითადი სამომხმარებლო თვისებების ნუსხა, საკვები პროდუქციისათვის - ასევე კალორიულობა, ვიტამინიზებულობა, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებათა შემცველობისას მათ შესაძლო უკუჩვენებებზე მითითება ცალკეული დაავადების დროს გამოყენების შემთხვევაში, დამზადების პროცესში გამოყენებული საკვებდანამატების სია;

ზ) პროდუქციის შედეგიანი და უსაფრთხო გამოყენების წესები და პირობები, აგრეთვე შენახვის სპეციალური პირობები;

თ) პროდუქციის ფასი და შეძენის სხვა პირობები;

ი) დამამზადებლის (შემსრულებლის, გამყიდველის) მიერ დათქმის შემთხვევაში საგარანტიო ვადა ან/და სხვა ვალდებულებები;

კ) საქონლის ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ მომხმარებლის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები და მათი განუხორციელებლობისას მოსალოდნელი შედეგები;

ლ) მომხმარებელთა პრეტენზიის მისაღები ადგილის რეკვიზიტები, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების საწარმოო ერთეულის მისამართი;

მ) პროდუქციის სერტიფიკაციის შესახებ, თუ მოცემული სახის პროდუქცია სავალდებულო სერტიფიცირებას ექვემდებარება;

ნ) სამუშაოს (მომსახურების) შესრულების (გაწევის) პროცედურები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს მისი მოთხოვნის მიხედვით უნდა მიეწოდოს წერილობით ან/და ზეპირად, თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

4. საკვები, კოსმეტიკური, სამკურნალო და საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქციის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა"-„ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია, ხოლო საყოფაცხოვრებო-ტექნიკური პროდუქციის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ბ", „ე", „ზ" და „ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ქართულ ენაზე და განთავსდეს პროდუქციის შეფუთვაზე, ეტიკეტზე ან იარლიყზე, ხოლო თუ მათი ზომის სიმცირის გამო ან სხვა პატივსადები მიზეზით ეს შეუძლებელია, იგი უნდა განთავსდეს პროდუქციის ყოველ ერთეულზე თანდართულ ფურ-

ცელზე ან წარმოებაში მიღებული ნებისმიერი სხვა ფორმით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის, აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული ცნება ,,საკვები პროდუქცია" არ მოიცავს გადაუმუშავებელ სასოფლო-სამეურნეო (მათ შორის, მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მეთევზეობის) პროდუქციას.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა მომხმარებლისათვის ინფორმაციის ქართულ ენაზე მიწოდების თაობაზე არ ზღუდავს მის სხვა ენაზეც მინოდების შესაძლებლობას. ამასთან, ქართულ ენაზე შესრულებული წარწერა ზომით უცხო ენაზე შესრულებულ წარწერაზე მცირე არ უნდა იყოს.

7. თუ საქართველოს სხვა სპეციალური საკანონმდებლო აქტებით მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დადგენილია დამატებითი ან განსხვავებული მოთხოვნები, მოქმედებს შესაბამისი სპეციალური საკანონმდებლო აქტის მოთხოვნები.

8. დამამზადებელს (შემსრულებელს, გამყიდველს) უფლება აქვს თავისი სამეწარმეო, მათ შორის, საექსპორტო მიზნებისათვის მომხმარებელს მიაწოდოს უფრო მეტი ინფორმაცია, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ამ მუხლით.

მუხლი 35. გარდამავალი დებულება

ამ კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა მომხმარებლისათვის ინფორმაციის ქართულ ენაზე მიწოდების თაობაზე ამოქმედდეს 2003 წლის 1 სექტემბრიდან, ხოლო სამკურნალო პროდუქციის მიმართ - 2003 წლის 1 იანვრიდან, ,,წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს კანონი „გრანტის შესახებ" *(28.06.96, უწყებანი №19-20)*

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. გამოყენების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში გრანტის გაცემის, მიღებისა და გამოყენების საერთო პრინციპებს.

მუხლი 2. გრანტი

1. გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრე-

ტული ჰუმანური საგანმანათლებლო სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის.

2. გრანტად არ ჩაითვლება სამეწარმეო და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გადაცემული სახსრები.

მუხლი 3. გრანტის გამცემი

გრანტის გამცემი (დონორი) შეიძლება იყოს:

1. საერთაშორისო საქველმოქმედო ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია (მათ შორის საერთაშორისო სპორტული ასოციაცია, ფედერაცია და კომიტეტის საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, უცხოეთის ქვეყნის მთავრობა ან მისი წარმომადგენლობა აგრეთვე უცხოეთის არასამეწარმეო იურიდიული პირი (ფონდი).

2. საქართველოს ის არასამეწარმეო იურიდიული პირი (ფონდი, პროგრამა), რომლის ძირითადი საწესდებო მიზანია ქონების დაგროვება საქველმოქმედო, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან საზოგადოებრივად სასარგებლო სხვა საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 4. გრანტის მიმღები

გრანტის მიმღები შეიძლება იყოს:

1. საქართველოს სახელმწიფო საქართველოს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილი ორგანოს (ორგანიზაციის) სახით;

2. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;

3. საქართველოს რეზიდენტი ან არარეზიდენტი არასამეწარმეო იურიდიული პირი, მისი წარმომადგენლობა, ფილიალი, განყოფილება.

4. საქართველოს მოქალაქე.

თავი II. გრანტის გაცემის საერთო პრინციპები

მუხლი 5. გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველი

1. გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველია წერილობითი ხელშეკრულება გრანტის გამცემსა (დონორსა) და გრანტის მიმღებს შორის, აგრეთვე საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის ოფიციალური წერილობითი გადაწყვეტილება საქართველოს სპორტული ფედერაციის ან კლუბისათვის მიზნობრივი დანიშნულების მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების (მათ

შორის ფულადი სახსრების) გამოყოფის შესახებ. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს გრანტის გაცემის მიზანს, მოცულობას, სახსრების გამოყენების კონკრეტულ მიმართულებას, მათი ათვისების ვადებს და იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებსაც გრანტის გამცემი (დონორი) უყენებს გრანტის მიმღებს.

2. გრანტი გამოიყენება მხოლოდ ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისათვის, სხვა მიზნებისათვის გრანტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გრანტის გამცემის (დონორის) თანხმობით.

3. გრანტის სახით მიღებულ ფასეულობათა რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ქმედება წინასწარ იყო გათვალისწინებული გრანტის გაცემის ხელშეკრულებაში.

მუხლი 6. ხელშეკრულების პირობების დარღვევა და პასუხისმგებლობა

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტ იურიდიულ პირთა ან მოქალაქეთა შორის წამოჭრილი დავა მოურიგებლობის შემთხვევაში წყდება იმ ქვეყნის სასამართლო წესით, რომელსაც მხარეები წინასწარ აირჩევენ. თუ ამგვარი შეთანხმება ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი III. გრანტის დაბეგვრა

მუხლი 7. გრანტის დაბეგვრის ზოგადი წესი

გრანტის დაბეგვრის წესი განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 8. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „სანაშენე მეცხოველეობის შესახებ“ *(05.09.96, უწყებანი №22-23)*

მუხლი 9. სანაშენე ცხოველთა და სანაშენე პროდუქციის იმპორტი და ექსპორტი

სანაშენე ცხოველთა და სანაშენე პროდუქციის იმპორტი და ექსპორტი ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს კანონი „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ *(06.09.96, უწყებანი №22-23)*

ეს კანონი ადგენს საქართველოში გაზომვათა ერთიანობის სავალდებულო უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს, არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ურთიერთობას იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან გაზომვის საშუალებების დამზადების, გამოყენების, შეკეთების, გაყიდვის, იმპორტის სფეროებში და მიზნად ისახავს არასარწმუნო გაზომვების უარყოფითი შედეგებისაგან მოქალაქეთა უფლებების, კანონიერი ინტერესების, დადგენილი მართლწესრიგისა და საქართველოს ეკონომიკის დაცვას.

მუხლი 6. სიდიდეთა ერთეულები

2. საექსპორტო პროდუქციის მეტროლოგიური მახასიათებლები შეიძლება გამოისახოს დამკვეთის მიერ დადგენილი ერთეულებით.

მუხლი 13. სახელმწიფო მეტროლოგიური კონტროლისა და ზედამხედველობის გავრცელების სფეროები

სახელმწიფო მეტროლოგიური კონტროლი და ზედამხედველობა ხორციელდება შემდეგ სფეროებში:

საბანკო, საგადასახადო, საბაჟო და საფოსტო ოპერაციები;

მუხლი 15. გაზომვის საშუალების დამოწმება

1. გაზომვის საშუალებები, რომლებზეც ვრცელდება სახელმწიფო მეტროლოგიური კონტროლი და ზედამხედველობა, ექვემდებარება საქსტანდარტის მიერ დამოწმებას მათი წარმოებიდან და შეკეთებიდან გამოშვების, იმპორტით შემოტანისა და გამოყენებისას. დასაშვებია მხოლოდ დამოწმებულ გაზომვის საშუალებათა გაყიდვა და გაქირავება.

გაზომვის საშუალებებს, რომლებიც ექვემდებარება დამოწმებას, განსაზღვრავს საქსტანდარტი.

მუხლი 19. გაზომვის საშუალებების დაკალიბრება

1. გაზომვის საშუალებები, რომლებიც არ ექვემდებარება დამოწმებას, შეიძლება დაკალიბრებულ იქნენ წარმოებიდან და შეკეთებიდან გამოშვების, იმპორტით შემოტანის, გამოყენების, გაყიდვისა და გაქირავების დროს.

გაზომვის საშუალებების დაკალიბრებას ახორციელებენ იუ-

რიდიული პირების მეტროლოგიური სამსახურები.

დაკალიბრების შედეგები დასტურდება დაკალიბრების ნიშნით, რომელიც აღინიშნება გაზომვის საშუალებებზე, ან დაკალიბრების სერტიფიკატით, აგრეთვე ჩანაწერით საექსპლუატაციო დოკუმენტებში.

საქართველოს კანონი „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ *(06.09.96, უწყებანი №22-23)*

მუხლი 7. სერტიფიკატი და შესაბამისობის ნიშანი

1. დადგენილ მოთხოვნებთან სერტიფიცირებული პროდუქციის შესაბამისობას ადასტურებს შესაბამისობის სერტიფიკატი (შემდგომ-სერტიფიკატი) - დოკუმენტი, რომელიც გაიცემა სერტიფიკაციის სისტემის წესებით.

2. დადგენილ მოთხოვნებთან ნიშანდებული პროდუქციის შესაბამისობას ადასტურებს შესაბამისობის ნიშანი. შესაბამისობის ნიშნის გამოყენების და სახელმწიფო რეგისტრაციის წესებს ადგენს საქსტანდარტი.

თავი II. სავალდებულო სერტიფიკაცია

მუხლი 8. სავალდებულო სერტიფიკაცია

1. სავალდებულო სერტიფიკაცია ტარდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის ნუსხას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავენ საქსტანდარტი და აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით ეკისრებათ სავალდებულო სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და ჩატარება.

მუხლი 14. იმპორტული პროდუქციის შემოტანის პირობები

1. საქართველოში მისაწოდებელი პროდუქციის კონტრაქტის (ხელშეკრულების) პირობებში გათვალისწინებული უნდა იქნეს დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატის და შესაბამისობის ნიშნის არსებობა, თუ ეს პროდუქცია საქართველოში ექვემდებარება სავალდებულო სერ-

ტიფიკაციას. ამ სერტიფიკატს და შესაბამისობის ნიშანს ან აღიარების დოკუმენტს გასცემს საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.

2. პროდუქციის შემოტანის დროს ნებართვის მისაღებად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე: საბაჟო დეკლარაციასთან ერთად აუცილებელია სერტიფიკატი ან აღიარების მოწმობა, რომელიც წარედგინება საბაჟო ორგანოებს.

3. სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის წესს ადგენენ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი და საქსტანდარტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს საჰაერო კოდექსი

(29.10.91 უწყებანი №27-28/44)

მუხლი 5. საქართველოს სუვერენიტეტი მის საჰაერო სივრცეზე

1. საქართველო ფლობს სრულ და განსაკუთრებულ სუვერენიტეტს საკუთრების ტერიტორიის თავზე არსებულ საჰაერო სივრცეზე.

2. საქართველოს ტერიტორია არის მის სუვერენიტეტს დაქვემდებარებული სახმელეთო ტერიტორია და მასთან მიმდებარე შავი ზღვის ტერიტორიული წყლები.

3. საქართველოს საჰაერო სივრცე არის სახმელეთო ტერიტორიისა და მასთან მიმდებარე შავი ზღვის ტერიტორიული წყლების თავზე არსებული სივრცე.

მუხლი 53. საპასპორტო, საბაჟო და სხვა წესების გამოყენება

საჰაერო ხომალდებზე, ეკიპაჟსა და ხომალდზე მყოფ მგზავრებზე (მათ შორის, მათ ქონებაზე), რომლებიც შემოდიან საქართველოში ან გადიან საქართველოდან (მათ შორის - ტრანზიტით, საქართველოს ტერიტორიის გავლით), ვრცელდება საქართველოს საპასპორტო, საბაჟო, სანიტარული, საკარანტინო და შემოსვლა-გასვლის, ქონების შემოტანა-გატანისა და საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო მიმოსვლის სხვა წესები.

მუხლი 69. დანიშნულების ადგილზე ტვირთის მიღება

1. გადამზიდველი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მიმღებს ტვირთის ჩამოტანის შესახებ.

2. მიმღები ვალდებულია მიიღოს და გაიტანოს ტვირთი. მას უფლება აქვს უარი განაცხადოს დაზიანებული ან გაფუჭებული ტვირთის მიღებაზე, თუ დადგინდება, რომ მიზნობრივად მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება შეუძლებელია.

მუხლი 70. მიმღების მიერ ტვირთის მიუღებლობა ან დაგვიანებით მიღება

1. თუ გადაზიდვის წესებით დადგენილ ვადაში მიმღები არ მოითხოვს მის მისამართზე მოსულ ტვირთს ან უარს განაცხადებს მის მიღებაზე, გადამზიდველი უფლებამოსილია შეატყობინოს ამის შესახებ გამგზავნს და შეინახოს ტვირთი გამგზავნის ხარჯზე, მისივე პასუხისმგებლობით.

2. თუ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მიმღები არ მიიღებს მის მისამართზე შემოსულ ტვირთს, ხოლო გამგზავნი არ უზრუნველყოფს მის განკარგვას, იგი ექვემდებარება დადგენილი წესით რეალიზებას.

3. ამ ტვირთის საბაჟო შემოწმებას და გაფორმებას ახორციელებენ საბაჟოები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 71. გადაზიდვის განსაკუთრებული პირობები

ფეთქებადნივთიერებათა, იარაღის, ტყვია-წამლის, მომწამლავი, სწრაფაალებადი, რადიაქტიური და სხვა სახიფათო ნივთიერებებისა და საგნების ნუსხას, რომელთა გადაზიდვაც სამოქალაქო ავიაციის საჰაერო ხომალდებით აკრძალულია, განსაზღვრავს საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი და ამტკიცებს საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრო.

საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ *(12.11.96, უწყებანი №29-30/5)*

მუხლი 1. ინვესტიცია

1. ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში.

2. ასეთი ფასეულობა ან უფლება შეიძლება იყოს:

ა) ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;

ბ) უძრავი და მოძრავი ქონება - მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა;

გ) მინით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ შორის კომპენსაცია), პატენტი, ლიცენზია, ,,ნოუ-ჰაუ", გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა;

დ) კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება.

მუხლი 2. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი (ინვესტორი) და ობიექტი

1. ინვესტორად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას საქართველოში.

2. უცხოელ ინვესტორად ითვლება:

ა) უცხოეთის სახელმწიფო მოქალაქე;

ბ) მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ;

დ) იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ.

მუხლი 3. ინვესტორის უფლებები

7. უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს საზღვარგარეთ გაიტანოს მის საკუთრებაში არსებული ქონება.

მუხლი 9. აკრძალვა და შეზღუდვა ინვესტიციის განხორციელების სფეროში

1. საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტირება აკრძალულია:

ა) ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნაში, წარმოებასა და გავრცელებაში;

ბ) ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოცდის პოლიგონების მშენებლობაში;

გ) უცხო ქვეყნებიდან ბირთვული და ტოქსიკური ნარჩენების ჩამარხვა-გაუვნებლობის მიზნით შემოტანაში;

დ) ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში;

ე) ნარკოტიკული საშუალებების წარმოებაში;

ვ) დამაძინებელი ყაყაჩოს, კოკას ბუჩქისა და კანაფის მცენარის

კულტივირებაში;

ზ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აკრძალულ საქმიანობაში;

თ) ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის, აგრეთვე ფალსიფიცირებული (არასტანდარტული) საყოფაცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტში ან რეალიზაციაში (იმპორტში ტეტრაეთილტყვიის ინვესტირება დაიშვება მხოლოდ წარმოების ტექნოლოგიით ნებადართულ აუცილებელ შემთხვევებში).

2. მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოსთვისაა ინვესტირება დასაშვები:

ა) ფულადი ნიშნების, მონეტების, სახელმწიფო ჯილდოების ნიშნების, საფოსტო მარკების წარმოებაში;

ბ) ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნაწარმის დადამღვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

გ) სამედიცინო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებების იმპორტთან, ექსპორტთან, გადაზიდვასთან, საბითუმო რეალიზაციასთან და ახალი ნარკოტიკული საშუალებების შექმნასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

დ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული პრეპარატების წარმოებასთან, გადამუშავებასთან, იმპორტთან, ექსპორტთან, გადაზიდვასთან, საბითუმო რეალიზაციასთან და ახალი სახეობების შექმნასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

ე) ენერგეტიკის სადისპეტჩერო საქმიანობაში.

3. უცხო ქვეყნისა და კერძო ინვესტორებისათვის, მართვის უფლების მინიჭების გარეშე, საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტირება დასაშვებია:

ა) საქართველოს ტერიტორიულ წყლებში და საზღვაო ნავსადგურების აკვატორიებში საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებასთან, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

ბ) სარკინიგზო ტრანსპორტის სადისპეტჩერო საქმიანობაში;

გ) საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდების მოძრაობის რეგულირებასთან, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

დ) საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უშიშ-

როების საბჭოსთან შეთანხმებით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით, სამხედრო-საბრძოლო ტექნიკის წარმოებასა და რეალიზაციაში ახალი სახეობებისა და მოდიფიცირებული იარაღის შექმნასა და გამოცდაში;

ე) სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში;

ვ) სამშვიდობო დანიშნულებით ბირთვული ენერგიის გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

მუხლი 13. განხორციელებული უცხოური ინვესტიციის სამართლებრივი რეჟიმი

უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებს, რომლებმაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აიღეს უცხოური ინვესტიციის ლიცენზია, მისი გაცემის დღიდან 5 წლის განმავლობაში უნარჩუნდებათ „უცხოური ინვესტიციების შესახებ" 1995 წლის 30 ივნისის საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები საქმიანობის იმ სფეროში, რომელზეც გაცემულია უცხოური ინვესტიციის ლიცენზია.

მუხლი 15. გარანტიები კანონმდებლობის შეცვლისას

1. ახალი საკანონმდებლო აქტი, რომელიც აუარესებს ამ კანონით დადგენილ ინვესტიციის პირობებს, მისი ძალაში შესვლიდან ათი წლის განმავლობაში არ ვრცელდება უკვე განხორციელებულ ინვესტიციაზე. ასეთ შემთხვევაში ინვესტორი თავის საქმიანობას ახორციელებს ახალი საკანონმდებლო აქტის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. შემდგომში კანონმდებლობის შეცვლას არ ექვემდებარება ამ კანონის მე-7, მე-8, მე-14 და მე-16 მუხლები.

საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ" *(25.12.96, უწყებანი №1-2(33-34/7) 1997 წ.)*

მუხლი 50. გარეული ცხოველებით, მათი დერივატებითა და ცხოველქმედების პროდუქტებით ვაჭრობა

1. გარეულ ცხოველთა სახეობებით, მათი დერივატებითა და ცხოველქმედების პროდუქტებით ვაჭრობა ხდება ამ კანონის, საფრთხის წინაშე მყოფი ფაუნის (გარეული ცხოველების) და ფლორის (ველური მცენარეების) სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (Conventoon on international Trude in Endangered Speciens of Wild Fauna and

Flora - CITES) დებულებებისა და მათ საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2. გარეული ცხოველის, მისი დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტისათვის საჭიროა ნებართვა. ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა გაიცემა სამინისტროს მიერ მხოლოდ შემდეგი პირობების შესრულებისას:

ა) ექსპორტიორი და იმპორტიორი სახელმწიფოს შესაბამის სამეცნიერო ორგანოს გამოაქვს დასკვნა, რომ ამგვარი ექსპორტი საფრთხეს არ უქმნის გარეულ ცხოველთა აღნიშნულ სახეობას;

ბ) ექსპორტიორი და იმპორტიორი სახელმწიფოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო რწმუნდება, რომ გარეული ცხოველი არ იყო შეძენილი ან მოპოვებული კანონის დარღვევით;

გ) ექსპორტიორი და იმპორტიორი სახელმწიფოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო რწმუნდება, რომ ნებისმიერი ცოცხალი გარეული ცხოველი მომზადებული და გაგზავნილი იქნება იმგვარად, რომ მინიმუმამდე იქნება დაყვანილი დაზიანების, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის ან სასტიკი მოპყრობის რისკი;

დ) სახელმწიფოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო რწმუნდება, რომ ცოცხალი გარეული ცხოველის მიმღებს აქვს ცხოველის შენახვისა და მოვლის სათანადო პირობები;

ე) სახელმწიფოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო რწმუნდება იმაში, რომ გაცემული იყო ნებართვა ამ გარეული ცხოველის იმპორტზე;

ვ) საფრთხის წინაშე მყოფი სახეობის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა გაიცემა მხოლოდ მაშინ, თუ სახელმწიფოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო დარწმუნებულია, რომ გარეული ცხოველი არ იქნება გამოყენებული კომერციული მიზნებისათვის.

3. გარეულ ცხოველთა ცხოველქმედების პროდუქტების ექსპორტზე, იმპორტზე, რეექსპორტზე და ტრანზიტზე საჭიროა სამინისტროს ლიცენზია, რომელიც გაიცემა მხოლოდ მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) თუ პროდუქტის მოპოვებას არ მოჰყვა გარეული ცხოველის დაზიანება ან სიკვდილი;

ბ) თუ გაცემული იყო ამ პროდუქტის მოპოვების ლიცენზია.

საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ *(15.04.97, უწყებანი, №17-18)*

მუხლი 6.

კონტროლის პალატის საკონტროლო უფლებამოსილება, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ვრცელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ყველა ორგანოზე, მმართველობით ადგილობრივ ორგანოებზე, სპეციალურ სახელმწიფო ფონდებზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე და ყველა სხვა ორგანიზაციასა და დაწესებულებაზე.

მუხლი 7.

კონტროლის პალატა უფლებამოსილია შეამოწმოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის საქმიანობა, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია საბიუჯეტო ან სახელმწიფო სპეციალური ფონდების კუთვნილი თანხების მიღებასთან, გადარიცხვასთან ან გამოყენებასთან, რაიმე ფორმით სახელმწიფო საკუთრების გამოყენებასთან ან მის მართვასთან, აგრეთვე იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია მათთვის საგადასახადო, საბაჟო ან სხვა სახის შეღავათების მინიჭებასთან.

საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ *(17.04.97, უწყებანი №17-18)*

მუხლი 1[1]. ტერმინთა განმარტება

13. **რადიაქტიური დიაგნოსტიკური სამკურნალო საშუალება** – მაიონიზებელი გამოსხივების თვისების მქონე, სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებული საშუალება.

16. **სამკურნალო საშუალება (ფარმაცევტული პროდუქტი)** – წამალი ან ფიზიოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული სამკურნალო ნივთიერება ან მათი კომბინაცია, რომლებიც ნებადართულია სამედიცინო გამოყენებისათვის.

20. **სამკურნალო საშუალების რეგისტრაცია** - საქართველოში წარმოებული და საზღვარგარეთიდან შემოტანილი სამკურნალო საშუალების სახელმწიფო ექსპერტიზის პროცედურა, რომლის საფუძველზედაც გაიცემა საქართველოში მისი მიმოქცევის ნებართვა.

38. ფარმაცევტული პრეპარატი (წამლის ფორმა) - გარკვეული ფორმის სახით არსებული (მათ შორის, აბი, კაფსულა, ტაბლეტი, ამპულა, სანთელი, კაპლეტი, დრაჟე) კონკრეტული, დოზირებული მზა წამალი.

40. ფარმაცევტული სუბსტანცია - ნებისმიერი წარმოშობის, შესაბამისი ხარისხისა და ფარმაკოლოგიური აქტივობის ნივთიერება, რომელიც გამოიყენება წამლის მომზადებისათვის ან/და წარმოებისათვის.

41. **წამალი (სამკურნალწამლო საშუალება, მედიკამენტი)** - ის ნივთიერება ან ნივთიერებათა კომბინაცია ფარმაცევტული პრეპარატის სახით, რომელიც გამოიყენება ფიზიოლოგიური სისტემის გამოსაკვლევად, ადამიანისა და ცხოველის რეპროდუქციული ფუნქციის სარეგულირებლად, პათოლოგიური მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ან რეციპიენტის სასარგებლოდ შესაცვლელად.

მუხლი 11. წამლის სახელმწიფო რეგისტრაციის წესი და პირობები

1. საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია მხოლოდ რეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების გამოყენება-გაცემა, გარდა ამ კანონის 18[7] მუხლით დაშვებული გამონაკლისებისა.

2. საკურნალო საშუალების სახელმწიფო რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5[1]. **სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებებს - კბილის პასტას, საღეჭ რეზინს, კოსმეტიკურ და ჰიგიენურ საშუალებებს** - რეგისტრაციისას, თუ ისინი იდენტურია ორიგინალური სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების მწარმოებლის მიერ საქართველოში ადრე რეგისტრირებული საშუალებებისა და წარმოებულია სხვა ქვეყანაში ამ მწარმოებლის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე, დაჩქარებული რეგისტრაციის პროცედურით ენიჭება საქართველოში ადრე რეგისტრირებული სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების სტატუსი".

მუხლი 18. სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტსა და რეექსპორტზე, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტსა და ექსპორტზე ნებართვის გაცემა

1. სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტი და რეექსპორტი ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

2. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტი და ექსპორტი ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

3. სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტსა და რეექსპორტზე, აგრეთვე სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტსა და ექსპორტზე ნებართვის მისაღებად ,,სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულებასთან ერთად ნებართვის მაძიებელი ვალდებულია წარადგინოს:

ა) პროდუქციის ხარისხის სერტიფიკატი;

ბ) ინფორმაცია პროდუქციის ნომენკლატურის, რაოდენობის, ერთეულის ფასის, თანხის, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომრის (გარდა ამ კანონის 18[7] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), მომწოდებლის ან/და მიმღების დასახელებისა და მისამართის, მწარმოებლისა და მწარმოებელი ქვეყნის, საიდენტიფიკაციო კოდისა და ტვირთის გამტარებელი საბაჟოს დასახელების შესახებ;

გ) მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება შესაბამისი სპეციფიკაციის ამსახველი დანართით;

დ) შესაბამისი საქმიანობის წარმოების ლიცენზია.

4. სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტსა და რეექსპორტზე, აგრეთვე სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებების იმპორტსა და ექსპორტზე ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას ნებართვის გამცემი იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და ,,სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის

გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

5. სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტსა და რეექსპორტზე, აგრეთვე სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტსა და ექსპორტზე ნებართვის მოქმედების შეჩერებისა და განახლების, ასევე ნებართვის გაუქმების წესი განისაზღვრება ,,სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე, 31-ე და 32-ე მუხლების შესაბამისად.

6. ამ კანონით განსაზღვრული ნებართვები გაიცემა ერთჯერადად, კონკრეტული ოპერაციის განხორციელების ვადით.

7. იმპორტისა და ექსპორტის ნებართვების ფორმას საქართველოს საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა დაცვით ადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

8. სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის ექსპორტირებისას ექსპორტიორი ვალდებულია, ექსპორტიორისა და საექსპორტო პროდუქციის შესახებ ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" და ,,ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

მუხლი 18[6]. სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტსა და რეექსპორტზე, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტსა და ექსპორტზე ნებართვის გაუქმება

1. ნებართვის გაუქმება ხდება იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პროდუქციას შეუჩერდა ან გაუუქმდა სახელმწიფო რეგისტრაცია.

2. ნებართვის გაუქმების შემთხვევაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ნებართვის მფლობელს და შესაბამის საბაჟო სამსახურს.

მუხლი 18[7]. საქართველოში არარეგისტირებული სამკურნალო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა

1. საქართველოში არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება შემოტანილ იქნეს:

ა) კლინიკამდელი და კლინიკური კვლევისათვის;

ბ) სახელმწიფო რეგისტრაციისათვის – ნიმუშის სახით;

გ) ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის;

დ) საერთაშორისო მიმართულებაზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალების ბრიგადის მიერ მგზავრთა სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ოდენობით;

ე) გამოფენების, სიმპოზიუმების, კონფერენციების, ფორუმებისა და კონგრესებისათვის – ნიმუშის სახით, რეალიზაციის უფლების გარეშე;

ვ) რეექსპორტისათვის.

2. განსაკუთრებულ პირობებში (სტიქიური უბედურება, მოსახლეობის მასობრივი დაზიანება, ეპიდემია, იშვიათი დაავადება) ან გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესების არსებობის შემთხვევაში საუწყებათაშორისო კომისიის გადაწყვეტილებით დასაშვებია საქართველოში არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა და გამოყენება, თუ წარდგენილია საზღვარგარეთის ქვეყნებში მათი რეგისტრაციისა და გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტები.

3. აკრძალულია საქართველოში რეგისტრირებული სამკურნალო საშუალების უკანონო ასლის, ფალსიფიცირებული სამკურნალო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა.

4. საქართველოს ტერიტორიაზე სამკურნალო საშუალებების ჰუმანიტარული მიზნით შემოტანის წესს განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

5. აკრძალულია საქართველოში არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების ჰუმანიტარული მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, გარდა ამ კანონით დაშვებული გამონაკლისებისა.

6. საქართველოს ტერიტორიაზე სამკურნალო საშუალებების შემოტანის უფლება აქვს:

ა) შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის მქონე იურიდიულ პირს;

ბ) სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას – წამლის შექმნის ტექნოლოგიის შემუშავების, მისი ხარისხის, ეფექტიანობისა და

უსაფრთხოების გამოკვლევის მიზნით. (18.12.2001. №1119 საკანონმდებლო მაცნე №36).

მუხლი 19. სამკურნალო საშუალებების ექსპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი

სამკურნალო საშუალებების ექსპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2. ფიზიკურ პირს უფლება აქვს გაიტანოს სამკურნალო საშუალებები პირადი მოხმარებისათვის საჭირო ოდენობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, საშუალებების და მათი ნამლის ფორმების ლეგალური ბრუნვის კონტროლი

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, საშუალებების და მათი ნამლის ფორმების წარმოება და ლეგალური ბრუნვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

2. ნარკოტიკულ ნივთიერებებზე წლიურ მოთხოვნილებას, შესაბამის კვოტებს, მათ შორის ამ ნივთიერებების ექსპორტ-იმპორტზე, განსაზღვრავს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 22. რადიაქტიური სამკურნალო საშუალებების მიმოქცევა

სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებული რადიაქტიური პრეპარატების შეფუთვის, შენახვის, იმპორტის, გადაგზავნა - გადაზიდვის, გაცემის, გამოყენების და განადგურების წესები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

საზღვაო კოდექსი *(15.05.97, უწყებანი №23-24)*

თავი VIII. ხელშეკრულება ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ

მუხლი 114

1. ხელშეკრულება ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ არის წერილობითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად ტვირთის გადამზიდავი ან გამფრახტველი ვალდებულებას იღებს გადაზიდოს ტვირთი და ჩააბაროს იგი მიმღებს, ხოლო გამგზავნი ან დამფრახტველი კისრულობს გადაიხადოს გადაზიდვის ღირებულება

(ფრახტი).

2. დამფრახტველად და გამფრახტველად მიიჩნევიან პირები, რომლებიც გემის დაფრახტვის შესახებ დებენ წერილობით ხელშეკრულებას (ჩარტერი).

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ" კონვენციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საქართველოში მოქმედებს კონვენციები: „კონოსამენტის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ" 1924 წლის საერთაშორისო კონვენცია („ჰაგა-ვიზბის წესები") და „ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1978 წლის კონვენცია („ჰამბურგის წესები").

მუხლი 115

1. ჩარტერში ძირითადი რეკვიზიტების სახით აღნიშნული უნდა იყოს:

ა) მხარეების დასახელება;

ბ) გემის დასახელება;

გ) ტვირთის დასახელება;

დ) დატვირთვისა და დანიშნულების ნავსადგურები (გემის მოძრაობის მიმართულება);

ე) გადაზიდვის ღირებულება (ფრახტი);

ვ) მხარეთა ძირითადი მოვალეობანი და გადაზიდვის პირობები.

2. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ჩარტერში შეიძლება შეიტანონ სხვა დამატებითი პირობები.

3. ჩარტერს ხელს აწერენ გამფრახტველი და დამფრახტველი ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები.

მუხლი 116

1. ტვირთის მიღება, შემოტანა ან გატანა შეიძლება აკრძალოს საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციამ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს პრეზიდენტს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

2. გადასაზიდად ტვირთის მიღების აკრძალვა, დროებით შეჩერება ან შეზღუდვა შეიძლება შემოღებულ იქნეს გარკვეული მიმართულებით კონკრეტული ნავსადგურიდან ან კონკრეტულ ნავსადგურამდე გადაზიდვისას. ამის შესახებ საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ აცნობებს ტვირთის გამგზავნსა და შესაბამის უწყებებს.

3. სტიქიური მოვლენების, მარცხისა და ავარიის, ასევე კარანტინის გამოცხადების შემთხვევაში, როდესაც შეწყვეტილია მოძრაობა, ნავსადგურის კაპიტნის განკარგულებით შეიძლება დროებით შეჩერდეს ან შეიზღუდოს ტვირთის მიღება, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციას, რომელიც განსაზღვრავს ტვირთის მიღების დროებით შეჩერებისა და/ან შეზღუდვის ვადებს და აქვეყნებს ,,ზღვაოსანთა უწყებებში".

მუხლი 117

ამ თავში აღნიშნული წესები გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის დადებულ ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 118

1. სამართლებრივი ურთიერთობები ტვირთის გადამზიდავსა და მიმღებს შორის განისაზღვრება კონოსამენტით ან საზღვაო ზედნადებით.

2. ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კონოსამენტში ან საზღვაო ზედნადებში, აუცილებელია შეასრულოს ტვირთის მიმღებმა, თუ კონოსამენტში ან საზღვაო ზედნადებში მითითებულია საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება, რომელშიც ეს პირობებია ჩამოყალიბებული.

მუხლი 119

კონოსამენტი არის ტვირთის განმკარგავი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებას და გადამზიდავის მიერ ტვირთის მიღებას ან დატვირთვას. კონოსამენტის წარდგენისას გადამზიდავი ვალდებულია გასცეს ტვირთი.

მუხლი 120

1. ტვირთის გემზე მიღების შემდეგ გადამზიდავი ვალდებულია ტვირთის გამგზავნის მოთხოვნით გადასცეს მას კონოსამენტი (ან საზღვაო ზედნადები), რომელიც ადასტურებს, რომ გადამზიდავმა მიიღო კონოსამენტში მითითებული ტვირთი.

2. ტვირთის გადამზიდავს შეუძლია კონოსამენტის ან საზღვაო ზედნადების ნაცვლად გასცეს სხვა საბუთი, რომელიც ადასტურებს გადასაზიდად ტვირთის მიღებას. ასეთი საბუთი წარმოადგენს გადამზიდავის მიერ ტვირთის მიღებისა (როგორც ეს საბუთშია აღწ-

ერილი) და საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების უპირველეს დოკუმენტს.

3. კონოსამენტის შედგენა ხდება ტვირთის გამგზავნის მიერ ხელმოწერილი საბუთის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს კოდექსის 121-ე მუხლის „ა" - „კ" ქვეპუნქტებში აღნიშნულ მონაცემებს.

4. ტვირთის გამგზავნი პასუხს აგებს გადამზიდავის წინაშე საბუთში არასწორი, არაზუსტი ან არასრული მონაცემების შეტანით გამოწვეულ შედეგებზე.

მუხლი 121

კონოსამენტში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ტვირთის საერთო მახასიათებლები, ტვირთის იდენტიფიკაციისათვის, აუცილებელი ძირითადი მარკები, ტვირთის სახიფათო ან განსაკუთრებული თვისებების პირდაპირი მითითება, ადგილებისა ან საგნების და ტვირთის წონა ან რაოდენობა. ამასთან, ყველა მონაცემი მითითებული უნდა იყოს ტვირთის გამგზავნის მიერ წარმოდგენილი სახით;

ბ) ტვირთის გარეგნული სახე;

გ) ტვირთის გადამზიდავის დასახელება და მისი ძირითადი საწარმოს მისამართი;

დ) ტვირთის გამგზავნის დასახელება;

ე) ტვირთის მიმღების დასახელება (სახელობითი კონოსამენტი), ტვირთის გაცემა დასახელებული პირის ბრძანებით (საორდერო კონოსმენტი) ან ტვირთის გაცემა კონოსამენტის წარდგენაზე (კონოსამენტი წარმდგენზე);

ვ) დატვირთვის ნავსადგური ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების თანახმად და გადამზიდავის მიერ ტვირთის გემზე მიღების თარიღი;

ზ) გადმოტვირთვის ნავსადგური ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების თანახმად;

თ) კონოსამენტის დედნების რაოდენობა, თუ ის ერთზე მეტია;

ი) მითითება იმის შესახებ, გადაზიდვა რეგულირდება „კონოსამენტის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ 1924 წლის საერთაშორისო კონვენციით („ჰააგა-ვიზბის წესები"), თუ ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1978 წლის კონვენციით („ჰამბურგის წესები");

კ) გარკვეულ შემთხვევაში მითითება იმის შესახებ, რომ ტვირთი უნდა განლაგდეს ან შეიძლება განლაგდეს გემბანზე;

ლ) ფრახტის ის ოდენობა, რომელიც უნდა გადაიხადოს ტვირთის მიმღებმა ან მის მიერ ფრახტის გადახდასთან დაკავშირებული სხვა მითითება;

მ) კონოსამენტის გაცემის ადგილი და თარიღი;

ნ) ტვირთის გადამზიდავის ან მისი სახელით მოქმედი პირის ხელმოწერა.

მუხლი 122

გადამზიდავი ვალდებულია ტვირთის გამგზავნს გადასცეს ერთი და იმავე კონოსამენტის რამდენიმე ეგზემპლარი. თითოეულ მათგანში აღინიშნება კონოსამენტების საერთო რაოდენობა. კონოსამენტის ერთ-ერთი დედნით ტვირთის გაცემის შემდეგ ყველა სხვა ეგზემპლარი ბათილია.

მუხლი 123

კონოსამენტის გადაცემა ხდება შემდეგი წესების დაცვით:

ა) სახელობითი კონოსამენტი შეიძლება გადაეცეს სახელობითი გადასაცემი წარწერით ან სხვა რომელიმე ფორმით, რომელიც შეესაბამება სასესხო მოთხოვნის გადაცემისათვის დადგენილ წესს;

ბ) საორდერო კონოსამენტი შეიძლება გადაეცეს სახელობითი ან/და შეფუთვას, უნდა საბლანკო გადასაცემი წარწერით;

გ) კონოსამენტი წარმდგენზე გადაიცემა ჩვეულებრივად.

მუხლი 124

1. ტვირთის გამგზავნს უფლება აქვს მოითხოვოს:

ა) ნავსადგურიდან გემის გასვლამდე ტვირთის უკან დაბრუნება;

ბ) ტვირთის გაცემა შუალედურ ნავსადგურში;

გ) გაცემა იმ პირზე, რომელიც არ არის მითითებული კონოსამენტში, იმ პირობით, რომ იგი წარმოადგენს ტვირთის გამგზავნისათვის გაცემული კონოსამენტების ყველა ეგზემპლარს და დაიცავს საზღვაო გადაზიდვაზე უარის თქმის შესახებ ამ კოდექსის ყველა დებულებას ან წარმოადგენს შესაბამის უზრუნველყოფას.

2. ასეთივე უფლებით სარგებლობს კონოსამენტის კანონიერ საფუძველზე მქონე ნებისმიერი პირი, რომელიც ფლობს კონოსამენტის ყველა ეგზემპლარს ან საზღვაო ზედნადებს.

მუხლი 125

1. ტვირთი, რომლის დაკარგვის, დანაკლისისა თუ დაზიანების გარეშე გადაზიდვა აუცილებლად მოითხოვს ტარას მოთავსდეს სათანადოდ განყობილ ტარაში და კარგად შეიფუთოს, რათა გადაზიდვისა და გადატვირთვის დროს უზრუნველყოფილ იქნეს მისი დაუზიანებლად და სრულად შენახვა.

2. ყოველ ერთეულ სატვირთო ადგილს უნდა გაუკეთდეს საზღვაო გადაზიდვის წესების შესაბამისი სრული და მკაფიო მარკირება.

მუხლი 126

1. გადამზიდავი ვალდებულია წინასწარ, რეისის დაწყებამდე, გემი:

ა) მოიყვანოს სანაოსნო მდგომარეობაში;

ბ) უზრუნველყოს მისი ტექნიკური მზადყოფნა ზღვაოსნობისათვის;

გ) სათანადოდ აღჭურვოს და მოამარაგოს;

დ) დააკომპლექტოს ეკიპაჟით;

ე) მოაწესრიგოს ტრიუმები და ყველა სხვა სათავსო, რომლითაც ხდება ტვირთის გადაზიდვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტვირთის სათანადოდ მიღება, გადაზიდვა და შენახვა.

2. გადამზიდავი პასუხს არ აგებს გემის არასანაოსნო მდგომარეობაზე, თუ დაამტკიცებს, რომ ეს გამოწვეულია ნაკლოვანებებით, რომელთა გამოვლენაც, გამოჩენილი სათანადო მზრუნველობის მიუხედავად, შეუძლებელი იყო (ფარული დეფექტები).

3. მხარეების შეთანხმება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ მუხლის პირველ ნაწილს, ბათილია.

მუხლი 127

ტვირთის გამგზავნი ვალდებულია დროულად გადასცეს გადამზიდავს ტვირთთან დაკავშირებული ყველა საბუთი ნავსადგურის, საბაჟოს, სანიტარიული და სხვა ადმინისტრაციული წესების მოთხოვნათა შესაბამისად და პასუხისმგებელია გადამზიდავის წინაშე საბუთების დაგვიანებით გადაცემის, არასწორად ან არასრულად შედგენის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის.

მუხლი 128

ტვირთის გადასაზიდად ადრე შერჩეული გემის ნაცვლად სხვა გემზე დატვირთვა შეიძლება მხოლოდ გამგზავნის ან დამფრახტველის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადატვირთ-

ვა გამონვეულია გემის დატვირთვის დაწყების შემდეგ წარმოქმნილი ტექნიკური აუცილებლობით.

მუხლი 129

გემზე ტვირთი ლაგდება გემის კაპიტნის შეხედულებისამებრ. ამასთან, დაუშვებელია ტვირთის გემბანზე მოთავსება გამგზავნის წერილობითი თანხმობის გარეშე. გამონაკლისს წარმოადგენს ტვირთი, რომლის გემბანზე დატვირთვაც დაშვებულია მოქმედი წესებითა და ჩვეულებით. გადამზიდავი პასუხისმგებელია გემზე ტვირთის სწორად განლაგების, დამაგრებისა და სეპარაციისათვის. გადამზიდავის განკარგულებები დატვირთვის, დამაგრებისა და სეპარაციის შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, რომლებიც აწარმოებენ სატვირთო სამუშაოებს.

მუხლი 130

ტვირთი შეიძლება გადაიზიდოს გამგზავნის მიერ დალუქული ლიხტერით, გემის ცალკე სათავსოთი ან კონტეინერით.

მუხლი 131

დრო, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს გემის დატვირთვა ან გადმოტვირთვა (სტალიური დრო), განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, ასეთი შეთანხმების უქონლობისას კი - დატვირთვისა და გადმოტვირთვის ნავსადგურებში მიღებული ნორმებით.

მუხლი 132

1. მხარეების შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს გემის დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სატვირთო სამუშაოების დამთავრებისათვის განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ დამატებითი დრო (კონტრსტალიური დრო) და კონტრსტალიური დროის განმავლობაში ტვირთის გადამზიდავისათვის გემის მოცდენის გამო საფასურის ოდენობა (დემერეჯი), აგრეთვე ჯილდო (დისპაჩი) სტალიური დროის გასვლამდე გემის დატვირთვა-გადმოტვირთვის დამთავრებისათვის.

2. თუ მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება, კონტრსტალიური დროის ხანგრძლივობა და გადამზიდავის მიერ გემის მოცდენის საფასურის ოდენობა, აგრეთვე ტვირთის ვადამდე დატვირთვა-გადმოტვირთვის გამო დამფრახტველის ან გამგზავნისათვის გადასახდელი ჯილდოს ოდენობა განისაზღვრება შესაბამის ნავსადგურში ჩვეულებრივ მიღებული ვადისა და განაკვეთებ-

ის შესაბამისად.

3. განაკვეთების უქონლობის შემთხვევაში გემის მოცდენის საფასურის ოდენობა განისაზღვრება გემისა და ეკიპაჟის შენახვის ხარჯებით, ხოლო ჯილდო დატვირთვა-გადმოტვირთვის ვადამდე დამთავრებისათვის განისაზღვრება გემის მოცდენისათვის გადასახდელი თანხის ნახევრით.

მუხლი 133

გემის დატვირთვისას კონტრსტალიური დროის გასვლის შემდეგ გადამზიდავს უფლება აქვს შემდგომი დაყოვნებისას მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება და გაგზავნოს გემი ნაოსნობაში, თუნდაც გემზე მთლიანად არ იყოს ატანილი წინასწარ განსაზღვრული ტვირთი გადამზიდავისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. ამ შემთხვევაში გადამზიდავს აქვს სრული ფრახტის მიღების უფლება.

მუხლი 134

1. თუ გამგზავნის მიერ გემი მთლიანადაა დაქირავებული, გემის კაპიტანს სტალიური და კონტრსტალიური დროის გასვლამდე უფლება არა აქვს უარი თქვას მიტანილი ტვირთის მიღებაზე, თუ მხარეებს შორის არსებობდა ამის შესახებ შეთანხმება, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ტვირთის მიღებას და დაწყობას შეიძლება დასჭირდეს გემის დადგენილ დროზე მეტი ხნით მოცდენა.

2. კონტრსტალიური დროის გასვლის შემდეგ გემის მოცდენის ყოველ დღეზე გამგზავნი ვალდებულია გადამზიდავს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

3. თუ ტვირთის გადასაზიდად გემის მხოლოდ გარკვეული ნაწილია გამოყოფილი, სტალიური (ან სტალიური და კონტრსტალიური) დროის გასვლამდე გემის კაპიტანს უფლება აქვს უარი თქვას დაგვიანებით მიტანილი ტვირთის მიღებაზე, თუ ტვირთის დაწყობა გამოინვევს გემის დამატებით დაყოვნებას, რითაც ზიანი მიადგება დანარჩენ ტვირთს. ამასთან, გადამზიდავი ინარჩუნებს ფრახტის სრულად მიღების უფლებას.

მუხლი 135

თუ ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილია გემი მთლიანად ან ნაწილობრივ, ან გემის გარკვეული სათავსოები, ტვირთის გამგზავნს შეუძლია მოითხოვოს გემიდან ან სათავსოებიდან გარეშე ტვირთის ამოღება გაგზავნის ნავსადგურში, ხოლო თუ გემი მთლი-

ანადაა დაქირავებული - ნებისმიერ ნავსადგურში შესვლისას. თუ გარეშე ტვირთი დროულად არ იქნა ამოღებული გემიდან, გამგზავნს უფლება აქვს მოითხოვოს ფრახტის შესაბამისი შემცირება, აგრეთვე მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 136

1. თუ ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ტვირთი ჩაბარებულია არასწორი დასახელებით და მიღებისას გადამზიდავს არ შეეძლო გარეგანი დათვალიერებით ტვირთის თვისებების გარკვევა, მას უფლება აქვს, ვითარების გათვალისწინებით, ნებისმიერ დროს გადმოტვირთოს, გაანადგუროს ან გააუვნებელყოს იგი ტვირთის გამგზავნისათვის ზიანის აუნაზღაურებლად.

2. ტვირთის გამგზავნი პასუხს აგებს ყველა ზიანისათვის, რომელიც მან მიაყენა გადამზიდავს ან მესამე პირს ადვილად აალებადი, ფეთქებადი ფრახტის უკან დაბრუნება არ ხდება, ხოლო თუ ტვირთის გაგზავნისას ფრახტი გადახდილი არ არის, გადამზიდავს უფლება აქვს მთლიანად გადაახდევინოს იგი.

მუხლი 137

თუ კოდექსის 136-ე მუხლში დასახელებული ტვირთი გემზე მიღებულია გადამზიდავის თანხმობით და საშიშროებას უქმნის გემს, მასზე მყოფ ადამიანებსა და ტვირთს, გადამზიდავს უფლება აქვს იმოქმედოს კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ამ შემთხვევაში ტვირთის გამგზავნი პასუხს არ აგებს გადამზიდავის წინაშე ამ ტვირთის გადაზიდვის შედეგად მიყენებული ზიანისათვის, გარდა საერთო ავარიის შემთხვევისა. გადამზიდავს უფლება აქვს მოითხოვოს ფრახტის ის რაოდენობა, რომელიც პროპორციულია გადაზიდვის ფაქტობრივი მანძილისა მისი შეწყვეტის მომენტამდე.

მუხლი 138

თუ ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილია მთელი გემი, გადამზიდავი ვალდებულია გამგზავნის მოთხოვნისთანავე გაუშვას გემი ნაოსნობაში, თუნდაც ტვირთი მთლიანად არ იყოს მიღებული. ამასთან, გადამზიდავი ინარჩუნებს სრული ფრახტის მიღების უფლებას.

მუხლი 139

თუ გემზე არსებული ტვირთის ღირებულება ვერ ანაზღაურებს ფრახტს და გადამზიდავის სხვა სატვირთო ხარჯებს, ხოლო გამგზავნს გემის გასვლის წინ სრულად არა აქვს გადახდილი ფრახტის

ღირებულება და წარმოდგენილი არა აქვს დამატებითი უზრუნველყოფა, გადამზიდავს უფლება აქვს გემის გასვლამდე გააუქმოს ხელშეკრულება და მოითხოვოს დათქმული ფრახტის ნახევარი, გემის მოცდენის საფასური (თუ ასეთი რამ მოხდა), აგრეთვე სხვა ხარჯების ანაზღაურება. ასეთი ტვირთის გადმოტვირთვა ხდება გამგზავნის ხარჯზე.

მუხლი 140

1. თუ ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილია მთელი გემი, გამგზავნს ან დამფრახტველს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, რისთვისაც უნდა გადაიხადოს:

ა) სრული ფრახტის ნახევარი, გემის მოცდენის (თუ ასეთი რამ მოხდა) საფასური, გადამზიდავის სატვირთო ხარჯები, ფრახტში ჩაუთვლელი თანხები, თუ გამგზავნმა უარი განაცხადა სტალიური ან კონტრსტალიური დროის ამოწურვამდე ან გემის გასვლამდე, იმის მიხედვით, თუ ამ ორი მომენტიდან რომელი დადგება უფრო ადრე;

ბ) სრული ფრახტი და სხვა თანხები ამ მუხლის პირველი ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ უარი განაცხადა ამ ქვეპუნქტში მითითებული ერთ-ერთი მომენტის დადგომის შემდეგ და ხელშეკრულება დადებული იყო მხოლოდ ერთ რეისზე;

გ) შესრულებული რეისის სრული ფრახტი, ამ მუხლის პირველი ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტში მითითებული სხვა თანხები და დანარჩენი რეისების ნახევარი ფრახტი, თუ უარი განაცხადა ამ ქვეპუნქტში აღნიშნული ერთ-ერთი მომენტის დადგომის შემდეგ და ხელშეკრულება დადებული იყო რამდენიმე რეისზე.

2. გემის რეისში გასვლამდე გამგზავნის მიერ ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებაზე უარის თქმისას გადამზიდავი ვალდებულია დაუბრუნოს ტვირთი გამგზავნს, თუნდაც გადმოტვირთვამ გამოინვიოს გემის შეჩერება დადგენილ ვადაზე მეტი ხნით.

3. თუ გამგზავნმა ხელშეკრულებაზე უარი თქვა გემის რეისში ყოფნისას, მას ტვირთის მიღების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ხელშეკრულებაში აღნიშნულ დანიშნულების ნავსადგურში ან სხვა ნავსადგურში, სადაც გემი შევა აუცილებლობის გამო.

მუხლი 141

1. თუ ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებით ტვირთის გამგზავნის განკარგულებაშია გემის ნაწილი, მას შეუძლია

უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე იმ პირობით, თუ გადაიხდის სრულ ფრახტს, გემის მოცდენის (თუ ასეთი რამ მოხდა) საფასურს და გადამზიდავს აუნაზღაურებს სატვირთო ხარჯებს, რომლებიც არ იყო ჩათვლილი სრულ ფრახტში.

2. ტვირთის გამგზავნის მოთხოვნით გადამზიდავი ვალდებულია გასცეს ტვირთი მისი დანიშნულების ნავსადგურში მიტანამდე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამით არ დაზარალდებიან თავად გადამზიდავი და სხვა ტვირთის გამგზავნები.

მუხლი 142

1. გემის ნავსადგურიდან გასვლამდე ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებაზე უარის თქმა შეუძლია ორივე მხარეს ამასთან დაკავშირებული ხარჯების მეორე მხარისათვის ანაზღაურების გარეშე შემდეგ შემთხვევებში:

ა) სამხედრო ან სხვა ისეთი მოქმედებების დროს, როდესაც შეიძლება გაჩნდეს გემის ან ტვირთის სხვის ხელში ჩაგდების საშიშროება;

ბ) გაგზავნის ან დანიშნულების ნავსადგურების ბლოკადაში ყოფნისას;

გ) ხელშეკრულების მხარეთაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელისუფლების წარმომადგენელთა განკარგულებით გემის დაკავებისას;

დ) დროშის ან ნავსადგურის სახელმწიფოს მიერ გემის სპეციალური მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევაში;

ე) როდესაც ხელისუფლების ორგანოების მიერ აკრძალულია გადასაზიდი ტვირთის გაგზავნის ნავსადგურიდან გატანა ან დანიშნულების ნავსადგურში შეტანა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ" და „დ" ქვეპუნქტებში მითითებული შემთხვევები არ წარმოადგენს ტვირთის საზღვაო გადაზიდვაზე უარის თქმის საფუძველს მეორე მხარისათვის ზიანის აუნაზღაურებლად, თუ ასეთი დაყოვნება ხანმოკლეა.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადამზიდავი არ გაიღებს გადატვირთვის ხარჯებს.

მუხლი 143

ამ კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებათა დადგომისას ყოველ მხარეს აქვს უფლება რეისის დროსაც თქვას უარი ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში გამგზავნი უნაზღაურებს

გადამზიდავს ტვირთთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის გადმოტვირთვის ხარჯებს, აგრეთვე ფრახტს ტვირთის გადაზიდვის ფაქტობრივი მანძილის პროპორციულად.

მუხლი 144

1. ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება უპირობოდ კარგავს ძალას და მხარეები არ არიან ვალდებული ერთმანეთს აუნაზღაურონ მიყენებული ზიანი, თუ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და დატვირთვის ნავსადგურიდან გემის გასვლამდე ხელშეკრულების მხარეებისაგან დამოუკიდებლად ადგილი ექნება შემდეგ გარემოებებს:

ა) გემი დაიღუპება ან მას ძალით დაიპყრობენ;

ბ) გემს მიიჩნევენ ნაოსნობისათვის გამოუსადეგარად;

გ) განსაზღვრული კონკრეტული ტვირთი დაიღუპება;

დ) დასატვირთად ჩაბარების შემდეგ ტვირთი დაიღუპა, ხოლო გამგზავნი ვერ ასწრებს მის მაგიერ სხვა ტვირთის მიწოდებას.

2. აღნიშნულ გარემოებათა გამო ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება ძალას კარგავს გემის რეისში ყოფნის დროსაც, ამასთან, გადამზიდავს ერგება ფრახტი გადაზიდვის ფაქტობრივი მანძილის პროპორციულად, თავის მიერ გადარჩენილი ან ჩაბარებული ტვირთის ოდენობიდან გამომდინარე.

მუხლი 145

1. თუ გემს არ შეუძლია დანიშნულების ნავსადგურში შესვლა ხელისუფლების მიერ აკრძალვის, სტიქიური მოვლენებისა ან გადამზიდავისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, გადამზიდავი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს ამის შესახებ ტვირთის გამგზავნს.

2. თუ ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილია მთელი გემი და შეტყობინების გაგზავნიდან გონივრულ ვადაში არ მოვიდა ტვირთის გამგზავნის განკარგულება, თუ როგორ მოექცნენ ტვირთს, გემის კაპიტანს უფლება აქვს იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ და მიიღოს ტვირთის გამგზავნისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილება უახლოეს ნავსადგურში გადმოტვირთვის შესახებ ან დააბრუნოს ტვირთი გაგზავნის ნავსადგურში.

3. თუ ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილია გემის ნაწილი და ამასთან არ არის დანიშნულების ნავსადგურში გემის შესვლის სა-

შუალება, კაპიტანი ვალდებულია სხვა ნავსადგურში გადმოტვირთოს ტვირთი მისი გამგზავნის განკარგულების შესაბამისად. თუ გემის კაპიტანი შეტყობინების გაგზავნიდან სამი დღე-ღამის განმავლობაში ვერ მიიღებს ასეთ განკარგულებას ტვირთის გამგზავნისაგან, მას უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ გადმოტვირთოს ტვირთი უახლოეს ნავსადგურში და შეატყობინოს ეს ტვირთის გამგზავნს. გემის კაპიტანს უფლება აქვს მიიღოს ასეთივე გადაწყვეტილება, თუ ტვირთის გამგზავნის განკარგულების შესრულება შეუძლებელია გემზე არსებული სხვა ტვირთის მფლობელებისათვის ზიანის მიუყენებლად.

4. ტვირთის გამგზავნი ვალდებულია აუნაზღაუროს გადამზიდავს განკარგულების მოლოდინში გაწეული ხარჯი, ასევე ტვირთთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და ფრახტი ტვირთის გადაზიდვის ფაქტობრივი მანძილის პროპორციულად.

მუხლი 146

ტვირთის გადამზიდავი ვალდებულია გადაიზიდოს ტვირთი დადგენილ ვადაში, ხოლო თუ ასეთი რამ არ არის დადგენილი, - ჩვეულებრივად მიღებულ ვადაში.

მუხლი 147

გემის მიერ დადგენილი კურსიდან გადახვევა ზღვაზე ადამიანის, გემის ან ტვირთის გადარჩენის მიზნით, ასევე სხვა გონივრული გადახვევა, თუ იგი გამოწვეული არ არის გადამზიდავის არასწორი მოქმედებით, ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების დარღვევად არ ჩაითვლება.

მუხლი 148

ტვირთი დანიშნულების ნავსადგურში გადაეცემა კონოსამენტის დედნის მფლობელს:

ა) სახელობითი კონოსამენტის მიხედვით - მიმღებს, რომელიც მითითებულია კონოსამენტში ან პირს, რომელსაც გადაეცა კონოსამენტი სახელობითი გადასაცემი წარწერით ან სასესხო მოთხოვნათა გადაცემისათვის დადგენილი სხვა ფორმით;

ბ) საორდერო კონოსამენტის მიხედვით - მიმღებს ან გამგზავნს, იმის მიხედვით, კონოსამენტი შედგენილია ,,გამგზავნის ბრძანებით" თუ ,,მიმღების ბრძანებით", ხოლო თუ კონოსამენტში არის გადასაცემი ჩანაწერები - პირს, რომელიც მითითებულია უწყვეტი რიგის გადასაცემი წარწერის ბოლოს ან ბოლო საბლანკო წარწერიანი

კონოსამენტის წარმდგენს;

გ) წარმდგენზე გაცემული კონოსამენტის მიხედვით - ,,კონოსამენტის წარმდგენს".

მუხლი 149

1. ტვირთის მიმღებსა და გადამზიდავს უფლება აქვთ ტვირთის გაცემამდე მოითხოვონ მისი დათვალიერება და რაოდენობის შემოწმება. ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს ის მხარე, რომელმაც მოითხოვა ტვირთის დათვალიერება ან რაოდენობის შემოწმება.

2. თუ აღმოჩნდა ტვირთის ისეთი ნაკლი, რომელზეც პასუხს აგებს გადამზიდავი, ხარჯები მანვე უნდა აანაზღაუროს.

მუხლი 150

1. თუ კონოსამენტით გადასაზიდი ტვირთის მიღებისას ტვირთის მიმღებმა წერილობით არ განუცხადა გადამზიდავს ტვირთის დანაკლისის ან დაზიანების შესახებ, ჩაითვლება, რომ ტვირთი მიმღებს ჩაბარდა კონოსამენტის შესაბამისად, ვიდრე დამტკიცებული არ იქნება საწინააღმდეგო რამ.

2. იმ შემთხვევაში, თუ ტვირთის მიმღებმა და გადამზიდავმა ერთობლივად დაათვალიერეს და შეამოწმეს ტვირთი, წერილობითი განცხადება დანაკლისის ან დაზიანების შესახებ სავალდებულო არ არის.

3. თუ ტვირთის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანების აღმოჩენა ჩვეულებრივი მეთოდით შეუძლებელი იყო, მიმღებმა ამის შესახებ შეიძლება განაცხადოს ტვირთის მიღებიდან სამი დღის ვადაში.

მუხლი 151

გადამზიდავისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით ტვირთის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანების შემთხვევაში ფრახტი გადაიხდება მთლიანად. 137-ე, 144-ე, 145-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფრახტი გადაიხდება გადაზიდვის ფაქტობრივი მანძილის პროპორციულად.

მუხლი 152

1. გადამზიდავისათვის განკუთვნილ მთლიან თანხას გადაიხდის ტვირთის გამგზავნი (დამფრახტველი). ტვირთის გამგზავნსა და გადამზიდავს შორის დადებული შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასევე საკაბოტაჟო გადაზიდვისას საქართველოს საზღვაო ტრანსპორტზე მოქმედი წესების შესაბამისად, დასაშვე-

ბია გადაზიდვის საფასური გადაიხადოს ტვირთის მიმღებმა.

2. მიმღები ვალდებულია ტვირთის მიღებისთანავე გადაიხადოს ფრახტი (თუ ის ადრე არ იყო გადახდილი), გემის მოცდენის საფასური (თუ ასეთი რამ მოხდა) და სატვირთო ხარჯები, ხოლო საერთო ავარიის შემთხვევაში გადაიხადოს საავარიო შესატანი ან წარმოადგინოს სათანადო უზრუნველყოფა.

3. გადამზიდავს უფლება აქვს არ ჩააბაროს ტვირთი გადაზიდვის საფასურის ანაზღაურებამდე ან უზრუნველყოფის წარმოდგენამდე.

4. თუ გადამზიდავი ჩააბარებს ტვირთს, მას აღარა აქვს უფლება მოითხოვოს მიუღებელი ანაზღაურება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას არ შეეძლო ტვირთის დაკავება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

მუხლი 153

1. თუ გადაზიდვისათვის გამოყენებულია გემის ნაწილი, ხოლო დანიშნულების ნავსადგურში მიმღებმა არ გამოითხოვა ტვირთი, არ გასცა რაიმე განკარგულება მის შესახებ, ან უარი თქვა ტვირთის მიღებაზე, გადამზიდავს უფლება აქვს ტვირთი შეინახოს საიმედო ადგილას გამგზავნის რისკით და ხარჯზე და ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ტვირთის გამგზავნს.

2. თუ ტვირთის გადასაზიდად გემი გამოყენებულია მთლიანად, ხოლო ტვირთის მიმღები არ გამოცხადდა დანიშნულების ნავსადგურში ან უარი განაცხადა ტვირთის მიღებაზე, გემის კაპიტანი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ტვირთის გამგზავნს. კაპიტანმა ნავსადგურში ტვირთი უნდა გადმოცალოს და საწყობში ჩააბაროს მხოლოდ გადმოტვირთვის ვადის დამთავრებისა და კონტრსტალიური დროის გასვლის შემდეგ, თუ ამ დროის განმავლობაში მიღებული არ არის ტვირთის გაგზავნის სხვა განკარგულება. გადამზიდავის მიერ ტვირთის ჩაბარებისათვის დახარჯული დრო ჩაითვლება გემის მოცდენად.

3. თუ შესანახად ჩაბარებული ტვირთი არ იქნა მოთხოვნილი ნავსადგურში გემის შესვლიდან ორი თვის განმავლობაში და გამგზავნი არ აუნაზღაურებს გადამზიდავს ამ გადაზიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, გადამზიდავს უფლება აქვს გაყიდოს ეს ტვირთი და შეატყობინოს ამის შესახებ გამგზავნს. მალფუჭებადი მოუკითხავი ტვირთი შეიძლება გაიყიდოს აღნიშნული ვადის გასვლამდე, ამის

შესახებ გადამზიდავი ატყობინებს ტვირთის გამგზავნს.

4. საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში მიმღების მიერ ტვირთის მიღება-შენახვის წესები და ვადა, აგრეთვე მიმღების მიერ მოუკითხავი ტვირთის გაყიდვა ხდება საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 154

1. საქართველოს ნავსადგურებში საკაბოტაჟო გადაზიდვის დროს მიმღების მიზეზით ტვირთის დაგვიანებით გატანის შედეგად დაგროვილი ტვირთის ნავსადგურში შენახვის ხარჯები შეიძლება სამმაგად გაიზარდოს.

2. ტვირთის შენახვის გაზრდილი საფასურის აკრეფა იწყება არა უადრეს ერთი დღე-ღამის გასვლისა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამის შესახებ წერილობით ეცნობება იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც უნდა გადაახდევინონ გაზრდილი საფასური.

მუხლი 155

1. ტვირთის გაყიდვით ამოღებული თანხა, გადამზიდავის კუთვნილი თანხის გამოკლებით, ჩაირიცხება გადამზიდავის დეპოზიტზე კუთვნილების მიხედვით გაცემის მიზნით.

2. თუ ტვირთის გაყიდვით ამოღებული თანხა არ არის საკმარისი ტვირთის გაყიდვისა და შენახვის ხარჯების, აგრეთვე სხვა ხარჯების დასაფარავად, გადამზიდავს უფლება აქვს აანაზღაურებინოს დანაკლისი ტვირთის გამგზავნს.

3. თუ ტვირთის გაყიდვიდან ექვსი თვის განმავლობაში არავინ განაცხადებს თავის უფლებას გაყიდვით ამოღებულ თანხაზე, მაშინ დებეტზე არსებული თანხა ჩაირიცხება საქართველოს ბიუჯეტში. უსაბუთო ტვირთის გაყიდვით მიღებული თანხა ჩაირიცხება გადამზიდავის ზიანის დასაფარავად.

4. უსაბუთო ტვირთის გაყიდვით მიღებული თანხა ჩაირიცხება გადამზიდავის ანგარიშზე იმ ზიანის დასაფარავად, რომელიც მას მიადგა ტვირთის დანაკლისის ანაზღაურების შედეგად.

მუხლი 156

1. გადამზიდავი პასუხს აგებს გემზე მიღებული ტვირთის დაკარგვის, დანაკლისისა ან დაზიანებისათვის, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ დაკარგვა, დანაკლისი ან დაზიანება გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, კერძოდ:

ა) დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად (ფორს-მაჟორი);

ბ) ხიფათის შექმნითა და შემთხვევითობით ზღვებსა და სხვა სანაოსნო წყლებში;

გ) ხანძრით, რომელშიც გადამზიდავს ბრალი არ მიუძღვის;

დ) ადამიანის სიცოცხლის, გემისა და ტვირთის გადარჩენით ან გადარჩენის მცდელობით;

ე) ხელისუფლების მიერ გაცემული განკარგულებით ან მისი მოქმედების (დაკავება, დაპატიმრება, კარანტინი და სხვა) შედეგად;

ვ) სამხედრო მოქმედებით, ტერორისტული აქტით, სახალხო მღელვარებით;

ზ) ტვირთის გამგზავნის ან მიმღების დაუდევრობით ან სხვა მოქმედებით;

თ) ტვირთის ფარული ნაკლით, მისი თვისებრივი ან ბუნებრივი დანაკლისით, რაც არ აღემატება დადგენილ ნორმებს;

ი) ტვირთის ტარისა და შეფუთვის გარეგნულად შეუმჩნეველი დეფექტებით;

კ) ტვირთის არასაკმარისი ან გაურკვეველი მარკირებით;

ლ) გაფიცვის შემთხვევაში ან სხვა გარემოებათა გამო, რამაც გამოიწვია მუშაობის სრული ან ნაწილობრივი შეჩერება ან შეზღუდვა.

2. ამ მუხლის მიხედვით გადამზიდავს პასუხისმგებლობა ეკისრება გადასაზიდი ტვირთის მიღებისთანავე და ეხსნება გაცემის მომენტში.

3. ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება, რომელიც არ შეესაბამება ამ მუხლის წესებს, გარდა ტვირთის მიღებიდან გემზე დატვირთვამდე და გადმოტვირთვის შემდეგ ტვირთის ჩაბარებამდე პასუხისმგებლობის შესახებ შეთანხმებისა, ბათილია.

მუხლი 157

1. ტვირთის დაკარგვის, დანაკლისის, დაზიანების ან გაფუჭებისათვის, გარდა კაბოტაჟით გადასაზიდი ტვირთისა, გადამზიდავი პასუხს არ აგებს, თუ დაამტკიცებს, რომ ეს მოხდა გემის ნაოსნობის ან მართვის პერიოდში კაპიტნის, გემის ეკიპაჟის სხვა წევრებისა ან ლოცმანის დაუდევრობისა თუ სხვა მოქმედების შედეგად.

2. ტვირთის დაკარგვის, დანაკლისის, დაზიანების ან გაფუჭებისათვის, რაც გამოიწვია პირველ ნაწილში ჩამოთვლილი პირების მოქმედებამ ან დაუდევრობამ დატვირთვის, განლაგების, გადაზიდვის, გადმოცვლის ან ტვირთის ჩაბარების დროს, გადამზიდავი პა-

სუხს აგებს ამ კოდექსის 156-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 158

გადამზიდავი პასუხს არ აგებს დანიშნულების ნავსადგურში ჩატანილი ტვირთის დანაკლისისათვის, თუ:

ა) გემის სათავსოები, ლიხტერები, კონტეინერები გამართულია, ხოლო ტვირთის გამგზავნის მიერ დადებული პლომბები - დაუზიანებელი;

ბ) ტარა მთელია, წესიერ მდგომარეობაშია და არ არსებობს გზაში მისი გახსნის ნაკვალევი;

გ) ტვირთს აცილებს გამგზავნის ან მიმღების წარმომადგენელი და ტვირთის მიმღები ვერ დაამტკიცებს, რომ ტვირთის დანაკლისი გამოწვეულია გადამზიდავის მიზეზით.

მუხლი 159

1. ტვირთის დაკარგვით ან დაზიანებით გამოწვეულ ზიანს გადამზიდავი ანაზღაურებს შემდეგნაირად:

ა) ტვირთის დაკარგვის ან დანაკლისისათვის - ტვირთის დანაკლისის ღირებულებას;

ბ) ტვირთის დაზიანების ან გაფუჭებისათვის - იმ თანხის ოდენობით, რამდენითაც შემცირდა ტვირთის ღირებულება.

2. გადამზიდავი აბრუნებს მიღებულ ფრახტს, თუ იგი არ შედის დაკარგული ან ნაკლული ტვირთის ღირებულებაში.

მუხლი 160

1. დაკარგული ან დანაკლისი ტვირთის ღირებულება განისაზღვრება დანიშნულების ნავსადგურში გემის შესვლის ან ყოფნის დროს ამ ნავსადგურში მოქმედი ფასებით. თუ ნავსადგურში მოქმედი ფასების დადგენა შეუძლებელია, გაგზავნის ნავსადგურში იმ დროისათვის მოქმედი ფასებით, რომელსაც დაემატება გადაზიდვის ხარჯები.

2. ტვირთის დაკარგვის, დანაკლისის, დაზიანების ან გაფუჭების ანაზღაურების თანხიდან დაიქვითება ტვირთის გადაზიდვის ხარჯები (ფრახტი, ბაჟი და სხვა), რომელიც უნდა გადაეხადა ტვირთის გამგზავნს, მაგრამ ტვირთის დაკარგვის, დანაკლისის, დაზიანების ან გაფუჭების გამო ეს ვერ მოხერხდა.

მუხლი 161

1. თუ ტვირთის ღირებულება არ იყო გაცხადებული და შეტანილი კონოსამენტში, დაკარგვის, დანაკლისის, დაზიანების ან გაფუ-

ჭების ანაზღაურება ტვირთის ერთეულზე არ უნდა აღემატებოდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის 666.67 საანგარიშო ერთეულს (SDR) ან დაკარგული, დაკლებული, დაზიანებული ან გაფუჭებული ტვირთის ერთ კილოგრამ ბრუტო - მასაზე 2.0 საანგარიშო ერთეულს, იმის მიხედვით, თუ კონტეინერის ღირებულების ან გამგზავნის სხვა სატრანსპორტო საშუალებათა ღირებულების გამოკლების შედეგად რომელი თანხაა მეტი. ამ თანხას გამოაკლდება გამგზავნის კუთვნილი კონტეინერის ან სხვა სატრანსპორტო საშუალებების ღირებულება.

2. შეთანხმება ამ თანხების შემცირების შესახებ ბათილია.

3. გადამზიდავის პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნორმებით, თუ დამტკიცდა, რომ დაკარგვა, დანაკლისი, დაზიანება, ან გაფუჭება უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახ ქმედებით არის გამოწვეული.

4. გადამზიდავის აგენტის ან მოსამსახურის პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება ამ თავში გათვალისწინებული ნორმებით, თუ დამტკიცდა, რომ დაკარგვა, დანაკლისი, დაზიანება ან გაფუჭება გამოწვეულია უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახ ქმედებით.

5. თუ კონოსამენტში აღნიშნულია კონტეინერში ან სხვა სათავსში განლაგებული ტვირთის ადგილებისა და ერთეულების რაოდენობა, ამ მუხლის მიზნებისათვის ეს რაოდენობა მიიღება კონოსამენტის მიხედვით.

6. თუ კონოსამენტში აღნიშნული არ არის კონტეინერში ან სხვა სათავსში განლაგებული ტვირთის ადგილებისა და ერთეულების რაოდენობა, ტვირთის რაოდენობა ჩაიტვირთოს ერთ ერთეულად.

მუხლი 162

კონტეინერის ან სხვა მოწყობილობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში გადამზიდავი პასუხს აგებს შემდეგ ფარგლებში:

ა) კონტეინერის ან სხვა დამხმარე მოწყობილობის დაკარგვისათვის - კონტეინერის ან დამხმარე მოწყობილობის ღირებულების ფარგლებში, დაკარგვის მომენტისათვის მათი ფაქტობრივი ცვეთის გათვალისწინებით;

ბ) კონტეინერის ან მოწყობილობის დაზიანებისათვის - დანიშნულების ნავსადგურში მისი შეკვეთების ღირებულების ოდენობით, თუ იგი გადამზიდავმა დამოუკიდებლად და/ან საკუთარი სახსრე-

ბით არ შეაკეთა მიმღებისათვის ჩაბარებამდე.

მუხლი 163

ფრახტი და სხვა გადასახდელები, რომლებიც ერგება გადამზიდავს, აგრეთვე გადახდის ვადა განისაზღვრება ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებით. გამგზავნი ან მიმღები ვადაგადაცილებული ფრახტისათვის საურავს იხდის ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების ან საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი განაკვეთების შესაბამისად.

მუხლი 164

გემის მოცდენის, ტვირთის დაგვიანებით მიწოდების ან მიუწოდებლობის, ტვირთის გამგზავნის ან მიმღების ძალებით განხორციელებული დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების გაჭიანურების, გამგზავნის ან მიმღების მოქმედებით განპირობებული სხვა დარღვევებისათვის, ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების თანახმად, პასუხს აგებს ტვირთის გამგზავნი ან მიმღები.

საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ *(15.05.97, უწყებანი №23-24)*

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **კარანტინი** - შემზღუდავ ღონისძიებათა სისტემა მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა ინფექციებისა და მავნებლების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ბ) **კარანტინის ზომა** - ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება საკარანტინო ღონისძიებები;

გ) **სასოფლო-სამეურნეო კარანტინი** - ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა სისტემა;

დ) **ფიტოსანიტარიული კარანტინი** - სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა კომპლექსი მცენარეთა საკარანტინო ორგანიზმების შემოტანისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ე) **ვეტერინარული კარანტინი** - სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა კომპლექსი ცხოველებისა და ადამიანებისათვის საერთო, აგრეთვე ცხოველთა სხვა ინფექციური და გადამდები დაავადებების საქართველოში შემოტანისა და გავრცელების თავიდან

ასაცილებლად;

ვ) **ფიტოსანიტარიული კარანტინის ობიექტი** - მავნებელი, მცენარეთა დაავადების გამომწვევი აგენტი და სარეველა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე არ არის ან შეზღუდულადაა გავრცელებული;

ზ) **ვეტერინარული კარანტინის ობიექტი** - დაავადებული ან მასზე საეჭვო ცხოველი, ფრინველი, თევზი, ფუტკარი, მათი განთავსების და შენახვის ადგილი და ტერიტორია, ინფიცირებული ან მასზე საეჭვო მეცხოველეობისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ნედლეული, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა პროდუქტი, ნედლეული, ტვირთი და მასალა.

მუხლი 6. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის სამსახურის კომპეტენცია

1. ფიტოსანიტარიული კარანტინის სახელმწიფო სამსახურის კომპეტენციაა:

ა) საკარანტინო ობიექტების ნუსხის განსაზღვრა, ქვეყანაში გაუვრცელებელ ან კერობრივად გავრცელებულ დაავადებების, მავნებელთა და სარეველების სახეობრივი შემადგენლობის დაზუსტება და ფიტოსანიტარული კარანტინის ჩატარების წესებისა და ინსტრუქციების პროექტების შემუშავება;

ბ) კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის ქვეყნიდან გატანა-შემოტანისას ფიტოსანიტარიული საკარანტინო შემოწმებისა და ლაბორატორიული ექსპერტიზის ჩატარება, მათ შორის, მცენარეულ მასალაში საფოსტო გზავნილებაში, ხელბარგში, ტარაში, შესაფუთ და სატრანსპორტო საშუალებებში.

2. საიმპორტო საკარანტინო უფლება თესლებზე, სარგავ და კარანტინს დაქვემდებარებულ სხვა მასალაზე, პროდუქციასა და ობიექტებზე და ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის უფლება აქვს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურას, რომლის საქმიანობა განსაზღვრულია ,,მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით.

3. ვეტერინარული კარანტინის სახელმწიფო სამსახურის კომპეტენცია განსაზღვრულია ,,ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონით, ვეტერინარული კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით.

თავი III. სახელმწიფო საზღვრებზე სასოფლო-სამეურნეო საკარანტინო კონტროლი

მუხლი 8. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი.

1. სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო ღონისძიებებს საქართველოს საზღვრებზე საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებსა და სახმელეთო გასასვლელებში ატარებს ფიტოსაკარანტინო სამსახური საბაჟო სამსახურთან ერთად, საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე, საბაჟო კონტროლის ზონაში.

2. საქართველოში მცენარეული წარმოშობისა და კარანტინს დაქვემდებარებული სხვა პროდუქციის შემოტანა უცხოეთის ქვეყნებიდან ნებადართულია ამ პროდუქციაზე სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის მდგომარეობის დამადასტურებელი საიმპორტო საკარანტინო უფლებისა და ექსპორტიორი ქვეყნის საკარანტინო სამსახურის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის არსებობისას.

3. კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტი იმ სახელმწიფოებიდან, რომელთაც არ გააჩნიათ ფიტოსანიტარიული კარანტინის სამსახური და შესაბამისად - ფიტოსანიტარული სერტიფიკატი, ხორციელდება სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს იმ შესაბამისი სტრუქტურის მიერ გაცემული ნებართვით, რომლის საქმიანობაც განსაზღვრულია „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

4. კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციისა და ტვირთის ტრანზიტი და რეექსპორტი საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია ექსპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და საქართველოს ფიტოსანიტარიული კარანტინის სახელმწიფო სამსახურის საკარანტინო ნებართვით.

5. საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი, კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია და სატრანსპორტო საშუალება სასაზღვრო ზონებში ექვემდებარება აუცილებელ ფიტოსანიტარიულ შემოწმებას საჭიროების მიხედვით - ლაბორატორიულ ექსპერტიზას და გაუსნებოვნებას.

6. კარანტინს დაქვემდებარებული ობიექტის აღმოჩენისას ასეთი პროდუქცია უნდა დაბრუნდეს ან გაუსნებოვნდეს, ხოლო თუ იგი

არ ექვემდებარება გაუსნებოვნებას, მესაკუთრის ხარჯით უნდა გადამუშავდეს და გაიყიდოს ან განადგურდეს სათანადო დოკუ-ძენტაციის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 9. სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტი-ნო კონტროლი

სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონ-ტროლს საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებსა და სახმელეთო გასასვლელებში ახორციელებს საქართველოს სოფ-ლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დე-პარტამენტი საბაჟო სამსახურებთან ერთად, საბაჟო გამშვები პუნ-ქტის ტერიტორიაზე, საბაჟო კონტროლის ზონაში „ვეტერინარი-ის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ" *(12.06.97, უნყებანი №33)*

მუხლი 5. ძირითადი ტერმინები

ი) **კულტურული ფასეულობანი** - ნებისმიერი მასალითა და სა-შუალებებით, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი კულტუ-რული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ნიმუშები, ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, მემორიალური, რელიგიური, ეს-თეტიკური, მხატვრული, მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური თუ სხვა ფასეულობები;

მუხლი 26. საქართველოს ტერიტორიიდან კულტურული ფასეუ-ლობების გატანა და შემოტანა

საქართველოს ტერიტორიიდან კულტურულ ფასეულობათა გა-ტანა და შემოტანა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 37. საქართველოს კულტურის ძეგლები და კულტურუ-ლი ფასეულობები საზღვარგარეთ

1. სახელმწიფო ატარებს მიზანმიმართულ პოლიტიკას მისი ტერ-იტორიიდან უკანონოდ გატანილ კულტურულ ფასეულობათა დას-აბრუნებლად.

2. საზღვარგარეთ უკანონოდ გატანილი ყველა კულტურული ფა-სეულობა, რაც საქართველოს სახელმწიფოს კულტურულ მემკვიდრე-ობადაა მიჩნეული, უნდა დაუბრუნდეს სამშობლოს, განურჩევლად მისი ადგილმდებარეობის, დროისა და გატანის გარემოებებისა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი *(13.06.97, უწყებანი № 32)*

მუხლი 1. საგადასახადო კოდექსით რეგულირებული ურთიერთობანი

2. ამ კოდექსით განსაზღვრული ცნებები და ნორმები გამოიყენება მხოლოდ გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებისას, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლის გადახდა რეგულირდება საბაჟო კანონმდებლობით.

მუხლი 4. საგადასახადო კანონმდებლობა

1. საგადასახადო კანონმდებლობა შედგება ამ კოდექსისა და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

2. საგადასახადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კოდექსს. წინააღმდეგობის არსებობისას გამოიყენება ამ კოდექსის დებულებები.

3. გადასახადით დაბეგვრისას ამ კოდექსის დებულებებსა და კანონმდებლობის სხვა სფეროს ნორმატიული აქტების დებულებებს შორის კოლიზიის წარმოშობის დროს გამოიყენება ამ კოდექსის დებულებები.

4. დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობის გამოქვეყნებული აქტები, რომლებიც მოქმედებს საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის.

5. გადასახადების დაწესება ან გაუქმება, გადახდის წესის შეცვლა ხდება ამ კოდექსში სათანადო ცვლილებების შეტანით, ხოლო ადგილობრივი გადასახადების გადახდის პირობების შეცვლა - შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანით. კოდექსით შემოღებული გადასახადების მიხედვით წარმოშობილი ვადაგადაცილებული დავალიანებების რესტრუქტურიზაციის წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით.

6. საგადასახადო კანონმდებლობის აქტებს უკუქმედების ძალა არა აქვს, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

7. აკრძალულია არასაგადასახადო კანონმდებლობით ისეთი სა-

კითხების დარეგულირება, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადებით დაბეგვრასთან, გარდა:

ა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ დებულებებისა, რომლებიც შედის კოდექსში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ;

ბ. გადასახადებთან დაკავშირებულ დანაშაულთა შესახებ დებულებებისა, რომლებიც შედის სისხლის სამართლის კოდექსში;

გ. საგადასახადო დავალიანებათა პრიორიტეტის შესახებ დებულებისა, რომელიც შედის საქართველოს კანონში გაკოტრების შესახებ;

დ. საბაჟო კანონმდებლობისა;

ე. კანონმდებლობისა მოსაკრებლების დაწესების თაობაზე;

ვ. ,,საქართველოს საგზაო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებებისა.

8. თუ საქართველოს მიერ დადებული და რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობისაგან განსხვავებული ნორმები, გარდა ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები.

9. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნის იმ რეზიდენტზე, რომლის მეშვეობითაც შეღავათებით სარგებლობს ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნის არარეზიდენტი.

(საქართველოს 1997 წლის 12 დეკემბრის №1194-Iს ,,საქართველოს რესპუბლიკა" № 323 26.12.97 წ.; საქართველოს 1998 წლის 5 თებერვლის №1212-Iს კანონი ,,საქართველოს რესპუბლიკა" №40 18.02.98 წ.; საქართველოს 2000 წლის 13 დეკემბრის №684-რს კანონი)

მუხლი 5. გადასახადის ცნება

გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში (შემდგომში - სახელმწიფო ფონდი) სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

მუხლი 6. გადასახადის სახეები

1. საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

2. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება:

ა. საშემოსავლო გადასახადი;

ბ. მოგების გადასახადი;

გ. დამატებული ღირებულების გადასახადი;

დ. აქციზი;

ე. ქონების გადასახადი;

ვ. მიწის გადასახადი;

ზ. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი;

თ. გადასახადი ქონების გადაცემისათვის;

ი. სოციალური დაზღვევის გადასახადი;

კ. გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;

ლ. გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის:

მ. გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის;

ნ. ფიქსირებული გადასახდი;

ო. მცირე ბიზნესის გადასახადი.

3. ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება:

ა. გადასახადი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ბ. სათამაშო ბიზნესის გადასახადი;

4. ბიუჯეტებს შორის გადასახადების განაწილების წესი განისაზღვრება ,,საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" და ,,სახელმწიფო გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ" საქართველოს კანონების მიხედვით.

5. გადასახადი გამოიანგარიშება ფულად გამოხატულებაში და გადაიხდება ლარებით.

6. ამ კოდექსით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებისაგან გათავისუფლება ან საგადასახადო განაკვეთის შემცირება შეიძლება მხოლოდ ამ კოდექსში ცვლილებების შეტანით. ადგილობრივი გადასახადებისაგან გათავისუფლე-

ბა დასაშვებია ამ კოდექსში, ხოლო სხვა შეღავათების მინიჭება - შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანით.

7. აკრძალულია სხვა სამართლებრივი აქტებით საგადასახადო შეღავათების დაწესება.

8. აკრძალულია ინდივიდუალური საგადასახადო შეღავათების დაწესება, ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.

მუხლი 24. ურთიერთდამოკიდებული პირები

1. ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობას შეუძლია უშუალო გავლენის მოხდენა მათ შორის გარიგებების პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

2. ასეთ განსაკუთრებულ ურთიერთობებს განეკუთვნება, კერძოდ, ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

ა. პირები წარმოადგენენ ერთი საწარმოს დამფუძნებლებს (მონაწილეებს), თუ მათი ჯამური წილი შეადგენს არანაკლებ 20 პროცენტს;

ბ. ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ-საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი შეადგენს არანაკლებ 20 პროცენტს;

გ. ერთი პირი თანამდებობრივი მდგომარეობით ექვემდებარება მეორეს ან ერთი პირი იმყოფება მეორე პირის (პირდაპირი ან არაპირდაპირი) კონტროლის ქვეშ;

დ. პირები წარმოადგენენ ფილიალ საწარმოებს ან იმყოფებიან მესამე პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის ქვეშ;

ე. პირები ერთად (პირდაპირ ან არაპირდაპირ) აკონტროლებენ მესამე პირს:

ვ. პირები ნათესავები არიან.

კარი III
დამატებული ღირებულების გადასახადი

თავი 11. ზოგადი დებულებანი

მუხლი 90. დამატებული ღირებულების გადასახადის ცნება

დამატებული ღირებულების გადასახადი (შემდგომში - დღგ), როგორც არაპირდაპირი გადასახადი არის საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ნარმოებისა და მი-

მოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი. დღგ ექვემდებარება გადახდას საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის ყველა სტადიაზე. დასაბეგრ ბრუნვაზე გადასახდელი დღგ-ის თანხა განისაზღვრება როგორც სხვაობა ამ ბრუნვაზე დარიცხულ გადასახადის თანხასა და ამ კარის მიხედვით წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით და საბაჟო დეკლარაციებით ჩასათვლელ თანხას შორის.

მუხლი 91. გადასახადის გადამხდელები

3. პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის დასაბეგრ იმპორტს საქართველოში, ითვლება დღგ-ის გადამხდელად ამგვარ იმპორტზე.

მუხლი 93. ნებაყოფლობითი რეგისტრაცია

2. პირი, რომლის მიერ მიწოდებისათვის განკუთვნილი ერთჯერადი ოპერაციის შედეგად შეძენილი ან/და იმპორტირებული საქონლის ღირებულება აღემატება 75 000 ლარს, შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციისათვის.

მუხლი 96. დაბეგვრის ობიექტი

1. დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი.

3. დასაბეგრ იმპორტად ითვლება საქონლის იმპორტი, გარდა იმ საქონლის იმპორტისა, რომელიც გათავისუფლებულია გადასახადისაგან ამ კარის მიხედვით.

მუხლი 100. დასაბეგრი იმპორტის თანხა

1. დასაბეგრი იმპორტის თანხა ტოლია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულებისა და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი გადასახადებისა და მოსაკრებლების თანხების ჯამისა, საქართველოში გადასახდელი დღგ-ის ჩაუთვლელად.

2. მომსახურების ღირებულება, რომელიც ამ კოდექსის 110-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით განიხილება როგორც საქონლის იმპორტის ნაწილი, შეიტანება დასაბეგრი იმპორტის თანხაში დღგ-ის გარეშე.

მუხლი 101. გადასახადისაგან განთავისუფლება

1. დღგ-ისაგან განთავისუფლებულია შემდეგი საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა, აგრეთვე იმპორტის შემდეგი სახეები:

ა. ფინანსური მომსახურების გაწევა;

ბ. ეროვნული და უცხოური ვალუტის (გარდა ნუმაზმატიკური მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებულისა) და ფასიანი ქაღალდების მიწოდება ან/და იმპორტი;

გ. საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი. ოქროს იმპორტი;

დ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური და სპეციალური მარკების მიწოდება ან/და იმპორტი;

ე. ჩამორთმეულ, უპატრონო ფასეულობათა, განძეულობისა და შესყიდულ ფასეულობათა, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობით მიღებულ ფასეულობათა მიწოდება ან/და იმპორტი, რომელთა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შეიტანება ბიუჯეტში;

ვ. სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით;

ზ. ბინის (გარდა სასტუმროსი) ქირა, უძრავი ქონების (გარდა ახალაშენებული საცხოვრებელი შენობისა) მიწოდება (ახალაშენებულად ითვლება საცხოვრებელი შენობა აშენებიდან 2 წლის განმავლობაში);

თ. სამედიცინო მომსახურება, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ი. ავადმყოფთა, ინვალიდთა და ღრმად მოხუცებულთა მოვლა-პატრონობის მომსახურება;

კ. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 121110000, 121120000, 130110000, 130120000, 150420, 151530, 1520 და 170211000 კოდებში მითითებული საქონლის, 28-ე და 29-ე ჯგუფებში წარმოდგენილი სამკურნალო (ფარმაცევტული) ნედლეულისა და სუბსტანციების, 30-ე ჯგუფით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქციის, მათ შორის, ვაქცინების 391212000, 391231000, 701010000, 701094790 და 960200000 (ჟელატინის კაფსულები) კოდებში აღნიშნული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი;

ლ. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8419 20 000, 9001 30 000, 9001 40, 9001 50, 9018-9022, 9025 11 910 და 9402 კოდებში აღნიშნული საქონლის, 8713 და 8714 20 000 კოდებში მითითებული ინვალიდთა ეტლების, იოდირებული მარილის, რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების გლუკომეტრების (რომელთა ტესტ-სისტემები რეგისტრირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ) მიწოდება ან/და იმპორტი;

მ. დიაბეტური კვების პროდუქტების მიწოდება ან/და იმპორტი, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად;

ნ. ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად;

ო. წრეებში, სექციებსა და სტუდიებში ბავშვებისა და მოზარდების სწავლების მომსახურება, აგრეთვე სკოლამდელ დაწესებულებებსა და უპატრონო ბავშვთა სახლებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის მომსახურება;

პ. სამეცნიერო ლიტერატურის, აგრეთვე საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტებთან შეთანხმებით დამტკიცებული სასწავლო სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ლიტერატურის ბეჭდვა, მიწოდება ან/და იმპორტი;

ჟ. საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ განეული განათლების მომსახურება; სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოთვლითი ტექნიკის, ხელსაწყო-დანადგარებისა და ქიმიური რეაქტივების იმპორტი;

რ. თეატრალური და საცირკო წარმოდგენების, კლასიკური მუსიკის კონცერტების, მუზეუმების ბილეთების ბეჭდვა და მიწოდება;

ს. სამეცნიერო, სახელოვნებო და მხატვრული ლიტერატურის, წიგნებისა და ჟურნალების იმპორტი, რომელთა ავტორები საქართველოს მოქალაქეები არიან, აგრეთვე უცხოეთში გამოცემული ქართული კლასიკური ლიტერატურის იმპორტი;

ტ. პერიოდული ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ლიტერატურის ბეჭდვა, მიწოდება, იმპორტი და რეალიზაციის მომსახურება;

უ. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 4820 20 000 (რვეულები) კოდში მითითებული საქონლის მიწოდება;

ფ. საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით; საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა, აგრეთვე მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურის ნუსხაში შეტანილი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და აღდგენის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები და არქეოლოგიური გათხრები;

ქ. დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალური (მათ შორის, ავტოტრანსპორტით) მომსახურება;

ღ. სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, ჰუმანიტარული დახმარებისა და ქველმოქმედების მიზნით საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემული საქონლისა და გრანტების შესახებ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი გრანტის გამცემი ან მიმღები პირის მიერ; სამუშაოების შესრულება კონტრაქტების საფუძველზე, რომელთაც ზემოაღნიშნული მიზნებისათვის აფინანსებს უცხოეთის ორგანიზაცია და რომელთა ერთ-ერთ მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო. ამ ქვეპუნქტის მიზნისათვის საქონლის იმპორტის, აგრეთვე კონტრაქტებით სამუშაოების შესრულების წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;

ყ. სახელმწიფო რეგულირებადი ფასებითა და ტარიფებით საქალაქო და შიგარაიონულ მარშრუტებზე სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) მომსახურება;

შ. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 4406, 7208 40 100, 7209 26 900 და 7302 კოდებით, 84-ე, 85-ე, 88-ე და 90-ე ჯგუფებით გათვალისწინებული საქონლის (გარდა 8414 51 900, 8414 59 300, 8414 59 500, 8414 59 900, 8415, 8418, 8419 50 900, 8419 81 910, 8419 81 990, 8419 89 950, 8421 12 000, 8421 21 900, 8421 23 900, 8421 29 900, 8421 31 900, 8422 11 000, 8422 19 000, 8423

10, 8423 81, 8431, 8450, 8469, 8470 10, 8470 21 000, 8470 29 000, 8470 30 000, 8470 90 000, 8471 10 900, 8471 41 900, 8471 49 900, 8471 50 900, 8471 60 400, 8471 60 900, 8471 70 400, 8471 70 510, 8471 70 530, 8471 70 590, 8471 70 600, 8471 70 900, 8471 80, 8472 10 000, 8472 90, 8473, 8481 80, 8481 90 000, 8482, 8507-8513, 8516-8524, 8525 20 910, 8525 30, 8525 40, 8527-8528, 8529 10 200, 8529 10 310, 8529 10 390, 8529 10 400, 8529 10 500, 8529 10 900, 8531, 8536 61, 8536 69, 8539-8540, 8544-8546, 8548, 9001 90 900, 9003-9004, 9005 10, 9006-9010, 9014 20 900 და 9016 00 კოდებში ჩამოთვლილი საქონლისა), აგრეთვე 8531 10 100, 8539 10 100, 8601-8603, 8604 00 000, 8605 00 000, 8606 10 000, 8607 19, 8702 (გარდა 20 კაცის ან ნაკლების გადასაყვანად, მძღოლის ჩათვლით), 8704-8705, 8709, 8716 20, 8716 31, 8716 39, 8901-8902 და 8904-8906 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი, აგრეთვე იურიდიული პირის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ძირითადი საშუალებების მიწოდება;

ჩ. იმ საქონლის იმპორტი და დროებით შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა, დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი განთავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო; უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი; საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდება, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა და დიპლომატიური მისიის წევრების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის; პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი და დროებითი შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის;

ც. საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი

ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარა-შესაფუთი მასალის იმპორტი ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში. აღნიშნული ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და ტარა-შესაფუთი მასალის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას ხდება დღგ-ის გადახდევინება ან საბანკო გარანტიის დატოვება, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან მზა პროდუქციის გატანისას გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოს მიერ უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის მიხედვით;

ძ. საქონლის საერთაშორისო გადაზიდვასთან და მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანასთან (გარდა საავიაციო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანისა) უშუალოდ დაკავშირებული სატრანსპორტო და სხვა მომსახურების გაწევა ან სამუშაოს შესრულება, სატვირთო ოპერაციები, ნავსადგურში აგენტირება; საქონლის ტრანზიტი, რეიმპორტი და დროებითი შემოტანა. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანისას (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ჩ" ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის, გემების, საჰაერო საფრენი საშუალებების დროებით შემოტანისა, საქართველოს საბაჟო კოდექსის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული საქონლის დროებით შემოტანისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობა) შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებით შემოტანისა), აგრეთვე საქართველოს საბაჟო კოდექსის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული იმ საქონლის დროებით შემოტანისას, რომელსაც გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით ყოფნის ვადა, გადაიხდევინება დღგ ან საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას გადასახადის გადამხდელს უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

ნ. რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი;

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტი-სათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება დღგ ან/და საბა-ჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბან-კო გარანტია, გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოს მიერ უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით და-ტოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირე-ბულების მიხედვით;

ჭ. ფიზიკურ პირთა მიერ საქონლის იმპორტი იმ ლიმიტზე ნაკ-ლები ოდენობით, რომელიც დადგენილია საბაჟო გადასახადისა-გან განთავისუფლებისათვის;

ხ. ,,ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოე-ბლად განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი, აგრეთვე ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრული ხელშეკრულე-ბების ან/და ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად გაცემული ლიცენზიების შესაბამისად ინვესტორებისა და საოპერ-აციო კომპანიებისათვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახ-ორციელებლად საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდება;

ჯ. საქართველოს არარეზიდენტების მიერ დაფუძნებული იმ სან-აოსნო (გემთმფლობელი) საწარმოების მიერ სამუშაოს შესრულე-ბა ან მომსახურების გაწევა, რომლებიც საქართველოს ტერიტო-რიაზე არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას და რომელთა გემებიც (გემიც) დაცურავენ საქართველოს სახელმწიფო ალმით;

ჰ. შავი და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტი.

ჰ[1]. ალაოს იმპორტი (25.12.2002 №1895).

ჰ[2]. არანაკლებ 3 მლნ აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარებში), ხოლო მაღალმთიან რეგიონებში არანაკლებ 0,25 მლნ აშშ დოლა-რის (ეკვივალენტი ლარებში) ღირებულების ინვესტიციით განხორ-ციელებული ტურისტთა განთავსების ობიექტის - სასტუმროს მშენებლობა მშენებლობის პერიოდში (29.01.2003, № 1967).

ჰ[3]. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლა-ტურის 010210, 010310000, 010410100, 010420100, 010511, 051110000,

951191, 060210, 060220, 250300, 280300, 310100000, 3103, 3104, 3105, 380810, 380820 (გარდა 380820100-ისა), 380830 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი, აგრეთვე ანალოგიური საქონლის და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 3102 კოდით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება;

3[4]. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 040700, 060290100, 070110000,071331100, 071332100, 071333100, 071339100, 100190910, 100300100, 120600, 12092, 120923, 120991, 283325000, 380820100 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ყოველწლიური კვოტების მიხედვით, აგრეთვე ანალოგიური საქონლის მიწოდება.

2. დღგ-ისაგან განთავისუფლება ერთიანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ფარგლებში საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის დროს.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ძ" - „ჭ" ქვეპუნქტების მიხედვით დღგ-ისაგან განთავისუფლება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლების პირობები; ამასთან, თუ საბაჟო გადასახადის მიზნით საქართველოში შემოტანილი საქონელი ექვემდებარება დაბრუნების რეჟიმს, ან თუ საბაჟო გადასახადი ექვემდებარება გადახდას განთავისუფლების პირობების დარღვევის გამო, დღგ-ის მიმართაც გამოიყენება იგივე რეჟიმი. (25.06.2002, №1586).

თავი 15. ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციები

მუხლი 102. საქონლის ექსპორტის დაბეგვრა

1. საქონლის ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით (გარდა შავი და ფერადი ლითონების ჯართისა).

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის საქონლის ექსპორტის მიმართ დღგ-ის ნულოვანი განაკვეთის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ საანგარიშო პერიოდისათვის, როდესაც გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოში წარადგენს

შემდეგ დოკუმენტებს:

ა. რეზიდენტი პირის მიერ უცხოელ პირთან დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს საქონლის ექსპორტს;

ბ. სატვირთო-საბაჟო დეკლარაციას საქონლის ექსპორტის რეჟიმში გაშვების შესახებ.

მუხლი 103. საავიაციო გადაზიდვების დაბეგვრა

საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებული მომსახურება, აგრეთვე საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საავიაციო საწვავი, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებები იბეგრება ნულოვანი განაკვეთით. საავიაციო რეისების განსახორცილებელად განკუთვნილი საავიაციო საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისას გადაიხდევინება დღგ ან საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია, ხოლო იმპორტიორს უბრუნდება დღგ-ს გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია საავიაციო რეისების განსახორცილებელად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული მოცულობის მიხედვით.

მუხლი 109. იმპორტის დრო

საქონლის იმპორტს ადგილი აქვს მაშინ, როცა საქონელი იბეგრება საბაჟო გადასახადით საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით. თუ საქონელი განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან, საქონლის იმპორტს ადგილი აქვს მაშინ, როცა მასზე უნდა გადახდილიყო საბაჟო გადასახადი, ეს საქონელი განთავისუფლებული რომ არ ყოფილიყო საბაჟო გადასახადისაგან.

მუხლი 110. შერეული ოპერაციები

2. სამუშაოების შესრულება ან მომსახურების გაწევა, რომელთაც დამხმარე ხასიათი აქვთ საქონლის იმპორტის მიმართ, წარმოადგენენ ამ საქონლის იმპორტის ნაწილს.

მუხლი 112. დღგ-ის განაკვეთები

1. დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 20 პროცენტს.

მუხლი 114. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ბიუჯეტში შესატანი თანხების განსაზღვრისას

1. ამ მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, ჩასათვლელი დღგ-ის თანხა არის გადასახადის თანხა, რომელიც დასაბეგრი ოპ-

ერაციის დროის მიხედვით გადახდილია წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შესაბამისად ან გადახდილია საბაჟო დეკლარაციის მიხედვით. დასაბეგრ იმპორტზე ან დასაბეგრ ოპერაციებზე, თუ საქონელი, სამუშაო ან მომსახურება გამოიყენება ან გამოყენებული იქნება გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობისათვის იმ შემთხვევებშიც კი, თუ ისინი არ შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში, დღგ-ის ჩათვლას დაექვემდებარება საქართველოს ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ის თანხა.

2. თუ დღგ-ის გადამხდელის მიერ წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით საქონლის იმპორტის მიხედვით გადახდილი და/ან დასაბეგრი ოპერაციების მიხედვით გადახდილი დღგ-ნაწილობრივ გათვალისწინებულია გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობისათვის, ნაწილობრივ კი - სხვა მიზნებისათვის, დღგ-ის ჩათვლა განხორციელდება პროპორციულად.

მუხლი 116. დეკლარაციის წარდგენა და დღგ-ის გადახდა

4. დასაბეგრ იმპორტზე დღგ-ის დარიცხვა და გადახდევინება ხდება საბაჟო ორგანოების მიერ ამ კოდექსისა და საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით.

კარი IV. აქციზი

თავი 19. აქციზი

მუხლი 122. აქციზის ცნება

1. აქციზი არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც გადაიხდება აქციზური საქონლის მიწოდებისას მის ფასთან ერთად.

2. საქართველოში აქციზური საქონლის წარმოება ან იმპორტი იბეგრება აქციზით, თუ ეს საქონელი გათავისუფლებული არ არის გადასახადისაგან.

მუხლი 123. გადასახადის გადამხდელები

1. აქციზის გადამხდელად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს ან ეწევა მის იმპორტს საქართველოში, თუ ამ კარით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 124. დაბეგვრის ობიექტი

აქციზით დაბეგვრის ობიექტია აქციზური საქონლის იმპორტი, საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდება, და/

ან საწარმოს საწყობიდან საქონლის გატანა, მათ შორის დამკვეთის ნებლეულით დამზადებული აქციზური საქონლის გადაცემა.

მუხლი 125. დასაბეგრი ოპერაცია

2. იმპორტისას დასაბეგრი ოპერაციის თანხად ითვლება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულებისა (მაგრამ არანაკლებ საბითუმო საბაზრო ფასისა, აქციზისა და დღგ-ის გარეშე) და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი მოსაკრებლებისა და გადასახადების თანხის (აქციზისა და დღგ-ის გარდა) ჯამი.

3. აქციზით დასაბეგრი ოპერაციის თანხაში არ შედის მრავალჯერადად გამოსაყენებელი დასაბრუნებელი ტარის ღირებულება, გარდა საცალო წესით საქონლის მისაწოდებლად გამოყენებული ტარის ღირებულებისა.

მუხლი 126. დასაბეგრი ოპერაციის დრო

3. საქონლის იმპორტის შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით ითვლება იმპორტის დრო.

მუხლი 127. ექსპორტის დაბეგვრა

აქციზური საქონლის ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

მუხლი 128. საგადასახადო შეღავათები

1. აქციზისაგან თავისუფლდება:

ა. ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული და მოხმარებული ალკოჰოლური სასმელები;

ბ. ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის ორი ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი; საქართველოში ავტომობილით შემომსვლელი პირის ავტომობილის ავზში არსებული საწვავი;

გ. აქციზური საქონლის ტრანზიტი და დროებით შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე აქციზური საქონლის დროებით შემოტანისას (გარდა საქართველოს საბაჟო კოდექსის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული აქციზური საქონლის დროებით შემოტანისა, იმ მსუბუქი ავტომობილების დროებით შემოტანისა, რომლებიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მას-

თან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო, და მსუბუქი ავტომობილების დროებით შემოტანისა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში და საქართველოს. საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი – ერზრუმის მილსადენების მშენებლობაში) შესრულების უზრუნველსაყოფად დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, აგრეთვე საქართველოს საბაჟო კოდექსის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული იმ აქციზური საქონლის დროებით შემოტანისას, რომელსაც გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით ყოფნის ვადა, გადაიხდევინება აქციზი ან საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას გადასახადის გადამხდელს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით.

დ. აქციზური საქონლის რეექსპორტი; საქართველოს ტერიტორიაზე რეექსპორტისათვის გათვალისწინებულ აქციზურ საქონელზე გადაიხდევინება აქციზი, დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადამხდელს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

ე. მსუბუქი ავტომობილების იმპორტი სტიქიური უბედურების დროს ჰუმანიტარული დახმარების მიზნით.

ვ. საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საავიაციო საწვავი იმპორტისას საბაჟო ორგანოებისათვის საბანკო გარანტიის წარდგენის საფუძველზე.

ზ. ,,ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნავთობპროდუქტების იმპორტი ან/და მიწოდება.

თ. 130-ე მუხლის ცხრილის 23-ე სტრიქონით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი, თუ იგი არ გამოიყენება აქციზური საქონლის წარმოებისათვის. აღნიშნული საქონლის იმპორტისას გადაიხდევინება აქციზის გადასახადი, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, რომელიც ადასტურებს, რომ საქონელი არ იქნა გამოყენებული აქციზური საქონლის წარმოებისათვის, გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოები უბრუნებენ აქციზის გადახდილ თანხას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" - ,,დ" პუნქტების მიხედვით აქციზისაგან გათავისუფლება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების პირობები; ამასთან, თუ საბაჟო გადასახადის მიზნისათვის საქართველოში შემოტანილი საქონელი ექვემდებარება დაბრუნების რეჟიმს, ან, თუ საბაჟო გადასახადი ექვემდებარება გადახდას გათავისუფლების პირობების დარღვევის გამო, იგივე რეჟიმი გამოიყენება აქციზის მიმართაც.

მუხლი 129. საწარმოო რესურსებზე ჩასათვლელი აქციზი

1. პირს, რომელიც ყიდულობს აქციზით დაბეგრილ ნედლეულს და იყენებს მას სხვა აქციზური საქონლის საწარმოებლად მისი შემდგომი მიწოდებისათვის, უფლება აქვს მიიღოს საგადასახადო ჩათვლა მის საწარმოებლად შეძენილ საქონელზე გადახდილი აქციზის ოდენობით, ან დაიბრუნოს აქციზი.

ჩათვლის ან დაბრუნების ანალოგიური წესი გამოიყენება აქციზური საქონლის საწარმოებლად მწარმოებლის მიერ იმპორტიორისაგან მიღებულ საქონელზე.

2. ნებადართულია გადახდილი აქციზის ჩათვლა ან დაბრუნება იმ აქციზურ საქონელზე, რომელიც გამოიყენება:

ა. ნიმუშების სახით ანალიზის ჩატარების ან წარმოების პროცესში აუცილებელი შემოწმებისათვის;

ბ. სამეცნიერო კვლევისათვის;

გ. საავადმყოფოებსა და აფთიაქებში სამედიცინო მიზნებისათვის:

3. ამ მუხლის მიხედვით აქციზის ჩათვლა ან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს აქციზის გადახდას ნედლეულის მწარმოებლისათვის ან ნედლეულის იმპორტისას - შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

4. გადასახადის გადამხდელს თანხა უბრუნდება საგადასახადო ორგანოში დოკუმენტების წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში.

მუხლი 130. აქციზის განაკვეთები

ამ მუხლში აღნიშნული აქციზური საქონელი იბეგრება შემდეგი განაკვეთებით:

№	საქონლის დასახელება	საქონლის ნომენკლატურის კოდი	ზომის ერთეული	აქციზის განაკვეთი
1	2	3	4	5
1	ცქრიალა და შუშხუნა ღვინოები (მათ შორის შამპანური)	2204 10 2204 21 100 2204 29 100	1 ლიტრი	0.50 ლარი
2	შეშაგრებული ღვინოები ჩამოსხმული ჩამოსასხმელი	2204 21 870 2204 21 990 2204 29 870 2204 29 990	1 ლიტრი	 1 ლარი 0,50 ლარი
3	ყურძენი და სხვა ნატურალური ღვინოები, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრაქტები	2205	1 ლიტრი	2,00 ლარი
4	ყურძნის ნატურალური ღვინოები, რომლებიც არ შედის ამ ცხრილის პირველ და მე-2 ნაწილებში ჩამოსხმული ჩამოსასხმელი	2204	1 ლიტრი	 0,20 ლარი 0,10 ლარი
5	სხვა დაყენებული სასმელები (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი); დაყენებული სასმელების ნარევი და დაყენებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევი, რომლებიც ამ ცხრილში სხვა ადგილას არ არის დასახელებული	2206 00	1 ლიტრი	2,00 ლარი
6	ეთილის სპირტი	2207	1 ლიტრი	0,70 ლარი
7	სპირტიანი სასმელები, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით	2208 20	1 ლიტრი	2,00 ლარი
8	ვისკი	2208 30	1 ლიტრი	2,00 ლარი
9	რომი და ტაფია	2208 40	1 ლიტრი	2,00 ლარი
10	ჯინი და ღვინის ნაყენი	2208 50	1 ლიტრი	2,00 ლარი
11	არაკი	2208 60	1 ლიტრი	1,00 ლარი
12	ლიქიორი და ტკბილი ნაყენი	2208 70	1 ლიტრი	2,00 ლარი
13	სხვა სპირტიანი სასმელები	2208 90	1 ლიტრი	2,00 ლარი
14	ლუდი	2203 00	1 ლიტრი	0,12 ლარი

15	თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა): - სიგარა, სიგარები გადაჭრილი ბოლოებით და სიგარელა (წვრილი სიგარები), რომლებიც შეიცავენ თამბაქოს - ფილტრიანი სიგარეტი - ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი - სხვა ნაწარმი დამზადებული თამბაქოსა და მისი შემცველებისაგან; „აოშოგენიზებული" ან „აღდგენილი" თამბაქო; თამბაქოს ექსტრაქტები და ესენციები	 2402 10 000 2402 20 2402 20 2403	 1000 ღერი 1000 ღერი 1000 ღერი 1 კგ	 150 ლარი 7,50 ლარი 2,50 ლარი 20,00 ლარი
16	მსუბუქი ავტომობილები	8703		15%
17	ქვანახშირის ფისის მაღალი ტემპერატურით გამოხდისას მიღებული ზეთები და სხვა პროდუქტები; ანალოგიური პროდუქტები, რომლებშიც არომატული შემადგენელი ნაწილების მახა აჭარბებს არაარომატულის მასას (გარდა ნაფტალინისა და კრეოზოტული ზეთებისა, რაც გამოიყენება ნახშირბადის მისაღებად (სასაქონლო ჯგუფის 2803 კოდი)	2707 (გარდა 2707 40 000 2707 99 910)		60%
18	ბუნებრივი გაზის კონდენსატი, გარდა მილსადენისა	2709 00 100		60%
19	ნავთობის დისტილატები: მსუბუქი და საშუალო მძიმე	2710 00 110- -2710 00 590; 2710 00 610- -2710 00 690;	 1 ტონა 1 ტონა	 200 ლარი 100 ლარი
20	ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები	2711 12 2711 13 2711 14 000 2711 19 000		 60%
21	ნედლი ნავთობისაგან და ბითუმინოზური მინერალებისაგან მიღებული სხვა ნავთობპროდუქტები (გარდა ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატებისა და მაზუთისა)	271000 (გარდა 2710 00 110 2710 00 690 და 2710 00 710- -2710 00 780)		 60%
22	პიროლიზის თხევადი პროდუქტი	391190000 391190900	1 ტონა	400 ლარი
23	მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი	270710100- -270760000 (გარდა 270740000);		
		2712 20 000; 290211100- -290230900; 2905 11 000- -2905 16 900; 3811 11 100- -3811 90 000; 3814 00 100; 3814 00 900;	 1 ტონა	 400 ლარი

მუხლი133. აქციზის დაბრუნება აქციზური საქონლის რეექსპორტისას და დროებით შემოტანისას

1. რეექსპორტის მიზნით საქართველოში აქციზური საქონლის შემოტანისას გადახდილი აქციზის (გირაოს) დაბრუნება ხდება რეექსპორტირებული საქონლის ფაქტობრივი რაოდენობის შესაბამისად, საბაჟო ორგანოების მიერ, რეექსპორტის განხორციელებიდან 15 დღის განმავლობაში.

2. დროებით შემოტანის მიზნით საქართველოში აქციზური საქონლის შემოტანისას გადახდილი აქციზის დაბრუნება ხდება საქართველოდან აღნიშნული საქონლის ფაქტობრივად გატანილი რაოდენობის შესაბამისად, საბაჟო ორგანოების მიერ, ამ საქონლის ფაქტობრივად გატანიდან 15 დღის განმავლობაში.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილები არ გამოიყენება ამ კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის მიხედვით გათავისუფლებული აქციზური საქონლის ტრანზიტის მიმართ.

მუხლი 134. აქციზური მარკები

1. აქციზური მარკების სავალდებულო დართვას ექვემდებარება საქართველოში მოხმარებისათვის განკუთვნილი საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული და საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი (იმპორტირებული) ალკოჰოლიანი სასმელები, მათ შორის ლუდი, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1,15 გრადუსს (გარდა ორმოცდაათ გრამსა და მასზე ნაკლები მოცულობის, აგრეთვე ათ ლიტრსა და მასზე მეტი მოცულობის ჭურჭელში ჩამოსხმულისა) და თამბაქოს ნაწარმი, მოსაწევი (ჩიბუხის) თამბაქოს გარდა, აღნიშნული საქონელი ექვემდებარება აქციზის ფიქსირებული განაკვეთით დაბეგვრას.

2. აკრძალულია აქციზური მარკებით ნიშანდების გარეშე მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის მიწოდება და თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმში საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, აგრეთვე მარკირების გარეშე ათი ლიტრისა და მეტი მოცულობის ჭურჭელში ჩამოსხმული ალკოჰოლური სასმელების (გარდა ლუდისა და ღვინისა) საცალო ქსელში მიწოდება. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის ნიშანდება ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. დადგენილი წესის დარღვევით მარკირებული საქონელი ჩაითვ-

ლება არამარკირებულად.

3. საგადასახადო და საბაჟო ორგანოები, რომლებიც აწესებენ კონტროლს აქციზის გადახდაზე, დადგენილი წესის შესაბამისად ახდენენ აქციზური მარკის გარეშე იმპორტირებული ან გასაყიდად მიღებული აქციზური საქონლის ჩამორთმევას. ჩამორთმევის მომენტიდან საქონელი ითვლება სახელმწიფო საკუთრებად და მისი რეალიზაცია ან განადგურება ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

4. იმპორტიორებისა და ადგილობრივი მწარმოებლების მხრიდან აქციზური მარკების დანაკლისი ნებისმიერი ფორმით (დაკარგვა, განადგურება და სხვა შემთხვევები, ფორსმაჟორული შემთხვევების გარდა), განიხილება შესაბამისი ოდენობის საქონლის იმპორტად ან/და მიწოდებად და იბეგრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმპორტიორების მიერ აქციზური მარკების მიღებიდან ექვს თვეში საქონლის იმპორტის განუხორციელებლობის შემთხვევაში აქციზური მარკები ექვემდებარება უკან დაბრუნებას. აღნიშნულ პერიოდში აქციზური მარკების დაუბრუნებლობა ჩაითვლება მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის იმპორტად და ქვეყნის შიგნით მიწოდებად და შესაბამისად დაიბეგრება გადასახადებით, ხოლო შემდგომ პერიოდში, დაუბრუნებელი აქციზური მარკებით მარკირებული საქონლის იმპორტისას, მოხდება გადასახდელად დარიცხული გადასახადების გადაანგარიშება ფაქტობრივად განხორციელებული იმპორტის ოდენობის პროპორციულად.

თავი 34. გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის

მუხლი 197. გადასახადის გადამხდელები

1. გადასახადის გადამხდელებად ითვლებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც საქართველოში ეწევიან ,,გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონით მასშტაბის, მნიშვნელობისა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით დადგენილ პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიას მიკუთვნებულ სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობას და:

ა. თავისი საქმიანობით დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან აბინძურებენ გარემოს;

ბ. ახორციელებენ ბენზინის, დიზელის საწვავის, ნავთის, მაზუთის, ბუნებრივი და თხევადი აირის (საქონლის საწარმოებლად ნედლეულის სახით გამოყენებული ბუნებრივი აირის გარდა) იმპორტსა და მის წარმოებას.

მუხლი 198. დაბეგვრის ობიექტი

გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

2. გადამხდელების მიერ იმპორტირებული, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული და მინოდებული ბენზინის, დიზელის საწვავის, ნავთის, მაზუთის, ბუნებრივი და თხევადი აირის მოცულობა (გარდა საქონლის საწარმოებლად ნედლეულის სახით გამოყენებული ბუნებრივი აირისა).

3. გადასახადით არ იბეგრება ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული საქონლის ექსპორტი.

მუხლი 200. გადასახადის განაკვეთები

5. იმპორტირებული, აგრეთვე, საქართველოში წარმოებული და მინოდებული ბენზინის, დიზელის საწვავის, ნავთის, მაზუთის, ბუნებრივი და თხევადი აირის (გარდა საქონლის საწარმოებლად ნედლეულის სახით გამოყენებული ბუნებრივი აირისა) გადასახადის განაკვეთები განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

NN	საწვავის დასახელება	ზომის ერთეული	გადასახადის განაკვეთი ლარებში
1.	ეთილირებული ბენზინი	1 კილოგრამი	0,12
2.	არაეთილირებული ბენზინი	1 კილოგრამი	0,04
3.	დიზელის საწვავი	1 კილოგრამი	0,035
4.	ნავთი	1 კილოგრამი	0,02
5.	0,5%-დან 2%-ის ჩათვლით გოგირდ შემცველობის მაზუთი	1 კილოგრამი	0,01
6.	2%-ზე ზევით გოგირდ შემცველობის მაზუთი	1 კილოგრამი	0,02
7.	თხევადი აირი	1 კილოგრამი	0,01
8.	ბუნებრივი აირი	1 კუბური მეტრი	0,005

თავი 35. გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის

მუხლი 203. გადასახადის გადამხდელები

1. საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის გადასახადის გადამხდელად ითვლება პირი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ან მძღოლია.

2. პირი, რომელიც საქართველოში რეგისტრირებული სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ან მძღოლია, ითვლება ზენორმატიული დატვირთვისათვის გადასახადის გადამხდელად, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების შემოსვლისათვის გადასახადის გადამხდელად, თუ იგი საქართველოს ტერიტორიას ტრანზიტით გაივლის.

მუხლი 204. დაბეგვრის ობიექტი

საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის და ზენორმატიული დატვირთვისათვის გადასახადებით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული, უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება, აგრეთვე, საქართველოში რეგისტრირებული სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალება, თუ იგი საქართველოს ტერიტორიას გაივლის ტრანზიტით ან/და ახორციელებს ტვირთზიდვას ზენორმატიული დატვირთვით.

მუხლი 205. გადასახადის განაკვეთები

1. საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახეობათა და ტვირთამწეობის მიხედვით და შეადგენს:

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახეობანი	გადასახა-ოდენობა ლ
1	2
მსუბუქი ავტომობილები	60
ავტობუსებით (13-მდე ადგილით)	115
ავტობუსები (13-30 ადგილით)	230
ავტობუსები (30-ზე მეტი ადგილით)	380
სატვირთო ავტომობილები და სხვა ავტოსატ-რანსპორტო საშუალებები - ტვირთამწეობით 3 ტ-მდე (ჩათვლით)	230
სატვირთო ავტომობილები - ტვირთამწეობით 3-10 ტ. (ჩათვლით)	380
სატვირთო ავტომობილები ტვირთამწეობით 10-20 ტ. (ჩათვლით)	480
სატვირთო ავტომობილები - ტვირთამწეობით 20-40 ტ. (ჩათვლით)	650
სატვირთო ავტომობილები - 40 ტონაზე მეტი ტვირთამწეობით	880

2. იმ სატვირთო ავტომობილების მფლობელები, რომელთა ტვირთი აღემატება ავტომანქანის ტვირთამწეობას, ზედმეტი წონის ყოველ 1 ტონაზე გადაიხდიან გადასახადს შემდეგი ოდენობით:

ა. სატვირთო ავტომობილები (ტვირთამწეობით 20 ტონამდე ჩათვლით) - ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გადასახადის 10 პროცენტის ოდენობით.

ბ. სატვირთო ავტომობილები (20 ტონაზე მეტი ტვირთამწეობით) - ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გადასახადის 5 პროცენტის ოდენობით.

3. ამ კოდექსის 204-ე მუხლში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები თითოეულ ღერძზე ზენორმატიული დატვირთვისას დამატებით გადაიხდიან გადასახადს: 0.5 ტონამდე (ჩათვლით) - 50 ლარს, 0.5-იდან 1.0 ტონამდე (ჩათვლით) - 80 ლარს, 1.0-დან 1.5 ტონამდე (ჩათვლით) - 100 ლარს, 1.5-დან 2.0 ტონამდე (ჩათვლით) - 125 ლარს, 2.0-იდან 2.5 ტონამდე (ჩათვლით) - 170 ლარს, 2.5-იდან 3 ტონამდე (ჩათვლით - 250 ლარს).

4. ის ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა ფაქტობრივი ღერძული დატვირთვა ერთ რომელიმე ღერძზე აღემატება 13 ტონას, ხოლო გაბარიტული პარამეტრები აღემატება საქართველოს საავტომობილო გზებზე მაქსიმალურად დასაშვებ მაჩვენებლებს, გატარებული იქნებიან მხოლოდ ამ პარამეტრების სათანადო კორექტირების შემთხვევაში.

მუხლი 206. გადასახადის გადახდის წესი

1. საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის და ზენორმატიული დატვირთვისათვის გადასახადი გადაიხდება საქართველოს სახელმწიფო საგზაო ფონდში ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას, ხოლო გადასახადი ზენორმატიული დატვირთვისათვის იმავე ფონდში, საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შერჩეულ ადგილებში.

2. გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა არ დაიშვება.

3. საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის და ზენორმატიული დატვირთვისათვის გადასახადის აკრეფას, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალებების წონითი და გაბარიტული პარამეტრების შემონმებას ახორციელებს:

ა. **საქართველოს საბაჟო ორგანო** - საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას;

ბ. **საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი** - საქართველოს საზღვრის შიგნით გადაადგილებისას.

კარი XIV
გადასახადების ადმინისტრირების წესები
თავი 36. ზოგადი დებულებანი

მუხლი 217. გადასახადების სრულად და დროულად გადახდაზე საგადასახადო კონტროლისა და საგადასახადო შემონმების განხორციელების ფორმები

2. საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კონტროლი ხორციელდება გადასახადის გადამხდელებისა და გადასახა-

დით დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვის, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების საგადასახადო შემოწმების, გადასახადის გადამხდელთა და სხვა პირთა გამოკითხვის, გადასახადით დასაბეგრი და შემოსავლების (მოგების) მისაღებად გამოყენებული ობიექტების დათვალიერება-გამოკვლევითა და სხვა ფორმებით, რომლებიც ამ კოდექსითაა გათვალისწინებული. თუ საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებთან დაკავშირებული გადასახადები განისაზღვრება საბაჟო პროცედურების მიხედვით, კონტროლი ხორციელდება საბაჟო კანონმდებლობით საბაჟო ორგანოების მიერ.

მუხლი 223. გადასახადისაგან თავის არიდების საწინააღმდეგო ღონისძიებები

4. სამეურნეო ოპერაციის დამთავრებიდან არა უგვიანეს მესამე დღისა საბუღალტრო დოკუმენტებში აღურიცხავი ან/და მკაცრი აღრიცხვის სასაქონლო ზედნადების გარეშე (ხოლო იმპორტის დროს საბაჟო დეკლარაციის გარეშე) მატერიალური ფასეულობებისა და საქონლის გამოვლენის შემთხვევაში, გადამხდელს გადახდება აღურიცხავი ან/და მკაცრი აღრიცხვის სასაქონლო ზედნადების გარეშე (ხოლო იმპორტის დროს საბაჟო დეკლარაციის გარეშე) მატერიალური ფასეულობებისა და საქონლის ღირებულება საბაზრო ფასებით (დღგ-ის გარეშე, ხოლო აქციზის გადამხდელთათვის - აქციზის გარეშე). მატერიალური ფასეულობებისა და საქონლის დანაკლისი განიხილება მისი აღმოჩენის მომენტში ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებულ მიწოდებად საბაზრო ფასებით და გადასახადებით დაიბეგრება ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით. აღნიშნული სანქცია არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების დაწყების მომენტისათვის მატერიალური ფასეულობა ან/და საქონელი აღრიცხულია საბუღალტრო დოკუმენტებში, ხოლო დანაკლისის თანხა ასახულია საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილ დეკლარაციაში.

5. ეკონომიკური საქმიანობისათვის შეძენილი ან მიწოდებული მატერიალური ფასეულობების ან საქონლის მკაცრი აღრიცხვის სასაქონლო ზედნადების გარეშე (ხოლო იმპორტის დროს, საბაჟო დეკლარაციის გარეშე) ტრანსპორტირებისას (გადაზიდვისას) გადასახადის გადამხდელს ჯარიმის სახით გადახდება მკაცრი აღრიცხვის სასაქონლო ზედნადების გარეშე (ხოლო იმპორტის დროს

საბაჟო დეკლარაციის გარეშე) არსებული მატერიალური ფასეულობებისა და საქონლის ღირებულება საბაზრო ფასებით (დღგ-ის გარეშე, ხოლო აქციზის გადამხდელთათვის - აქციზის გარეშე). ამასთან, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ორგანოებს უფლება აქვთ ჯარიმის თანხის გადახდამდე მოახდინონ ასეთი წესით ტრანსპორტირებული (გადაზიდული) მატერიალური ფასეულობების ან საქონლის დაყადაღება.

მუხლი 223[1]. სპეციალური მარკები

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული ან შემოტანილი (იმპორტირებული) ზოგიერთი საქონელი დაუქვემდებაროს მის მიერ დადგენილი წესით სპეციალური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის კოდების მიხედვით ადგენს სპეციალური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხასა და მარკირების წესს.

3. აკრძალულია მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის სპეციალური მარკების გარეშე მიწოდება და თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმში საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა. მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის სპეციალური მარკებით ნიშანდება ხდება ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. ამ წესის დარღვევით მარკირებული საქონელი ჩაითვლება არამარკირებულად.

4. ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები დადგენილი წესით ახდენენ სპეციალური მარკების გარეშე იმპორტირებული ან გასაყიდად მიღებული, მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის ჩამორთმევას. ჩამორთმევის მომენტიდან საქონელი ითვლება სახელმწიფო საკუთრებად და მისი რეალიზაცია ან განადგურება ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

5. ადგილობრივი მწარმოებლებისა და იმპორტიორების მხრიდან სპეციალური მარკების დანაკლისი ნებისმიერი ფორმით (დაკარგვა, განადგურება და სხვა, გარდა ფორსმაჟორისა) განიხ-

ილება შესაბამისი ოდენობის საქონლის იმპორტად ან/და მიწოდებად და იბეგრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმპორტიორის მიერ სპეციალური მარკების მიღებიდან 6 თვის განმავლობაში სპეციალური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის იმპორტის განუხორციელებლობის შემთხვევაში მარკები ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

6. სპეციალური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის მწარმოებლები და იმპორტიორები სპეციალური მარკების შეძენისას იხდიან მათ ნომინალურ ღირებულებას.

მუხლი 237. ხანდაზმულობის ვადები

1. საგადასახადო ორგანოს შეუძლია დაარიცხოს და გადასინჯოს გადასახადის დარიცხული თანხის დარიცხვა და გადასინჯვა საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში.

2. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნება ან ჩათვლა.

მუხლი 240. გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება

1. თუ გადასახადის გადახდილი თანხა აღემატება დარიცხულ თანხას, საგადასახადო ორგანო:

ა. ზედმეტად გადახდილ თანხას ჩათვლის გადასახადის გადამხდელის სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში;

ბ. გადასახადის გადამხდელის თანხმობის შემთხვევაში დარჩენილ ნაწილს ჩათვლის მომავალი გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში;

გ. უბრუნებს გადასახადის გადამხდელს დარჩენილ თანხას 20 დღიან ვადაში მისი წერილობითი განცხადების მიღების დღიდან, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. თუ გადასახადის გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება სხვა გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში, ცნობები აღნიშნული თანხის გამოყენების შესახებ უნდა აღინიშნოს შეტყობინებაში გადასახადის დარიცხული თანხის შესახებ.

მუხლი 242. გადასახადების მიხედვით დავალიანებათა დაფარვის წესი

სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანებათა დაფარვა ხდება შემ-

დეგი თანამიმდევრობით:

ა. გადასახადის თანხა;

ბ. ფინანსური სანქციის სახით დარიცხული ჯარიმის თანხა;

გ. დარიცხული საურავის თანხა.

მუხლი 252. საურავი ვადაგასულ საგადასახადო გადასახდელებზე

1. თუ გადასახადის თანხა არ არის გადახდილი დადგენილი ვადისათვის, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს გადაუხდელი თანხის 0,15 % თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადახდის ვადის დადგენილი თარიღიდან გადასახადის გადახდის თარიღამდე, გარდა ამ კოდექსის 252[1] მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, თუ საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის პერიოდში გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოებში დაუფიქსირებელი საბანკო ანგარიშებიდან ახორციელებს თანხების ხარჯვას, მაშინ გადასახადის გადამხდელს სანქციის სახით, უმცირესი თანხის მიხედვით გადახდება დაუფარავი საგადასახადო ვალდებულებების საერთო თანხის ან სხვა მიზნებისათვის მიმართული თანხების 30%, ხოლო სანქციის გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში დარღვევის განმეორების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს გადახდება აღნიშნული თანხების 50%.

2. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით გადასახადის ზედმეტად გადახდევინების შემთხვევაში პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს გადასახადის გადამხდელისათვის ანაზღაურების შესახებ დეკლარაციის წარდგენის მომენტიდან ნამეტი თანხის დაბრუნების მომენტამდე. იმ შემთხვევაში, თუ ნამეტი თანხა ჩაითვალა, ანაზღაურებად ჩაითვლება იმ გადასახადის გადახდის თარიღი, რომლისთვისაც მოხდა ჩათვლა. ამ მიზნით ანაზღაურება ჩაითვლება განხორციელებულად, თუმცა გადასახადის გადამხდელი დაბრუნებულ თანხას მიიღებს შვიდი დღის განმავლობაში. გადასახდელი პროცენტი ყოველი კვარტალისათვის უთანაბრდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სამთავრობო სესხისათვის დადგენილ განაკვეთს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული სანქცია არ გამოიყენება, თუ გადასახადის გადახდა დაგვიანდა შესაბამისი ორგანოების მიერ მიცემული არასწორი წერილობითი მითითებების შედეგად.

მუხლი 252[1]. საურავის დარიცხვა გაკოტრების ან რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებებზე

1. გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის, რეაბილიტაციის ან საგაკოტრებო მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან შესაბამისი რეჟიმის დასრულებამდე გაკოტრების ან რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფ საწარმოს ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებებზე საურავი არ დაერიცხება.

2. ამ კანონის ამოქმედებისას გაკოტრების ან რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფ საწარმოზე ამ მუხლის პირველი ნაწილის მოქმედება ვრცელდება რეჟიმის მთელ პერიოდზე, მისი დასაწყისიდან დასრულებამდე.

მუხლი 254. ჯარიმები გადასახადების შემცირებისათვის

1. დეკლარაციაში და გაანგარიშებებში გადასახადის ოდენობის შემცირებისათვის გადასახადის გადამხდელი ფინანსური სანქციის სახით ჯარიმდება გადასახადის შემცირებული თანხის 25 პროცენტის ოდენობით.

2. თუ ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული შემცირება დიდი ოდენობითაა, მაშინ გადასახადის გადამხდელი ჯარიმდება შემცირებული თანხის 50 პროცენტით, ხოლო თუ განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 100 პროცენტით.

3. გადასახადის დიდი ოდენობით შემცირებად ითვლება, როცა იგი 5000 ლარიდან 100,00 ლარამდეა, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემცირებად - 10000 ლარზე მეტი, თუ მოცემული თანხები დეკლარაციაში აღნიშნული გადასახადის 25 პროცენტზე მეტია. ამ შემთხვევებში შემოწმების მასალები გადაეგზავნება შესაბამის მომკვლევ ორგანოებს.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ გამოიყენება, თუ დეკლარაციაში და გაანგარიშებებში დაშვებული შეცდომა არ იწვევს გადასახადების თანხის შემცირებას ან დაგვიანებას.

მუხლი 257. მტკიცების ტვირთი

გასაჩივრების პროცესში საგადასახადო დარიცხვის მცდარობის მტკიცების ტვირთი ეკისრება გადასახადის გადამხდელს.

მუხლი 260. საქართველოს საგადასახადო ორგანოები

2. სპეციალური სამართალდამცავი ორგანოს სტატუსის მქონე

საგადასახადო და საბაჟო ორგანოა საგანგებო ლეგიონი, რომელიც უზრუნველყოფს საგადასახადო და საბაჟო სფეროში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას, საგადასახადო ორგანოების საქმიანობის უსაფრთხოებასა და მუშაკების დაცვას სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

5. მხოლოდ საგადასახადო ორგანოები არიან უფლებამოსილნი უზრუნველყონ გადასახადების სრულად და დროულად გადახდის სახელმწიფო კონტროლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ კოდექსით გათვალისწინებულია გადასახადის აკრეფა სხვა ორგანოების მიერ.

მუხლი 273. გარდამავალი დებულებები

1. (ამოღებულია)

2. მსუბუქი ავტომანქანების იმპორტი იბეგრება შემდეგნაირად:

ა) მსუბუქი ავტომანქანების იმპორტი დღგ-ისა და აქციზის ნაცვლად იბეგრება ფიქსირებული გადასახადით, ძრავის მოცულობისა და მანქანის წლოვანების მიხედვით. გადასახადი გამოიანგარიშება ძრავის მოცულობისა (სმ^3) და მანქანის წლოვანების შესაბამისი ნიხრის ნამრავლით. იმპორტირებული მსუბუქი ავტომანქანის წლოვანების შესაბამისი ნიხრი განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

წლოვანება	ახალი და 1 წ.	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15 წ. და ზევით
ნიხრი ლარებში	1.00	0.90	0.80	0.70	0.60	0.50	0.40	0.40	0.40	0.40	0.40	0.40	0.50	0.60	0.70

ბ) იმპორტული მსუბუქი ავტომანქანების მიწოდება დღგ-ით არ იბეგრება.

2[1]. რუსეთის ფედერაციაში წარმოებული მსუბუქი ავტომანქანების იმპორტი 2003 წლის 1 იანვრამდე იბეგრება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესით. იმპორტირებული მსუბუქი ავტომანქანის წლოვანების შესაბამისი ნიხრი განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

წლოვანება	ახალი და 6 წლამდე	6-დან 11 წლამდე	11 წლის და ზევით
თანხა ლარებში	0.50	0.60	1.00

3. 2003 წლის 1 ოქტომბრამდე ელექტროენერგიის იმპორტი გათავისუფლდეს დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან.

13. 2001 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 1 იანვრამდე:

ა. თამბაქოს ნაწარმის იმპორტი (თამბაქოს ნედლეულის გარდა) საბაჟო გადასახადის, დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზის ნაცვლად დაიბეგროს შემდეგი ოდენობის ფიქსირებული გადასახადით:

ა.ა) მოსაწევი თამბაქო (ჩიბუხის) - 20 ლარი 1 კგ-ზე;

ა.ბ) სიგარა - 60 თეთრი 1 ცალზე;

ა.გ) სიგარილა და ფილტრიანი სიგარეტი - 40 თეთრი 1 კოლოფზე (20 ღერი);

ა.დ) ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი - 20 თეთრი 1 კოლოფზე (20 ღერი);

ბ. ადგილობრივი წარმოების თამბაქოს ნაწარმის მიწოდება (თამბაქოს ნედლეულის გარდა) დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზის ნაცვლად დაიბეგროს შემდეგი ოდენობის ფიქსირებული გადასახადით:

ბ.ა) მოსაწევი თამბაქო (ჩიბუხის) - 20 ლარი 1 კგ-ზე;

ბ.ბ) სიგარა - 60 თეთრი 1 ცალზე;

ბ.გ) სიგარილა და ფილტრიანი სიგარეტი - 20 თეთრი 1 კოლოფზე (20 ღერი);

ბ.დ) ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი - 7 თეთრი 1 კოლოფზე (20 ღერი);

გ. ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკების შეძენისას გადაიხდევინება ფიქსირებული გადასახადი სრული ოდენობით.

15. ელექტროენერგეტიკული სექტორის რეაბილიტაციისათვის პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებებით უცხოეთის სახელმწიფოების ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტით დაფინანსებული საქონ-

ლის იმპორტი და შესრულებული სამუშაოები თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

35. 2002 წლის 1 ივლისამდე ელექტროენერგიის წარმოებისათვის (თბოელექტროსადგურები) იმპორტირებული და მიწოდებული ბუნებრივი აირი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების გადასახადით არ იბეგრება (ამოღებულია).

36. 2002 წლის 1 ივლისამდე ელექტროენერგიის წარმოებისათვის (თბოელექტროსადგურები) ბუნებრივი აირის მიწოდება და იმპორტი დამატებული ღირებულების გადასახადით არ იბეგრება (ამოღებულია).

38. 2004 წლის 1 იანვრამდე ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები (სასაქონლო ნომენკლატურის კოდები 271000110-271000690). ამ კოდექსის 130-ე მუხლის ცხრილის 22-ე გრაფაში მითითებული აქციზის განაკვეთების ნაცვლად, დაიბეგროს შემდეგნაირად:

ა) ნავთობის მსუბუქი და საშუალო დისტილატები (სასაქონლო ნომენკლატურის კოდები 271000110-271000590) - 200 ლარი ერთ ტონაზე;

ბ) ნავთობის მძიმე დისტილატები (სასაქონლო ნომენკლატურის კოდები 271000610-271000690) - 100 ლარი ერთ ტონაზე.

45. 2003 წლის 1 იანვრამდე საქართველოში პიროლიზის თხევადი პროდუქტის (სასაქონლო ნომენკლატურის კოდები: 391190000; 391190900) იმპორტი დაიბეგროს აქციზის შემდეგი განაკვეთით - 50 ლარი 1 ტონაზე პიროლიზის თხევადი პროდუქტის იმპორტის უფლება მიეცეს მხოლოდ იმ საწარმოებს, რომლებსაც აქვთ აღნიშნული ნივთიერების გადამუშავებისათვის აუცილებელი გარემოსდაცვითი ნებართვა (ამოღებულია).

საქართველოს სამოქალაქო
კოდექსი *(26.06.97, უწყებანი №31)*

მუხლი 672. გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმა

გადაზიდვის ხელშეკრულება ფორმდება ზედნადების (ან სხვა დოკუმენტის) სახით. ზედნადების არარსებობის, მისი ხარვეზის ან დაკარგვის მიუხედავად, გადაზიდვის ხელშეკრულების შინაარსი და ნამდვილობა განისაზღვრება ამ თავის ნორმებით.

მუხლი 673. ზედნადების შედგენის წესი

1. ზედნადები დგება სამ ცალად, რომელთაც ხელს აწერენ გამგზავნი და გადამზიდველი. პირველი პირი რჩება გამგზავნს, მეორე თან ერთვის ტვირთს, მესამეს კი იტოვებს გადამზიდველი.

2. თუ გადასაზიდი ტვირთი ნაწილდება რამდენიმე ტრანსპორტზე, ან საქმე ეხება სხვადასხვა სახის ან/და ცალკეულ პარტიებად დაყოფილ ტვირთს, როგორც გამგზავნს, ასევე გადამზიდველს შეუძლიათ მოითხოვონ იმდენი ზედნადების შედგენა, რამდენი ტრანსპორტიც ან ტვირთის სახეობაა.

მუხლი 674. ზედნადების რეკვიზიტები

1. ზედნადები უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა. გაცემის დღესა და ადგილს;

ბ. გამგზავნის სახელსა და მისამართს;

გ. გადამზიდველის სახელსა და მისამართს;

დ. ტვირთის გადაცემის დღესა და ადგილს, ასევე ტვირთის მიტანის ადგილს;

ე. მიმღების სახელსა და მისამართს;

ვ. ტვირთის სახეობის ჩვეულებრივ სახელწოდებასა და შეფუთვის სახეს, საფრთხეშემცველი ტვირთების დროს, მათ საყოველთაოდ აღიარებულ აღნიშვნას;

ზ. გადასაზიდი ტვირთების რაოდენობას, ნიშნებსა და ნომრებს;

თ. ტვირთის წონის ან სხვაგვარად აღნიშნულ რაოდენობას;

ი. გადაზიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს (გადაზიდვის ფასი, დამატებითი ხარჯები, საბაჟო გადასახადები და სხვა ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა ხელშეკრულების დადებიდან ტვირთის მიტანამდე);

კ. საბაჟო და სხვა მსგავსი სამსახურების აღნიშვნებს;

ლ. აღნიშვნას, რომ გადაზიდვა, მიუხედავად ორმხრივი შეთანხმებისა, მაინც ექვემდებარება ამ თავის ნორმებს.

2. საჭიროებისას ზედნადები უნდა შეიცავდეს დამატებით მონაცემებს:

ა. სხვა ტრანსპორტზე გადატვირთვის აკრძალვას;

ბ. ხარჯებს, რომლებსაც გამგზავნი თავის თავზე იღებს;

გ. ტვირთის გაგზავნის დროს გადასახდელი ფასდანამატის

ოდენობას;

დ. ტვირთის ღირებულებას და მიწოდებისადმი განსაკუთრებული ინტერესის აღნიშვნას;

ე. გამგზავნის მითითებებს გადამზიდველის მიმართ ტვირთის დაზღვევის შესახებ;

ვ. შეთანხმებულ ვადას, რომელშიც უნდა დასრულდეს გადაზიდვა;

ზ. გადამზიდველისათვის გადაცემული საბუთების ჩამონათვალს.

3. მხარეებს შეუძლიათ ზედნადებში ჩაწერონ სხვა მონაცემებიც, რომლებსაც ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ.

საქართველოს კანონი „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ“ *(28.10.97. უწყებანი №45)*

მუხლი 1. ინდიკატური დაგეგმვა

1. ინდიკატური დაგეგმვა არის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივების მახასიათებელ მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) და მათი განხორციელების ღონისძიებათა სისტემის ფორმირების პროცესი.

2. ინდიკატური გეგმა სარეკომენდაციო ხასიათისაა, განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას, ამოცანებს, მიმართულებებს, მათი რეალიზების გზებსა და მეთოდებს, ინდიკატური გეგმის პროექტი (წინასწარი საპროგნოზო გაანგარიშებები) კი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირების ერთ-ერთი საფუძველია.

3. ინდიკატური გეგმა მუშავდება ეკონომიკის სფეროების მიხედვით და დარგობრივ ჭრილში საქართველოს სამინისტროების, უწყებების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების, ტერიტორიული და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ შემუშავებული დარგებისა და ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

საქართველოს კანონი „სტატისტიკის შესახებ“ *(12.11.97, უნყებანი №46)*

მუხლი 15. ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკატორი

1. ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკატორი წარმოადგენს სტანდარტიზაციის ნორმატიულ დოკუმენტს, რომელიც ადგენს საკლასიფიკაციო ობიექტებისათვის ან საკლასიფიკაციო დაჯგუფებებისთვის დასახელებებისა და კოდების სისტემატიზებულ ნუსხას.

2. ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკაცია და კოდირება გამოიყენება აღრიცხვის, სტატისტიკის, სტანდარტიზაციის, ლიცენზირების, კვოტირების, სერტიფიკაციის, დაბეგვრისა და სხვა სფეროებში და უზრუნველყოფს ქვეყნის ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში და მის ურთიერთთანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

3. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, როგორც უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკაციის და კოდირების ეროვნული სისტემის შექმნისა და შემდგომი განვითარების საქმეში, ევალება:

ა) ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის მსოფლიო სტანდარტების შესატყვისი ეროვნული კლასიფიკატორების შემუშავება, წარმართვა და დანერგვა;

ბ) სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტთან (საქსტანდარტი) ერთად კლასიფიკაციისა და კოდირების ეროვნული სისტემის ნორმატიულ-მეთოდოლოგიური ბაზის შემუშავება, მთლიანი საკლასიფიკაციო მეურნეობის წარმოების ზედამხედველობა, კლასიფიკატორებისა და ნორმატიულ-მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის ტირაჟირება.

4. იურიდიული და ფიზიკური პირები თავიანთ საზოგადოებრივ და სამეწარმეო საქმიანობაში სავალდებულო წესით იყენებენ საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორებს.

საქართველოს საბაჟო კოდექსი
(14.11.97 უწყებანი 1997 №47-48)

კარი I
ზოგადი დებულებანი
თავი I. საქართველოს საბაჟო პოლიტიკა

მუხლი 1. საქართველოს საბაჟო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები

1. საქართველოში ხორციელდება ერთიანი საბაჟო პოლიტიკა, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

2. საქართველოს საბაჟო პოლიტიკის მიზნებია: საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა, საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირება და შიდა ბაზრის დაცვა, საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირება, საქართველოს საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანების განხორციელება.

3. საქართველოს საბაჟო კოდექსი განსაზღვრავს საბაჟო პოლიტიკის განხორციელების სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს. იგი ადგენს საბაჟო და სხვა სახელმწიფო ორგანოთა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობებს საბაჟო პოლიტიკის განხორციელების პროცესშ,.

4. საბაჟო პოლიტიკის განხორციელება განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას.

5. საქართველოს საბაჟო პოლიტიკა ვითარდება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის მიმართულებით. საქართველო საბაჟო პოლიტიკის სფეროში ესწრაფვის აქტიურ საერთაშორისო თანამშრომლობას.

მუხლი 2. საქართველოს საბაჟო ტერიტორია და საბაჟო საზღვარი

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიას შეადგენს საქართველოს სახმელეთო ტერიტორია, ტერიტორიული და შიდა წყლები და მათი საჰაერო სივრცე.

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორია მოიცავს აგრეთვე გან-

საკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში შექმნილი ხელოვნური კუნძულების, დანადგარებისა და ნაგებობების ტერიტორიებს, რომლებზედაც ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული იურისდიქცია.

3. საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება იყოს თავისუფალი საბაჟო ზონები და თავისუფალი საწყობები, რომელთა ტერიტორიები განიხილება, როგორც საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ არსებული. თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების ტერიტორიებზე მოქმედებს ამ კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული განსაკუთრებული საბაჟო რეჟიმები.

4. საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლები, აგრეთვე თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების პერიმეტრები შეადგენენ საქართველოს საბაჟო საზღვარს.

მუხლი 3. საბაჟო პოლიტიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია

1. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებისა და განმტკიცებისათვის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ერთად შეუძლია შექმნას საბაჟო კავშირები, თავისუფალი ვაჭრობის ზონები, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები საბაჟო საკითხებზე.

2. საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს უფლება აქვს, საქართველოს საბაჟო სისტემის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს უცხო ქვეყნის ექსპერტები (22.07.99. №2301 საკანონმდებლო მაცნე №37 (44).

მუხლი 4. საბაჟო კანონმდებლობა

1. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ემყარება საქართველოს კონსტიტუციას და შედგება ამ კოდექსისაგან, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

2. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კოდექსსა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა აქტებს. წინააღმდეგობის არსებობისას გამოიყენება ამ კოდექსის ან შესაბამისი კანონის დებულებები.

3. საბაჟო ურთიერთობათა სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდე-

გება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შინასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

4. საბაჟო ურთიერთობებში კეროში გამოიყენება საბაჟო კანონმდებლობის გამოქვეყნებული აქტები, რომლებიც მოქმედებს საქონლის მესაკუთრის ან მფლობელის სრულ განკარგულებაში გადაცემის დღისათვის.

5. აკრძალულია სხვა კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით იმ ურთიერთობათა დარეგულირება, რომლებიც საბაჟო კანონმდებლობის პრეროგატივას წარმოადგენს.

6. საბაჟო კანონმდებლობის აქტებს უკუქცევითი ძალა არა აქვთ, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 5. კოდექსში გამოყენებული ტერმინებისა და ცნებების განსაზღვრებანი

ამ კოდექსის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებსა და ცნებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) საქონელი - ნებისმიერი ქონება, მათ შორის ფული, ფასიანი ქაღალდები და სავალუტო ფასეულობა, ელექტრო - და თბოენერგია, გაზი, წყალი და სატრანსპორტო საშუალებები, გარდა ამ მუხლის ,,დ" პუნქტში აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებებისა;

ბ) სამამულო საქონელი - საქართველოში წარმოშობილი საქონელი;

გ) უცხოური საქონელი - საქონელი, რომელიც არ არის აღნიშნული ამ მუხლის ,,ბ" პუნქტში;

დ) სატრანსპორტო საშუალებები - ნებისმიერი საშუალება, რომელიც გამოიყენება მგზავრების საერთაშორისო გადაყვანისა და საქონლის საერთაშორისო გადაზიდვებისათვის, მათ შორის კონტეინერები, მისაბმელები და სხვა სატრანსპორტო მოწყობილობა;

ე) საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა - საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებების ნებისმიერი წესით შემოტანა ან ამ ტერიტორიიდან მათი გატანა, მათ შორის გაგზავნა საერთაშორისო საფოსტო გზავნილებით, მილსადენი ტრანსპორტის ან ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენებით;

ვ) პირი - ფიზიკური ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით;

ზ) გაშვება - საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო გაფორმების შემ-

დეგ საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებების გადაცემა პირის სრულ განკარგულებაში;

თ) პირობითი გაშვება - საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაშვება, რომელიც დაკავშირებულია პირის ვალდებულებასთან, დაიცვას დადგენილი შეზღუდვები, მოთხოვნები ან პირობები;

ი) საქონლის გადაზიდვამდე ჩატარებული ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტი - საქონლის ხარისხის, ღირებულების, რაოდენობისა და სასაქონლო ნომენკლატურის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც საქონლის გადაზიდვამდე ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გასცემს სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი პირი (25.06.99.№2201 საკანონმდებლო მაცნე №26(33);

კ) ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები - საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც დანესებულია საქართველოს ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე და შეიძლება შეიცავდეს კვოტირებას, ლიცენზირებას, მინიმალური და მაქსიმალური ფასების დანესებას, აგრეთვე მსოფლიო მეურნეობასთან საქართველოს ეკონომიკის ურთიერთკავშირის რეგულირების სხვა ღონისძიებებს;

ლ) ელექტრონული საბუთი - დეკლარანტის მიერ საბაჟო გაფორმებისათვის საბაჟო დეკლარაციასთან ერთად საბაჟო ორგანოებში წარსადგენი საბუთის ელექტრონული ასლი, რომლის შექმნა და გაცემა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

მ) ელექტრონული ლუქი - იდენტიფიკაციის ელექტრონული საშუალება, რომლის სატრანსპორტო საშუალებებზე დამაგრება, ექსპლუატაცია და მოხსნა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

ნ) ელექტრონული პასპორტი - საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ დეკლარანტის შესახებ შექმნილი დოკუმენტი (მატერიალური ობიექტი), რომელზედაც ელექტრონული იმპულსების კომბინაციით ფიქსირდება ინფორმაცია და რომლის ცალსახად აღქმა ადამიანის მიერ შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულ-ციფრული ტექნოლოგიით. ელექტრონული პასპორტის შექმნა და

დამუშავება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

ო) ინფოშემცველი - მატერიალური ობიექტი (პლასტიკური ბარათი, მიკროსქემა და სხვა), რომელშიც ინფორმაციის შეტანა შესაძლებელია ელექტრონულ-ციფრული ტექნოლოგიით;

პ) სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი პირი - ტენდერის საფუძველზე გამოვლენილი საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელსაც დანესებული საფასურის საფუძველზე:

პ.ა) შეაქვს ელექტრონულ ლუქში ინფორმაცია;

პ.ბ) ახორციელებს ელექტრონული საბუთის შესაბამის დამუშავებას ერთიანი საბაჟო საგადასახადო მონაცემთა საერთო-სახელმწიფოებრივი ბანკის ფორმირებისათვის. (26.08.2003 №2998)

კარი II
საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით. საბაჟო რეჟიმები

თავი 2. საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ძირითადი პრინციპები

მუხლი 6. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის უფლება

1. ყველა პირს თანაბარ საფუძველზე აქვს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის უფლება ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით.

2. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ან შეზღუდოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 7. საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთის წესი

საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთა ხდება მათი საბაჟო რეჟიმების შესაბამისად ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 8. საბაჟო რეჟიმების სახეობანი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის

საბაჟო რეგულირების მიზნით წესდება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო რეჟიმების შემდეგი სახეობანი:

ა) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი);

ბ) რეიმპორტი;

გ) ტრანზიტი;

დ) საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა;

ე) უბაჟო ვაჭრობა;

ვ) გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე;

ზ) გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ;

თ) დროებითი შემოტანა და/ან გატანა;

ი) თავისუფალ საბაჟო ზონაში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება;

კ) თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება;

ლ) გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ;

მ) ექსპორტი;

ნ) რეექსპორტი;

ო) განადგურება;

პ) უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

მუხლი 9. საბაჟო რეჟიმის არჩევა

პირს აქვს უფლება ნებისმიერ დროს აირჩიოს ნებისმიერი საბაჟო რეჟიმი ან შეცვალოს იგი მეორით, საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების ხასიათის, რაოდენობის მწარმოებელი ან დანიშნულების ქვეყნის მიუხედავად, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ კოდექსითა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა აქტებით.

მუხლი 10. საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დრო და ადგილი

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო ორგანოების სამუშაო დროს დაიშვება იმ ადგილებში, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. სხვა ადგილებში ან საბაჟო ორგანოების არასამუშაო დროს საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა დასაშვებია საბაჟო დეპარტამენტთან შეთანხმებით.

თავი 3. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი)

მუხლი 11. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო რეჟიმის არსი

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის მუდმივად დატოვებას ამ ტერიტორიაზე, მისი გატანის ვალდებულების გარეშე.

მუხლი 12. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის პირობები

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი) ითვალისწინებს:

ა) კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელების გადახდას;

ბ) ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა დაცვას.

თავი 4. საქონლის რეიმპორტი

მუხლი 13. საქონლის რეიმპორტის საბაჟო რეჟიმის არსი

საქონლის რეიმპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად გატანილი სამამულო საქონლის უკან შემოტანას დადგენილ ვადებში, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

მუხლი 14. საქონლის რეიმპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის პირობები რეიმპორტის საბაჟო რეჟიმში:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი შემოტანილ უნდა იქნეს გატანის მომენტიდან არა უგვიანეს სამი წლისა;

ბ) შემოტანილი საქონელი უნდა იყოს ისეთ მდგომარეობაში, როგორც გატანის მომენტში, გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი კლებით და რაც სხვა შემთხვევაში გათვალისწინებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი 5. საქონლისა და /ან სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტი

მუხლი 15. საქონლისა და/ ან სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის არსი

საქონლისა და/ ან სატრანსპორტო საშუალებების უცხო სახელმ-

ნიფოთა (ან ერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებს) შორის გადაადგილებას საქართველოს ტერიტორიის გავლით საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

მუხლი 16. საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის პირობები

1. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გადაადგილებული საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები უნდა:

ა) დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგებით და არ უნდა გამოიყენებოდეს რაიმე სხვა მიზნით, ტრანზიტის გარდა;

ბ) მიეწოდოს გასასვლელ საბაჟო ორგანოს შემოსასვლელი საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადებში, სატრანსპორტო საშუალებათა შესაძლებლობების, დასახული მარშრუტისა და გადაზიდვის სხვა პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ათი დღისა.

2. საქართველოს ტერიტორიაზე საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი გზებით და მიმართულებით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი სათანადოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ.

3. საბაჟო ორგანოს აქვს უფლება საქონელი მოაქციოს ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთების სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო ნორმების დაცვის, ერთი კონკრეტული მარშრუტის დაწესების, საბაჟო თანხლების ან საბაჟო გადამზიდველის მიერ საქონლის გადაზიდვის პირობით, ამ კოდექსითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 17. სატრანზიტო საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა გამშვები საბაჟო ორგანოებისათვის

სატრანზიტო საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების თანმხლები დოკუმენტაცია გამშვებ საბაჟო ორგანოს წარედგინება შესაბამის სატრანზიტო საქონელსა და/ან სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად.

მუხლი 18. გადამზიდველის ვალდებულებანი

1. საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის განხორციელების ვალდებულება ეკისრება გადამზიდველს.

2. საქართველოს საბაჟო ორგანოს ნებადაურთველად საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების გაცემის, დაკარგვის ან გამშვებ საბაჟო ორგანოში მიუტანლობის შემთხვევაში გადამზიდველმა უნდა გადაიხადოს საბაჟო გადასახდელები საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დანაკლისი მოხდა ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგების შედეგად, ან თუ საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები განადგურდა ან დაიკარგა ავარიისა თუ დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად.

მუხლი 19. ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება ავარიის ან დაუძლველი ძალის მოქმედების შემთხვევებში

1. ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევებში საქონელი შეიძლება გადმოიტვირთოს. ასეთ შემთხვევაში გადამზიდველი ვალდებულია:

ა) მიიღოს საჭირო ზომები საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების დასაცავად და არ დაუშვას მისი არანაირი გამოყენება;

ბ) დაუყოვნებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს საქმის გარემოება, საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების ადგილსამყოფელი;

გ) უზრუნველყოს საქონლის მიტანა უახლოეს საბაჟო ორგანოში ან საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირთა მიყვანა საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების განლაგების ადგილზე.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების ხარჯებს გაიღებს საქონლის გადამზიდველი.

თავი 6. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა

მუხლი 20. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის არსი

საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქართველოში შემოტანილი ან საქართველოდან გასატანი საქონლის შენახვას საბაჟოს კონტროლით, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

მუხლი 21. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის რეჟიმში საქონლის მოქცევის პირობები

1. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის რეჟიმში შეიძლება მოექცეს ნებისმიერი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა საქართველოში ან საქართველოდან გატანა აკრძალულია.

2. საქონელი, რომელიც მოითხოვს შენახვის განსაკუთრებულ პირობებს, უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ სათავსებში.

მუხლი 22. საქონლის შენახვის ვადა

საქონელი საბაჟო საწყობში შენახვის რეჟიმში შეიძლება ინახებოდეს ერთ წლამდე ვადით. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საქონელი უნდა მოექცეს სხვა საბაჟო რეჟიმში.

მუხლი 23. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის რეჟიმში მოქცეული საქონლის მიმართ განსახორციელებელი ოპერაციები

1. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის რეჟიმში მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს საქონლის შენახვის უზრუნველმყოფელი ან საქონლის გაყიდვისა და ტრანსპორტირებისათვის მოსამზადებელი ოპერაციები.

2. აღნიშნულ ოპერაციათა ნუსხა და წესი განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 24. საბაჟო საწყობები

1. საქონლის შესანახად გამოიყენება სპეციალურად მოწყობილი სათავსები - საბაჟო საწყობები.

2. საბაჟო საწყობი შეიძლება იყოს ღია, რომელიც გამოსაყენებლად ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის და დახურული, რომელიც გათვალისწინებულია განსაზღვრულ პირთა საქონლის შესანახად.

3. დახურული საბაჟო საწყობები შეიძლება შეიქმნას კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე.

მუხლი 25. საბაჟო საწყობების მფლობელები

საბაჟო საწყობების მფლობელები შეიძლება იყვნენ საბაჟო ორგანოები ან ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმოები, რომელთაც აქვთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული ნებართვები საბაჟო საწყობების საქმიანობების განსახორციელებლად. (26.08.2003 №3052)

მუხლი 26. მოთხოვნები საბაჟო საწყობისა და მისი მფლობელისადმი

1. საბაჟო კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით საბაჟო საწყ-

ობებისათვის წაყენებული მოთხოვნები განისაზღვრება შესაბამისი დებულებით.

2. საბაჟო საწყობის მფლ ` ელი ვალდებულია:

ა) დაიცვას საბაჟო საწყობის შექმნის პირობები და შეასრულოს საბაჟო ორგანოების მოთხოვნები, უსასყიდლოდ გამოუყოს მათ საბაჟო საწყობში საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმებისათვის აუცილებელი სათავსი, მოწყობილობა და კავშირგაბმულობის საშუალებანი.

ბ) ხელი არ შეუშალოს საბაჟო კონტროლის განხორციელებას;

გ) გამორიცხოს საბაჟო საწყობში არსებული საქონლის ამოღების შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საჭიროა საბაჟო კონტროლისათვის;

დ) აწარმოოს საბაჟოს საწყობში შენახული საქონლის აღრიცხვა; (26.08.2003 № 3052)

ე) განახორციელოს ყოველკვარტალური ანგარიშგება, რისთვისაც კვარტალის დამთავრებიდან არა უგვიანეს 15 დღისა ანგარიშს წარუდგენს საბაჟო ორგანოს საბაჟო საწყობში შენახული საქონლისა და მასზე წარმოებული ყველა ოპერაციის თაობაზე;

ვ) განახორციელოს საბაჟო საწყობის საქმიანობის საგარანტიო უზრუნველყოფა სადაზღვევო პოლისით ან საბანკო გარანტიით, აღნიშნული საბაჟო საწყობის საქმიანობის მთელი ვადის განმავლობაში;

ზ) შეასრულოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. (26.08.2003 № 3052)

მუხლი 27. საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულება

1. საბაჟო საწყობში შენახულ საქონელზე საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მესაკუთრეს, მფლობელს ან მათ მიერ უფლებამოსილ პირს.

2. საბაჟო ორგანოს ნებართვის გარეშე საბაჟო საწყობიდან საქონლის გატანის ან საქონლის დაკარგვის შემთხვევაში საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულება ეკისრება საბაჟო საწყობის მფლობელს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გადაიხდებოდა შესაბამისი საბაჟო გადასახდელი თავისუფალი მიმოქცევის (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში ამ საქონლის გაფორმებისას. (26.08.2003 №3052)

მუხლი 28. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა

1. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა გაიცემა 3 წლის ვადით.

2. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად საწარმო ვალდებულია მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს წერილობითი განცხადებით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს.

3. განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) სამეწარმეო რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის შესახებ სანოტარო ფორმით დამოწმებული მონაცემები;

ბ) საბაჟო საწყობის საქმიანობის საგარანტიო უზრუნველყოფა სადაზღვევო პოლისით ან საბანკო გარანტიით, არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობით;

გ) სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

დ) ტექნიკური აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ დამონმებული სასაწყობოდ განკუთვნილი სათავსოს გეგმა და ტექნიკური ნახაზები;

ე) ცნობა სახანძრო უსაფრთხოების პირობების დაცვის შესახებ;

ვ) საბაჟო საწყობისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის, შენობა-ნაგებობების საკუთრების ან შესაბამისი მფლობელობის უფლების დამადასტურებელი საბუთი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

4. საბაჟო დეპარტამენტის მიერ განცხადების განხილვისა და საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის გაცემის, მოქმედების შეჩერების, განახლებისა და გაუქმების წესი რეგულირდება „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო სანებართვო მოწმობის ფორმა განისაზღვრებ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. (26.08.2003 № 3052)

თავი 7. უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმი

მუხლი 29. უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმის ცნება

უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლის გაყიდვას უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტებში საბაჟო კონტროლის ქვეშ, საქართველოს-საბაჟო კონტროლის ზონებში (აეროპორტებში,

ნავსადგურებსა და სხვა ადგილებში, რომლებიც ღიაა საერთაშორისო მიმოსვლისათვის), საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოუყენებლად.

მუხლი 30. უბაჟო ვაჭრობის რეჟიმში საქონლის მოქცევის პირობები

1. უბაჟო ვაჭრობის რეჟიმით შეიძლება გაიყიდოს ნებისმიერი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა საქართველოში, საქართველოდან გატანა ან საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვა აკრძალულია.

2. საქონელი, რომლის გაყიდვაც საქართველოს ტერიტორიაზე შეზღუდულია, შეიძლება გაიყიდოს უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის საბაჟო რეჟიმით მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცული იქნება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 31. უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის საქმიანობის ნებართვა

1. უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტი შეუძლია დაარსოს ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილმა საწარმომ, რომელსაც აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის საქმიანობის ნებართვა.

2. უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის საქმიანობის ნებართვა გაიცემა 3 წლის ვადით.

3. უბაჟო საცალო ვაჭრობის ნებართვის მისაღებად საწარმო ვალდებულია მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს წერილობითი განცხადებით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს.

4. განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) სამეწარმეო რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის შესახებ სანოტარო ფორმით დამოწმებული მონაცემები;

ბ) უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის საქმიანობის საგარანტიო უზრუნველყოფა სადაზღვევო პოლისით ან საბანკო გარანტიით არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობით;

გ) სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

დ) უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის სავაჭრო დარბაზისათვის,

მაღაზიის სანყობისათვის და დამხმარე სათავსოსათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების საკუთრების ან შესაბამისი მფლობელობის უფლების დამადასტურებელი საბუთები და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

ე) ტექნიკური აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ დამოწმებული ბაჟი საცალო ვაჭრობის ობიექტის გეგმა და ტექნიკური ნახაზები;

ვ) ცნობა სახანძრო უსაფრთხოების პირობების დაცვის შესახებ.

5. უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის საქმიანობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია:

ა) ანარმოოს შენახული და რეალიზებული საქონლის აღრიცხვა;

ბ) განახორციელოს ყოველკვარტალური ანგარიშგება, რისთვისაც კვარტალის დამთავრებიდან არა უგვიანეს 15 დღისა ანგარიში წარუდგინოს საბაჟო ორგანოს უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტში შენახული და რეალიზებული საქონლის თაობაზე;

გ) განახორციელოს უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის საქმიანობის საგარანტიო უზრუნველყოფა სადაზღვევო პოლისით ან საბანკო გარანტიით, მისი საქმიანობის მთელი ვადის განმავლობაში;

დ) შეასრულოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

6. საბაჟო დეპარტამენტის მიერ განცხადების განხილვისა და უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის საქმიანობის ნებართვის გაცემის, მოქმედების შეჩერების, განახლებისა და გაუქმების წესი რეგულირდება ,,სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო სანებართვო მოწმობის ფორმა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. (26.08.2003 № 3052)

მუხლი 32. საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულება

საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულება ეკისრება უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის მესაკუთრეს ან მფლობელს.

თავი 8. საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე

მუხლი 33. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის არსი

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟი-

მი ნიშნავს უცხოური საქონლის გამოყენებას საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დადგენილი წესით გადასამუშავებლად, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად და გადამუშავების პროდუქტების ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებიდან გატანის პირობით. აღნიშნული რეჟიმი რეგულირდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე.

მუხლი 34. საქონლის გადამუშავების ოპერაციები

1. საქონლის გადამუშავების ოპერაციები მოიცავენ:

ა) საქონლის დამზადებას (დამუშავებას, გადამუშავებას), მათ შორის მონტაჟს, აწყობასა და სხვა საქონელზე მორგებას;

ბ) საქონლის შეკეთებას, კერძოდ, მის აღდგენასა და წესრიგში მოყვანას;

გ) იმ საქონლის გამოყენებას, რომელიც ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტების წარმოებას, თუნდაც ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხმარებოდეს გადამუშავების პროცესში.

2. საქონლის გადამუშავების ცალკეული ოპერაციების შეზღუდვები, ოპერაციების განხორციელების პირობები, მათ შორის სამამულო საქონლის გამოყენების შესაძლებლობები და წესი განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 35. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ნებართვა

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული საქონლის გადამუშავების ერთჯერადი ნებართვის საფუძველზე.

2. საქონლის გადამუშავების ნებართვა გაიცემა პირზე იმ პირობით, თუ:

ა) შესაძლებელია შემოტანილი საქონლის გადამუშავების პროდუქტების იდენტიფიკაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით;

ბ) საქონლის გადამუშავება იძლევა საქართველოს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენებისა და გადამუშავების პროდუქტის ექსპორტის საშუალებას;

გ) შესრულებულია საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხ-

ოვნები. (26.08.2003 №3052)

მუხლი 35[1]. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ნებართვის გაცემის წესი

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ნებართვის მისაღებად, პირი ვალდებულია მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს წერილობითი განცხადებით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს.

2. განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ სანოტარო ფორმით დამოწმებული მონაცემები;

ბ) საქართველოში გადასამუშავებლად განკუთვნილი საქონლის შემოტანის საფუძველი (ხელშეკრულება ან საქონელზე უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი);

გ) საქონლის გადამუშავების შედეგად მისაღები საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის საფუძველი (ხელშეკრულება, საქონლის გასხვისების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი);

დ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადასამუშავებლად შემოტანილ საქონელზე საიმპორტო საბაჟო გადასახდელების ეკვივალენტური თანხის გადახდის უზრუნველმყოფელი საბანკო გარანტია ან კანონით გათვალისწინებული გარანტიის სახით - საბაჟო გადასახდელების საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ანგარიშზე შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე გადასამუშავებლად შეტანილი და საწარმოს სათავსოში საბაჟო კონტროლის ქვეშ განთავსებული საქონლის ხელშეუხებლობის თაობაზე წერილობითი გარანტია, დღიდან მისი კონტროლზე აყვანისა, გადამუშავების პროცესში მის სრულ მოხმარებამდე ან სხვა საბაჟო რეჟიმში მოქცევამდე;

ვ) სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

ზ) საწარმოს წარმადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ განცხადების განხილვისა და საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ნებართვის გაცემის, მოქმედების შეჩერების,

ნებართვის გაუქმების წესი რეგულირდება „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო სანებართვო მოწმობის ფორმა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი უფლებამოსილია, საბაჟო ორგანოს მიერ ჩატარებული შემოწმების აქტისა და პირის არგუმენტირებული მოტივაციის საფუძველზე განიხილოს გადაუმუშავებელი საქონლის ნაშთზე საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობის საკითხი. აღნიშნულ შემთხვევაში საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ნებართვა გაიცემა საბაჟო კოდექსის 33-ე–37-ე მუხლებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

5. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ გადაუმუშავებელი საქონლის ნაშთი და გადამუშავების შედეგად მიღებული საქონელი (სასაქონლო პროდუქცია, ნარჩენები) უნდა მოექცეს სხვა საბაჟო რეჟიმში ნებართვის ვადის გასვლიდან ათი დღის ვადაში. (26.08.2003 № 3052)

მუხლი 36. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ვადა

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ვადა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ, მაგრამ არა უმეტეს ექვსი თვის ვადით.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს უფლება აქვს გასცეს შედარებით უფრო ხანგრძლივი მოქმედების ნებართვა, თუ ნებართვის მსურველი პირი დაამტკიცებს ასეთი ხანგრძლივობის აუცილებლობას გადამუშავების ტექნოლოგიური ციკლის სპეციფიკისა და სხვა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა (26.08.2003 №3052);

მუხლი 37. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის გამოსავლიანობა

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის სავალდებულო გამოსავლიანობის ნორმები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს მიერ ერთობლივად დადგენილი წესით.

თავი 9. საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ

მუხლი 38. საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის არსი

საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საბაჟო ტერიტორიაზე დადგენილი წესით უცხოური საქონლის საბაჟო კონტროლის ქვეშ გადასამუშავებლად გამოყენებას, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად და გადამუშავების პროდუქტების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) ან სხვა საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად.

მუხლი 39. საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების წესები

საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავება ხდება ამ კოდექსის 34-37 -ე მუხლების მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 40. საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების შეზღუდვა

1. საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებისა და საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესების დაცვისათვის თავის ასარიდებლად.

2. შემთხვევები, როცა საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენება დაუშვებელია, განისაზღვრება კანონმდებლობით.

თავი 10. საქონლის დროებითი შემოტანა და/ან გატანის საბაჟო რეჟიმი

მუხლი 41. საქონლის დროებითი შემოტანისა და/ან გატანის საბაჟო რეჟიმის არსი

1. საქონლის დროებითი შემოტანისა და/ან გატანის ის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანას ან მის ფარგლებს გარეთ გატანას განსაზღვრული ვადით, უკან დაბრუნების ვალდებულებით ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

2. დროებით შემოტანილი და/ან გატანილი საქონელი ექვემდებარება დაბრუნებას უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამონვეულია საქონლის ექსპლუატაციით,

ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგებით. (26.08.2003 №3028)

მუხლი 42. საქონლის დროებითი შემოტანისა და/ან გატანის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის პირობები

1. საქონლის დროებითი შემოტანა და/ან გატანა დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ წარმოდგენილი იქნება შემოტანის და-ან გატანის ვალდებულება.

2. იმ საქონლის ნუსხას, რომლის დროებითი შემოტანა და/ან გატანა აკრძალულია, ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (26.08.2003 №3028)

3. დროებითი შემოტანის და/ან გატანის საბაჟო რეჟიმში შესაძლებელია მოქცეულ იქნეს ნებისმიერი საქონელი (გარდა იმ საქონლისა, რომელიც ამ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დროებითი შემოტანის და/ან გატანის საბაჟო რეჟიმში არ დაიშვება).

4. დროებითი შემოტანისა და/ან გატანის საბაჟო რეჟიმში საბაჟო გადასახადების გადახდისაგან სრული განთავისუფლებით შესაძლებელია მოქცეულ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანისათვის განკუთვნილი, ქვემოთ ჩამოთვლილი საქონელი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილ საქონელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის ვადა):

ა) ნებისმიერი სახის ცოცხალი ცხოველები (მათ შორის, თევზები), რომლებიც შემოჰყავთ ქვემოთ ჩამოთვლილი მიზნებისათვის:

ა.ა) წვრთნა, ვარჯიში, მოშენება, აწონვა, ვეტერინარული დამუშავება, შემოწმება (შესყიდვის მიზნით და სხვა);

ა.ბ) წარმოდგენებში, გამოფენებში, კონკურსებში, შეჯიბრებებში ან ჩვენებებში მონაწილეობა;

ა.გ) გართობა (ცირკის ცხოველები და სხვა), მოგზაურობა (მოგზაურთა შინაური ცხოველების ჩათვლით);

ა.დ) სპეციალური სამუშაოების შესრულება (პოლიციისა და სხვა მიზნებისათვის);

ა.ე) სამაშველო ოპერაციების ჩატარება;

ა.ვ) ძოვება;

ა.ზ) სამუშაოების შესრულება ან ტრანსპორტირების განხორ-

ციელება;

ა.თ) სამედიცინო მიზნები (გველის შხამის მიღება და სხვა);

ბ) ბაზრობების, გამოფენების, სხვადასხვა სახის შეხვედრებისა და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საქონელი, გარდა ღონისძიებებზე წარმოდგენილი დასახარჯი (მოსახმარი, გასანადგურებელი) უცხოური საქონლის ნიმუშებისა (კვების პროდუქტები, ელექტროშედუღებისათვის განკუთვნილი ელექტროდები, საღებავი, ლაქი, შპალერი, ნაბეჭდი მასალები, კატალოგები, სარეკლამო პლაკატები, ფასების მაჩვენებლები და სხვა). ეს საქონელია:

ბ.ა) საქონელი, რომელიც განკუთვნილია იმპორტული დანადგარებისა და მოწყობილობების საჩვენებლად და გამოსაცდელად;

ბ.ბ) სამშენებლო და დეკორატიული მასალები (ელექტრომოწყობილობების ჩათვლით), რომლებიც აუცილებელია იმპორტული დანადგარებისა და მოწყობილობების საჩვენებლად და გამოსაცდელად;

ბ.გ) სარეკლამო-საჩვენებელი მასალა, რომელიც განკუთვნილია უცხოური საქონლის საჯარო დემონსტრაციისათვის (ხმისა და გამოსახულების ჩამწერი საშუალებები, ფილმები და სლაიდები, ასევე სხვა შესაბამისი მოწყობილობა);

გ) კინემატოგრაფიის, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემების განხორციელებისათვის საჭირო პროფესიონალური მოწყობილობები, რომლებიც ეკუთვნის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაარსებულ პირს, საქართველოში შემოტანილია და გამოიყენება ამავე პირის მიერ მხოლოდ პრესის, ხმოვანი და სატელევიზიო მოწყობილობებისათვის, რომლებიც საჭიროა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაარსებული პრესის, მაუწყებლობის ან სატელევიზიო ორგანიზაციის იმ წარმომადგენლობისათვის, რომელიც ამზადებს ან გადასცემს რეპორტაჟებს ან ინერს სპეციალურ პროგრამებს; კინემატოგრაფიული მიზნებისათვის განკუთვნილი პროფესიონალური მოწყობილობები, რომლებიც საჭიროა საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაარსებული იმ პირისათვის, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ახორციელებს ფილმის (ფილმების) გადაღებას (აღნიშნული პროცედურები არ ვრცელდება იმ პროფესიონალურ მოწყობილობებზე, რომლებიც საჭიროა იმავე მიზნებისათვის, როდესაც არსებობს ერთობლივი სამუშაო კონტრაქტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაარსებულ პირთან). ეს მოწყობილობებია:

გ.ა) პერსონალური კომპიუტერები, ტელეფაქსები, საბეჭდი მანქანები, ყველა სახის კამერები, ხმისა და გამოსახულების ჩამწერი საშუალებები, შესამოწმებელი და გასაზომი ინსტრუმენტები და აპარატურა (ოსილოგრაფები, ფირებისა და ვიდეოჩამწერების შესამოწმებელი სისტემები, მულტიმეტრები, ინსტრუმენტების ყუთები და ჩანთები, ვექტოროსკოპები, ვიდეოგენერატორები და ა.შ.), გასანათებელი დანადგარები, საოპერატორო ნაწილები (კასეტები, ექსპონომეტრები, ლინზები, კომპასები, აკუმულატორები, ბატარეები, ბატარეების დამმუხტველები, მონიტორები, საათები, მიკროფონები, ტრანსფორმატორები, ჰაერის გამაცხელებლები, საკონდიციონერო და სავენტილაციო დანადგარები და სხვა);

გ.ბ) ტელესაკომუნიკაციო დანადგარები, როგორიცაა მიმღებ-გადამცემები, მისაერთებელი ტერმინალები, სატელიტური დამაკავშირებლები, სიხშირის გამომსხივებელი აუდიო დანადგარები;

გ.გ) ტელეკინოაპარატურა, ხმისა და გამოსახულების ჩამწერი და სარეპროდუქციო აპარატურა, სამონტაჟო დანადგარები, მუსიკალური ინსტრუმენტები, დეკორაციები, ასაწევი მასალები, ჰაერის გამოსაშრობები;

გ.დ) სპეციალური სატრანსპორტო საშუალებები, როგორიცაა სატელევიზიო გადამცემი, ასევე ვიდეოჩამწერი, ხმის ჩამწერი, სარეპროდუქციო, ნელმავალი, გამანათებელი და სატელევიზიო დანადგარების ნაწილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები და სპეციალურად შექმნილი სხვა სატრანსპორტო საშუალებები;

დ) საქონელი, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს ან/და დაწესებულებებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცათ სტიქიური უბედურებების, ავარიისა და კატასტროფების შედეგების სალიკვიდაციოდ;

ე) სასწავლო დამხმარე საშუალებები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები და სამეცნიერო მოწყობილობები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ დამხმარე საშუალებათა შენახვის, შემოწმების, რემონტის ან დაყალიბებისათვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ე.ა) დროებით შემოტანილია დამტკიცებული დაწესებულების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის, არაუმეტეს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და გამოიყენება მხოლოდ ასეთი დაწესე-

ბულების მიერ, მისი ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით;

ე.ბ) არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ე.გ) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება ამ ტერიტორიის გარეთ დაარსებული პირის საკუთრებად;

ვ) სამეცნიერო სამედიცინო მოწყობილობები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ მოწყობილობათა შენახვის, შემოწმების, რემონტის ან დაყალიბებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო მიზნებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ვ.ა) დროებით შემოტანილია დამტკიცებული დაწესებულების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის, არა უმეტეს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და გამოიყენება მხოლოდ ასეთი დაწესებულების მიერ, მისი ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით;

ვ.ბ) არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ვ.გ) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება ამ ტერიტორიის გარეთ დაარსებული პირის საკუთრებად;

ზ) სამედიცინო, ქირურგიული და ლაბორატორიული მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია საავადმყოფოებისა და სხვა სახის სამედიცინო დაწესებულებებისათვის, დიაგნოსტიკური ან თერაპევტული მიზნებისათვის და გაგზავნილია განსაკუთრებული შემთხვევის საფუძველზე, უფასოდ;

თ) სატრანსპორტო საშუალებები, იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

თ.ა) რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე;

თ.ბ) რეგისტრირებულია პირზე, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე გადასაადგილებლად ამავე პირის მიერ;

ი) საქონელი დიპლომატიური, კულტურული, სამეცნიერო-კვლევითი, სპორტული, ტურისტული და გასართობი მიზნებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება ამ ტერიტორიის გარეთ დაარსებული პირის საკუთრებად;

კ) შესაფუთი მასალები, კერძოდ, სავსე ან ცარიელი ფუთები, რომლებიც გამიზნულია სავსე ან ცარიელი სახით დასაბრუნებლად. დროებით შემოტანილი ფუთები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც გათვალისწინებულია საქონლის ექსპორტი ქვეყნის საბაჟო ტერიტორიიდან.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილის მიზნებისათვის:

ა) ტერმინი ,,ღონისძიება" ნიშნავს:

ა.ა) სავაჭრო, სამრეწველო, სოფლის მეურნეობის ან კერამიკული ნაწარმის გამოფენას, ბაზრობას ან მსგავს საჩვენებელ გამოფენას;

ა.ბ) გამოფენას ან შეხვედრას, რომელიც ორგანიზებულია განათლების, ხელოვნების, სპორტის, მეცნიერების, კულტურის დონის ამაღლებისათვის;

ა.გ) სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ჯგუფების შეხვედრას;

ა.დ) ოფიციალური ან ღირსშესანიშნავი ხასიათის წარმომადგენლობით შეხვედრას, გარდა გამოფენებისა, რომლებიც ორგანიზებულია კერძო მიზნებისათვის, მაღაზიებსა და ბიზნეს-ცენტრებში საქონლის გასაყიდად;

ბ) ტერმინი ,,სასწავლო დამხმარე საშუალებები" ნიშნავს დამხმარე საშუალებებს, რომლებიც განკუთვნილია სასწავლო მიზნებისათვის ან პროფესიული წვრთნისათვის, როგორიცაა მოდელები, ინსტრუმენტები, აპარატები და ხელსაწყო მექანიზმები;

გ) ტერმინი ,,დამტკიცებული დანესებულება" ნიშნავს კერძო ან საჯარო სასწავლო ან პროფესიულ დანესებულებას, რომელიც არ ითვალისწინებს მოგების მიღებას და რეგისტრირებულია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელიც, როგორც სასწავლო დამხმარე საშუალებების მიმღები, გასცემს რწმუნებას დროებითი შემოტანის რეჟიმზე;

დ) ტერმინი ,,სამეცნიერო სამედიცინო მოწყობილობა" ნიშნავს ინსტრუმენტებს, აპარატებს და ხელსაწყო მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო მიზნებისათვის;

ე) ტერმინი ,,მოწყობილობის გაგზავნა განსაკუთრებული შემთხვევის საფუძველზე" ნიშნავს ნებისმიერი სამედიცინო, ქირურგიული ან ლაბორატორიული მოწყობილობის გაგზავნას ისეთი საავადმყოფოს ან სხვა სახის სამედიცინო დანესებულების მოთხოვნით, რომელსაც განსაკუთრებულად, აუცილებლად, სასწრაფოდ ესაჭიროება ასეთი მოწყობილობა;

ვ) ტერმინი ,,შესაფუთი მასალა" ნიშნავს:

ვ.ა) საქონლის გარეგანი ან შინაგანი შეფუთვისათვის გამოყენებულ ან გამოსაყენებელ კონტეინერებს;

ვ.ბ) საშუალებებს, რომლებითაც საქონელი არის ან იქნება შეხვეული, შეკრული, მიბმული ან მიმაგრებული. აღნიშნულ საშუალებებში არ იგულისხმება შესაფუთი მასალა, როგორიცაა ჩალა-ნამჯა, ქაღალდი, შუშაბამბა, ბურბუშელა და სხვა. (26.08.2003 №3028)

მუხლი 43. საქონლის დროებითი შემოტანისა და/ან გატანის ნებართვა

1. საქონლის დროებითი შემოტანისა და/ან გატანის რეჟიმში მოქცევას ახორციელებენ საბაჟო ორგანოები დადგენილი წესით. (26.08.2003 №3028)

2. საბაჟო ორგანოებს არა აქვთ უფლება გასცენ საქონლის დროებითი შემოტანისა და/ან გატანის ნებართვა, თუ შეუძლებელია მათი საიმედო იდენტიფიკაციის უზრუნველყოფა.

მუხლი 44. საქონლის დროებითი შემოტანისა და/ან გატანის ვადები

1. საქონლის დროებითი შემოტანისა და/ან გატანის ვადას ადგენს საქართველოს საბაჟო ორგანო ასეთი შემოტანისა და/ან გატანის მიზნებისა და გარემოებების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ვადის გაგრძელების უფლება საჭიროების შემთხვევაში აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს დადგენილი წესით. (26.08.2003 №3028)

მუხლი 45. საქონლის დროებით შემოტანისა და/ან გატანის დადგენილი ვადის გასვლის შედეგები

დადგენილი ვადის გასვლის დღეს დაუბრუნებელი, დროებით შემოტანილი და/ან გატანილი საქონელი უნდა მოექცეს სხვა საბაჟო რეჟიმში ან მოთავსდეს დროებით შესანახ საწყობში, რომლის მფლობელიც არის საბაჟო ორგანო.

მუხლი 46. დროებით გატანილი საქონლის დაუბრუნებლობა მისი განადგურების, დაკარგვის, დანაკლისის ან უცხო სახელმწიფოს ორგანოების ან თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების გამო

პირი, რომელმაც დროებით გაიტანა საქონელი და არ დააბრუნა დადგენილ ვადაში, პასუხს არ აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

დაუბრუნებლობა ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების ან დაკარგვის, ან/და უცხო სახელმწიფოს ორგანოების ან თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების შედეგია, რასაც დაადასტურებს საქართველოს შესაბამისი საკონსულო დაწესებულება. (26.08.2003 №3028)

თავი 11. თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება

მუხლი 47. თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსებისა და/ან გამოყენების საბაჟო რეჟიმის არსი

თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსებისა და/ან გამოყენების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის მოთავსებას და/ან გამოყენებას შესაბამის ტერიტორიულ საზღვრებში ან სათავსებში ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოუყენებლად, ხოლო სამამულო საქონლის მოთავსებასა და/ან გამოყენებას - ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისი პირობებით.

მუხლი 48. თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების შექმნა და მათში საქონლის განთავსებისა და/ან გამოყენების პირობები

თავისუფალი საბაჟო ზონების და თავისუფალი საწყობების შექმნა და მათში საქონლის განთავსებისა და/ან გამოყენების პირობები, აგრეთვე თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში მოქმედი საბაჟო რეჟიმები რეგულირდება კანონმდებლობით.

თავი 12. საქონლის გადამუშავება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ

მუხლი 49. საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმის არსი

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქართველოს საქონლის გატანასა და გამოყენებას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად მისი გადამუშავებისა და მიღებული პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების

მიზნით, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

მუხლი 50. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების ოპერაციები

1. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავებისას შეიძლება განხორციელდეს ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ოპერაციები.

2. საქონლის გადამუშავების ცალკეული ოპერაციები შეიძლება შეიზღუდოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 51. შემთხვევები, როდესაც არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი

საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმპორტისათვის საბაჟო გადასახდელების დაბრუნება ან გადასახდელებისაგან განთავისუფლება;

ბ) თუ საქონელი გატანამდე გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის საბაჟო გადასახდელებისაგან სრული განთავისუფლებით;

გ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 52. საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების ლიცენზია

1. ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება ხდება საბაჟო დეპარტამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ:

ა) გადამუშავების პროდუქტების საქართველოში შემოტანისას შესაძლებელია იმის დადგენა, რომ ისინი ნამდვილად მიღებულია გატანილი საქონლის გადამუშავების შედეგად;

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება არ აყენებს ზიანს საქართველოს ეკონომიკის ინტერესებს.

მუხლი 53. საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების ვადები

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონელი უნდა გადამუშავდეს საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადებში, რომლებიც

განისაზღვრება დადგენილი წესით. ვადების დადგენა უნდა ემყარებოდეს საქონლის გადამუშავების პროცესის ეკონომიკურად გამართლებულ ხანგრძლივობას.

მუხლი 54. საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის გამოსავლიანობა

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის სავალდებულო გამოსავლიანობა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ ერთობლივად დადგენილი წესით.

მუხლი 55. საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადასამუშავებლად გატანილი საქონლის დაბეგვრა

გადასამუშავებლად გატანილი საქონლის მიმართ საბაჟო გადასახდელები გამოიყენება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 56. საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გატანილი საქონლის გადამუშავებით მიღებული პროდუქტების შეცვლა უცხოური საქონლით

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გატანილი საქონლის გადამუშავებით მიღებული პროდუქტების შეცვლა უცხოური საქონლით დაიშვება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 57. საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადასამუშავებლად გატანილი საქონლის ან გადამუშავებით მიღებული პროდუქტების დაუბრუნებლობა მათი განადგურების, დაკარგვის, დანაკლისის, ან/და უცხო სახელმწიფოს ორგანოთა ან თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების შედეგად

პირს, რომელმაც გადაამუშავა საქონელი ამ კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად და არ დააბრუნა საქონელი ან დადგენილ ვადაში არ შემოიტანა გადამუშავებით მიღებული პროდუქტები, არ ეკისრება პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად საქონლის ან გადამუშავებით მიღებული პროდუქტების განადგურების, დაკარგვის, ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგების გამო დანაკლისის ან უცხო სახელმწიფო ორგანოებისა თუ თანამდებობის პირთა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არამართლზომიერი მოქმედების გამო,

ამ ფაქტს დაადასტურებენ საქართველოს შესაბამისი საკონსულო დანესებულებები.

თავი 13. საქონლის ექსპორტი

მუხლი 58. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის არსი

საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქონლის გატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ მისი ამავე ტერიტორიაზე შემოტანის ვალდებულების გარეშე.

მუხლი 59. მოთხოვნები საქონლის ექსპორტისადმი

საქონლის ექსპორტი ხორციელდება კანონმდებლობისა და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა დაცვით.

მუხლი 60. საქონლის გაშვება ექსპორტის საბაჟო რეჟიმით

ექსპორტის საბაჟო რეჟიმით საქონლის გაშვებისას საქონელი საბაჟო ტერიტორიის გარეთ გაიტანება იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო საბაჟო ორგანოებისათვის საბაჟო დეკლარაციის წარდგენის დღეს, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამონვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგებით.

თავი 14. საქონლის რეექსპორტი

მუხლი 61. საქონლის რეექსპორტის საბაჟო რეჟიმის არსი

1. საქონლის რეექსპორტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის გატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

2. საქონლის რეექსპორტი დაიშვება საბაჟო ორგანოს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. (26.08.2003 №3052)

მუხლი 62. საქონლის რეექსპორტის პირობები

1. საქონელი, რომლის შემოტანაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას განცხადებულ იქნა რეექსპორტისათვის, გატანილ უნდა იქნეს ამ ტერიტორიიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა მასზე საბაჟო დეკლარაციის მიღების დღიდან. დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში საქონელი განიხილება იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეულად.

2. რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას უნდა იყოს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო შემოტანის მომენტში, გარდა საქონლის მდგომარეობის იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი

ცვეთით, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში ბუნებრივი დანაკარგებით.

თავი 15. საქონლის განადგურება

მუხლი 63. საქონლის განადგურების საბაჟო რეჟიმის არსი

1. საქონლის განადგურების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის განადგურებას საბაჟოს კონტროლით, მათ შორის მის გამოსაყენებლად უვარგის მდგომარეობაში მოყვანას საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

2. საქონლის განადგურების ნებართვას იძლევა საბაჟო ორგანო შესაბამისი დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 64. საქონლის განადგურების ხარჯები

საქონელს ანადგურებს მესაკუთრე ან მფლობელი საკუთარი სახსრებით. ასეთი განადგურება არ უნდა ინვევდეს სახელმწიფოს მხრივ რაიმე ხარჯებს.

მუხლი 65. საქონლის განადგურების შედეგად წარმოშობილი ნარჩენები

საქონლის განადგურების შედეგად წარმოშობილი ნარჩენები უნდა მოექცეს შესაბამის საბაჟო რეჟიმში, როგორც საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული უცხოური საქონელი.

თავი 16. სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა

მუხლი 66. სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო რეჟიმის არსი

1. სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს პირის მიერ საქონელზე მესაკუთრის ან მფლობელის უფლებებზე უარის თქმას, მის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

2. სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა ამ თავის დებულებათა შესაბამისად დაიშვება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 67. სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმასთან დაკავშირებული ხარჯები

სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმა არ ინვევს სახელმწიფოს მხრივ რაიმე ხარჯებს.

თავი 17. სატრანსპორტო საშუალებებითა და ცალკეული სახეობის საქონლით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა

მუხლი 68. სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა

1. სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ხდება სატრანსპორტო საშუალებების მიმართ გამოყენებული საბაჟო რეჟიმების მიხედვით.

2. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც საბაჟო საზღვარს გადაკვეთენ როგორც საქონელი, განლაგდებიან საბაჟო ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საბაჟო ორგანოები ახორციელებენ სატრანსპორტო საშუალებათა იძულებითი გაჩერების ღონისძიებებს.

3. სატრანსპორტო საშუალებების დგომის ხანგრძლივობას განსაზღვრავს საბაჟო ორგანო გადამზიდველთან ერთად, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმების განხორციელებისათვის აუცილებელი დროის გათვალისწინებით.

4. სატრანსპორტო საშუალებების გასვლა სადგომებიდან ხდება საბაჟო ორგანოების ნებართვით.

5. სატრანსპორტო საშუალებით საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროსა და ადგილს გადამზიდველი უთანხმებს შესაბამის საბაჟო ორგანოს, ამ კოდექსის მე-10 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 69. სახელმწიფოს საკუთრებად მიქცევა და განკარგვა

1. სამართალდარღვევის ობიექტი და სამართალდარღვევის ჩადენის საშუალებები, აგრეთვე უპატრონო და ის საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, რომლებზედაც უარი ითქვა სახელმწიფოს სასარგებლოდ, მიიქცევა სახელმწიფოს საკუთრებად.

2. სახელმწიფოს საკუთრებად საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიქცევისა და განკარგვის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

მუხლი 70. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქართველოს ვალუტის, ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტისა და სხვა სავალუტო ფასეულობათა გადატანა

საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქართველოს ვალუტის, ფა-

სიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტისა და სხვა სავალუტო ფასეულობათა გადატანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

კარი III
საბაჟო გადასახდელები
თავი 18. საბაჟო გადასახდელების სახეები

მუხლი 71. საბაჟო გადასახდელები

1. საქონლისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლიდან მოხსნისას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში გადაიხდევინება გადასახდელები - გადასახადები და მოსაკრებლები.

2. გადასახადებია:

ა) საბაჟო;

ბ) დამატებული ღირებულებისა;

გ) აქციზი.

3. საბაჟო მოსაკრებლებია:

ა) საბაჟო პროცედურებისათვის;

ბ) ლიცენზიების გაცემისათვის.

მუხლი 72. გადასახადები საბაჟოში

საბაჟო კონტროლიდან მოხსნისას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში საქონელი ექვემდებარება საბაჟო, დამატებული ღირებულებისა და აქციზის გადასახადებით დაბეგვრას საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საბაჟო გადასახადის შესახებ კანონის მიხედვით.

მუხლი 73. საბაჟო მოსაკრებლები

საბაჟო კონტროლიდან საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების (საქონლის სახით გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) მოხსნისას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, აგრეთვე საერთაშორისო საფოსტო გზავნილების საბაჟო პროცედურების გაფორმებისათვის პირები იხდიან სათანადო მოსაკრებლებს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

მუხლი 74. საბაჟო გადასახდელების გადახდა და იძულებით გადახდევინება

1. საბაჟო გადასახდელების გადახდა ხდება საქონლის საბაჟო გაფორმების დამთავრებამდე კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან,

საბაჟო გაფორმების დამთავრებამდე გადამხდელის მიერ გადასახდელების გადახდილი თანხა შემოსავლების შესაბამის საბიუჯეტო ანგარიშებზე გადაიტანება მხოლოდ საქონლის დეკლარირებისა და საბაჟო გაფორმების დამთავრების შემდეგ. (28.03.2003 №2020)

2. თუ საბაჟო გადასახდელის გადამხდელმა განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხადა დადგენილი საბაჟო გადასახდელი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი და მისი შესაბამისი საბაჟო ორგანოები აღნიშნული გადასახდელის იძულებით გადახდევინებას ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 42-ე თავით საგადასახადო ორგანოებისათვის დადგენილი წესით. (26.08.2003 №2998)

3. ამოღებულია (26.08.2003 №2998)

4. საბაჟო გადასახდელების გადახდისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ როგორც საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრესა და მფლობელს, ასევე მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებსა და გადამზიდველს.

მუხლი 75. საბაჟო გადასახდელების ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება

1. ზედმეტად გადახდილი საბაჟო გადასახდელების თანხა უბრუნდება გადამხდელს 30 დღის განმავლობაში განცხადების მიღების დღიდან სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით. ან ჩაეთვლება გადასახდელების გადამხდელს საბაჟო გადასახდელების გადახდის ანგარიშში. (25.05.2001 №891)

2. საბაჟო გადასახდელების უკან დაბრუნებისას მათზე დაირიცხება პროცენტი საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი წესით.

3. ზედმეტად გადახდილი საბაჟო გადასახდელების ჩათვლა (გადატანა) სხვა გადამხდელების საბაჟო გადასახდელების ვალდებულებათა დაფარვის ანგარიშში დაუშვებელია. (28.03.2003 №2020)

ᲙᲐᲠᲘ IV
ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐ
ᲗᲐᲕᲘ 19. ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘ

მუხლი 76. საბაჟო გაფორმება

საბაჟო გაფორმება არის გარკვეული საბაჟო პროცედურების

ჩატარება საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების შესაბამის საბაჟო რეჟიმში მოქცევა და ამ რეჟიმის დამთავრების მიზნით, ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 77 . საბაჟო გაფორმების დრო და ადგილი

1.საბაჟო გაფორმება, როგორც წესი, წარმოებს საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს მიერ განსაზღვრულ დროსა და ადგილას - საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც იმყოფებიან საქონლის გამგზავნი, მიმღები ან მათი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

2. დაინტერესებული პირის თხოვნით, მისი ხარჯითა და საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით საბაჟო გაფორმება შეიძლება განხორციელდეს განცხადებაში მითითებულ ადგილზე და/ან საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროსაც.

3. საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს უფლება აქვს დაადგინოს, რომ ცალკეული კატეგორიის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება განახორციელონ მხოლოდ განსაზღვრულმა საბაჟო ორგანოებმა.

მუხლი 78. საბაჟო გაფორმების ენა

საბაჟო გაფორმება წარმოებს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, აგრეთვე, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ენაზედაც.

მუხლი 79. საბაჟო გაფორმებისას უფლებამოსილ პირთა და მათ წარმომადგენელთა დასწრება

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ უფლებამოსილ პირებსა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, საბაჟო ორგანოს მოთხოვნით კი - ვალდებულნი არიან დაესწრონ საბაჟო გაფორმებას.

მუხლი 80. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო სატვირთო და სხვა ოპერაციები

1. საბაჟო ორგანოს მოთხოვნით საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლით გადაკვეთის მომენტისათვის, ამ საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განახორციელოს საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ოპერაციები: საქონლის ტრანსპორტირება, რაოდენობის განსაზღვრა, საქონლის გადაზიდვამდე მისი რაოდენობის, ხარისხისა და ღირებულების სავალდებულო ინსპექტირების უზრუნველყოფა, დატვირთვა, გად-

მოტვირთვა, გადატვირთვა, დაზიანებული შეფუთვის შეკეთება, საფუთავის გახსნა, შეფუთვა ან ხელახალი შეფუთვა. საწყობის მფლობელი ასევე ვალდებულია გააღოს სათავსები, საცავები და სხვა ადგილები, სადაც შეიძლება იყოს მოთავსებული საბაჟო გაფორმებას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები.

2. საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ოპერაციები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოს ნებართვით.

3. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული სატვირთო და სხვა ოპერაციები ხორციელდება მესაკუთრის ხარჯით და მათ არ უნდა გამოიწვიონ ამ მიზნით სახელმწიფოს მხრივ რაიმე ხარჯი.

მუხლი 81. საბაჟო გაფორმების პრიორიტეტული წესები

1. მალფუჭებადი საქონლის, ცხოველების, მასობრივი ინფორმაციის შემცველი საქონლის, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მისამართზე გაგზავნილი, აგრეთვე სტიქიური უბედურებების, ავარიების, კატასტროფების დროს საბაჟო ტერიტორიაზე საჭირო საქონლის შემოტანისა და ამ ტერიტორიიდან გატანის დროს მათი საბაჟო გაფორმება ხდება გამარტივებული და პრიორიტეტული წესით.

2. საბაჟო გაფორმების პრიორიტეტული წესის გამოყენების შემთხვევები და პირობები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 82. იმ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება და/ან განკარგვა, რომელთა მიმართაც საბაჟო გაფორმება არ დამთავრებულა

დაუშვებელია იმ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება და/ან განკარგვა, რომელთა მიმართაც საბაჟო გაფორმება არ არის დამთავრებული, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თავი 20. დეკლარირება

მუხლი 83. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება

საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, აგრეთვე საბაჟო რეჟიმის შეცვ-

ლისას საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება საბაჟო ორგანოში დეკლარირებ·'

მუხლი 84. დეკლარირების ფორმა

1. დეკლარირება ხდება დადგენილი ფორმის (წერილობითი, ზეპირი მონაცემების ელექტრონული გადაცემის გზით) განცხადებით, რომელიც შეიცავს ზუსტ ცნობებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების, მათი საბაჟო რეჟიმის შესახებ და საბაჟო მიზნებისათვის საჭირო სხვა ცნობებს.

2. დეკლარირების ფორმა და წესი, აგრეთვე საბაჟო მიზნებისათვის საჭირო ცნობების ნუსხა განისაზღვრება დადგენილი წესით.

მუხლი 85. დეკლარირების ადგილი

1. საქონლის დეკლარირება ხდება საბაჟო ორგანოში, სადაც წარმოებს საქონლის საბაჟო გაფორმება.

2. სატრანსპორტო საშუალებები, რომლებითაც საქონელი გადაადგილდ, ექვემდებარება დეკლარირებას საქონელთან ერთად, გარდა ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. საზღვაო და საჰაერო ხომალდების დეკლარირება ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დანიშნულების ნავსადგურში ან აეროპორტში ჩასვლისას, აგრეთვე საბაჟო ტერიტორიის ნავსადგურში ან აეროპორტში, საიდანაც ისინი გადიან.

4. ცარიელი და მგზავრების გადამყვანი სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება ხდება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას.

მუხლი 86. საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ვადები

1.საბაჟო სატვირთო დეკლარაციის წარდგენა ხდება საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში. ეს ვადები არ უნდა აღემატებოდეს 2 დღეს საქონლისა და მისი გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო ორგანოებისათვის წარდგენის დღიდან (გარდა 23-ე თავით გათვალისწინებული შემთხვევებისა). (25.05.2001 №891).

2. საბაჟო საზღვრის გავლით ფიზიკური პირების მიერ ხელბარგითა და ბარგით საქონლის გადაადგილებისას საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საქონელთან ერთად.

3. ცარიელი და მგზავრების გადამყვანი სატრანსპორტო საშუალებები საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შესვლისას დეკლარ-

ირდება არა უგვიანეს სამი საათისა საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტიდან, ხოლო გასვლისას - არა უგვიანეს სამი საათისა საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე.

4. აღნიშნული ვადები შეიძლება გახანგრძლივდეს დადგენილი წესით.

მუხლი 87. დეკლარანტი

1.დეკლარანტი შეიძლება იყოს საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალებების მფლობელი ან საბაჟო ბროკერი (25.05.2001 №891).

2. დეკლარანტი ასრულებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ მოვალეობებს და მას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 88. დეკლარანტის უფლება-მოვალეობანი

1. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირებისას დეკლარანტი ვალდებულია:

ა) მოახდინოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება ამ კოდექსით გათვალისწინებული წესის მიხედვით;

ბ) საბაჟო ორგანოს მოთხოვნით წარადგინოს საჭირო საბუთები და ცნობები;

გ) უზრუნველყოს საბაჟო გადასახდელების გადახდა; (25.05.2001 №891)

დ) ხელი შეუწყოს საბაჟო ორგანოებს საბაჟო გაფორმებაში, მათ შორის საჭირო სატვირთო და სხვა ოპერაციების შესრულების გზით.

2. ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებების გარდა, საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე დეკლარანტს უფლება აქვს საბაჟო კონტროლის ქვეშ დაათვალიეროს საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე საბაჟო ორგანოს ნებართვით აიღოს საქონლის სინჯები და ნიმუშები. საქონლის სინჯებსა და ნიმუშებზე ცალკე საბაჟო დეკლარაცია არ შეივსება.

მუხლი 89. საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო საბუთები და ცნობები

1. საბაჟო ორგანოს საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარედგინება საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო საბუთები, მათი ელექტრონული ასლები (ელექტრონული საბუთები), ელექტრონული პასპორტი, საქონლის გადაზიდვამდე მასზე ჩატარებული ინსპექტირებისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საქონლის უსა-

ფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები. (26.08.2003 №2998)

2. აღნიშნული საბუთებისა და ცნობების და გადაზიდვამდე ინსპექტირებას დაუქვემდებარებელი საქონლის ნუსხა განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 90. საბაჟო დეკლარაციის მიღება

1. წარმოდგენილ საბაჟო დეკლარაციას იღებს საბაჟო ორგანო და ახდენს მის რეგისტრაციას დადგენილი წესით.

2. საბაჟო დეკლარაცია რეგისტრაციის მომენტიდან იქცევა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელ საბუთად.

3. საბაჟო ორგანოს არა აქვს უფლება უარი თქვას საბაჟო დეკლარაციის მიღებაზე.

მუხლი 91. საბაჟო დეკლარაციის შეცვლა, შევსება ან გამოთხოვა

1. საბაჟო ორგანოს ნებართვით შეიძლება საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნული მონაცემების შეცვლა, შევსება ან წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის გამოთხოვა.

2. საბაჟო დეკლარაციის შეცვლა, შევსება ან გამოთხოვა შეიძლება მხოლოდ:

ა) საბაჟო დეკლარაციის შემოწმების დაწყებამდე;

ბ) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დათვალიერებამდე და/ან საბაჟო შემოწმებამდე;

გ) საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნული მონაცემების უტყუარობის დადგენამდე.

3. საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთ არა აქვთ უფლება შეავსონ საბაჟო დეკლარაცია, შეცვალონ ან შეიტანონ მონაცემები, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებიც საბაჟო ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება, აგრეთვე შეცვალონ ან შეავსონ კოდირებული მონაცემები, რომლებიც მანქანური დამუშავებისათვის გამოიყენება, თუ ასეთი მონაცემები არაკოდირებული სახით არის საბაჟო დეკლარაციაში.

მუხლი 92. დროებითი ან არასრული საბაჟო დეკლარაცია

თუ დეკლარანტს განსაკუთრებულ მიზეზთა გამო არ შეუძლია სრული საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, საბაჟო ორგანოს დადგენილი წესით უფლება აქვს დართოს ნება დროებითი ან არასრული საბაჟო დეკლარაციის წარდგენაზე იმ პირობით, თუ დროებით ან

არასრულ დეკლარაციაში შეტანილი იქნება ძირითადი მონაცემები, რომლებიც საჭიროა საბაჟო მიზნებისათვის, ხოლო იმ მონაცემებს, რომლებიც აკლია, წარმოადგენენ საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში.

მუხლი 93. პერიოდული საბაჟო დეკლარაცია

1. ერთი და იმავე პირის მიერ ერთი და იმავე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების რეგულარულად გადაადგილებისას საბაჟო ორგანოს შეუძლია მას დართოს ნება, რომ მთელ იმ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც საბაჟო საზღვრის გავლით გარკვეული პერიოდის განმავლობაში გადაადგილდება, წარდგენილ იქნეს ერთი საბაჟო დეკლარაცია.

2. პერიოდული საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევები და წესი განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 94. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირების გამარტივებული წესი

საბაჟო დეპარტამენტს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად უფლება აქვს ნება დართოს დეკლარანტს განახორციელოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება გამარტივებული წესით.

მუხლი 95. საბაჟო დეკლარაციების სახეები

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებისათვის გამოიყენება შემდეგი სახის დეკლარაციები:

ა) სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია;

ბ) ფიზიკური პირის დეკლარაცია;

გ) საფოსტო გზავნილების დეკლარაცია;

დ) სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

მუხლი 96. სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის მიმართ საბაჟო პროცედურების ჩატარების მიზნით დეკლარანტი საბაჟო ორგანოს წარუდგენს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციას.

მუხლი 97. ფიზიკური პირის დეკლარაცია

ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს დეკლარირების ქვემდებარე პირადი საგნები, ვალუტა და ფასიანი ქაღალდები, ავსებს და საბაჟო ორგანოს წარუდგენს ფიზიკური პირის დეკლარაციას.

მუხლი 98. საფოსტო გზავნილების დეკლარაცია

საქართველოდან საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაგ-

ზავნისას გამგზავნი ავსებს დეკლარაციას გასაგზავნ საქონელზე.

მუხლი 98[1]. სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია

სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გამოყენების წესი და პირობები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით (24.03.2000 №240 საკანონმდებლო მაცნე).

თავი 21. საბაჟო გაფორმების პროცედურები

მუხლი 99. საბაჟო გაფორმების პროცედურების სახეები

საბაჟო დეკლარაციის მიღებისა და საბაჟო ორგანოების მიერ მისი შემოწმების შემდეგ ხორციელდება საბაჟო გაფორმების შემდეგი პროცედურები:

ა) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენა, მათი დათვალიერება და საბაჟო შემოწმება;

ბ) საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება;

გ) საქონლის გადაზიდვამდე ჩატარებული ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება;

დ) გადასახდელების გამოანგარიშება და გადახდევინება;

ე) საბაჟოსათვის გარანტიების წარდგენა;

ვ) საქონლის გაშვება.

მუხლი 100. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დათვალიერება და შემოწმება

1. საბაჟო ორგანოები ახორციელებენ საქონლის საბაჟო დათვალიერებას, ამოწმებენ საქონლის დასახელების, წარმოშობის, მდგომარეობის, რაოდენობის ღირებულების შესაბამისობას წარმოდგენილი დეკლარაციის მონაცემებთან.

2. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელ პირს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს საქონლის საბაჟო დათვალიერებასა და შემოწმებას.

3. საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ შეამოწმონ საბაჟო ტერიტორიაზე შემოსული, საბაჟო ტერიტორიაზე არსებული და ტერიტორიიდან გამსვლელი სატრანსპორტო საშუალებანი, აგრეთვე მოახდინონ მათი საბაჟო დათვალიერება.

მუხლი 101. ფიზიკური პირის ნივთების საბაჟო დათვალიერება

1. ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას და საბაჟო კონტროლის ზონაში ყოფნისას საბაჟო ორგანოს მუშაკს უფლება აქვს მოსთხოვოს მას პირადი ნივთების წარდ-

გენა საბაჟო დათვალიერებისათვის და დაათვალიეროს ისინი. შესამოწმებელი ფიზიკური პირი ვალდებულია საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირს დაეხმაროს თავისი ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებაში, გახსნას თავისი ბარგი მისი მითითებით.

2. ფიზიკური პირის ნივთების საბაჟო დათვალიერება ხორციელდება მფლობელის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით. თუ საგნების მფლობელი არ იქნება დადგენილი, ან თუ იგი უარს აცხადებს საბაჟო დათვალიერებაზე დასასწრებად, პირადი ნივთები შეიძლება დათვალიერებულ იქნეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 102. საბაჟო გაფორმების მიზნით საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება

1. საბაჟო გაფორმების მიზნით საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ აიღონ საქონლის სინჯები და ნიმუშები და ჩაატარონ მათი გამოკვლევა (ექსპერტიზა).

2. საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის სინჯები და ნიმუშები, კონტროლის განხორციელების მიზნით საბაჟო ორგანოს ნებართვით შეუძლიათ აიღონ აგრეთვე საქონლის მფლობელებმა ან მათმა წარმომადგენლებმა და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

3. სინჯებსა და ნიმუშებს იღებენ იმ მინიმალური ოდენობით, რაც საკმარისია მათ გამოსაკვლევად.

4. სინჯებისა და ნიმუშების აღების შესახებ დგება ოქმი დადგენილი წესით.

5. საქონლის მესაკუთრეს, მფლობელსა და სხვა უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ დაესწრონ საბაჟო ორგანოებისა და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ სინჯებისა და ნიმუშების აღებას. საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ესწრებიან სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოების, აგრეთვე საქონლის მესაკუთრის, მფლობელისა და სხვა უფლებამოსილი პირების მიერ სინჯებისა და ნიმუშების აღებას. აღნიშნული პირები და მათი წარმომადგენლები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებს საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღებაში, კერძოდ, თავიანთ ხარჯზე განახორციელონ სატვირთო და სხვა ოპერაციები, რომლებიც საჭიროა

სინჯებისა და ნიმუშების ასაღებად.

6. საქონლის მესაკუთრეთა, მფლობელთა და სხვა უფლებამოსილ პირთა დაუსწრებლად საქონლის სინჯები და ნიმუშები საბაჟო ორგანოებმა შეიძლება აიღონ საქონლის წარდგენიდან ათი დღის განმავლობაში; სხვა გადაუდებელი გარემოებების დროს სინჯებისა და ნიმუშების აღებას ესწრება ორი მოწმე, რომლებიც არ არიან დაინტერესებული გამოკვლევის შედეგებით.

7. საქონლის მესაკუთრეს, მფლობელსა და სხვა უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ საქონლის სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევის შედეგებს. სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოების მიერ აღებული საქონლის სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევის შედეგები უნდა ეცნობოს საბაჟო ორგანოებს.

8. საბაჟო ორგანოები არ უნაზღაურებენ საქონლის მესაკუთრეს იმ ზიანს, რომელიც დაკავშირებულია სინჯებისა და ნიმუშების აღებასთან. სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევისას საბაჟო ორგანოებისა და საბაჟო ლაბორატორიების ხარჯებს საქონლის მესაკუთრე არ აანაზღაურებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი გამოკვლევა ეწყობა აღნიშნული პირის ინიციატივით.

9. საქონლის სინჯისა და ნიმუშების აღება მათი გამოკვლევის მიზნით ხდება დადგენილი წესით.

მუხლი 103. გადასახდელების გამოანგარიშება და გადახდევინება

გადასახდელების გამოანგარიშება და გადახდევინება რეგულირდება კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 104. საბაჟო გარანტიები (გირაო)

კანონმდებლობით დადგენილი წესით სხვადასხვა საბაჟო რეჟიმით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გაფორმებისას საბაჟო ორგანო იტოვებს საბანკო გარანტიას ან შესაბამისი ღირებულების საქონელს გარანტის სახით (გირაო), რომლის დაბრუნებაც ხდება საბაჟო რეჟიმების ფაქტობრივი განხორციელებიდან 15 დღის განმავლობაში.

მუხლი 105. საქონლის გაშვება

საბაჟო გაფორმება მთავრდება საქონლის გაშვებით, რის შემდეგაც საქონელი გადადის მფლობელის სრულ განკარგულებაში.

მუხლი 106. საფოსტო გზავნილების საბაჟო გაფორმება

საბაჟო დათვალიერება საფოსტო გზავნილებისა, რომლებშიც მოთავსებულია უცხო სახელმწიფოდან შემოსული საქონელი, ხდე-

ბა კავშირგაბმულობის სანარმოებში გზავნილის მიმღებისათვის გადაცემამდე. უცხო სახელმწიფოში გასაგზავნი საფოსტო გზავნილების საბაჟო დათვალიერება ხდება კავშირგაბმულობის სანარმოებში მიღების შემდეგ ან მიღებისას.

თავი 22. წინასწარი ოპერაციები

მუხლი 107. წინასწარი ოპერაციების არსი და დანიშნულება

1. წინასწარ ოპერაციებს განეკუთვნება ყველა ქმედება, რომელიც წინ უსწრებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაფორმებას.

2. წინასწარმა ოპერაციებმა უნდა გააიოლოს და დააჩქაროს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება.

3. წინასწარი ოპერაციების დროს საბაჟო ორგანოები ახორციელებენ წინასწარ საბაჟო მომსახურებას.

მუხლი 108. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების შემოტანის ან ამ ტერიტორიიდან გატანის შესახებ წინასწარ შეტყობინება საბაჟო ორგანოებისათვის

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანის ან ამ ტერიტორიიდან გატანის დროს მესაკუთრეს ან მის უფლებამოსილ პირს აქვს უფლება საბაჟო ორგანოს წინასწარ შეატყობინოს საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის შესახებ.

2. საბაჟო ორგანო ვალდებულია აღრიცხოს შეტყობინება და, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დანიშნოს დრო და ადგილი, სადაც უნდა მიიტანონ საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო გაფორმებისათვის.

მუხლი 109. საქონლის, სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი დოკუმენტაციის მიტანა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილას

1. ამ კოდექსის 108-ე მუხლში აღნიშნული შეტყობინების შემდეგ მესაკუთრე ან მისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია საქონელი, სატრანსპორტო საშუალებები და მათი საბუთები საქონლის მდგომარეობის რაიმე ცვლილებების გარეშე (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამონვეულია ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში კლებით) და რაიმე სხვა მიზნით გამოყენების გარეშე, დადგენილი მარშრუტით მიიტანოს საბაჟო ორგანოს მიერ

განსაზღვრულ ადგილას და იმყოფებოდეს იქ მიტანის შემდეგ.

2. საქონელი, სატრანსპორტო საშუალებები და მათი დოკუმენტაცია საბაჟო ორგანომ უნდა მიიტანოს დადგენილ ვადებში, მიტანის ჩვეულებრივი ვადების შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალებების შესაძლებლობის, დადგენილი მარშრუტისა და გადაზიდვის სხვა პირობების გათვალისწინებით, მაგრამ ეს ვადები არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ ვადას, რომელიც განისაზღვრება დღეში ას კილომეტრზე გაანგარიშებით.

მუხლი 110. პასუხისმგებლობა წინასწარი ოპერაციების დროს

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გარკვეულ საბაჟო რეჟიმში მოქცევამდე პასუხისმგებლობა ამ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის, მათ შორის საბაჟო გადასახდელების გადახდისათვის, ეკისრება მესაკუთრეს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს.

თავი 23. დროებითი შენახვა

მუხლი 111. დროებითი შენახვის არსი

საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო ორგანოსათვის წარდგენის მომენტიდან და მათ გაშვებამდე, ან არსებული საბაჟო რეჟიმის შესაბამისად პირის განკარგულებაში გადაცემამდე დროებით ინახება საბაჟო კონტროლის ქვეშ.

მუხლი 112. დროებითი შენახვის ადგილები და ვადები

1. დროებითი შენახვა ხდება სპეციალურად გამოყოფილ და მოწყობილ სათავსებში ან სხვა ადგილებში (დროებით შესანახ საწყობებში), რომლებზედაც ვრცელდება ამ კოდექსის მე-6 თავით განსაზღვრული პირობები და მოთხოვნები.

2. დროებითი შენახვის ვადებს ადგენენ საბაჟო ორგანოები, საბაჟო დეკლარაციის წარსადგენად საჭირო დროის, საქონლისა და გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების ხასიათის გათვალისწინებით.

3. დროებითი შენახვის საწყობში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შენახვის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს. საბაჟო დეპარტამენტს შეუძლია დაადგინოს ცალკეული კატეგორიის საქონლის შენახვის უფრო ხანგრძლივი ვადები, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა.

თავი 24. საბაჟო ბროკერი

მუხლი 113. საბაჟო ბროკერი

1. საბაჟო ბროკერი (შუამავალი) არის ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო, რომელსაც აქვს საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული ლიცენზია საბაჟო ბროკერის საქმიანობის განსახორციელებლად.

2. საბაჟო ბროკერი თავის საქმიანობას ახორციელებს ამ კოდექსისა და შესაბამისი დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (10.05.2002 №1399)

3. საბაჟო ბროკერის მარწმუნებელთა ურთიერთობას საფუძვლად უდევს წერილობითი ხელშეკრულება.

მუხლი 114. საბაჟო ბროკერის საქმიანობის ლიცენზია

1. საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ოპერაციების განხორციელების უფლება აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ ლიცენზირებულ საბაჟო ბროკერს.

2. საბაჟო ბროკერის საქმიანობაზე ლიცენზიის მისაღებად საწარმო ვალდებულია მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს წერილობითი განცხადებით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს.

3. განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) სამეწარმეო რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის შესახებ სანოტარო ფორმით დამოწმებული მონაცემები;

ბ) საბაჟო ბროკერის საქმიანობის საგარანტიო უზრუნველყოფა სადაზღვევო პოლისით ან საბანკო გარანტიით.

ამასთან, საგარანტიო ან სადაზღვევო თანხა არ უნდა იყოს 50 000 ლარზე ნაკლები;

გ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

დ) საწარმოს მიერ გაცემული ცნობა საბაჟო ბროკერის საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

4. დეპარტამენტის მიერ განცხადების განხილვისა და საბაჟო ბროკერის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის, მოქმედების შეჩერების, განახლებისა და გაუქმების საკითხები რეგულირდება ,,სამე-

წარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო სალიცენზიო მოწმობის ფორმა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

5. საბაჟო ბროკერის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ა) შექმნას პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ოპერაციების განხორციელებას;

ბ) აწარმოოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ განხორციელებული ოპერაციების ან ნებისმიერი საშუამავლო ფუნქციის შესრულების აღრიცხვის ჟურნალი, მარწმუნებელ პირთან დადებული ხელშეკრულებების რეესტრი და ისინი მოთხოვნისთანავე წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს;

გ) უზრუნველყოს საბაჟო ბროკერის პასუხისმგებლობა სადაზღვევო პოლისით ან საბანკო გარანტიით, აღნიშნული საქმიანობის მთელი ვადის განმავლობაში;

დ) განახორციელოს ყოველკვარტალური ანგარიშგება, რისთვისაც კვარტალის დამთავრებიდან არა უგვიანეს 15 დღისა ანგარიში წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს საანგარიშო პერიოდში წარმოებული ყველა ოპერაციისა და მარწმუნებელ პირთან დადებული ხელშეკრულებების თაობაზე;

ე) შეასრულოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები (26.08.2003 № 3052).

მუხლი 115. საბაჟო ბროკერის უფლება-მოვალეობანი

1. საბაჟო ბროკერს უფლება აქვს თავისი სახელით, მისი მარწმუნებლის ხარჯზე და დავალებით განახორციელოს საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ნებისმიერი ოპერაცია და საბაჟო საქმეში შეასრულოს სხვა საშუამავლო ფუნქციები.

2. საბაჟო კონტროლისა და საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო ოპერაციების განხორციელებისათვის საბაჟო ბროკერი ასრულებს ყველა მოვალეობას და მას ეკისრება ისეთივე პასუხისმგებლობა, როგორიც დაეკისრებოდა საბაჟო საზღვრის გავლით საქონლის დამოუკიდებლად გადამაადგილებელ პირს.

3. საბაჟო ბროკერის ამ კოდექსით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეიზღუდოს მარწმუნებელთან დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 116. ამოღებულია (26.08.2003 №3052)

მუხლი 117. საბაჟო ბროკერისა და მისი მუშაკების დამოკიდებულება მარწმუნებლის ინფორმაციისადმი

1. საბაჟო ბროკერისა და მისი მუშაკების მიერ მარწმუნებლისაგან მიღებული ინფორმაციის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საბაჟო მიზნებისათვის.

2. ინფორმაცია, რომელიც შეიცავს კომერციულ, საბანკო და კანონით დაცულ სხვა საიდუმლოს არ შეიძლება გახმაურდეს. აკრძალულია ასეთი ინფორმაციის გამოყენება საბაჟო ბროკერის მიერ საკუთარი მიზნებისათვის, აგრეთვე მისი გადაცემა მესამე პირისათვის (გარდა საბაჟო ორგანოებისა), საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

თავი 25. საბაჟო გადამზიდველი

მუხლი 118. საბაჟო გადამზიდველი

1. საბაჟო გადამზიდველი არის ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სანარმო, რომელსაც აქვს საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული ლიცენზია საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის განსახორციელებლად.

2. საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება აქვს მხოლოდ საბაჟო გადამზიდველს, რომელმაც აიღო საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის ლიცენზია ამ კოდექსით განსაზღვრული წესით, გარდა:

ა) საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) მილსადენი ტრანსპორტის საშუალებით ან/და ელექტროგადამცემი ხაზებით გადასაადგილებელი, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე თავისი სვლით გადაადგილებული, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა, თუ ამ საშუალებებით საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი არ გადაიზიდება; (25.05.2001 №891)

3. საბაჟო გადამზიდველი თავის საქმიანობას ახორციელებს ამ კოდექსისა და შესაბამისი დებულების საფუძველზე, რომელსაც

ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (10.05.2002 №1399)

4. საბაჟო გადამზიდველის ურთიერთობა საქონლისა და დოკუმენტების გამომგზავნთან ან მის წარმომადგენელთან განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 119. საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის ლიცენზია

1. ლიცენზიის მისაღებად საწარმო ვალდებულია მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს წერილობითი განცხადებით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს.

2. განცხადებას უნდა ერთვოდეს შემდეგი საბუთები:

ა) სანოტარო ფორმით დამოწმებული მონაცემები სამეწარმეო რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის შესახებ;

ბ) საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის საგარანტიო უზრუნველყოფის დამადასტურებელი სადაზღვევო პოლისი ან საბანკო გარანტია. ამასთან, საგარანტიო ან სადაზღვევო თანხა არ უნდა იყოს 100 000 ლარზე ნაკლები;

გ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

დ) სატრანსპორტო საშუალებებზე საწარმოს საკუთრების ან სულ ცოტა 3 წლის ვადით მფლობელობის უფლების დამადასტურებელი სანოტარო ფორმით დამოწმებული საბუთი;

ე) ცნობა სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ განცხადების განხილვისა და საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის, მოქმედების შეჩერების, განახლებისა და გაუქმების საკითხები რეგულირდება „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო სანებართვო მოწმობის ფორმა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

4. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ა) ჰქონდეს საკუთრებაში ან შესაბამისი მფლობელობის უფლებით აღებული ტექნიკურად გამართული ისეთი სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) აწარმოოს საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაზიდვების აღრიცხ-

ვის ჟურნალი და იგი მოთხოვნისთანავე წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს;

გ) უზრუნველყოს საბაჟო გადამზიდველის პასუხისმგებლობა სადაზღვევო პოლისით ან საბანკო გარანტიით აღნიშნული საქმიანობის მთელი ვადის განმავლობაში;

დ) შეასრულოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები(26.08.2003 №3052).

მუხლი 120. ამოღებულია (26.08.2003 №3052)

მუხლი 121. საბაჟო გადამზიდველისა და მისი მუშაკების დამოკიდებულება მიღებული ინფორმაციისადმი

ინფორმაცია, რომელიც შეიცავს კომერციულ, საბანკო და კანონით დაცულ სხვა საიდუმლოს არ შეიძლება გახმაურდეს. აკრძალულია ასეთი ინფორმაციის გამოყენება საბაჟო გადამზიდველისა და მისი მუშაკების მიერ საკუთარი მიზნებისათვის, აგრეთვე მისი გადაცემა მესამე პირისათვის (გარდა საბაჟო ორგანოებისა), საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

კარი V
საბაჟო კონტროლი

თავი 26. საბაჟო კონტროლის განხორციელება

მუხლი 123. საბაჟო კონტროლის განხორციელება და მისი სახეები

1. საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირნი ახორციელებენ საბაჟო კონტროლს, რაც ითვალისწინებს:

ა) საბაჟო მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და ცნობების შემოწმებას;

ბ) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო შემოწმებას;

გ) პირად გასინჯვას;

დ) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას;

ე) ფიზიკური პირების ზეპირ გამოკითხვას;

ვ) აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმებას;

ზ) დროებითი შენახვის საწყობების ტერიტორიისა და სათავსების, საბაჟო საწყობების, თავისუფალი საწყობების, თავისუფალი საბაჟო ზონებისა და უბაჟო ვაჭრობის მაღაზიებისა და სხვა ადგილების დათვალიერებას, სადაც შეიძლება ინახებოდეს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო

საშუალებები, ანდა ხორციელდება საქმიანობა, რომლის კონტროლიც ევალებათ საბაჟო ორგანოებ'

თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის სხვა სახეებს.

2. საბაჟო კონტროლის განხორციელების წესები განისაზღვრება კანონქვემდებარე აქტებით.

მუხლი 124. საბაჟო კონტროლისა და სახელმწიფო კონტროლის სხვა სახეების კოორდინაცია

1. საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთისას საბაჟო კონტროლთან კოორდინაციაში ხორციელდება სამედიცინო-სანიტარული, ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობისა და ხარისხის კონტროლი.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ კონტროლს ახორციელებენ შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

3. ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულ ორგანოებს შეუძლიათ მოახდინონ თავიანთ უფლებამოსილებათა მთლიანი ან ნაწილობრივი დელეგირება საქართველოს საბაჟო ორგანოებისადმი.

4. ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულ ორგანოთა შესაბამისი სამსახურები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ფუნქციონირებენ საბაჟო კონტროლის ზონაში. საბაჟო კონტროლის ზონაში ამ სამსახურების საქმიანობას კოორდინაციას უწევს საბაჟო დეპარტამენტი.

5. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ყველა შესაბამისი სახის სახელმწიფო კონტროლის დამთავრებისა და გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდის შემდეგ.

მუხლი 125. საბაჟო კონტროლის ზონები

1. საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ადგილებში იქმნება საბაჟო კონტროლის ზონები.

2. საბაჟო კონტროლის ზონების შექმნის წესი განისაზღვრება კანონმდებლობის მიხედვით.

3. სამეწარმეო საქმიანობა, საქონლის, სატრანსპორტო საშუალე-

ბათა და ფიზიკურ პირთა გადაადგილება საბაჟო კონტროლის ზონების საზღვრის გადაკვეთით ან მათ ფარგლებში დაიშვება მხოლოდ საბაჟო ორგანოების ნებართვით და მათი კონტროლით, გარდა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნულ შემთხვევებში საბაჟო კონტროლის ზონაში შესვლა დაიშვება საბაჟო ორგანოებისათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ.

მუხლი 126. საბაჟო კონტროლზე ყოფნის დრო

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანისას საბაჟო კონტროლი იწყება მათ მიერ საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის მომენტიდან.

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გატანისას საბაჟო კონტროლი იწყება საბაჟო დეკლარაციის მიღების მომენტიდან.

3. საბაჟო კონტროლი მთავრდება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტის დროს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმების შემთხვევაში – შესაბამისი რეჟიმის სრული დამთავრებისას. საბაჟო კონტროლზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ყოფნის დრო განისაზღვრება ამ კოდექსითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 127. საბაჟო კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტები და ცნობები

1. საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას გადამაადგილებელი პირი ან პირები, რომლებიც ეწევიან საბაჟო ორგანოების კონტროლს დაქვემდებარებულ საქმიანობას, ვალდებულნი არიან ამ ორგანოებს წარუდგინონ საბაჟო კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტები და ცნობები.

2. დოკუმენტებისა და ცნობების ნუსხა და მათი წარდგენის წესი განისაზღვრება კანონქვემდებარე აქტებით.

3. საბაჟო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ სამართალდამცავი, საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების ინფორმაცია.

4. საბაჟო კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტებსა და ცნობებს საბაჟო ორგანო ინახავს ექვსი წლის განმავლობაში.

მუხლი 128. სპეციალისტთა და ექსპერტთა მონაწილეობა საბაჟო კონტროლში

1. საბაჟო ორგანოებს კანონმდებლობის მიხედვით უფლება აქვთ საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად მოიწვიონ სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სპეციალისტები და ექსპერტები.

2. სპეციალისტთა და ექსპერტთა მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 129. საბაჟო კონტროლის მეთოდები

1. საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას ხორციელდება სრული ან შერჩევითი შემოწმება.

2. საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად საბაჟო ორგანოები იყენებენ ისეთ მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაჟო კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დაცვას.

3. საბაჟო კონტროლი შეიძლება განხორციელდეს იმ ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც არავითარ საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ცხოველებსა და მცენარეულობას და არ აზიანებს საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს.

მუხლი 130. საბაჟო კონტროლის დროს არამართლზომიერი ზიანის მიყენების დაუშვებლობა

საბაჟო კონტროლის დროს დაუშვებელია პირებისათვის, მათი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის არამართლზომიერი ზიანის მიყენება. დამრღვევნი პასუხს აგებენ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 131. საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, სათავსების, აგრეთვე სხვა ადგილების იდენტიფიკაცია და კონტროლი

1. სატრანსპორტო საშუალებები, სათავსები და სხვა ადგილები, სადაც არის ან შეიძლება იყოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, ადგილები, სადაც ხორციელდება საბაჟო ორგანოების კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა, აგრეთვე საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნეს საბაჟო ორგანოების მიერ.

2. ინდენტიფიკაცია ხდება პლომბის, ელექტრონული ლუქისა და ბეჭდის დადებით, ციფრობრივი, ასოებრივი ან სხვა მარკირების,

საიდენტიფიკაციო ნიშნებისა და შტამპის დასმით, სინჯებისა და ნიმუშების აღებით, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღწერით, ნახაზების შედგენით, მასშტაბური გამოსახულების, ფოტოსურათების, ილუსტრაციების გამოყენებითა და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებებით. (26.08.2003 № 2998)

3. იდენტიფიკაციის საშუალებების შეცვლა, მოცილება, ან განადგურება შეიძლება მხოლოდ საბაჟო ორგანოების მიერ ან მათი ნებართვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების განადგურების, დაკარგვის ან არსებითი დაზიანების რეალური საფრთხე. საბაჟო ორგანოს დაუყოვნებლივ ეცნობება იდენტიფიკაციის საშუალებათა შეცვლის, მოცილების ან განადგურების შესახებ.

4. საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით საბაჟო ორგანოების შესაბამის სახელმწიფო მოხელეებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლება აქვთ შევიდნენ ნებისმიერ საცავში, სადაც ხორციელდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა, ან სადაც შეიძლება მოთავსებული იყოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთები და სატრანსპორტო საშუალებები თუ საბაჟო კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტები.

მუხლი 132. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი

1. საბაჟო კონტროლს ექვემდებარება საბაჟო საზღვრის გავლით გადასაადგილებელი ყველა საქონელი და სატრანსპორტო საშუალება, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ იძულების წესით გააჩერონ სატრანსპორტო საშუალებები, უკან დააბრუნონ საზღვაო და საჰაერო ხომალდები, რომლებიც საბაჟო ტერიტორიიდან გავიდნენ საბაჟო ორგანოების ნებართვის გარეშე, გარდა სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მყოფი ხომალდებისა.

მუხლი 133. პირადი გასინჯვა

1. პირადი გასინჯვა, როგორც საბაჟო კონტროლის განსაკუთრებული ფორმა, დაიშვება საბაჟო ორგანოს უფროსის ან მისი შემცვლელი თანამდებობის პირის გადაწყვეტილებით, თუ არის საკმაო საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ საბაჟო საზღვრის გავლით მიმავალი ან საბაჟო კონტროლის ზონაში, ან/და საერთაშორისო მი-

მოსვლისათვის ღია აეროპორტის სატრანზიტო ზონაში მყოფი ფიზიკური პირი მალავს და არ აჩენს საქონელს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ან საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების დარღვევის ობიექტია და რომელთა შესრულებაზე კონტროლი საბაჟო ორგანოებს ევალებათ.

2. პირადი გასინჯვის დაწყების წინ საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირი ვალდებულია ფიზიკურ პირს აცნობოს საბაჟო ორგანოს უფროსის ან მისი შემცვლელი პირის გადაწყვეტილება პირადი გასინჯვის თაობაზე, გააცნოს ფიზიკურ პირს მისი უფლებამოვალეობანი ასეთი გასინჯვის დროს და შესთავაზოს მას ნებაყოფლობით გამოაჩინოს დამალული საქონელი.

3. ფიზიკური პირის მიერ ნებაყოფლობით პირად გასინჯვაზე უარის თქმის შემთხვევაში პირადი გასინჯვა სხეულის გასინჯვის ჩათვლით ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 134. საბაჟო დეკლარაციის, დოკუმენტების შემოწმების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმების ვადები

საბაჟო დელარაციის, დოკუმენტების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება ხდება საბაჟო ორგანოების მიერ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ არა უგვიანეს სამი დღისა საბაჟო დეკლარაციის მიღებისა და საბაჟო მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და მონაცემების წარდგენის მომენტიდან. აღნიშნულ ვადებში არ შედის დრო, რომელიც საჭიროა სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლის განსახორციელებლად.

მუხლი 135. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის დროს უფლებამოსილი პირებისა და მათი წარმომადგენლების დასწრება

1. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის დროს დასწრების უფლება აქვთ ამ კოდექსის მე-100 მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ პირებს.

2. საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები უფლებამოსილ პირთა და მათ წარმომადგენელთა დაუსწრებლად შეამოწმონ შემდეგ შემთხვევებში:

ა) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენიდან ხუთი დღის განმავლობაში აღნიშნულ პირთა გამოუცხადებლობისას;

ბ) თუ საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახელმწიფო უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს, ცხოველებსა და მცენარეულობას, გარემოს, მხატვრულ, ისტორიულ და არქეოლოგიურ ფასეულობებს, აგრეთვე სხვა გადაუდებელ გარემოებებში;

გ) საერთაშორისო საფოსტო გზავნილებით საქონლის გაგზავნისას.

3. საბაჟო რეჟიმის დარღვევისას საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება ხდება დაინტერესებულ პირთა თანდასწრებით.

მუხლი 136. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ინვენტარიზაცია

საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს ჩაატარონ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების, აგრეთვე იმ საქონლის ინვენტარიზაცია, რომლის საბაჟო გადასახდელები გადაუხდელია, ან რომელსაც აქვს საბაჟო შეღავათები საბაჟო გადასახდელების ნაწილში.

მუხლი 137. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება

1. საბაჟო ორგანოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვთ დანიშნონ ან ჩაატარონ იმ პირთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება, რომლებიც ახორციელებენ საბაჟო ორგანოების კონტროლს დაქვემდებარებულ საქმიანობას.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი და მისი შესაბამისი საბაჟო ორგანოები თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ მის კონტროლს დაქვემდებარებულ პირთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმებას, აგრეთვე საბაჟო გადასახდელების ადმინისტრირებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით საგადასახადო ორგანოებისათვის დადგენილი წესით. (26.08.2003 №2998)

3. საჭიროების შემთხვევაში საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებს შეუძლიათ დაადგინონ დოკუმენტაციისა და ინფორმაციის გაცნობის დრო და ადგილი.

4. შემოწმებისას საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა მოქმედებამ არამართლზომიერი ზიანი არ უნდა მიაყენოს პირს, რომლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაც მოწმდება. შემოწმების

შედეგები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ამ პირს.

5. შემოწმების დროს მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია, თუ მასზე ვრცელდება ამ კოდექსის 165-ე მუხლის მოთხოვნები.

მუხლი 138. საბაჟო ორგანოების კომპეტენცია სავალუტო კონტროლის განხორციელებისას

1. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი არის სავალუტო კონტროლის აგენტი საქართველოში.

2. საბაჟო ორგანოების ფუნქციები და უფლებამოსილებები სავალუტო კონტროლის განხორციელების სფეროში განისაზღვრება საბაჟო დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში.

3. საბაჟო ორგანოები ახორციელებენ პირების მიერ საბაჟო საზღვრის გავლით, თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების პერიმეტრების გარდა, ვალუტის, ფასიანი ქაღალდების, სავალუტო ფასეულობათა გადაადგილების სავალუტო კონტროლს.

4. საბაჟო ორგანოები სავალუტო კონტროლს ახორციელებენ ამ კოდექსისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით.

5. სავალუტო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანოების მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობა დგება კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი 27. საბაჟო შეღავათები

მუხლი 139. საბაჟო კონტროლისაგან განთავისუფლება

1. საბაჟო კონტროლისაგან განთავისუფლება ხდება მხოლოდ ამ კოდექსის საფუძველზე.

2. საბაჟო კონტროლისაგან განთავისუფლება არ ნიშნავს საბაჟო კანონმდებლობით საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას.

3. საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარება საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წევრები, უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, მათი თანმხლები ოჯახის წევრები, მათი ბარგი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. კანონმდებლობით დადგენილი წესით ცალკეული პირები, საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები შეიძლება განთავისუფლდეს საბაჟო კონტროლის გარკვეული ფორმებისაგან, თუ ეს შეესაბამება საქართველოს ინტერესებს.

5. საბაჟო კონტროლის გარკვეული ფორმისაგან განთავისუფლება საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად ხდება მათი რატიფიცირების შემდეგ.

მუხლი 140. საბაჟო შეღავათები დიპლომატებისათვის

1. საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარება საქართველოში უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) და მათი ბარგი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან თავისუფლდება იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ- ტექნიკური პერსონალის, აგრეთვე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის იმ სახით, რა სახითაც ასეთი განთავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, რომლის მონაწილეც საქართველოა. საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლისაგან თავისუფლდება აგრეთვე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი.

მუხლი 141. უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური ფოსტითა და საკონსულო ვალიზით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა

1. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას დაუშვებელია უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური ფოსტისა და საკონსულო ვალიზის გახსნა ან დაკავება. თუ არის სერიოზული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ საკონსულო ვალიზი შეიცავს საგნებს, რომლებიც აღნიშნული არ არის ამ მუხლის მესამე ნაწილში, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ საკონსულო ვალიზი გახ-

სნას უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელმა უფლებამოსილმა პირმა საბაჟო ორგანოს თანამდებობ-' პირთა თანდასწრებით. საკონსულოს ვალიზის გახსნაზე ,. .ის თქმის შემთხვევაში იგი ბრუნდება გამოგზავნის ადგილზე.

2. ყველა გზავნილს, რომელიც შეადგენს დიპლომატიურ ფოსტასა და საკონსულო ვალიზს, უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგნული ნიშანი, რომელიც გზავნილის ხასიათზე მიუთითებს.

3. დიპლომატიური ფოსტა შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დიპლომატიურ საბუთებსა და ოფიციალური სარგებლობისათვის გათვალისწინებულ საქონელს, ხოლო საკონსულო ვალიზი - მხოლოდ ოფიციალურ კორესპონდენციას, საბუთებს ან ოფიციალური სარგებლობისათვის გათვალისწინებულ საქონელს.

მუხლი 142. საბაჟო შეღავათები უცხოელი დიპლომატიური და საკონსულო კურიერებისათვის

უცხოელ დიპლომატიურ და საკონსულო კურიერებს შეუძლიათ საქართველოში შემოიტანონ და საქართველოდან გაიტანონ პირადი სარგებლობისათვის გათვალისწინებული საქონელი ნაცვალგების საფუძველზე, რომელიც გამომდინარეობს ორ ქვეყანას შორის არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან, საბაჟო კონტროლის გარეშე და საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან განთავისუფლებით.

მუხლი 143. საბაჟო შეღავათები უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა და დელეგაციის წევრებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის

1. უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებზე, საპარლამენტო და სამთავრობო დელეგაციის, აგრეთვე ნაცვალგების საფუძველზე უცხო სახელმწიფოთა დელეგაციის იმ წევრებზე, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან სახელმწიფოთაშორის მოლაპარაკებაში, საერთაშორისო კონფერენციებსა და თათბირებში მონაწილეობის მისაღებად ან სხვა ოფიციალური დავალებით და მათ თანმხლებ ოჯახის წევრებზე ვრცელდება ამ კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული საბაჟო შეღავათები.

2. საბაჟო შეღავათები საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებისათვის, მათთან არსებული უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლობებისათვის, აგრეთვე ამ ორგანიზაციებისა და წარმომადგენლობების პერსონალისათვის, მათი ოჯახის წევრებისათვის განისაზღვრე-

ბა საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით.

მუხლი 144. საბაჟო შეღავათები დიპლომატიური პერსონალისა და საკონსულოს თანამდებობის პირთათვის, უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებისა და დელეგაციების წევრებისათვის, რომლებიც ტრანზიტით მგზავრობენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით.

უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლობის დიპლომატიურ პერსონალზე, საკონსულო თანამდებობის პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე, აგრეთვე ამ კოდექსის 143-ე მუხლში აღნიშნულ პირებზე, რომლებიც იმავე მიზნით ტრანზიტით მგზავრობენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით, ვრცელდება ამ კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული საბაჟო შეღავათები.

კარი VI
საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები. კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდება

თავი 28. საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები

მუხლი 145. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევა

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევა იწვევს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 146. საბაჟო კანონმდებლობის დარღვევათა მოკვლევის ორგანოები

ამ კოდექსის 145-ე მუხლით გათვალისწინებული საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეთა მოკვლევის ორგანოებია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მოკვლევის ორგანოები.

მუხლი 147. საბაჟო წესების დარღვევები და პასუხისმგებლობა

საბაჟო წესების დარღვევებისათვის პასუხისმგებლობისა და სამართალდარღვევების საქმეთა წარმოების წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

თავი 29. კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდება

მუხლი 148. ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდება

1. ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქოტროპულ ნივთიერება-

თა საერთაშორისო უკანონო ბრუნვის აღსაკვეთად და ამ ბრუნვაში მონაწილე პირთა გამოვლენის მიზნით საბაჟო ორგანოები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უცხო სახელმწიფოთა საბაჟო და სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან შეთანხმებით ან საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე იყენებენ კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების ფორმას, რაც გულისხმობს საბაჟო ორგანოების კონტროლის ქვეშ უკანონო ბრუნვაში მოქცეული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანას, საქართველოდან გატანას ან მის ტერიტორიაზე ტრანზიტით გატარებას.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საგნების მიმართ კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების ფორმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი, რასაც იგი ახორციელებს სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად. (26.08.2003 №2998)

3. კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების ფორმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თუ ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა დანიშნულების ქვეყანა უცხო სახელმწიფოა, სისხლის სამართლის საქმე საქართველოში არ აღიძვრება, ხოლო მიღებულ გადაწყვეტილებას საბაჟო ორგანო დადგენილი წესით დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს.

მუხლი 149. კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების ფორმის გამოყენების სხვა შემთხვევები

1. ამ კოდექსის 148-ე მუხლით გათვალისწინებული წესით კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების ფორმის გამოყენება შეიძლება ძლიერმოქმედი და შხამიანი ნივთიერებების, აგრეთვე იმ სხვა ობიექტების მიმართაც, რომლებიც წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის საგანს ან საშუალებას, მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით, ან რომელთა მიმართ მართლსაწინააღმდეგო ქმედება კონტრაბანდად ითვლება.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საგნების მიმართ კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების ფორმის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი და დაუყოვნებლივ აცნობებს ამის

შესახებ შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს. (26.08.2003 № 2998)

კარი VII
საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა

თავი 30. საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოება

მუხლი 150. საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა

1. საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ სახელმწიფო ორგანოების ინფორმაციით უზრუნველყოფის, სახელმწიფო ბიუჯეტში საბაჟო გადასახდელების შემოსვლის კონტროლის, სავაჭრო და საგადასახდელო ბალანსების გაანგარიშებისა და მთლიანად საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის ანალიზის მიზნით, საბაჟო ორგანოები იღებენ და ამუშავებენ ინფორმაციას საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის შესახებ და მის საფუძველზე აწარმოებენ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკას.

2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა წარმოებს ამ კოდექსისა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა აქტების მიხედვით.

3. საბაჟო სტატისტიკის წარმოება ხორციელდება ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკური მეთოდოლოგიების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს საბაჟო სტატისტიკურ მონაცემთა შესადარისობას როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

მუხლი 151. სპეციალური საბაჟო სტატისტიკა

საბაჟო ორგანოები მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით აწარმოებენ სპეციალურ საბაჟო სტატისტიკას დადგენილი წესით.

მუხლი 152. საბაჟო სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტები

1. საბაჟო სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების ნარდგენა ხდება ამ კოდექსისა და მის საფუძველზე მიღებული საბაჟო გაფორმებისა და საბაჟო კონტროლის წესების დებულებათა შესაბამისად.

2. სტატისტიკისათვის წარდგენილ ინფორმაციაზე ვრცელდება ამ კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

თავი 31. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა

მუხლი 153. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენება

1. საბაჟო ორგანოები საქონლის კოდირებისა და კლასიფიკაციისათვის იყენებენ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურას, რომელიც შემუშავებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის ბაზაზე და შესულია საქართველოს ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების ეროვნულ სისტემაში.

2. საბაჟო დეპარტამენტი სახელმძღვანელოდ იღებს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლების ცვლილებებსა და დამატებებს. საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, მისი წარდგინებით საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს შეაქვს დამატებები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში არსებული წესის მიხედვით.

მუხლი 154. საქონლის კლასიფიკაცია

1. საბაჟო ორგანოები ახდენენ საქონლის კლასიფიცირებას, კონკრეტულ საქონელს აკუთვნებენ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში აღნიშნულ პოზიციებს.

2. საქონლის კლასიფიკაციის შესახებ საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა. სხვა ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ მიღებული კლასიფიკაცია საბაჟო ფუნქციების განსახორციელებლად არ გამოიყენება.

მუხლი 155. წარმომადგენლობითი უფლებამოსილებანი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის სფეროში

1. საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს მხარეს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ საბაჟო საკითხებზე, კერძოდ, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო საფუძვლის შემუშავების, შეცვ-

ლის, დამატების, განმარტებისა და გამოყენების ნაწილში.

2. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი მოქმედებს დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებულად.

კარი VIII
ინფორმირება და კონსულტირება
თავი 32. საბაჟო საკითხებზე ინფორმაციით უზრუნველყოფა და კონსულტირება

მუხლი 156. საბაჟო კანონმდებლობის აქტების გამოქვეყნება

1. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის აქტები მოქმედებენ მხოლოდ დადგენილი წესით მათი გამოქვეყნების შემდეგ.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული საბაჟო კანონმდებლობის აქტების შესახებ არსებული ინფორმაცია (აქტის სახელწოდება, რეგულირების ობიექტი, მიღებისა და ძალაში შესვლის ვადა, გამოქვეყნების ადგილი) უფასოდ მიეცემა ყველა დაინტერესებულ პირს.

მუხლი 157. კონსულტირება საბაჟო ორგანოების კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე

საბაჟო ორგანოების, მათი ლაბორატორიების, სამეცნიერო- კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების მუშაკების მიერ საბაჟო ორგანოების კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე კონსულტირება ხდება დადგენილი წესით.

კარი IX
საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია
თავი 33. საბაჟო ორგანოები და მათი ფუნქციები

მუხლი 158. საქართველოს საბაჟო ორგანოები

1. საქართველოს საბაჟო ორგანოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ როგორც სამართალდამცავი ორგანოს სტატუსის მქონე საბაჟო ორგანოები, რომლებიც შედიან საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს სისტემაში.

2. ამოღებულია (26.08.2003 № 2998)

3. საქართველოს საბაჟო ორგანოებში სახელმწიფო მოხელეების სამსახურის წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული დებულებით (24.03.2000 №240 საკანონმდებლო მაცნე).

მუხლი 159. ლაბორატორიები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, სასწავლებლები და სხვა საწარმოები

1. საბაჟო საქმიანობის განხორციელების მიზნით საქონლის ექსპერტიზისა და სხვა გამოკვლევის ჩასატარებლად საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნას საბაჟო ლაბორატორიები, სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო და სხვა საწარმოები და დაწესებულებები.

2. საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, საავალდებულო საბაჟო პროცედურების ჩატარების გარდა, გასწიოს საბაჟო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 160. საბაჟო ორგანოების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები

საბაჟო ორგანოების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ კოდექსით, შესაბამისი დებულებითა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა აქტებით.

მუხლი 161. საბაჟო ორგანოების სიმბოლიკა

1. საქართველოს საბაჟო სიმბოლიკა შედგება დროშისა და ამოსაცნობი ნიშნისაგან.

2. დროშისა და ამოსაცნობი ნიშნის აღწერილობას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის დებულებასთან ერთად.

მუხლი 162. საბაჟო ორგანოების ურთიერთმოქმედება სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებთან

1. საბაჟო ორგანოები საბაჟო საქმიანობის განხორციელების მიზნით ურთიერთმოქმედებენ სხვა სამართალდამცავ და სახელმწიფო ორგანოებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებთან.

2. სახელმწიფო ორგანოები და მათი თანამდებობის პირნი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ საბაჟო ორგანოებს მათზე დაკისრებულ ამოცანათა გადაწყვეტაში.

3. საკანონმდებლო აქტების მიხედვით საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ თავიანთი კონტროლითა და პასუხისმგებლობით დაუშვან მათ კომპეტენციაში შემავალ ცალკეულ უფლებამოსილებათა დელე-

გირება სხვა სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის.

მუხლი 163. საბაჟო ორგანოებისათვის სასამსახურო და საყოფაცხოვრებო სათავსების, მოწყობილობებისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა გამოყოფა

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, რომ საბაჟო გაფორმება ხდებოდეს უშუალოდ მათ ტერიტორიაზე ან მათ სათავსებში და არა საბაჟო ორგანოების განლაგების ადგილას, საბაჟო ორგანოებს დროებით უსასყიდლო სარგებლობისათვის გამოუყოფენ საბაჟო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სასამსახურო და საყოფაცხოვრებო სათავსებს, მოწყობილობასა და კავშირგაბმულობის საშუალებებს.

მუხლი 164. საბაჟო ორგანოებისათვის მიწის ნაკვეთების გადაცემა

საბაჟო ორგანოებს საბაჟო საქმიანობის განსახორციელებლად მიწის ნაკვეთები გადაეცემა კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 165. საქართველოს რეზიდენტების მიერ საბაჟო ორგანოებისათვის გადაცემული ინფორმაციის გამოყენება

1. სახელმწიფო დაწესებულებების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საბაჟო ორგანოებისათვის ამ კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის სხვა აქტების შესაბამისად გადაცემული ინფორმაცია წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას და მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 268-ე მუხლით დადგენილი წესით. (26.08.2003 №2998)

2. ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო, კომერციულ, საბანკო ან კანონით დაცულ სხვა საიდუმლოებას, აგრეთვე კონფიდენციალური ინფორმაცია (ინფორმაცია, რომელიც არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და რომელსაც შეუძლია შელახოს მისი გამცემი პირის უფლებები და კანონით დაცული ინტერესები) არ შეიძლება გამოქვეყნდეს, გამოყენებულ იქნეს საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ პირადი მიზნით, გადაეცეს მესამე პირს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 166. საბაჟო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებების, მოქმედების ან უმოქმედობის გასაჩივრება

საბაჟო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირთა გადაწ-

ყველა ილებები, მოქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ᲙᲐᲠᲘ X
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲗᲐ

ᲗᲐᲕᲘ 34. საქართველოს საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელეთა სამართლებრივი სტატუსი

მუხლი 167. საქართველოს საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელის სტატუსი და სამსახურის გავლის პირობები

საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელის სტატუსი, თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინური პასუხისმგებლობის, განთავისუფლებისა და სხვა პირობები განისაზღვრება კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 168. საბაჟო ორგანოს სახელმწიფო მოხელეთა სამართლებრივი და სოციალური დაცვა

1. საბაჟო ორგანოს სახელმწიფო მოხელეზე ვრცელდება პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც განსაზღვრულია ,,პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონით.

2. საბაჟო ორგანოს სახელმწიფო მოხელეებისათვის დადგენილია ერთიანი ფორმის ტანსაცმელი. საბაჟო ორგანოების თანამშრომელთათვის სპეციალური წოდებების მინიჭების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით ,,სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ".

3. საბაჟო ორგანოს სახელმწიფო მოხელეებისა და მათი ოჯახის წევრების საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება ,,შინაგან საქმეთა ორგანოს რიგითი და ხელმძღვანელი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრების საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 169. საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიზნით საქართველოს ფინანსთა (10.05.2002. №1399) სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე თანხების აკუმულირება და განაწილება (22.06.2001 №1007)

1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოების მატერიალური (22.06.2001 №1007) უზრუნველყოფისათვის საბაჟო ორგანოების მიერ კონტროლირებადი შემოსავლების მიხედვით ბიუჯეტებსა და სახელმწიფო სპეციალურ ფონდებში ფაქტობრივად ჩარიცხული თანხების 3 პროცენტი,

აგრეთვე ბიუჯეტებისა და სპეციალური ფონდების სასარგებლოდ დამატებით დარიცხული და ჩარიცხული თანხების 50 პროცენტი ირიცხება ხაზინაში საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე. ამ ანგარიშზე თანხების ჩარიცხვა ხდება ბიუჯეტებსა და სახელმწიფო სპეციალურ ფონდებში ჩარიცხული თანხების პროპორციულად საბანკო დაწესებულებების მიერ.

2. საბაჟო მოსაკრებლების სახით ამოღებული თანხები მთლიანად მიიმართება საბაჟო ორგანოების მუშაკთა მატერიალური სტიმულირებისა და ამ ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიზნობრივად დაფინანსებისათვის.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სახსრების განაწილების წესს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი. (22.06.2002 №1007)

თავი 35. საბაჟო ორგანოებისა და მათი სახელმწიფო მოხელეების პასუხისმგებლობა

მუხლი 170. საბაჟო ორგანოების პასუხისმგებლობა

1. საბაჟო ორგანოები და მათი სახელმწიფო მოხელეები პასუხისმგებელნი არიან იმ ზიანისათვის, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა და მათ ქონებას მიაყენეს თავიანთი არამართლზომიერი გადაწყვეტილებით, მოქმედებით ან უმოქმედობით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

2. ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძველზე კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 171. საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელეების პასუხისმგებლობა

არამართლზომიერი ქმედებისათვის საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონმდებლობის მიხედვით.

კარი XI
დასკვნითი და გარდამავალი დებულებანი

თავი 35. საბაჟო კოდექსის ამოქმედება. საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ძალას კარგავს. ცვლილებები და დამატებები მოქმედ საკანონმდებლო აქტებში

მუხლი 172. საბაჟო კოდექსის ამოქმედება

საბაჟო კოდექსი ამოქმედდეს 1998 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 173. საბაჟო კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტი

ამ კოდექსის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 21ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კოდექსი (საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტომი II, მუხლი 183).

მუხლი 174. საბაჟო კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტებმა მოამზადონ და 1997 წლის ბოლომდე პარლამენტს წარუდგინონ შემდეგ საკანონმდებლო აქტებში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტები:

ა) ,,საბაჟო გადასახადის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 27 დეკემბრის კანონში (პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., საკანონმდებლო დამატება № 1-2);

ბ) ,,ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 15 მარტის კანონში (პარლამენტის უწყებანი, 1994 წ.,№ 16, მუხლი 304);

გ) ,,სპეციალური ნოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 29 აპრილის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., № 6, მუხლი 99);

დ) სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში.

მუხლი 175. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მომზადება

1. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტმა 1998 წლის 1 დეკემბრამდე მოამზადოს და დადგენილი წესით საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ,,საბაჟო დეპარტამენტის დებულება" და ,,საბაჟო ორგანოების სახელმწიფო მოხელეთა მიერ სამსახურის გავლის დებულება";

2. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტმა 1998 წლის 1 დეკემბრამდე შეიმუშაოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს და წარუდგინოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრში გასატარებლად შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

ა. საბაჟო რეჟიმების დებულებები;

ბ. საბაჟო ბროკერისა და საბაჟო გადამზიდველის დებულებები;

გ. დებულება საბაჟო გაფორმების წესის შესახებ;

დ. დებულება ფიზიკური პირის მიერ და/ან საქონლით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის წესის შესახებ;

ე. დებულება წინასწარი ოპერაციების ჩატარებისა და წინასწარი გადაწყვეტილების მიღების წესის შესახებ;

ვ. დებულება საერთაშორისო საფოსტო გზავნილების საბაჟო გაფორმების წესის შესახებ;

ზ. დებულება ინფორმირებისა და კონსულტირების წესის შესახებ;

3. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტმა საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროებთან ერთად 1998 წლის 1 დეკემბრამდე დაამტკიცოს და წარუდგინოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრში გასატარებლად საქართველოს საბაჟოს ტერიტორიაზე და მის გარეთ საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის გამოსავლიანობის ნორმების განსაზღვრის წესი. (13.10.1998. №1627 საკანონმდებლო მაცნე №2)

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2003 წლის 1 ნოემბრამდე დაამტკიცოს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში გასატარებლად წარუდგინოს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

ა) დებულება სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი პირის გამოსავლენი ტენდერის პირობებისა და მისი ჩატარების წესის შესახებ;

ბ) დებულება სახელმწიფოს უფლებამოსილი პირის მიერ ელექტრონული საბუთისა და ელექტრონული ლუქის შექმნისა და გაცემის წესების შესახებ;

გ) დებულება საგადასახადო ორგანოების მიერ ელექტრონული პასპორტის შექმნისა და დამუშავების წესის შესახებ. (26.08.2003 № 2998)

მუხლი 176. გარდამავალი დებულებანი

2004 წლის 1 იანვრამდე (28.12.2002. №1931).

ა) საქართველოში ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატებისათვის არ გამოიყენება საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-8 მუხლის „დ“ -„ლ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საბაჟო რე-

ჟიმები. ამასთან, ამ საქონლის რეექსპორტი დასაშვებია მხოლოდ ერთი თვის ვადით;

ბ) ამ მუხლის ,,ა" ქვეპუნქტში აღნიშნული საქონლის იმპორტის გარდა, სხვა საბაჟო რეჟიმებში მოსაქცევად (რომელთა შედეგად ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები გადმოკვეთენ საქართველოს სახელმწიფო საზღვარს, ტრანზიტის ჩათვლით) საბაჟო ორგანოებში წარმოდგენილი იქნება საბანკო გარანტია ან ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი, ან იდება ფულადი დეპოზიტი იმ თანხის ოდენობით, რაც გადაიხდებოდა იმპორტის რეჟიმის შემთხვევაში. საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია ან ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი, ან ბრუნდება ფულადი დეპოზიტი გატანილი საქონლის ოდენობის შესაბამისად, (25.06.99. № 2201 საკანონმდებლო მაცნე №26(33)).

გ) ამ კოდექსის მე-5 მუხლის ,,ი" ქვეპუნქტით, მე-80 მუხლის პირველი ნაწილით, 89-ე მუხლის პირველი ნაწილით და 99-ე მუხლის ,,გ" ქვეპუნქტით საქონლის გადაზიდვამდე ინსპექტირებისათვის დადგენილი მოთხოვნები კანონიერ ძალაში იქნება სახელმწიფოს მიერ საქონლის გადაზიდვამდე ინსპექტირებაზე უფლებამოსილი პირის კანონით დადგენილი წესით დანიშვნის შემთხვევაში; (27.09.2002 № 1679)

დ) ამ კოდექსის მე-5 მუხლის ,,ლ" - ,,ნ" ქვეპუნქტებით, 89-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 131-ე მუხლის მე-2 ნაწილით ელექტრონული საბუთისათვის, ელექტრონული პასპორტისათვის და ელექტრონული ლუქისათვის დადგენილი მოთხოვნები კანონიერ ძალაში შედის სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი პირის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დანიშვნისთანავე;

ე) სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი პირის მომსახურების გამოყენების შემთხვევაში, დეკლარანტი ელექტრონული საბუთის შექმნისათვის და საქონლის მფლობელი ან საბაჟო გადამზიდველი ელექტრონული ლუქის გაცემა-ექსპლუატაციისათვის იხდის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მომსახურების საფასურს;

ვ) ამ კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 137-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამოქმედდეს 2003 წლის 25 ოქტომბრიდან. (26.08.2003 № 2998)

მუხლი 177. სახელმწიფო ბიუჯეტში ფაქტობრივად ჩარიცხული თანხებიდან მისაღები თანხების ოდენობა

1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოების მატერიალური (22.06.2001 №1007) უზრუნველყოფისათვის 2001 წლის განმავლობაში საბაჟო ორგანოების მიერ კონტროლირებადი შემოსავლებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ფაქტობრივად ჩარიცხული თანხების 1 % ირიცხება ხაზინაში საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე.

2. 2001 წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოების მატერიალური (22.06.2001 №1007) უზრუნველყოფისათვის საბაჟო ორგანოების მიერ კონტროლირებადი შემოსავლებიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის განწერით ყოველთვიურად განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლების გადამეტებით მიღებული მთლიანი შემოსავალი, მაგრამ წლიურად ჯამში არა უმეტეს 5 მილიონი ლარისა, ირიცხება ხაზინაში საქართველოს ფინანსთა (10.05.2002 №1399) სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე. ამ ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ. (29.12.2000) (10.05.2002 №1399)

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ *(10.12.97, უწყებანი №47-48)*

მუხლი 65.

1. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ადამიანის ორგანიზმზე შესაძლო მავნე ზემოქმედების მქონე სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების მის მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით, ახორციელებს ახალი და მოდერნიზებული, სამამულო და უცხოური წარმოების სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობის რეგისტრაციას, აგრეთვე, იძლევა მისი იმპორტის, ექსპორტის და გასაღების უფლებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. გაზომვის საშუალების ტიპის დამტკიცება, მისი რეესტრში შეტანა, იმპორტი და წარმოება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 77.

ინფექციური დაავადებების გამომწვევი მიკროორგანიზმების კულტურის ქვეყანაში შემოტანა, ქვეყნიდან გატანა, მათი შენახვა,

სხვისთვის გადაცემა ან მათთან მუშაობა დასაშვებია მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნებართვით.

მუხლი 129.

1. აკრძალულია სისხლისა და სისხლის კომპონენტების აღება ნინასწარ პატიმრობაში და სასჯელის აღსრულების დანესებულებაში მყოფი პირისაგან.

2. აკრძალულია სისხლითა და მისი კომპონენტებით ვაჭრობა მოგების მიზნით, მათი საზღვარგარეთ შეძენა ან ექსპორტი საქართველოს კანონმდებლობის და/ან საერთაშორისო ხელშეკრულებების დარღვევით.

საქართველოს კანონი „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ *(06.02.98 უნყებანი № 8-9)*

მუხლი 4. კანონმდებლობა მოსაკრებლების შესახებ

1. კანონმდებლობა მოსაკრებლების შესახებ შედგება ამ კანონისაგან, მის შესაბამისად მიღებული კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

2. მოსაკრებლების შესახებ კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კანონს.

3. მოსაკრებლების თაობაზე კანონების დებულებებსა და კანონმდებლობის სხვა სფეროს ნორმატიული აქტების დებულებებს შორის მოსაკრებლების დაწესების, შეცვლისა და გაუქმების კოლიზიის საკითხებზე წარმოშობისას, გამოიყენება მოსაკრებლების შესახებ კანონები.

4. აკრძალულია მოსაკრებლების დაკავშირებული საკითხების მოსაკრებლების შესახებ კანონმდებლობის გარდა სხვა კანონმდებლობით მოწესრიგება.

მუხლი 5. მოსაკრებლის სახეები

1. მოსაკრებლის სახეებია:

ა) საბაჟო მოსაკრებლები;

ბ) სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლები;

გ) სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლები;

დ) სარეგისტრაციო მოსაკრებლები;

ე) სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებლები;

ვ) სახელმწიფო ბაჟი;

ზ) საკონსულო მოსაკრებლები;

თ) მიგრანტთა ინსპექტირების მოსაკრებლები;

ი) თანამდებობის პირთა დეკლარაციებისა და თანდართული მასალების ასლების გადაღების მოსაკრებელი;

კ) სატენდერო მოსაკრებელი;

ლ) ავიამგზავრთა მომსახურების მოსაკრებლები;

მ) სააღსრულებო მოსაკრებელი;

ნ) ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობაზე მომსახურების მიზნობრივი მოსაკრებელი;

ო) სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი;

პ) საკარანტინო მომსახურების მოსაკრებელი.

მუხლი 8. მოსაკრებლებისაგან მიღებული შემოსავლების განაწილება ბიუჯეტებს შორის

მოსაკრებლების ბიუჯეტებში ჩარიცხვა ხორციელდება ,,საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილების შესახებ" საქართველოს კანონისა და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს კანონი „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ" *(18.02.98 უწყებანი №11-12)*

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს კანონი ადგენს საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული საბაჟო პროცედურებისათვის გადასახდევინებელი მოსაკრებლების სახეებსა და განაკვეთებს, ამ მოსაკრებლების გადახდევინების წესსა და ვადებს.

მუხლი 2. საბაჟო მოსაკრებლის ცნება

საბაჟო მოსაკრებელი არის ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სავალდებულო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც ახდევინებენ საბაჟო ორგანოები საქონლის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას განხორციელებული სავალდებულო საბაჟო პროცედურებისათვის.

მუხლი 3. საბაჟო მოსაკრებლების გადამხდელები

საბაჟო მოსაკრებლების გადამხდელები არიან ფიზიკური და იუ-

რიდიული პირები, რომლებსაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოაქვთ ან ამ ტერიტორიიდან გააქვთ საქონელი, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების დროებით შემომყვანი პირები, რომლებიც რეგისტრაციაში გააცარებენ ამ საშუალებებს.

მუხლი 4. საბაჟო მოსაკრებლების სახეები

საბაჟო მოსაკრებლების სახეებია მოსაკრებლები, რომლებიც გადაიხდევინება საქონლის საბაჟო დათვალიერების ან/და გაფორმებისათვის.

მუხლი 5. საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთები

საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთებია:

ა) საქონლის საბაჟო დათვალიერების და/ან გაფორმებისათვის (გარდა საქონლის დროებით შემოტანის და/ან გატანისათვის, ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით საქონლის შემოტანისათვის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოყვანისათვის) - საბაჟო ღირებულების 0,2 პროცენტი;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ტვირთების საბაჟო დათვალიერების და/ან გაფორმებისათვის:

ბ.ა) საავტომობილო ტრანსპორტით - ერთ დეკლარაციაზე 100 ლარი;

ბ.ბ) რკინიგზის ტრანსპორტით - ერთ დეკლარაციაზე 200 ლარი;

ბ.გ) საზღვაო ტრანსპორტით - ერთ დეკლარაციაზე 300 ლარი;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანისათვის და/ან ამ ტერიტორიიდან მისი დროებით გატანისათვის:

გ.ა) 10000 კილოგრამზე ნაკლები წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე - 1 თეთრი;

გ.ბ) 10000 კილოგრამზე მეტი წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე - 100 ლარიდან დამატებით 0,3 თეთრი;

გ.გ) საგამოფენო დანიშნულების საქონლის ყოველ კილოგრამზე - 2,5 თეთრი;

დ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 24 საათზე მეტი ვადით შემოსაყვანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დათვალიერების და/ან გაფორმებისათვის - ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე 10 ლარი.

მუხლი 6. საბაჟო მოსაკრებლების გადახდისაგან განთავისუფლება

საბაჟო მოსაკრებლების გადახდისაგან განთავისუფლებულია:

ა) საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;

ბ) საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით გრანტის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული წესით;

გ) უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი;

დ) ფიზიკური პირის პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი, 50 კილოგრამზე ნაკლები წონის საქონელი.

მუხლი 7. საბაჟო მოსაკრებლების დარიცხვისა და ამოღების წესი

1. საქონლის საბაჟო დათვალიერების და/ან გაფორმებისათვის მოსაკრებლების დარიცხვა და ამოღება ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და „საბაჟო გადასახადის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. საბაჟო ორგანოებს ეკისრებათა პასუხისმგებლობა გადამხდელთა მიერ მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სათანადოდ დაცვის უზრუნველყოფისათვის და მისი გამოყენების კონტროლისათვის.

მუხლი 8. გარდამავალი დებულება

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტმა 1998 წლის 1 დეკემბრამდე შეიმუშაოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს ინსტრუქცია საქონლის საბაჟო დათვალიერების და/ან გაფორმებისათვის მოსაკრებლების დარიცხვისა და ამოღების წესის შესახებ. (13.10.98 №1629 საკანონმდებლო მაცნე № 2)

მუხლი 9. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) ,,საბაჟო გადასახადით და მოსაკრებლებით დაბეგვრის მონესრიგებისა და ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1996 წლის 18 ოქტომბრის კანონი (პარლამენტის უწყებანი, № 27 - 28/4, 1996 წლის 21 ნოემბერი);

ბ) ,,საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტის სისტემაში საბაჟო პროცედურებისა და განეული მომსახურების სახეებისა და მათზე საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთების დამტკიცების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 27 აპრილის № 333 დადგენილება.

3. 2000 წლის 1 იანვრიდან საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთი მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბაჟო პროცედურებისათვის განისაზღვროს 0,15 პროცენტის ოდენობით.

4. საბაჟო მოსაკრებლის ოდენობა ამ კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბაჟო პროცედურებისათვის არ შეიძლება იყოს 2000 ლარზე მეტი და 50 ლარზე ნაკლები (გარდა ფიზიკური პირის მიერ საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული, 2000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების მქონე საქონლისათვის გათვალისწინებული საბაჟო პროცედრებისათვის). (16.03.2001 № 809).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი *(20.02.1998. პარლამენტის უწყებანი, №13-14)*

მუხლი 44. ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

15. **გამომძიებელი** - პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თანამდებობის პირები, რომლებიც გამოძიებას ანარმოებენ სრული მოცულობით.

16. **საგამოძიებო ორგანოს უფროსი** - შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, საგამოძიებო სამმართველოს, საგამოძიებო ნაწილის უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე სხვა დანაყოფების უფროსები, რომლებიც მოქმედებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

17. მომკვლევი - მოკვლევის ორგანოს თანამდებობის პირი, რომელიც თავდაპირველ (გადაუდებელ) საგამოძიებო მოქმედებას ატარებს.

მუხლი 48. განსჯადობა

3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების განსჯადია საქმეები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით, 137-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 138-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 143-144-ე, 146-147-ე, 162-164-ე მუხლებით, 212-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 214-ე მუხლის მე-2-6 ნაწილებით, 222-224-ე, 227-235-ე მუხლებით, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 262-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 280-ე, 338-ე, 364-367-ე მუხლებით, 378-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 381-ე, 391-ე, 401-402-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა, აგრეთვე საქართველოს პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილი დანაშაულის (გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ადვოკატის, გამომძიებლის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის, ქალაქის მერის, რაიონის ან ქალაქის გამგებლის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უმცროს და უფროს ოფიცერთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს, განსჯადია სისხლის სამართლის საქმეები საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს მოსამართლის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოთა დეპუტატებისა და მთავრობათა წევრების, სახალხო დამცველის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და

სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და სამხედრო ძალების უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის, საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგიის წევრების ბრალდების გამო. აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-321-ე, 323-331-ე, 404-413-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა თაობაზე.

თავი VIII. გამომძიებელი

მუხლი 58. გამომძიებლის სტატუსი

1. გამომძიებელი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია აწარმოოს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიება.

2. წინასწარი გამოძიების წარმოებისას ყველა გადაწყვეტილებას გამოძიების მიმართულების, საგამოძიებო ვერსიათა წამოყენებისა და შემოწმების, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ გამომძიებელი იღებს დამოუკიდებლად. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონით გათვალისწინებულია მოსამართლის ბრძანება ან პროკურორის თანხმობა და პასუხს აგებს მათი სრულად და დროულად ჩატარებისათვის.

3. გამომძიებელი ვალდებულია დადგენილებით მიიღოს საქმე წარმოებაში გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, გამოავლინოს ბრალდებულის მამხილებელი და გამამართლებელი გარემოებები, აგრეთვე ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოებები.

4. გამომძიებელი ვალდებულია შეასრულოს პროკურორისა და საგამოძიებო ორგანოს უფროსის წერილობითი მითითებები, მაგრამ, თუ გამომძიებელი არ ეთანხმება საგამოძიებო ორგანოს უფროსის მითითებას, მას უფლება აქვს გაასაჩივროს იგი პროკურორთან ქვემდებარეობის მიხედვით. თუკი გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებებს ბრალდების მოცულობის, ქმედების კვალიფიკაციის, საგამოძიებო ვერსიების შემოწმების, საგამოძიებო ვადის გაგრძელების, ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის,

საქმის სასამართლოში წარმართვის, მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, მას უფლება აქვს საქმე და თავისი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს, რომელიც აუქმებს ქვემდგომი პროკურორის მითითებებს, ან გამოძიებას სხვა გამომძიებელს ავალებს. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხებზე საბოლოოა.

5. კანონის შესაბამისად გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულება სავალდებულოა ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის გამომძიებლის დადგენილების შეუსრულებლობა ინვევს კანონით დაწესებულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 59. გამომძიებლის უფლებამოსილებანი

თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძვლები, გამომძიებელი უფლებამოსილია:

ა) აღძრას სისხლის სამართლის საქმე ან უარი თქვას მის აღძვრაზე;

ბ) ჩაატაროს ამ კოდექსში აღნიშნული ყველა საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედება, გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

გ) გამოიყენოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ყველა ღონისძიება, გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

დ) გამოიტანოს და წარუდგინოს პირს დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ 284-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით;

ე) მოკვლევის ორგანოების მუშაკები ჩააბას საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;

ვ) მოკვლევის ორგანოებს მისცეს წერილობითი დავალებები საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ;

ზ) შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროებისა და ფინანსთა სამინისტროების შესაბამის ორგანოებს მისცეს წერილობითი მითითებები დაკავებულთა და დაპატიმრებულთა გამოძიების ადგილას მიყვანის შესახებ;

თ) კანონით დადგენილი წესების დაცვით, ოპერატიულ-სამძებრო

ორგანოებს მისცეს წერილობითი დავალება ოპერატიულ-სამძებრო და სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების შესახებ მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით;

ი) საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს რევიზიის, ინვენტარიზაციის, საუწყებო შემოწმების ჩატარება და გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენა;

კ) მოითხოვოს საქმეში თარჯიმნის, სპეციალისტის, დამსწრის, ამოსაცნობის მონაწილეობა;

ლ) გამოიტანოს დადგენილება პირის დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ ან სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ და განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობანი;

მ) უზრუნველყოს დამცველის მონაწილეობა კანონით დადგენილი წესით და შექმნას მისი საქმიანობის ხელშემწყობი პირობები;

ნ) შეასრულოს ბრალდებულისა და დამცველის მოთხოვნები საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და უზრუნველყოს დამცველის მონაწილეობა მის ჩატარებაში;

ო) გაათავისუფლოს არასმქონენი იურიდიული დახმარების გადასახადისაგან;

პ) გადაწყვიტოს პროცესის მონაწილეთა აცილების შესახებ შუამდგომლობასა და განცხადებაში აღძრული საკითხი და თავისი განმარტებები წარუდგინოს პროკურორს;

ჟ) გამომძიებლის მოქმედებისა და დადგენილების გასაჩივრების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საჩივარი და საქმის მასალები პროკურორს ან სასამართლოს;

რ) შეაჩეროს საქმის წარმოება, აგრეთვე განაახლოს შეჩერებული საქმის წარმოება ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით;

ს) შეწყვიტოს საქმის წარმოება ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით;

ტ) შეადგინოს საბრალდებო დასკვნა და დასამტკიცებლად წარუდგინოს პროკურორს;

უ) გაასაჩივროს პროკურორის მითითება ზემდგომ პროკურორთან.

მუხლი 60. საგამოძიებო ორგანოს უფროსი

1. საგამოძიებო ორგანოს უფროსი უწყებრივ კონტროლს უწევს

გამომძიებლების იმ მოქმედებათა დროულობას, რომლებიც დანაშაულის გამოვლენისა და აცილებისკენაა მიმართული, იღებს ზომებს, რათა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად მოხდეს სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება.

2. საგამოძიებო ორგანოს უფროსს უფლება აქვს: შეამოწმოს სისხლის სამართლის საქმე, მისცეს გამომძიებელს მითითება წინასწარი გამოძიების წარმოების, ბრალდებულად პასუხისმგებაში მიცემის, დანაშაულის კვალიფიკაციის, ბრალდების მოცულობის, საქმის წარმართვისა და ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ; ჩამოართვას საქმე ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით; ჩამოაცილოს გამომძიებელი საქმის წარმოებას; გააუქმოს გამომძიებლის უკანონო დადგენილება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, დაავალოს გამოძიება რამდენიმე გამომძიებელს ან პირადად აწარმოოს წინასწარი გამოძიება გამომძიებლის უფლებამოსილებით.

3. საგამოძიებო ორგანოს უფროსი გამომძიებელს აძლევს წერილობით მითითებას, რომლის შესრულებაც სავალდებულოა. საგამოძიებო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილება გამომძიებლის საქმის წარმოებისაგან ჩამოცილების ან გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების გაუქმების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან.

4. მიღებული მითითების გასაჩივრება პროკურორთან არ შეაჩერებს მის შესრულებას, გარდა 58-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. პროკურორის მიერ საგამოძიებო ორგანოს უფროსისათვის მიცემული მითითება სავალდებულოა საგამოძიებო ორგანოს უფროსისათვის. ზემდგომ პროკურორთან ამ მითითების გასაჩივრება არ შეაჩერებს მის შესრულებას.

მუხლი 61. წინასწარი გამოძიების ორგანოები

1. სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლები.

2. სამხედრო გამომძიებლები არიან პროკურატურის გამომძიებლები.

3. ყველა გამომძიებელს, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად,

აქვს თანაბარი უფლება-მოვალეობანი.

მუხლი 62. უწყებრივი და პერსონალური საგამოძიებო ქვემდებარეობა

1. სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობაშია საქმეები საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს მოსამართლის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოთა დეპუტატებისა და მთავრობათა წევრების, სახალხო დამცველის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ატესტირებული თანამშრომლის, პროკურორის, გამომძიებლის, ადვოკატის, სასჯელაღსრულებითი დაწესებულების მოსამსახურის ბრალდების გამო, აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის 108-116-ე, 133-ე, 136-175-ე, 220-226-ე, 240-ე, 242-ე, 246-247-ე, 252-ე, 275-ე, 279-ე, 332-342-ე, 349-358-ე, 364-413-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა და არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულისა თუ სხვა სამართალსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ.

3. სამხედრო გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობაშია საქმეები სამხედრო მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის მოსამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის მიერ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ, აგრეთვე საქართველოს სამხედრო ძალებში მომსახურე იმ სამოქალაქო პირის საქმე, რომელსაც ბრალად ედება სამსახურში ან სამხედრო ნაწილის, სამხედრო დაწესებულების ტერიტორიაზე დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, ასევე იმ სამოქალაქო პირის საქმე, რომელიც სამხედრო მოსამსახურესთან ან მასთან გა-

თანაბრებულ პირთან ერთად მონაწილეობდა დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

4. ტრანსპორტის პროკურატურის გამომძიებლები ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო ქვემდებარეობის წესების დაცვით იძიებენ იმ დანაშაულის და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა საქმეებს, რომლებიც ჩადენილია მეტროპოლიტენში, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტზე.

5. სასჯელაღსრულების დაწესებულებათა პროკურატურის გამომძიებლები ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო ქვემდებარეობის წესების დაცვით იძიებენ იმ დანაშაულის და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა საქმეებს, რომლებიც ჩადენილია საგამოძიებო იზოლატორებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

6. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გამომძიებლები იძიებენ საქმეებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-215-ე, 217-ე, 227-228-ე, 230-235-ე, 241-ე, 245-ე, 262-263-ე, 280-ე, 308-331-ე, 344-345-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ.

6[1]. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-193-ე, 196-197-ე, მე-200, 204-207-ე, 209-ე, 214-ე (გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილისა), 218-ე მუხლებით გათვალისწინებულ იმ დანაშაულთა საქმეებს, რომლებზედაც მასალები შემოწმებულია ან/და სისხლის სამართლის საქმე აღძრულია ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ან საბაჟო დეპარტამენტის მოკვლევის ორგანოების მიერ. ამ ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა (გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებისა) საქმეებს აგრეთვე იძიებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები.

7. ერთ წარმოებაში რამდენიმე ბრალდების (ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ) გაერთიანებისას საქმეს იძიებს გამომძიებელი, რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობასაც განეკუთვნება უფრო მძიმე დანაშაული.

8. თუ არსებობს კონკურენცია სხვადასხვა სახის საგამოძიებო ქვემდებარეობას შორის, უპირატესობა ენიჭება უწყებრივ საგამოძიებო ქვემდებარეობას.

მუხლი 66. მოკვლევის ორგანოები

1. მოკვლევის ორგანო არის სახელმწიფო დაწესებულება ან სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედება, აგრეთვე წინასწარი გამოძიების დროს ჩაატაროს საგამოძიებო თუ სხვა საპროცესო მოქმედება ან მონაწილეობა მიიღოს მის ჩატარებაში გამომძიებლის ან პროკურორის მოთხოვნით.

2. მოკვლევის ორგანოები არიან:

ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები და ქვედანაყოფები - ყველა დანაშაულის საქმეზე, გარდა მოკვლევის სხვა ორგანოთა კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეებისა, აგრეთვე ამ ნაწილის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმეებზე;

ბ) სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების მეთაურები და სამხედრო დაწესებულებათა უფროსები - სამხედრო გამომძიებელთა კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე;

გ) სახელმწიფო უშიშროების მოკვლევის ორგანოები - სახელმწიფო უშიშროების გამომძიებელთა კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე;

დ) სახელმწიფო საზღვრის დაცვის მოკვლევის ორგანოები - სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურის მიერ ჩადენილი დანაშაულის, საზღვრისა და სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის საქმეებზე;

ე) ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მოკვლევის ორგანოები და ქვედანაყოფები - ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელთა კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე, გარდა ამ ნაწილის „ე¹" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმეებისა;

ე¹) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მოკვლევის ორგანოები - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი სამოხელეო დანაშაულის, საბაჟო გადასახდელებისაგან თავის არიდებისა და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის საქმეებზე;

ვ) სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი დანაყოფები - სასჯელაღსრულების დაწესებულებ-

ის გარლაგების ადგილზე ჩადენილ დანაშაულთა, აგრეთვე დანესებულების თანამშრომელთა მიერ სამსახურის შესრულების დადგენილი წესით წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე;

ზ) ნაოსნობაში მყოფი საზღვაო ხომალდის კაპიტანი;

თ) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და მათ მიერ დაცული ობიექტების მიმართ ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე;

ი) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის სააღსრულებო პოლიციის სამმართველო - სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით სასამართლო აღმასრულებლის საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე.

მუხლი 106. საქმეში ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნისა და დამსწრის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი

1. ექსპერტს (გარდა 361-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა), სპეციალისტს, თარჯიმანს ან დამსწრეს უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში 105-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტში აღნიშნულ გარემოებათა არსებობისას, აგრეთვე როცა სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებულია საქმეში მონაწილე ამა თუ იმ პირზე, ან/და ნათესაური ურთიერთობა აქვს მასთან.

2. ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი აცილებულ უნდა იქნენ იმ შემთხვევაშიც, თუ გამოვლინდება მათი პროფესიული არაკომპეტენტურობა, ხოლო დამსწრენი, - თუ ისინი არიან პოლიციის, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის, საგადასახადო ან საბაჟო დეპარტამენტის მოკვლევის ორგანოებისა და ქვედანაყოფების, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, პროკურატურის, სხვა სამართალდამცავი ორგანოების, იუსტიციის ორგანოების ან სასამართლოს მუშაკები.

3. ექსპერტად ან სპეციალისტად საქმეში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელიც ატარებდა რევიზიას ან სხვა უწყებრივ შემოწმებას, რომლის საფუძველზედაც აღიძრა ეს საქმე.

მუხლი 393. მიმალული ბრალდებულის ძებნა

1. მიმალული ბრალდებულის ძებნას აცხადებს გამომძიებელი ან პროკურორი და ამის განხორციელებას ავალებს ფინანსთა, შინაგან საქმეთა ან სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შესაბამის ორგანოს.

2. ძებნა შეიძლება გამოცხადდეს საქმის წარმოების შეჩერებამდეც.

3. ძებნილის მიმართ შეიძლება შეირჩეს აღკვეთის ღონისძიება.

4. ორგანოს, რომელსაც დავალებული აქვს ძებნა, ვალდებულია თვეში ერთხელ მაინც წარუდგინოს ძებნის გამომცხადებელს ანგარიში ძებნასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ.

საქართველოს კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ *(20.03.98, უწყებანი №13-14)*

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზნები და გამოყენების სფერო

1. ეს კანონი ადგენს საქართველოს საბაჟო ტარიფის, როგორც საქართველოს შიდა სასაქონლო ბაზრის სახელმწიფო რეგულირებისა და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმის, ფორმირებისა და გამოყენების წესს, აგრეთვე საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის საბაჟო გადასახადით დაბეგვრის წესებს.

2. კანონის მიზნებია:

ა) საქართველოში საქონლის შემოტანის სტრუქტურის რაციონალიზაცია;

ბ) საქართველოში საქონლის შემოტანისა და საქართველოდან გატანის, სავალუტო შემოსავლისა და გასავლის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა;

გ) საქართველოში საქონლის წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურაში პროგრესული ცვლილებებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

დ) საქართველოს ეკონომიკის დაცვა უცხოური კონკურენციის არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან;

ე) მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ეფექტიანი ინტეგრაციის პირობების უზრუნველყოფა.

3. კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ერთიან საბაჟო ტერიტორიაზე.

მუხლი 2. საბაჟო ტარიფის ცნება

საბაჟო ტარიფი არის საბაჟო გადასახადის განაკვეთების სისტემატიზებული ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი და/ან ამ ტერიტორიიდან გატანილი საქონლის მიმართ, მისი საბაჟო ღირებულების შემცირების ან გაზრდის მიზნით, საქართველოს ეკონომიკური და/ან პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 3. საბაჟო გადასახადის ცნება

საბაჟო გადასახადი არის სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისათვის.

თავი II. საბაჟო გადასახადი

მუხლი 4. საბაჟო გადასახადის სახეები

საქართველოში გამოიყენება შემდეგი სახის საბაჟო გადასახადები:

ა) ჩვეულებრივი;

ბ) სეზონური;

გ) განსაკუთრებული.

მუხლი 5. ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი

ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი არის მუდმივმოქმედი გადასახადი, რომლის მოქმედებაც დროებით ჩერდება სეზონური და განსაკუთრებული გადასახადების გამოყენების პერიოდში.

მუხლი 6. სეზონური საბაჟო გადასახადი

1. სეზონური საბაჟო გადასახადი არის დროის გარკვეული პერიოდისათვის დაწესებული გადასახადი, რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის და/ან ამ ტერიტორიიდან გატანის რეგულირება მისი წარმოებისა და მოხმარების სეზონური თავისებურებების გათვალისწინებით.

2. სეზონური საბაჟო გადასახადის მოქმედების ვადა არ აღემატება წელიწადში ექვს თვეს.

3. სეზონური საბაჟო გადასახადის შემოღების საფუძველია საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სათანადო ორგა-

ნოების მიერ სისტემატურად წარმოებული ანალიზი, ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 7. განსაკუთრებული საბაჟო გადასახადი

1. განსაკუთრებული საბაჟო გადასახადი არის გადასახადი, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც დაცვითი და საპასუხო ღონისძიება იმ სახელმწიფოთა ან პირთა მიმართ, რომელთა საქმიანობაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის და/ან ამ ტერიტორიიდან გატანის დროს ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს.

2. საქართველოში გამოიყენება შემდეგი სახის განსაკუთრებული საბაჟო გადასახადები:

ა) სპეციალური;

ბ) ანტიდემპინგური

გ) საკომპენსაციო.

3. სპეციალური საბაჟო გადასახადები გამოიყენება, როგორც:

ა) დაცვითი ღონისძიება, თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი შემოიტანება იმ რაოდენობითა და ისეთი პირობებით, რომლებიც ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს ამ ან მსგავსი საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს;

ბ) საპასუხო ღონისძიება დისკრიმინაციული ან მსგავსი ქმედებისათვის სხვა სახელმწიფოების ან მათი კავშირების მხრიდან, რომელიც ლახავს საქართველოს ინტერესებს;

გ) დაცვითი ღონისძიება განსაკუთრებულ შემთხვევებში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქონლის ცალკეული სახეობების ექსპორტის დროებით შეზღუდვის მიზნით.

4. ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი შემოიტანება მის რეალურ ღირებულებაზე დაბალი ფასით და ამ საქონლის შემოტანა ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს, ან ხელს უშლის საქართველოში მსგავსი საქონლის წარმოების ორგანიზებას და/ ან გაფართოებას.

5. საკომპენსაციო საბაჟო გადასახადი გამოიყენება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი იმ საქონლის მიმართ,

რომლის წარმოების ან შემოტანის დროს გამოყენებულ იქნა პირდაპირი ან არაპირდაპირი სუბსიდიები და ამ საქონლის შემოტანა ზიანს აყენებს ან შეიძლება ზიანი მიაყენოს მსგავსი საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებს, ან ხელს უშლის საქართველოში მსგავსი საქონლის წარმოების ორგანიზებას და/ან გაფართოებას.

6. განსაკუთრებული (სპეციალური, ანტიდემპინგური, საკომპენსაციო) საბაჟო გადასახადების შემოღების საფუძველია საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სათანადო ორგანოების მიერ სისტემატურად წარმოებული ანალიზი, ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

თავი III. საბაჟო გადასახადის გადამხდელები და ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტი

მუხლი 8. საბაჟო გადასახადის გადამხდელები

საბაჟო გადასახადის გადამხდელები არიან პირები, რომლებიც საქონლით გადაკვეთენ საქართველოს საბაჟო საზღვარს.

მუხლი 9. დაბეგვრის ობიექტი

საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადაკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს.

თავი IV . საქონლის საბაჟო ღირებულება და წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა

მუხლი 10. საქონლის საბაჟო ღირებულება

1. საქონლის საბაჟო ღირებულება არის საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის ფასი, რომლის საფუძველზეც გაიანგარიშება საბაჟო გადასახადი საქონლის გადაზიდვამდე ინსპექტირებას დაქვემდებარებული საქონლის საბაჟო ღირებულების გათვლისას საბაჟო ორგანო ხელმძღვანელობს საქონლის გადაზიდვამდე ჩატარებული ინსპექტირების დამადასტურებელ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციით;

2. საქონლის საბაჟო ღირებულება მოიცავს გარიგების ფასს საქონლის შეძენისას, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის პუნქტამდე მისი ტრანსპორტირების, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის, დაზღვევის, საკომისიო (გარდა საქონლის გადაზიდ-

ვამდე ჩატარებული ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების საზღაურისა) და საბროკერო მომსახურების ხარჯებს, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოყენებისათვის მყიდველის მიერ პირდაპირ და არაპირდაპირ გადახდილ სალიცენზიო და სხვა გადასახდელებს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმით გატანილი საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას მათ საბაჟო ღირებულებას აკლდება გადასამუშავებლად გატანილი და დეკლარირებული საქონლის ღირებულება.

3. საქონლის საბაჟო ღირებულება გაიანგარიშება საერთაშორისო საბაჟო პრაქტიკაში აღიარებული პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით და რეგულირდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

4. თუ ვერ ხერხდება იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების დროული განსაზღვრა, იმპორტიორს უნდა მიეცეს საქონლის საბაჟოდან გატანის საშუალება, თუ იგი წარადგენს საქონლის მაქსიმალური საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ოდენობის ფულად დეპოზიტს.

(საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის კანონი - სსმ I, 1999 წ., №26(33), მუხ. 136)

მუხლი 11. საქონლის საბაჟო ღირებულების დეკლარირება

1. საქონლის საბაჟო ღირებულების დეკლარირება ხდება დეკლარანტის მიერ საბაჟო ორგანოში საქონლით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული წესით.

2. საქონლის საბაჟო ღირებულებას განსაზღვრავს დეკლარანტი ამ კანონის შესაბამისად.

3. საქონლის საბაჟო ღირებულების დეკლარირების წესი და პირობები, აგრეთვე დეკლარაციის ფორმა განისაზღვრება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

4. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორეს აკონტროლებს ის საბაჟო ორგანო, სადაც ხდება საქონლის საბაჟო გაფორმება.

5. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული

წესით დასაშვებია საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორეზე კონტროლის განხორციელების სხვა ფორმებიც.

(საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონი - სსმ 1, №4, 1998 წ., მუხ.35)

მუხლი 12. საქონლის წარმოშობის ქვეყანა

1. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის და/ან ამ ტერიტორიიდან გატანის დროს, სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

2. საქონლის წარმოშობის ქვეყნად ითვლება ქვეყანა, სადაც საქონელი სრულად იქნა წარმოშობილი ან გადამუშავებული.

3. საქონლის წარმოშობის ქვეყნად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნების ჯგუფი, საბაჟო კავშირები, რეგიონი ან ქვეყნის ნაწილი, თუ მათი (მისი) გამოყოფა აუცილებელია საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრისათვის.

4. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმები და წესი ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას და დგინდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

მუხლი 13. საქონლის წარმოშობის დადასტურება

1. მოცემულ ქვეყანაში საქონლის წარმოშობის დასადასტურებლად საქართველოს საბაჟო ორგანო, კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებულია მოითხოვოს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი.

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო გასცემს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატს იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია იმპორტიორი ქვეყნის წესებით და/ან გათვალისწინებულია შესაბამისი კონტრაქტით, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებით.

3. საქართველოში იმპორტირებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სახელმწიფო და/ან საერთაშორისო სტანდარტს და დასტურდებოდეს ხარისხობრივი შესაბამისობის სერტიფიკატით, კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი

1. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი ერთმნიშვნელოვნად უნდა ადასტურებდეს საქონლის წარმოშობას მოცემულ ქვეყანაში, რისთვისაც

იგი უნდა შეიცავდეს შემდეგი შინაარსის აუცილებელ მონაცემებს:

ა) გამოგზავნის წერილობით განაცხადს იმის შესახებ, რომ საქონელი აკმაყოფილებს წარმოშობის შესაბამის კრიტერიუმს;

ბ) სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს წერილობით დასტურს იმის შესახებ, რომ სერტიფიკატში აღნიშნული მონაცემები უტყუარია.

2. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი წარდგენილ უნდა იქნეს საქონლის საბაჟო გაფორმების დროს საბაჟო დეკლარაციასთან ერთად.

3. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის ან მასში აღნიშნული მონაცემების უტყუარობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საქართველოს საბაჟო ორგანოს შეუძლია თხოვნით მიმართოს სერტიფიკატის გამცემ ორგანოს ან სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის სხვა კომპეტენტურ უწყებას დამატებითი ან დაზუსტებული მონაცემების მისაღებად.

4. საქონელი, რომლის წარმოშობა ზუსტად არ არის დადგენილი, იმპორტის საბაჟო რეჟიმით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გაიშვება მაქსიმალური განაკვეთით გაანგარიშებული საბაჟო გადასახდელების გადახდის შემდეგ.

თავი V. საბაჟო გადასახადის განაკვეთები

მუხლი 15. საბაჟო გადასახადის განაკვეთების სახეები

საქართველოში გამოიყენება საბაჟო გადასახადის განაკვეთების შემდეგი სახეები:

ა) **ადვალური** - განისაზღვრება პროცენტებით, დასაბეგრი საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ;

ბ) **სპეციფიკური** - განისაზღვრება ლარებით, დასაბეგრი საქონლის ერთეულის მიმართ;

გ) **კომბინირებული** - მოიცავს განაკვეთების ორივე სახეს.

მუხლი 16. საბაჟო გადასახადის განაკვეთები

1. საბაჟო გადასახადის განაკვეთები ერთიანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და დაუშვებელია მათი შეცვლა საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამტანი პირების, გარიგების შინაარსის და სხვა ფაქტორების მიხედვით, ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

2. საბაჟო გადასახადის განაკვეთები საქართველოში დიფერენცირებულია და განისაზღვრება პროცენტულად - დასაბეგრი საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ, ან ლარებით - დასაბეგრი საქონლის ერთეულის მიმართ:

ა) საქართველოში იმპორტირებული იმ საქონლის მიმართ, რომელიც წარმოშობილია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში, გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-4[1] პუნტებით გათვალისწინებული საქონლისა, გამოიყენება ამ კანონის დანართში (სატარიფო ცხრილებში) მოცემული განაკვეთები, ხოლო ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის იმპორტისას - არა უმეტეს 5 -პროცენტიანი განაკვეთისა;

ბ) საქართველოში იმპორტირებული იმ საქონლის მიმართ, რომელიც წარმოშობილია იმ ქვეყნებში, რომლებიც არ წარმოადგენენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებს, გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და 4[1] პუნქტებით გათვალისწინებული საქონლისა, გამოიყენება ამ კანონის დანართში (სატარიფო ცხრილებში) მოცემული განაკვეთები, მაგრამ არანაკლებ 12-პროცენტიანი განაკვეთისა.

3. მსუბუქი ავტომანქანის იმპორტისას საბაჟო გადასახადი განისაზღვრება 0,05 ლარით ავტომანქანის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე, პლუს საბაჟო გადასახადის თანხის 5 პროცენტი ავტომანქანის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის.

4. იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ წარმოადგენენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებს, საქონლის შემოტანისას საბაჟო გადასახადის 5-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის იმპორტი:

ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 121110000, 121120000, 130110000, 130120000, 150420, 151530, 1520, 170211000 კოდებში, 28-ე და 29-ე თავებში წარმოდგენილ სამკურნალო ნედლეული და სუბსტანციები, 30-ე თავში მითითებული ფარმაცევტული პროდუქცია, მათ შორის, ვაქცინები, 391212000, 391231000, 701010000, 701090470, 701090670, 960200000 (ჟელატინის კაფსულები) კოდებში აღნიშნული საქონელი, გარდა ამ კანონის მე-18 მუხლის „ო" ქვეპუნქტით გათვალისწინებულისა;

ბ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 84-ე 85-ე, 88-ე და 90-ე ჯგუფებში მითითებული იმ საქონ-

ლის იმპორტი, რომელიც დღგ-ისგან განთავისუფლებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

გ) საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტი, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის შემდეგი პოზიციების მიხედვით:

3808 10 000 - ინსექტიციდები;

3808 20 - ფუნგიციდები;

3808 30 100 - ჰერბიციდები;

3808 90 000 - თესლის შესანამლი პრეპარატები;

3904 10 000 - პოლივინილქლორიდი, სხვა ნივთიერებებთან შეურევლად;

4001 - ნატურალური კაუჩუკი;

4702 00 000 - ხის ცელულოზა, ხსნადი ხარისხები;

5001 - გადახვევისათვის ვარგისი აბრეშუმის პარკი;

5101 - მატყლი, ვარცხნილის გარდა;

5106 და 5107 - საცალო ვაჭრობისათვის დაუფასოებელი შალის აპარატული და ვარცხნილი ნართი;

5203 00 000 - ბამბის ბოჭკო, ვარცხნილი;

5402 - საცალო ვაჭრობისათვის დაუფასოებელი სინთეზური კომპლექსური ძაფები;

7207 - არალეგირებული ფოლადის და რკინის ნახევარფაბრიკატები;

7208 - ფურცლოვანი ფოლადი;

7216 - არალეგირებული ფოლადის და რკინის კუთხოვანი, ფასონური და სპეციალური პროფილები;

7408 - სპილენძის მავთული;

7606 - ფურცლოვანი ალუმინი;

8713 და 8714 20 000 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეტლები და მათი სათადარიგო ნაწილები.

3808 40 - მადეზინფიცირებელი საშუალებები.

4[1]. საქონლის იმპორტი იბეგრება სასაქონლო ნომენკლატურის შემდეგი პოზიციების მიხედვით, საბაჟო გადასახადის:

ა) სპეციფიკური განაკვეთით:

საქონლის კოდი	საქონლის დასახელება	საბაჟო გადასახადის განაკვეთი
2204	ღვინო ყურძნის ნატურალური, შემაგრებული ღვინოების ჩათვლით; ყურძნის ბადაგი, 2009 სასაქონლო პოზიციაში მითითებულის გარდა:	
2204 10	- ღვინო ცქრიალა	
	- - არანაკლებ 8,5 მოც. % სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით	
2204 10 11	- - - შამპანური	1,5 ევრო/lt
2204 10 19	- - - სხვები	1,5ევრო/lt
2204 29 10	- - სხვები,	
2204 10 91	- - - ასტი სპუმანტე	1,5 ევრო/lt
2204 10 99	- - - სხვები	1,5 ევრო/lt
22042	- ღვინო სხვა, ყურძნის ბადაგი, რომლის დულილის აცილება ან შენყვეტა მოხდა სპირტის დამატებით:	
220421	- - 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში:	
2204 21 10	- - - ღვინო, 2204 10 სუბპოზიციაში აღნიშნულის გარდა, დამჭერიან ან სამაგრიან „სოკოსებურ"-საცობებიან ბოთლებში; ღვინო სხვა ტარაში, ხსნარში ნახშირბადის დიოქსიდით განპირობებული ქარბი ნნეკით 1-დან 3 ბარამდე, 20 C° ტემპერატურაზე	0,5 euro/lt
2204 21 90	- - - სხვები	0,5euro/lt
220429	- - სხვები.	
2204 29 10	- - - ღვინო, 2204 10 სუბპოზიციაში აღნიშნულის გარდა, დამჭერიან ან სამაგრიან „სოკოსებურ" - საცობებიან ბოთლებში; ღვინო სხვა ტარაში, ხსნარში ნახშირბადის დიოქსიდით განპირობებული ქარბი ნნეკით 1-დან 3 ბარამდე, 20 C° ტემპერატურაზე	0,5 ევრო/lt
2204 29 90	- - - სხვები	0,2 euro/lt
220430	- ყურძნის ბადაგი სხვა	0,2 euro/lt
2205	ვერმუტები და ნატურალური ღვინოები ყურძნის სხვა, მცენარეული ან არომატიზებული ექსტრაქტების დამატებით:	
220510	- არა უმეტეს 2 ლ ტევადობის ჭურჭელში	0,5 euro/lt
220590	- სხვები	0,2euro/lt
2206	- სასმელები დადუღებული სხვა (სიდრი ვაშლის, პერი [სიდრი მსხლის], სასმელი თაფლის), ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვაგან მიუთითებელი	
220600	- სასმელები დადუღებული სხვა (სიდრი ვაშლის, პერი [სიდრი მსხლის], სასმელი თაფლის); ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვაგან მიუთითებელი	0,5 euro/lt
2207	სპირტი ეთილის არადენატურირებული, სპირტის არანაკლებ 80 მოც. % კონცენტრაციით; სპირტი ეთილის და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით	
220710	- სპირტი ეთილის არადენატურირებული, სპირტის არანაკლებ 80 მოც.% კონცენტრაციით	3 euro/lt
220720	- სპირტი ეთილის და სხვა სპირტები დენატურირებული, ნებისმიერი კონცენტრაციით	3 euro/lt
2208	სპირტი ეთილის არადენატურირებული, სპირტის 80 მოც %-ზე ნაკლები კონცენტრაციით; სპირტიანი ნაყენი, ლიქიორი და სხვა სპირტიანი სასმელები:	
220820	- ნაყენი სპირტიანი, მიღებული ყურძნის ღვინის დისტილაციის (გამოხდის) ან ყურძნის ქაქის გამონურეის შედეგად	5 euro/%vol/HL

220830	- ვისკი	5 euro/% vol/HL
220840	- რომი და ტაფია	5 euro/% vol/HL
220850	- ჯინი და ღვინის ნაყენი:	
	- - ჯინი:	
220850110	- - - 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში	5 euro% vol/HL
220850190	- - - 2 ლ-ზე მეტი ტევადობის ჭურჭელში	5 euro% vol/HL
	- - ღვინის ნაყენი:	
220850910	- - - 2 ლ ან ნაკლები ტევადობის ჭურჭელში	5 euro% vol/HL
220850990	- - - 2 ლ-ზე მეტი ტევადობის ჭურჭელში	5 euro% vol/HL
220860	- არაყი	5 euro% vol/HL
220870	- ლიქიორი და ტკბილი ნაყენი	5 euro% vol/HL
220890	- სხვები:	
ex220890	- - ტეკილა და მესკალი	5euro% vol/HL
ex220890	- - სხვები	5 euro% vol/HL
2209	ძმარი და ძმარმჟავასაგან მიღებული მისი შემცვლელები:	
220900	- ძმარი და ძმარმჟავასაგან მიღებული მისი შემცვლელები	0,4 euro/lt

ბ) 20 პროცენტიანი განაკვეთით - ჩაი და ჩაის ნაწარმი; მინერალური წყლები; ლუდი;

გ) 30-პროცენტიანი განაკვეთით - ხილისა და ბოსტნეულის წვენები.

დ) ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფულის ერთეული (ევრო) გადაიანგარიშება შესაბამისი კურსით ლარებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. დანარჩენი საქონლის იმპორტი იბეგრება საბაჟო გადასახადის 12-პროცენტიანი განაკვეთით. იგივე განაკვეთი გამოიყენება ნავთობპროდუქტების იმპორტზე, მათ შორის, დსთ-ის ქვეყნებიდან

6. ამ მუხლის დებულებებზე ვრცელდება ამ კანონის მე-18 მუხლი.

თავი VI. საგადასახადო შეღავათები

მუხლი 17. სატარიფო შეღავათები

1. სატარიფო შეღავათები (სატარიფო პრეფერენციები) საქონლის მიმართ დგინდება ამ კანონით და ისინი არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური.

2. სატარიფო შეღავათები გულისხმობს უცხო ქვეყნებთან სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობების პროცესში საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლისათვის ცალმხრივი ან ორმხრივი შეღავათების მინიჭებას.

3. სატარიფო შეღავათების სახეებია:

ა) გადახდილი საბაჟო გადასახადის დაბრუნება;

ბ) საბაჟო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლება;

გ) საბაჟო გადასახადის განაკვეთის შემცირება.

მუხლი 18. საბაჟო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლება

საბაჟო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებულია:

ა) საქონლის ექსპორტი, გარდა ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ბ) საქონლის რეექსპორტი. საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადამხდელს უბრუნდება საბაჟო გადასახადის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონელი;

დ) იმპორტული საქონელი საბაჟო საწყობებში მოთავსებისას. დაბეგვრა ხდება დადგენილი წესით, საქონლის საბაჟო საწყობებიდან თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმის პირობებში - ამ რეჟიმის შესაბამისად;

ე) საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;

ვ) საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით გრანტების შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად განსაზღვრული წესით;

ზ) საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტებით, რომლებიც შეიცავს გრანტის ელემენტს არანაკლებ 25 პროცენტის ოდენობით. გრანტის ელემენტს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით, კრედიტის ფარგლებში გადასახდელთა დისკონტირების გზით დისკონტის გა-

ნაკვეთიდან გამომდინარე, კრედიტის პირობების შესაბამისად;

თ) საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, ასევე უცხო ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი აგრეთვე პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი, რომელიც განკუთვნილია „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ნავთობისა და გაზის ოპერაციებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების პირადი სარგებლობისათვის;

ი) საქართველოს საბაჟო კოდექსის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული საქონლის დროებითი შემოტანა (გარდა იმ საქონლისა, რომელსაც გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის ვადა); გემების, საჰაერო საფრენი საშუალებების და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებებით (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენის მშენებლობა) შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებითი შემოტანა; საქონლის დროებითი შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო; აგრეთვე პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დროებითი შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძენბა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის;

კ) საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი

ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარა-შესაფუთი მასალის იმპორტი ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში. ამ ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, ტარა-შესაფუთი მასალის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი ან დაიტოვება საბანკო გარანტია ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის მიხედვით;

ლ) ფიზიკური პირის მიერ უცხოეთიდან ყოველი შემოსვლისას შემოტანილი 300 ლარამდე ღირებულების საქონელი, საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 ივნისის № 273-II-ს დადგენილებით განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად;

მ) ბავშვთა კვების პროდუქტებისა და დიაბეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომელიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის. რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების, გლუკომეტრების იმპორტი;

ნ) ქართველ კლასიკოსთა და საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ გამოცემული შემოქმედებითი და მეცნიერული ნაწარმოებების იმპორტი;

ო) 16 დასახელების ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტი საქართველოს ფინანსთა, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დამტკიცებული ჩამონათვალის შესაბამისად;

პ) საერთაშორისო საჰაერო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საავიაციო საწვავი, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებები. საქართველოს ტერიტორიაზე ამ საქონლის შემოტანისას გადაიხდევინება საბაჟო გადასახადი ან საბაჟო ორგანოები იტოვებენ საბანკო გარანტიას, ხოლო საერთაშორისო საჰაერო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული მოცულობის მიხედვით იმპორტიორს უბრუნდება გადახდილი საბაჟო გადასახადის თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია;

ჟ) ნავთობისა და გაზის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი;

რ) საქართველოს სახელმწიფო ალმით მცურავი გემები;
ს) საქართველოს აქციზური და სპეციალური მარკების იმპორტი;
ტ) ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები;
უ) ალაოს იმპორტი.

თავი VII. საბაჟო გადასახადის დარიცხვა და გადახდევინება

მუხლი 19. საბაჟო გადასახადის დარიცხვა და გადახდევინება

1. საბაჟო გადასახადის დარიცხვა ხდება საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით და იგი გადაიხდევინება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის საბაჟო გაფორმებამდე სხვა საბაჟო გადასახდელებთან ერთად.

2. საბაჟო გადასახადის გადახდევინების საფუძველია სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

3. საბაჟო გადასახადის თანხის განსაზღვრისას უცხოური ვალუტა გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გაფორმების დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

თავი VIII. დასკვნითი და გარდამავალი დებულებანი

მუხლი 20. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის ამოქმედებამდე, დაბეგვრის მიზნით იმპორტული საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვროს მისი საკონტრაქტო ღირებულების მიხედვით.

2. 2001 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნაწარმის (ნედლელის გარდა) იმპორტი საბაჟო გადასახადით არ იბეგრება. თამბაქოს ნაწარმისათვის ნედლეული („ტრაპზონის" ჯიშის თამბაქოს გარდა) 2003 წლის 31 დეკემბრამდე საბაჟო გადასახადით არ იბეგრება.

3. ამ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის აღსრულების მიზნით, საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკის, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროებმა,

ხოლო საჭიროების შემთხვევაში - სხვა სამინისტროებთან, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან და სხვა უწყებებთან ერთად, სისტემატურად წარმოებული ანალიზის საფუძველზე, შეიმუშაონ სარეკომენდაციო წინადადებები სეზონური და/ან განსაკუთრებული საბაჟო გადასახადების შემოღების აუცილებლობის შესახებ და წარუდგინონ ისინი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების, აგრარულ საკითხთა, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებს.

4. სეზონური და/ან განსაკუთრებული საბაჟო გადასახადების შემოღების შესახებ შემუშავებული გადაწყვეტილების პროექტი აუცილებლობის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინება პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული წესით, სავალდებულო საპარლამენტო პროცედურების გავლის გარეშე, პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

5. საბაჟო დეპარტამენტმა 1998 წლის 1 დეკემბრამდე შეიმუშაოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

6. ელექტროენერგიის წარმოებისათვის (თბოელექტროსადგურები) ბუნებრივი აირის იმპორტი 2003 წლის 1 იანვრამდე საბაჟო გადასახადით არ იბეგრება.

მუხლი 21. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 21 ოქტომბრის დეკრეტი ,,საბაჟო ტარიფის შესახებ" (საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტომი II. მუხ.185);

ბ) ,,საბაჟო გადასახადის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 27 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, № 1-2 (33-34/7), 1997 წელი), გარდა მისი მე-4 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტისა, რომელიც ძალაშია 1998 წლის 15 აპრილამდე.

საქართველოს კანონი „შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ“

(28.04.98, უწყებანი № 19-20).

,,ეს კანონი ადგენს შეიარაღების, სამხედრო დანიშნულების ტექნიკის, ნედლეულის, მასალების, მოწყობილობების, ტექნოლოგიების, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და მათ წარმოებაგამოყენებასთან დაკავშირებული მომსახურების საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განხორციელების საფუძვლებსა და წესს საერთაშორისო და საქართველოს ეროვნული უშიშროების ინტერესების შესაბამისად და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმების განსამტკიცებლად.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება:

ა) **პროდუქცია** - ამ კანონით საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი, ტექნოლოგიები, მოწყობილობები, მომსახურება და ინფორმაცია;

ბ) **ორმაგი დანიშნულების პროდუქცია** - პროდუქცია, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამხედრო მიზნისათვის, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბირთვული, ქიმიური და სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი გადატანის საშუალებების შექმნისას;

გ) **საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ნომენკლატურა** - საკონტროლო სიები, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ჩამონათვალი, ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, მათ შორის ბირთვული და სპეციალური არაბირთვული მასალები, მოწყობილობები, ტექნიკური, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და მომსახურება, რომლებიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის ან მისი გადატანის საშუალებების შექმნისას;

დ) **უფლებები ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე** - საავტორო უფლებები სამეცნიერო ნაშრომზე, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების პროგრამებსა და მონაცემთა ბაზებზე, სამრეწველო საკუთრებაზე, გამოგონებაზე, პროდუქციაზე, ფიზიკურ და იუ-

რიდიულ პირთა მიერ წარმოებულ ან კუთვნილ პროდუქციაზე, მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე, მათ შორის შეიარაღებასთან, სამხედრო ტექნიკასთან, ორმაგი დანიშნულების პროდუქციასთან, სპეციალურ აღჭურვილობასთან და მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის ტექნოლოგიების სამრეწველო ნიმუშებსა და ,,ნოუ-ჰაუ''-სთან დაკავშირებულ მომსახურებაზე;

ე) **ექსპორტი** - საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან პროდუქციის გატანა მის ფარგლებს გარეთ მუდმივად განთავსების ან გამოყენების მიზნით, უცხო პირთათვის მომსახურების გაწევა და უფლებების მინიჭება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღებასა და სამხედრო ტექნიკასთან ან ორმაგი დანიშნულების პროდუქციასთან;

ვ) **რეექსპორტი** - საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მის ფარგლებს გარეთ დამზადებული პროდუქციის ექსპორტი, ან სხვა სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიიდან საქართველოში დამზადებული პროდუქციის ექსპორტი მესამე ქვეყანაში;

ზ) **ტრანზიტი** - საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლით პროდუქციის გადაადგილება;

თ) **ექსპორტიორი** - საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე უცხო სახელმწიფოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს პროდუქციის ექსპორტს საქართველოდან;

ი) **ბირთვული და სპეციალური არაბირთვული მასალები** - მასალები, რომლებიც ასეთად განისაზღვრება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმების მოთხოვნათა შესაბამისად;

კ) **საექსპორტო და საიმპორტო კონტროლი** - ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია სახელმწიფო ორგანოების მიერ ამ კანონით, სხვა კანონებითა და ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის განხორციელება და ამ წესების დარღვევის თავიდან აცილება, გამოვლენა და აღკვეთა;

ლ) **მომსახურება** - სხვა პირთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გაწეული საქმიანობა:

მ) **იმპორტი** - უცხო სახელმწიფოს ტერიტორიიდან საქართვე-

ლოს საბაჟო ტერიტორიაზე პროდუქციის შემოტანა მუდმივი განთავსების ან გამოყენების მიზნით, მომსახურების გაწევა და უფლებების მინიჭება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღებასა და სამხედრო ტექნიკასთან ან ორმაგი დანიშნულების პროდუქციასთან;

ნ) **იმპორტიორი** - უცხო სახელმწიფოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე, საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს პროდუქციის იმპორტს საქართველოში.

მუხლი 2. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განხორციელების პრინციპები

საქართველოში საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

ა) მასობრივი განადგურებისა და სხვა სახის იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დაცვა;

ბ) საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განხორციელებისას პოლიტიკური ინტერესების პრიორიტეტულობა;

გ) გაუვრცელებლობის რეჟიმების ფარგლებში საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის საბოლოო გამოყენების შემოწმება;

დ) საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ საკანონმდებლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ

საქსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონსა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

თავი II. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია

მუხლი 4. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია

1. ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქციას განეკუთვნება:

ა) ჩვეულებრივი შეიარაღება და ტექნიკა, ნედლეული, მასალე-

ბი, სპეციალური მონყობილობები და ტექნოლოგიები, აგრეთვე მათ წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურება;

ბ) ბირთვული მასალები, ტექნოლოგიები, მონყობილობები, დანადგარები, სპეციალური არაბირთვული მასალები, ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, მონყობილობები, ტექნოლოგიები, რადიაქტიური გამოსხივების წყაროები და იზოტოპური პროდუქცია, რომელთა ჩამონათვალი დგინდება გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით;

გ) ორმაგი დანიშნულების ქიმიკატები და ტექნოლოგიები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქიმიური იარაღის შექმნისას გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით დადგენილი ჩამონათვალის მიხედვით;

დ) დაავადებათა გამომწვევები, მათი გენეტიკურად შეცვლილი ფორმები და გენეტიკური მასალების ფრაგმენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შექმნისას გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით დადგენილი ჩამონათვალის მიხედვით;

ე) მონყობილობები, მასალები და ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება სარაკეტო იარაღის შექმნისას და რომელთა ჩამონათვალი დგინდება გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებით;

ვ) სამხედრო დანიშნულების პროდუქციასთან დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია, მომსახურება და ინტელექტუალური საკუთრების შედეგები;

ზ) საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით დადგენილი პროდუქციის სხვა სახეები.

2. ამ მუხლში ჩამოთვლილი პროდუქცია, მისი მესაკუთრის, წარმოშობის ადგილისა და დროის მიუხედავად, ექვემდებარება საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს.

თავი III. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილება საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის სფეროში

მუხლი 5. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებანი

საქართველოს პარლამენტი:

ა) განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის სფეროში;

ბ) ქმნის და ავითარებს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის სისტემას;

გ) საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ საუნყებათაშორისო კომისიას წარუდგენს იმ სახელმნიფოთა სიას, რომელთა მიმართ შეიძლება შემოღებულ იქნეს შეზღუდვები საქართველოს საბაჟოს გავლით საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტზე (იმპორტზე);

დ) ახორციელებს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის საკანონმდებლო რეგულირებას.

მუხლი 6. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებანი

საქართველოს პრეზიდენტი:

ა) გამოსცემს ნორმატიულ აქტებს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის მოსაწესრიგებლად და განსახორციელებლად;

ბ) საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი საუნყებათაშორისო კომისიის წარდგინებით ამტკიცებს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული სტრატეგიული დანიშნულების სამხედრო პროდუქციის და მომსახურების ნუსხას;

გ) ხელმძღვანელობს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განმახორციელებელი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობას;

დ) განსაზღვრავს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებას საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის სფეროში;

ე) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ადგენს რაოდენობრივ შეზღუდვებს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტზე (იმპორტზე);

ვ) საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ უნყებათაშორის კომისიასთან შეთანხმებულ საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხას.

მუხლი 7. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებანი

1. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები:

ა) უზრუნველყოფენ საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის სახელმწიფო პოლიტიკის უშუალო განხორციელებას;

ბ) შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის სისტემის რეალიზებასთან, წესებისა და პროცედურების უნიფიცირებასთან, ახდენენ მათ კორექტირებას;

გ) ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ საუწყებათაშორისო კომისიასთან ერთად განსაზღვრავენ და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენენ საკონტროლო სიებსა და საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ნუსხას;

დ) სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით ამონწმებენ საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტს, იმპორტს, რეექსპორტსა და ტრანზიტს;

ე) ახორციელებენ ექსპორტზე (იმპორტზე) განაცხადთა ექსპერტიზას;

ვ) აუცილებლობის შემთხვევაში განმცხადებლებს აძლევენ დასკვნებს ექსპორტირებადი (იმპორტირებადი) პროდუქციის იმ კატეგორიისათვის მიკუთვნების შესახებ, რომელიც ექვემდებარება საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს;

ზ) აღკვეთენ საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის უკანონო გადაადგილებას საქართველოს საბაჟოს გავლით.

2. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი საუწყებათაშორისო კომისია, საქართველოს პარლამენტის მიერ წარმოდგენილი სიის გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს იმ სახელმწიფოთა სიას, რომელთა მიმართ შეიძლება შემოღებულ იქნეს შეზღუდვები საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტზე (იმპორტზე) საქართველოს საბაჟოს გავლით.

თავი IV. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განხორციელება

მუხლი 8. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლი და მისი განხორციელების წესი

1. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტი (იმპორტი) ხორციელდება მასობრივი განადგურების იარაღის, სხვა სახის იარაღისა და მათი შექმნის ტექნოლოგიების გაუვრცელებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

2. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი ხორციელდება ნებართვის საფუძველზე, რომელსაც შეიარაღებაზე (მათ შორის, იარაღზე), სამხედრო ტექნიკაზე, ტექნიკურ დოკუმენტაციაზე, იარაღის წარმოებასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე, მომსახურებასა და საბრძოლო მასალებზე გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო ორმაგი დანიშნულების პროდუქციაზე - საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო.

3. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტზე ნებართვა საჭიროა მხოლოდ მაშინ, თუ აღნიშნული პროდუქცია ამ კანონის მე-6 მუხლის ,,ვ" ქვეპუნტის შესაბამისად დამტკიცებულ ნუსხაში ვარსკვლავით არის აღნიშნული; ასეთ შემთხვევაში ნებართვის მაძიებელი ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს, წარუდგენს ,,სამეწარმეო საქიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოს, საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის მაძიებელი ,,სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად დამატებით წარუდგენს:

ა) საექსპორტო ან საიმპორტო კონტრაქტს;

ბ) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატს.

5. ამ კანონის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული სტრატეგიული დანიშნულების პროდუქციისა და „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ ნუსხაში ვარსკვლავით აღნიშნული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის ან რეექსპორტის შემთხვევაში ნებართვის მისაღებად ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად ნებართვის მაძიებელმა უნდა წარადგინოს საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატი, რომელიც გაცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და შეიცავს მიმღები ქვეყნის ვალდებულებას თავის ტერიტორიაზე ამ პროდუქციის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისა და ექსპორტიორი ქვეყნის თანხმობის გარეშე მისი მესამე ქვეყნისათვის გადაცემის დაუშვებლობის შესახებ.

6. შეიარაღების (მათ შორის, იარაღის), სამხედრო ტექნიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოების, მომსახურებისა და საბრძოლო მასალების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის მისაღებად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დამატებით უნდა წარედგინოს:

ა) ხელმონერილი კონტრაქტის (ხელშეკრულების) ასლი ან გაფორმებულ განზრახულობათა ოქმი;

ბ) შეიარაღების (მათ შორის, იარაღის), სამხედრო ტექნიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოების, მომსახურებისა და საბრძოლო მასალების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის განხორციელების ნებართვა, გაცემული იმ ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომლის ტერიტორიაზედაც არის რეგისტრირებული კონტრაქტის ან გაფორმებულ განზრახულობათა ოქმის მონაწილე მხარე;

გ) საბოლოო მოხმარების სერტიფიკატი, თუ ნებართვის მაძიებელი თვითონ არ წარმოადგენს მომხმარებელს.

7. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო ნებართვას გასცემს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი უწყებათა-

შორისი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, რომელსაც წარუდგენს ამ მუხლის მე-4-6 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ასლებს.

8. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის, გარდა ამ კანონის მე-6 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ ნუსხაში ვარსკვლავით აღნიშნული პროდუქციის, ასევე სანადირო გლუვლულიანი, სასპორტო, ჯილდოდ მიღებული, გაზისა და საფანტის, საკოლექციო იარაღისა და მათთვის საჭირო საბრძოლო მასალების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა ან ტრანზიტის ნებართვის გაცემა წარმოებს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი საუწყებათაშორისო კომისიის რეკომენდაციის გარეშე.

9. ამ კანონის საფუძველზე გაცემული ნებართვისა და კონტრაქტის დედნებს ნებართვის მფლობელი წარუდგენს საბაჟო ორგანოებს.

10. ბირთვული და სპეციალური არაბირთვული მასალების, აგრეთვე ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტისას (იმპორტისას) კონტრაქტში გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს უფლება აქვთ შეამონმონ ამ პროდუქციის საბოლოო გამოყენება.

11. ბირთვული, სპეციალური არაბირთვული მასალების, განსაკუთრებული სტრატეგიული დანიშნულების, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის, რომლებიც საკონტროლო ნუსხებში აღინიშნება ვარსკვლავით, ექსპორტი იმ ქვეყნებში, რომლებიც არ ფლობენ ბირთვულ იარაღს, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ ქვეყნების უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების თანხმობა იმის შესახებ, რომ მათ მიერ მიღებული საექსპორტო და საიმპორტო პროდუქცია, აგრეთვე მათი გამოყენების შედეგად წარმოებული ბირთვული ან სპეციალური არაბირთვული მასალები, ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, დანადგარები, მოწყობილობები:

ა) არ იქნება გამოყენებული ბირთვული იარაღისა და ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობების დასამზადებლად ან სხვა სამხედრო მიზნით;

ბ) დაექვემდებარება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენ-

ტოს კონტროლს (გარანტიას) მათი გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში, მიმღებ ქვეყანასა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შორის გარანტიების შესახებ შეთანხმების შესაბამისად;

გ) უზრუნველყოფილი იქნება ფიზიკური დაცვის საშუალებებით ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ რეკომენდებული დონის შესაბამისად;

დ) რეექსპორტირებული (ექსპორტირებული) იქნება ან გადის მიმღები ქვეყნის იურისდიქციიდან მხოლოდ ამ პუნქტის ,,ა"-,,გ" ქვეპუნქტებში გათვალისწინებული პირობებით; ხოლო 20 %-ის ზევით გამდიდრებული ურანის, აგრეთვე პლუტონიუმის ან მძიმე წყლის რეექსპორტი შეიძლება მხოლოდ ატომური ენერგიის საკითხებში უფლებამოსილი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს წერილობითი თანხმობით.

12. ნებართვის მისაღებად წარდგენილ ცნობათა უტყუარობაზე პასუხისმგებელია ის პირი, რომელმაც შეიტანა განაცხადი ნებართვის მისაღებად.

13. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოს, რომელმაც გასცა ნებართვა, შეუძლია გააუქმოს ან შეაჩეროს ნებართვის მოქმედება, თუ ექსპორტიორმა (იმპორტიორმა) დაარღვია საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციათა ჩატარების წესი, ასევე ,,სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის მეშვიდე თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

14. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის უფლებამოსილ ორგანოს აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია შეამოწმოს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია.

15. საქართველოს შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის, სასწავლო და სამხედრო დანიშნულების დახმარე ქონების, აგრეთვე მათი შემადგენელი ნაწილების ნიმუშების რემონტის მიზნით გადაადგილება საქართველოს საბაჟოზე ხორციელდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით, რომლის შესახებაც ეცნობება საქართველოს ეროვნული უშიშრობის საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ საუწყებათაშორისო კომისიას.

16. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის საქართველოს საბაჟოს გავლით გატანას აკონტროლებენ საქართველოს საბაჟო ორგანოები.

მუხლი 9. რეექსპორტი და ტრანზიტი

1. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის რეექსპორტი ხორციელდება ამ კანონით ექსპორტისათვის დადგენილი წესით.

2. პროდუქციის საქართველოდან რეექსპორტი ექვემდებარება საექსპორტო კონტროლს და ხორციელდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს ნებართვით.

3. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი პროდუქციის რეექსპორტი ექვემდებარება საექსპორტო კონტროლს და შეიძლება განხორციელდეს გამომგზავნი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს ნებართვის გარეშე.

4. საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტი გარდა ისეთი სახის ორმაგი დანიშნულების პროდუქციისა, რომელიც ამ კანონის მე-6 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ ნუსხაში ვარსკვლავით არ არის აღნიშნული, ხორციელდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს ნებართვით. ნებართვის გაცემის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ საუწყებათაშორისო კომისიას.

5. ისეთი სახის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტის შემთხვევაში, რომელიც ამ კანონის მე-6 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ ნუსხაში ვარსკვლავით არ არის აღნიშნული, საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის და იუსტიციის სამინისტროებს.

მუხლი 10. საქართველოს მონაწილეობა საექსპორტო და საიმპორტო კონტროლთან დაკავშირებულ საერთაშორისო სანქციებში

1. საქართველოს მონაწილეობა საექსპორტო და საიმპორტო კონტროლთან დაკავშირებულ საერთაშორისო სანქციებში ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მიმართ განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

2. ცალკეულ შემთხვევაში საქართველოს შეუძლია ცალმხრივი წესით გამოიყენოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სანქციები.

3. ეკონომიკური სანქციების შემოღების შემთხვევაში ექსპორტიორებისათვის (იმპორტიორებისათვის) ზარალის ანაზღაურების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 11. ექსპორტის შეზღუდვა

1. საქართველოს უფლება აქვს დააწესოს შეზღუდვები, ემბარგოს ჩათვლით, საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტზე უცხო სახელმწიფოების მიერ საქართველოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე იმ საერთაშორისო ორგანიზაციათა გადაწყვეტილებით, რომელთა წევრიც არის საქართველო.

2. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი საუწყებათაშორისო კომისიის წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტი, ეროვნული უსაფრთხოებისა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების ინტერესების შესაბამისად, ამტკიცებს იმ სახელმწიფოთა სიას, რომელთა მიმართ შეიძლება შემოღებულ იქნეს შეზღუდვები საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტზე საქართველოს საბაჟოს გავლით.

მუხლი 12. ინფორმაციის დაცვა

საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პროდუქციის ექსპორტიორებისაგან (იმპორტიორებისაგან) მიღებული ინფორმაციის დაცვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 13. საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობა

საქართველო მონაწილეობს მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმების უზრუნველყოფასა და განმტკიცებასთან დაკავშირებული იმ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში, რომლებიც მოქმედებენ საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის სფეროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა ორგანიზაციების მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის

ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი V. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 15. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებამდე მიღებულ იქნეს შემდეგი ნორმატიული აქტები:

ა) საქართველოს კანონი ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი ,,საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ";

გ) საქართველოს კანონი ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ";

დ) საქართველოს კანონი ,,ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე".

ე) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ,,საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ნუსხის შესახებ".

თავი VI. დასკვნითი დებულება

მუხლი 16. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 1998 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" *(12.06.98, უწყებანი №23-24)*

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის საშიში ქიმიური ნივთიერებების შექმნის, გამოცდისა და სახელმწიფო ექსპერტიზის, სტანდარტიზაციის, აღრიცხვისა და რეგისტრაციის, წარმოების, შეფუთვის, ნიშანდებისა და ეტიკეტირების, ტრანსპორტირების, მოხმარების, ექსპორტისა და იმპორტის, გად-

ამუშავების, გაუვნებელყოფის, განთავსების, შეზღუდვის, აკრძალვისა და გამოყენებიდან ამოღების სფეროში, აგრეთვე მათზე სახელმწიფო და საუნყებო ზედამხედველობის წესებს.

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) ადამიანთა და ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ და სამკურნალო პრეპარატებზე მზა სახით;

ბ) კოსმეტიკურ პროდუქციაზე;

გ) ქიმიურ ნივთიერებებზე, რომლებიც გამოიყენება სასწავლო-სამეცნიერო მიზნით იმ ოდენობით, რომელიც არ ახდენს მავნე ზემოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე;

დ) მიკროორგანიზმებსა და მიკრობული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე;

ე) ნარევებსა და ნივთიერებებზე ნარჩენების სახით;

ვ) საკვები დანამატებზე;

ზ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიურ ნივთიერებებზე (გარდა მათი ერთიანი სახელმწიფო რეესტრისა);

თ) რადიაქტიურ ნივთიერებებსა და მასალებზე;

ი) საშიშ სამრეწველო ნარჩენებზე;

კ) პირადი მოხმარებისათვის განკუთვნილ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქიმიურ ნივთიერებებზე.

მუხლი 2. ტერმინების განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

გ) საშიში ქიმიური ნივთიერებები - ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე და მიეკუთვნებიან ტოქსიკურობისა და საშიშროების შემდეგ კლასებს:

გ.ა) ფეთქებადი ნივთიერებები და პრეპარატები მყარ, თხევად, პასტისმაგვარ ან ლაბისებრ მდგომარეობაში, რომლებიც იწვევენ ეგზოთერმულ რეაქციას ატმოსფერული ჟანგბადის გარეშე და სწრაფად გამოყოფენ გაზებს, დეტონირებენ, ადვილად აალდებიან ან ფეთქდებიან ნაწილობრივ დახშულ პირობებში გახურებით;

გ.ბ) დამჟანგავი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც იწვევენ ძლიერ ეგზოთერმულ რეაქციას სხვა აალებად ნივთიერებებთან შეხებისას;

გ.გ) უკიდურესად აალებადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებსაც აქვთ დაბალი აალების და დუღილის წერტილები,

აალდებიან ჰაერთან შეხებისას ოთახის ტემპერატურასა და ნორმალურ ატმოსფერულ წნევაზე;

გ.დ) ადვილად აალებადი ნივთიერებები და პრეპარატები:

გ.დ.ა) ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ცხელდებიან და აალდებიან ჰაერთან შეხებისას ოთახის ტემპერატურაზე, ენერგიის სხვა წყაროების არარსებობისას;

გ.დ.ბ) მყარი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც აალდებიან სითბოს წყაროსთან ხანმოკლე შეხებისას და განაგრძობენ წვას ამ წყაროს მოცილების შემდეგაც;

გ.დ.გ) თხევადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებსაც აქვთ დაბალი აალების წერტილი;

გ.დ.დ) ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც წყალთან ან ნესტიან ჰაერთან შეხებისას გამოყოფენ ადვილადაალებად აირებს საშიში ოდენობით;

გ.ე) ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ცოცხალ ქსოვილთან შეხებისას აზიანებენ მას;

გ.ვ) ტოქსიკური ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მცირე ოდენობით მოხვედრისას იწვევენ სიკვდილს, მწვავე ან ქრონიკულ მოწამვლას;

გ.ზ) გამაღიზიანებელი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ფიზიკურ გაღიზიანებასა და ანთებით პროცესს;

გ.თ) ალერგიული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ზემგრძნობელობას (ალერგიულ რეაქციას);

გ.ი) კანცეროგენული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ სიმსივნური დაავადების განვითარებას;

გ.კ) მუტაგენური ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ გენეტიკური სისტემის მოშლას;

გ.ლ) ტერატოგენური ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ ნაყოფის განვითარების პროცესის დარღვევას და სიმახინჯეებს;

გ.მ) გონადოტროპული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ სასქე-

სო ჯირკვლების ფუნქციის მოშლას;

გ.ნ) ემბრიოტროპული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას ინვევენ ჩანასახის განვითარების მოშლას;

დ) ახალი საშიში ქიმიური ნივთიერება - შექმნილი ან შექმნის სტადიაში მყოფი ნივთიერება, რომელიც ამ კანონის ამოქმედებამდე არ ყოფილა გამოყენებული;

ე) საშიში ქიმიური ნივთიერების გამოყენება - ნივთიერების წარმოება, იმპორტი და ექსპორტი, ნიშანდება-ეტიკეტირება, ტრანსპორტირება, შენახვა-დასაწყობება, რეალიზაცია-გავრცელება, გადამუშავება, მოხმარება, გამოყენებიდან ამოღება ან სხვა სახით გამოყენება, მისი შექმნა-დამზადებიდან დაწყებული;

ვ) საშიში ქიმიური ნივთიერების მოხმარება - ნივთიერების მიზნობრივად გამოყენება;

ზ) საშიში ქიმიური ნივთიერების შემქმნელი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ქმნის (ასინთეზებს) ნივთიერებას;

თ) საშიში ქიმიური ნივთიერების მწარმოებელი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს ნივთიერებას;

ი) მკაცრად შეზღუდული საშიში ქიმიური ნივთიერება - ნივთიერება, რომლის ნებისმიერი სახით გამოყენება აკრძალულია ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით, თუმცა დასაშვებია მისი ზოგიერთი სახით გამოყენებაც;

კ) აკრძალული საშიში ქიმიური ნივთიერება - ნივთიერება, რომლის ნებისმიერი სახით გამოყენება აკრძალულია ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით;

ლ) საშიში ქიმიური ნივთიერებებით საერთაშორისო ვაჭრობა - ნივთიერებების ექსპორტი ან იმპორტი;

მ) ექსპორტი - საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საშიში ქიმიური ნივთიერებების გატანა, მათი აქ შემოტანის ვალდებულების გარეშე;

ნ) იმპორტი - საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საშიში ქიმიური ნივთიერებების მუდმივად დატოვება, მათი აქედან გატანის ვალდებულების გარეშე;

მუხლი 3. კანონის მიზნები

კანონის მიზნებია:

ა) საშიში ქიმიური ნივთიერებების შექმნის, გამოცდისა და სახ-

ელმწიფო ექსპერტიზის, სტანდარტიზაციის, აღრიცხვისა და რეგისტრაციის, წარმოების, შეფუთვის, ნიშანდებისა და ეტიკეტირების, ტრანსპორტირების, მოხმარების, ექსპორტისა და იმპორტის, გადამუშავების, გაუვნებელყოფის, განთავსების, შეზღუდვის, აკრძალვისა და გამოყენებიდან ამოღების სფეროში სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპების განსაზღვრა და მათი ნორმების დადგენა;

მუხლი 4. კანონის ამოცანები

კანონის ამოცანებია:

ე) სარეალიზაციოდ გამიზნული საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ შეტყობინების, მათი გამოცდისა და სახელმწიფო ექსპერტიზის, სტანდარტიზაციის, აღრიცხვისა და რეგისტრაციის, შეფუთვის, ნიშანდების, იმპორტისა და ექსპორტის პროცესების მოწესრიგება;

მუხლი 8. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა კომპეტენცია საშიში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების სფეროში

1. საშიში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების სფეროში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება:

ი) წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტსა და ექსპორტზე ნებართვების გაცემა;

3. საშიში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების მართვისა და კონტროლის სფეროში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფუნქციებია:

დ) საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის ნესების შემუშავება და მათ შესრულებაზე კონტროლი;

მუხლი 22. საშიში ქიმიური ნივთიერების რეგისტრაცია

1. საშიში ქიმიური ნივთიერების რეგისტრაცია გულისხმობს ნივთიერების შეტანას საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ერთიან სახელმწიფო რეესტრში.

2. საშიში ქიმიური ნივთიერების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 23. საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ერთიანი სახელმწიფო რეესტრი

4. ერთიანი სახელმწიფო რეესტრი უნდა მოიცავდეს საშიში ქი-

მიური ნივთიერებებისა და მათი პროდუქტების სასიცოცხლო ციკლის (ყველა სტადია, რომელსაც ნივთიერება გადის მისი შექმნადამზადებიდან საბოლოო განთავსებამდე) შესახებ მონაცემებს, მათ შორის:

ე) მონაცემებს ნივთიერების ტრანსპორტირების, შენახვის, სამეურნეო ბრუნვაში არსებული ოდენობის, ექსპორტისა და იმპორტის შესახებ;

მუხლი 25. საშიში ქიმიური ნივთიერების ნიშანდება და ეტიკეტირება

12. საექსპორტო საშიში ქიმიური ნივთიერების ეტიკეტი და ნიშანი უნდა განსხვავდებოდეს ქვეყნის შიგნით გამოსაყენებელი ნივთიერების ეტიკეტისა და ნიშნისაგან.

მუხლი 28. საშიში ქიმიური ნივთიერების იმპორტი, ექსპორტი და მათზე ნებართვის გაცემის წესი

1. საშიში ქიმიური ნივთიერების იმპორტი ან ექსპორტი დასაშვებია, თუ შესასყიდი ნივთიერება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერების იმპორტის ან ექსპორტის განმხორციელებელმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა აღნიშნული პროცედურის ჩასატარებლად უნდა მიმართოს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

3. თუ იმპორტირებული საშიში ქიმიური ნივთიერება არ არის შეტანილი ერთიან სახელმწიფო რეესტრში, მისი სახელმწიფო ექსპერტიზა, სახელმწიფო გამოცდა და რეგისტრაცია ტარდება იმავე წესიითა და ვადებში, რომლებიც განსაზღვრულია ამ კანონის მე-19-22-ე მუხლებით.

4. აკრძალულია:

ა) არარეგისტრირებული და ისეთი ახალი საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტი ან ექსპორტი, რომლებიც არ შეესაბამება წინასწარ დასაბუთებული თანხმობისა და ამ ნივთიერებების იმპორტ-ექსპორტის თაობაზე შეტყობინების სქემის მოთხოვნებს;

ბ) იმ საშიში ქიმიური ნივთიერების იმპორტი ან ექსპორტი, რომლის გამოყენებასაც კრძალავს იმპორტიორი ქვეყანა;

გ) არასწორად ეტიკეტირებული საშიში ქიმიური ნივთიერებ-

ის იმპორტი;

დ) ქვეყანაში ნებისმიერი სახისა და დანიშნულების საშიში ქიმიური ნივთიერების არალეგალურად შემოტანა.

5. წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერების იმპორტიორს ან ექსპორტიორს უნდა ჰქონდეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნებართვა.

6. წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტი, ექსპორტი და მათზე ნებართვის გაცემის წესი განისაზღვრება დებულებით „საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის წესის შესახებ", რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით.

7. წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის სფეროში კონტროლს ახორციელებენ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები და საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი.

მუხლი 32. საშიში ქიმიური ნივთიერების შენახვაზე ნებართვის გაცემის წესი

1. საშიში ქიმიური ნივთიერების შენახვა დასაშვებია ტიპური პროექტით აშენებულ ან მოწყობილ საწყობებში, საცავებში ან სხვა სპეციალურ ნაგებობებში, რომლებიც არ არის განლაგებული ქალაქებსა და მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების, საზოგადოებრივი, სამკურნალო-პროფილაქტიკური და ბავშვთა დაწესებულებების მიმდებარე ტერიტორიაზე, წყალდაცვით ზოლში, საკურორტო, აგრეთვე სტიქიის (მიწისძვრა, წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ღვარცოფი, მენყერი, ზვავი საშიშროების ზონებში.

2. საშიში ქიმიური ნივთიერების შენახვა-დასაწყობება დასაშვებია მხოლოდ სასაწყობო მეურნეობის სანიტარიულ-ტექნიკური პასპორტის არსებობისას. ამ პასპორტს გასცემს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვისა და

საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ნებართვის საფუძველზე.

საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“ *(12.06.98, უწყებანი №23-24)*

მუხლი 33

1. საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული ღვინის და ყურძნისეული ნარმოშობის სპირტიანი სასმელის ეტიკეტზე წარნერები უნდა იყოს ქართულ ენაზე ან ქართულთან ერთად ერთ-ერთ უცხო ენაზე.

2. იმპორტიორი პირის მოთხოვნით, ქართულთან ერთად ორი უცხო ენის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ პროდუქციის სახელნოდების აღსანიშნავად.

თავი XII[2]. ექსპორტი და იმპორტი

მუხლი 33[3]

1. ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტირებისას წარმოშობის სერტიფიკატს გასცემს სამტრესტი საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.

2. ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების ექსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ბოთლებში ჩამოსხმული სახით.

მუხლი 33[4]

1. ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტის იმპორტირება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ის არ შეიცავს ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებებს;

ბ) ის არ საჭიროებს დამატებით გადამუშავებას და განკუთვნილია უშუალო მოხმარებისათვის;

გ) მისი დამზადების წესი და შემადგენლობა აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სავალდებულოა იმპორტირებული ყურძნისეული წარმოშობის პროდუქციის თითოეული პარტიის სერტიფიცირება, გარდა იმ ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციისა, რომელთა სერტიფიკატები აღიარებულია საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე.

საქართველოს კანონი „შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და რეექსპორტის რეგულირების შესახებ“ *(26.06.98, უნყებანი № 25-26)*

თავი I. ზოგადი დებულება

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი ანესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და რეექსპორტის სფეროში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

თავი II. ძირითადი დებულებანი

მუხლი 2. შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და რეექსპორტის წესი

საქართველოდან შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტი და რეექსპორტი დაიშვება საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის საფუძველზე. (25.06.2002 №1597)

მუხლი 3. ამოღებულია (20.07.99. №2253 საკანონმდებლო მაცნე № 35(42))

მუხლი 4. ინფორმაციის აღრიცხვა შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და რეექსპორტის სფეროში

შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და რეექსპორტის შესახებ ინფორმაცია აღირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგარეო ვაჭრობის სფეროში საბაჟო სტატისტიკის წარმოების საერთო წესის შესაბამისად. ამასთან, ამგვარი ინფორმაცია, საქონლის სპეციფიკისათვის აუცილებელ სხვა პარამეტრებთან ერთად, უნდა შეიცავდეს ექსპორტირებული ჯართის წონას ტონებში.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 6. ამოღებულია (20.07.99. №2253 საკანონმდებლო მაცნე № 35(42))

თავი II¹. გარდამავალი დებულება

მუხლი 6¹. შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და რეექსპორტის კონტროლის ხელშემწყობი ღონისძიებანი

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ აღმასრულებელი ხელისფლების შესაბამის დაწესებულებებთან ერთად:

ა) უზრუნველყოს სახელმწიფოს 51 %-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში არსებული შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ინვენტარიზაციის განხორციელება;

ბ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს აღნიშნულ საწარმოებში არსებული შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების რეალიზაციისა და რეალიზაციიდან შემოსული თანხების მიზნობრივად გამოყენების წესი. (25.06. 2002 № 1597)

თავი III. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 7. კანონის ამოქმედება და ძალადაკარგულად ცნობილი აქტი

1. ეს კანონი ამოქმედდეს 1998 წლის 1 ივლისიდან.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 21 თებერვლის დადგენილება ,,შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის აკრძალვის შესახებ".

საქართველოს კანონი „სახელმწიფო საზღვრის შესახებ" *(17.07.98. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 05.08.98)*

მუხლი 2. ტერმინების განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **საქართველოს სახელმწიფო საზღვარი** - ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას - ხმელეთს, წყალს, წიაღს, საჰაერო სივრცეს - გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან;

გ) **სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი** - სახელმწიფო საზღვრის

გადაკვეთის წესი; საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა სამხედრო და არასამხედრო გემების საქართველოს შიდა წყლებში, პორტებსა და ტერიტორიულ წყლებში ყოფნისა და ცურვის წესები, აგრეთვე სახელმწიფო საზღვარზე სარეწი და სხვა საქმიანობის, სხვადასხვა სამუშაოთა ნარმოების წესები;

მუხლი 4. საქართველოს ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა)

1. საქართველოს ტერიტორიულ წყლებს (ტერიტორიულ ზღვას) მიეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი და რომელიც აითვლება იმ წერტილების შემაერთებელი სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომელთა კოორდინატებს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს ტერიტორიული წყლების (ტერიტორიული ზღვის) სიგანე შეიძლება დადგინდეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, ხოლო ასეთის არარსებობისას - საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

მუხლი 5. საქართველოს ტერიტორიული წყლების მიმდებარე ზონა

1. საქართველოს ტერიტორიაზე ან ტერიტორიულ წყლებში საბაჟო, ფისკალური, საიმიგრაციო ან სანიტარიული კანონმდებლობისა და წესების დარღვევის აღკვეთის მიზნით დგინდება მიმდებარე ზონა, რომელიც არის 12 საზღვაო მილის სიგანის ზღვის ზოლი და ღია ზღვის მხრიდან ესაზღვრება ტერიტორიულ წყლებს.

2. მიმდებარე ზონა ვრცელდება არა უმეტეს 24 საზღვაო მილის მანძილზე იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა.

მუხლი 6. საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა არის საზღვაო სივრცე, რომელიც აითვლება იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა და რომელთა სიგანეც არ აღემატება 200 საზღვაო მილს.

მუხლი 7. საქართველოს კონტინენტური შელფი

1. კონტინენტური შელფი არის ზღვის ფსკერი, რომელიც ვრ-

ცელდება სახმელეთო ტერიტორიის მთელ ბუნებრივ სიგრძეზე ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე 200 საზღვაო მილის ძანძილზე ან ვრცელდება არა უმეტეს 200 საზღვაო მილის მანძილზე იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა, თუ ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი არ ვრცელდება ამ მანძილზე.

2. ცალკეულ შემთხვევებში კონტინენტური შელფის გარე საზღვარი დგინდება მოსაზღვრე ან მოპირდაპირე სახელმწიფოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით.

მუხლი 10. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დადგენა

1. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დგინდება:

ა) ხმელეთზე - რელიეფის დამახასიათებელი წერტილებისა და ხაზების ან თვალსაჩინო ორიენტირების მეშვეობით;

ბ) ზღვაზე - საქართველოს ტერიტორიული წყლებისა და მათი მიმდებარე ზონის მიხედვით;

მუხლი 12. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი

თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი ადგენს;

ა) პირისა და ტრანსპორტის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის და მათი შემოწმების წესს;

ბ) სახელმწიფოს საზღვარზე პირის გადაადგილების, ქონების, ნივთების, ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ქვების, ფასიანი ქაღალდების გადატანის, ცხოველთა გადაყვანის წესს;

გ) სასაზღვრო გამტარ პუნქტში პირისა და ტრანსპორტის შესვლის, ყოფნისა და იქიდან გამოსვლის, საქონლის შემოტანა-გატანის წესს;

დ) საქართველოს შიდა წყლებში, პორტებსა და ტერიტორიულ წყლებში საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების სანაოსნო საშუალებათა შესვლის, გადაადგილებისა და ყოფნის, აგრეთვე სტიქიდან გამოსვლის წესს;

ე) საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდისა და სხვა საფრენი აპარატების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესს;

ვ) სახელმწიფო საზღვარზე სარენი და სხვა საქმიანობის, სხვა-

დასხვა სამუშაოთა წარმოების წესს ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

მუხლი 14. კონტროლი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას

1. პირი, ტრანსპორტი, ტვირთი და სხვა ქონება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას გადის სასაზღვრო და საბაჟო კონტროლს. საიმიგრაციო, სანიტარიულ-საკარანტინო, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული, აგრეთვე კულტურულ-მხატვრულ ფასეულობათა გადატანისა და სხვა სახის კონტროლი ხორციელდება „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით" დადგენილ შემთხვევებში.

2. საზღვარგარეთიდან მომავალი, აგრეთვე საქართველოდან მიმავალი სანაოსნო საშუალების კაპიტანს, საჰაერო ხომალდის მეთაურს, მატარებლის უფროსს, ავტოტრანსპორტის მძღოლს მისი ტრანსპორტით პირთა უკანონოდ შემოყვანა-გაყვანისათვის, აკრძალული ტვირთის გადაზიდვა-გადმოზიდვისათვის ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. საზღვარგარეთიდან მომავალი ტრანსპორტის შემოწმება ხდება მფლობელის (მისი წარმომადგენლის) და/ან ამ ტრანსპორტის მომსახურე პერსონალის თანდასწრებით. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აუცილებლობის შემთხვევაში ტრანსპორტის მფლობელი (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია მესაზღვრეებს შესამოწმებლად წარუდგინოს ტრანსპორტი, მისცეს მათ შესაძლებლობა გახსნან დალუქული ვაგონი, ავტომობილი, კონტეინერი, წყლის და საჰაერო ტრანსპორტის სხვა სათავსები.

მუხლი 15. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირის, ტრანსპორტის, ცხოველის, ტვირთისა და სხვა ქონების გატარება

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირის, ტრანსპორტის, ტვირთის, ცხოველისა და სხვა ქონების გატარება ხდება სასაზღვრო გამტარი პუნქტის მეშვეობით და გულისხმობს პირის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის, სახელმწიფო საზღვარზე ტრანსპორტის გადაადგილების, ცხოველის გადაყვანის, ტვირთისა და სხვა ქონების გადატანის კანონიერების ცნობას.

2. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეები გაატარებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ტრანსპორტზე, ცხოველზე, ტვირთსა და სხვა ქონებაზე სათანადო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.

3. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ტრანსპორტის, ცხოველის, ტვირთისა და სხვა ქონების გატარება ხდება ,,სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის შესაბამისად.

მუხლი 16. სასაზღვრო გამტარ პუნქტში პირისა და ტრანსპორტის შესვლის, ყოფნისა და იქიდან გამოსვლის, აგრეთვე საქონლის შემოტანა-გატანის წესი

სასაზღვრო გამტარ პუნქტში პირისა და ტრანსპორტის შესვლის, ყოფნისა და იქიდან გამოსვლის, საქონლის შემოტანა-გატანის წესი დგინდება ,,სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით", აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.

მუხლი 17. საჰაერო ხომალდის აფრენა და დაფრენა

1.საქართველოს ტერიტორიიდან აფრენა, აგრეთვე საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოსვლის შემდეგ მიწაზე დაფრენა იმ საჰაერო ხომალდისა, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უნდა გადაკვეთოს, ხდება საერთაშორისო ფრენისათვის განკუთვნილ აეროპორტში (აეროდრომზე), სადაც არის სასაზღვრო გამტარი პუნქტი, საბაჟო დაწესებულება და სხვა შეხაბამისი სამსახურები.

მუხლი 21. საქართველოს ტერიტორიულ და შიდა წყლებში სხვა სახელმწიფოს გემისათვის სარეწი, კვლევითი და ჰიდროგრაფიული საქმიანობის აკრძალვა

თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს ტერიტორიულ და შიდა წყლებში უცხო სახელმწიფოს გემს ეკრძალება სარეწი, კვლევითი და ჰიდროგრაფიული საქმიანობა.

მუხლი 30. სასაზღვრო რეჟიმი საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე არსებულ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში

1. სასაზღვრო რეჟიმი საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე არსებულ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში - ნებისმიერი პირისა და ყველა სახის ტრანსპორტის შემოსვლა-გადაადგილება, აგრეთვე სხვა საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია პირის, ტრანსპორტის, ტვირთისა და სხვა ქონების გადაადგილებასთან, საზღვრისპირა სარკინიგზო და საავტომობილო სადგურის, საზღვაო პორტის, აეროპორტის (აეროდრომის) ტერიტორიის ფარგლებში განისაზღვრება ,,სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით".

მუხლი 31. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ამოცანები

ბ) სასაზღვრო, საბაჟო, საკარანტინო, საავტომობილო, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლი;

ე) პირისა და ტრანსპორტის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის, აგრეთვე ტვირთისა და სხვა ქონების სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილების კონტროლი;

ვ) სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კონტროლი სასაზღვრო ზონაში;

მუხლი 33. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტები

2. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან, არიან:

ა) საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი;

ბ) საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრო;

გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

დ) საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო;

ე) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

მუხლი 35. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის უფლება-მოვალეობანი

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს საქართველოს სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო

ზოლში, ტერიტორიულ და შიდა წყლებში, მიმდებარე ზონაში, სასაზღვრო გამტარ პუნქტებში აქვს შემდეგი უფლება-მოვალეობანი:

თ) თავიდან აიცილოს და აღკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირის უკანონოდ გადაადგილება, აგრეთვე ტრანსპორტის, ტვირთისა და სხვა ქონების უკანონოდ გადატანა;

კ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გაატაროს პირი, ტრანსპორტი, ტვირთი და სხვა ქონება, საზღვრის გადაკვეთისათვის საჭირო, სათანადო წესით გაფორმებული დოკუმენტების წარდგენისას;

ქ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიწვევითა და მასთან ერთად, შეამოწმოს ტრანსპორტი, ტვირთი და სხვა ქონება;

ღ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტთან ერთად ამოიღოს საგნები, რომელთა შემოტანა ან გატანა აკრძალულია, აღკვეთოს კონტრაბანდა.

საქართველოს კანონი „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის ანალიზისა და დადამღვის შესახებ“ *(17.0. 98, სსმ № 2)*

მუხლი 2

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ძვირფასი ლითონები** - ნებისმიერი სახის ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პალადიუმი ნებისმიერ მდგომარეობაში (ნედლეული, შენადნობები, ნახევარ-ფაბრიკატები, ლაბორატორიული ჭურჭელი და ინსტრუმენტები, ქიმიური ნაერთები, ჯართი და ნარჩენები);

ბ) **ძვირფასი ქვები** - ბუნებრივი ალმასი, ლალი, ზურმუხტი, საფირონი, ალექსანდრიტი, ორგანოგენური წარმონაქმნი მარგალიტი როგორც ნედლეულის, ასევე გადამუშავებული სახით;

ლ) **სახელმწიფო დამღა** - კონკრეტული ლითონის და სინჯის აღმნიშვნელი დადგენილი კონფიგურაციის დამღა, რომელიც დამზადებულია სპეციალური დაკვეთით ტექნიკური პირობების დაცვით და რომელსაც იყენებს საქართველოს ფინასთა სამინისტროს სასინჯი ზედამხედველობის ინსპექცია ძვირფასი ლითონების ნაწარმ-

ის სინჯით მონიშვნისას;

მ) **ძირითადი დამღა** - დამოუკიდებელი მნიშვნელობის დამღა, რომლითაც დასტურდება ძვირფასი ლითონების ნაწარმის ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ნ) **დამატებითი დამღა** - დამღა, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს, დადამღვის ტექნოლოგიის შესაბამისად გამოიყენება მხოლოდ ძირითად დამღასთან ერთად და ნაწარმზე დამატებით ინფორმაციას იძლევა;

ო) **სახელობითი დამღა** - დამღა, რომლის გამოყენების უფლება აქვს შესაბამისი ლიცენზიის მქონე პირს;

მუხლი 3

1. ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების გამოყენებით დამზადებულ ნაწარმად (შემდგომ-ნაწარმი) ითვლება:

ა) ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების გამოყენებით დამზადებული მედლები, ორდენები, საიუველირო, საყოფაცხოვრებო და სხვა ოქრომჭედლური ნაწარმი, აგრეთვე ძვირფასი და არაძვირფასი ლითონების შენადნობებთან სინთეზური, საიუველირო და სანახელაო ქვების, მარგალიტების, მინანქრის, მარჯნის, შუშის და სხვა არალითონური მასალების კომბინირებით დამზადებული ნაკეთობანი;

ბ) ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ნაწარმის დასამზადებლად და შესაკეთებლად განკუთვნილი ძვირფასი ლითონების შენადნობები ზოდებისა და ნახევარფაბრიკატების სახით;

გ) კბილის პროთეზირებისათვის განკუთვნილი ძვირფასი ლითონების შენადნობები ნახევარფაბრიკატების სახით (შემდგომ -სტომატოლოგიური ძვირფასი ლითონები);

დ) ძვირფასი ლითონებისგან ან ძვირფას ლითონებთან არაძვირფასი ლითონების შენადნობებისგან დამზადებული საქართველოს მონეტები;

ე) ოქროსა და ვერცხლის ვარაყი (ფურცლოვანი ოქრო და ვერცხლი).

2. ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების გამოყენებით დამზადებულ ნაწარმად არ ითვლება:

ა) 375-ზე ნაკლები სინჯის ოქროს ნაწარმი;

ბ) 830-ზე ნაკლები სინჯის ვერცხლის ნაწარმი;

გ) 950-ზე ნაკლები სინჯის პლატინის ნაწარმი;

დ) 500-ზე ნაკლები სინჯის პალადიუმის ნაწარმი;

ე) არაძვირფასი ლითონით, ინერტული მასით მთლიანად დაფარული ან შეღებილი ნაწარმი.

მუხლი 4

1. ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და ნაწარმთან დაკავშირებულ საქმიანობად ითვლება:

ა) **ყიდვა-გაყიდვა** - საკრედიტო დაწესებულებების, მათ შორის, ლომბარდების მიერ ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების და ნაწარმის ყიდვა-გაყიდვა, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისგან ნაწარმის, ჯართისა და ნარჩენების შესყიდვა და მათი შემდგომი რეალიზაცია;

ბ) **დამუშავება** - ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვებისაგან საიუველირო და საყოფაცხოვრებო ნაკეთობების დამზადება, შეკეთება და რესტავრაცია;

გ) **ძვირფასი ქვების საექსპერტო-შეფასებითი სამუშაოები** - ფიზიკური და იურიდიული პირების მომსახურება ძვირფასი ქვების იდენტიფიკაციის, ექსპერტიზის, შეფასებისა და სერტიფიკაციის მიზნით;

დ) **ვაჭრობა** - ნაწარმით საკომისიო, საცალო და საბითუმო ვაჭრობა;

ე) **გადამუშავება და აფინაჟი** - მადნიდან, ჯართიდან, ნარჩენებიდან და სხვა მასალებიდან ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების რეგენერაცია მათი ამოღების მიზნით, აგრეთვე ძვირფასი ქვების მონახნაგება;

ვ) **გამოყენება** - ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების და მათი გამოყენებით დამზადებული ინსტრუმენტების საწარმოო და სამეცნიერო-კვლევითი მიზნებით მოხმარება;

ზ) **სამედიცინო მომსახურება** - სტომატოლოგიური ძვირფასი ლითონებისაგან კბილის პროთეზების დამზადება, შეკეთება და რესტავრაცია.

2. ძვირფას ლითონებთან ძვირფას ქვებთან და ნაწარმთან დაკავშირებულ საქმიანობად არ ითვლება:

ა) ძვირფასი ლითონების შემცველი ელექტრონული ტექნიკის, ავტომატური მონყობილობების, გამშვებ-მარეგულირებელი და სხვა დეტალების, კვანძების, მონყობილობებისა და დანადგარების ნებისმიერი მიზნით გამოყენება;

ბ) ვერცხლის შემცველი კინო-, ფოტო- და რენტგენის მასალებ-

ის გამოყენება;

გ) სინთეზური ალმასით და მისი გამოყენებით დამზადებული ინსტრუმენტებით ოპერაციების წარმოება;

დ) საკრედიტო დაწესებულებების, მათ შორის, ლომბარდების მიერ ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების და ნაწარმის გარანტად მიღება, შენახვა და დამგირავებლისთვის დაბრუნება.

მუხლი 5

1. ძვირფასი ლითონების შენადნობების ხარისხის, რომლისგანაც დამზადებულია ნაწარმი, განისაზღვრება სინჯით, რომელიც გამოხატავს ძვირფასი ლითონის წონითი ერთეულის რაოდენობას შენადნობის ათასეულ წონით ერთეულში.

2. ნაწარმისათვის საქართველოში დგინდება შემდეგი სინჯები:

ა) საიუველირო და საყოფაცხოვრებო ნაკეთობებისათვის:

პლატინა	950
პლატინა	999
ოქრო	375
ოქრო	585
ოქრო	750
ოქრო	958
ოქრო	999
ვერცხლი	830
ვერცხლი	875
ვერცხლი	925
ვერცხლი	960
ვერცხლი	999
პალადიუმი	500
პალადიუმი	850
პალადიუმი	999

ბ) ოქროსა და ვერცხლის ვარაყისათვის: 910, 920, 930, 940, 950, 960, 970, 980, 990, 1000;

გ) სტომატოლოგიური ძვირფასი ლითონებისათვის:

ოქრო - 585

ოქრო - 750

ოქრო - 900 და 910;

დ) საქართველოს მონეტებისათვის სინჯი დგინდება საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი

გადანყვეტილებით.

მუხლი 7

სავალდებულო სასინჯ კონტროლს ექვემდებარება:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე დამზადებული ნაწარმი, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად ან შესრულებულია დაკვეთით;

ბ) საქართველოში გასაყიდად შემოტანილი უცხოური ნაწარმი;

გ) 1950 წლამდე დამზადებული ნაწარმი, თუ იგი ვაჭრობის ან ყიდვა-გაყიდვის საგანია;

დ) შეკეთებული და რესტავრირებული ნაწარმი.

მუხლი 8

სავალდებულო სასინჯ კონტროლს არ ექვემდებარება:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ნაწარმი;

ბ) მინანქრით ან სხვა ინერტული მასით მთლიანად დაფარული, აგრეთვე შეღებილი ნაწარმი;

გ) ნაწარმი, რომელშიც ძვირფასი ლითონის მასას მასში გამოყენებულ დანარჩენ მასალასთან შედარებით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს;

დ) ნაწარმი, რომლის მასაც ძალიან მცირეა და ოქროს, პლატინის და პალადიუმის ნაწარმისათვის არ აღემატება 0,2 გრამს, ვერცხლის ნაწარმისათვის კი 0,3 გრამს;

ე) მზა სტომატოლოგიური ნაწარმი (კბილის პროთეზი, გვირგვინი, ხიდი);

ვ) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში დაცული მხატვრული ან კულტურულ-ისტორიული ღირებულების ნაწარმი;

ზ) საკრედიტო დაწესებულებების, მათ შორის, ლომბარდების მიერ გარანტად (გირაოში) მიღებული და შენახული ნაწარმი, რომელიც ექვემდებარება დამგირავებლისათვის დაბრუნებას.

მუხლი 9

1. ახლად დამზადებულ, შეკეთებულ ან რესტავრირებულ ნაწარმს სასინჯ კონტროლზე წარადგენს დამამზადებელი და /ან შემკეთებელი (რესტავრატორი).

2. უცხოურ ნაწარმს სასინჯ კონტროლზე წარადგენს მენარმე სუბიექტი.

3. ფიზიკური პირი სასინჯ კონტროლზე თავისი სურვილით წარადგენს მხოლოდ იმ ნაწარმს, რომელიც დამზადებულია ამ კანო-

ნის მიღებამდე ან დადამღულია სსრკ-ის დროინდელი ან ზოლოტ-ნიკის სისტემის დამღით და სურს მასზე საქართველოს სახელმწიფო დამღის დასმა.

4. 1950 წლამდე დამზადებულ ნაწარმს, რომელიც ვაჭრობის, გირავნობის ან შესყიდვის საგანია, სასინჯ კონტროლზე წარადგენს ის პირი, რომელსაც აქვს ნაწარმით ვაჭრობისა და მისი ყიდვა-გაყიდვის უფლება.

მუხლი 10

1. ყოველი ძვირფასი ლითონისა და მისგან დამზადებული ნაწარმის სინჯისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგენს სინჯის აღმნიშვნელი ძირითადი და დამატებითი სახელმწიფო დამღების სურათს, კონტურს, სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციისა და მისი რეგიონალური სამსახურების შიფრებსა და საკონტროლო ნიშნებს.

2. სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციას.

მუხლი 12

საქართველოს მონეტებს სასინჯ კონტროლზე წარადგენს მონეტების დამამზადებელი (საქართველოს ეროვნული ზარაფხანა) ან იმპორტიორი. სასინჯი კონტროლის შედეგად მონეტები სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღით არ იდამღება. მათში ძვირფასი ლითონების შემცველობაზე გაიცემა სათანადო ცნობა. საიუბილეო ან საკოლექციო მონეტებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის თანხმობით სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციამ შესაძლებელია განსაზღვროს სასინჯი კონტროლის განხორციელების სხვა პირობებიც.

მუხლი 13

სტომატოლოგიურ ძვირფას ლითონებს სასინჯ კონტროლზე წარადგენს დამამზადებელი ან მომხმარებელი (სტომატოლოგიური დაწესებულება, ორგანიზაცია, კბილის საპროთეზო კაბინეტი), იმპორტის შემთხვევაში კი იმპორტიორი. სტომატოლოგიური ძვირფასი ლითონების სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღით დადამღვა შესაძლებელია წარმდგენის მოთხოვნით. სხვა შემთხვევებში მათში ძვირფასი ლითონების შემცველობაზე გაიცემა სათანადო ცნობა.

მუხლი 14

მეტალურგიული და ქიმიური დამუშავების შედეგად მიღებულ ძვირფასი ლითონების ზოდებს, მათ შენადნობებს ან სხვა ნახევარფაბ-

რიკატებს სასინჯ კონტროლზე წარადგენს დამამზადებელი, მათი იმპორტის შემთხვევაში კი – იმპორტიორი. ზოდების დადამღვა სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღით ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი სრულად აკმაყოფილებენ მათთვის დაწესებულ სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს. სხვა შემთხვევებში მათში ძვირფასი ლითონების შემცველობაზე გაიცემა სათანადო ცნობა.

მუხლი 15

ოქროსა და ვერცხლის ვარაყს (ფურცლოვანი ოქრო და ვერცხლი) სასინჯ კონტროლზე წიგნის სახით წარადგენს ამ ნაწარმის დამზადებით, იმპორტით ან ვაჭრობით დაკავებული პირი. თუ ოქროსა და ვერცხლის ვარაყის სინჯი ემთხვევა წიგნის ყდაზე აღნიშნულ სინჯს, წიგნის ყდა იდამღება სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციის შესაბამისი საკონტროლო ნიშნით.

მუხლი 17

სავალდებულო სასინჯ კონტროლს დაქვემდებარებული ნაწარმისა და სხვა მასალების იმპორტისას საბაჟო ორგანოები ახდენენ მათ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებას (საბაჟო გაფორმებას) სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციის დასკვნის (დადამღვის ან წერილობითი ცნობის) საფუძველზე.

მუხლი 22

1. ამ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ საქმიანობაზე ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ლიცენზიას გასცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. თითოეული სახის საქმიანობაზე ლიცენზია გაიცემა ცალკე.

საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ *(30.10.98, სსმ № 5)*

მუხლი 4. ტერმინების განმარტებანი

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ბ) „ბირთვული და რადიაციული საქმიანობა“:

ბ.გ. ბირთვული და რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და რადიაქტიური ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისგანაც პრაქ-

ტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიური ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიებისა და „ნოუ-ჰაუების" ექსპორტ-იმპორტი.

მუხლი 5. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ძირითადი პრინციპებია:

ა) ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების პრინციპი – ბირთვული ენერგიის, ბირთვული და რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის. ამის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე იკრძალება:

ა.ა. ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვულ ასაფეთქებელ მოწყობილობათა ექსპორტ-იმპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი, აგრეთვე მათი წარმოება, კვლევა, გამოცდა და ფლობა;

მუხლი 8. სახელმწიფო მართვა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში

1. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მართვას ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (შემდგომში - „სამინისტრო").

მუხლი 11. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზირების სისტემა

1. საქართველოში ბირთული და რადიაციული საქმიანობა ხორციელდება შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი ბირთვული და რადიაციული საქმიანობის კანონიერების დამადასტურებელ ერთადერთ ოფიციალურ დოკუმენტს.

მუხლი 21. ბირთვული და რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და ნარჩენების სახელმწიფო აღრიცხვა და კონტროლი

1. ბირთვული და რადიაციული ობიექტები, ბირთვული მასალები, რადიაქტიური ნივთიერებები და ნარჩენები, მაიონებელი გა-

მოსხივების სხვა წყაროები, მათი განთავსების ადგილები, შენახვისა და ექსპლუატაციის პირობები, გადაადგილება, ხარჯვა, ექსპორტი და იმპორტი ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვასა და კონტროლს.

4. ბირთვული და რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და ნარჩენების, მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ინვენტარიზაციის საფუძველზე დგება სახელმწიფო კადასტრი, რომელიც შეიცავს სისტემატიზებულ მონაცემებს მათი მახასიათებლების, შენახვისა და ექსპლუატაციის პირობების, გადაადგილების, ხარჯვის, ექსპორტისა და იმპორტის, შენახვისა და დამარხვის ადგილების შესახებ.

მუხლი 41. რადიაქტიური ნარჩენების ტრანზიტი, ექსპორტი, რეექსპორტი და იმპორტი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იკრძალება ყოველგვარი რადიაქტიური ნარჩენების ტრანზიტი, ექსპორტი, რეექსპორტი და იმპორტი ნებისმიერი მიზნით.

საქართველოს კანონი „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ *(25.11.98, სსმ №6)*

მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო

2. კანონი აწესრიგებს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიკატების, ბიოლოგიური საშუალებების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სფეროში სახელმწიფოებრივი მართვის, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემუშავების, რეგისტრაციის, წარმოების, მარკირების, შეფუთვის, რეალიზაციის, შენახვის ტრანსპორტირების, გამოყენების, გაუვნებელყოფის, განთავსების, ინფორმაციის გაცვლის, რეკლამისა და ექსპორტ-იმპორტის დროს.

მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიკატები - ქიმიური ნივთიერებების კატეგორია, რომელიც მოიცავს პესტიციდებსა და აგროქიმიკატებს და გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე სატყეო, კომუნალურ მეურნეობაში და სხვ.;

ბ) პესტიციდები - ქიმიური ან ბიოლოგიური პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა დაავადებებისა და მათი გადამტანების, მავნებლებისა და სარეველა მცენარეების, შენახული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაავადებებისა და მავნებლების, მღრღნელების, ცხოველთა პარაზიტების წინააღმდეგ, აგრეთვე მცენარეთა ზრდის რეგულირებისათვის, მოსავლის აღების წინ მცენარეთათვის ფოთლების მოსაცილებლად (დეფოლიანტები) და მცენარეების შესახმობად (დესიკანტები), საცავების, საწყობების, სატრანსპორტო საშუალებების, სათბურების, ნიადაგის, მცენარეული და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა პროდუქციის გაუსნებოვნებისათვის;

გ) აგროქიმიკატები - სასუქები, ქიმიური მელიორანტები, აგრომადნეულები, საკვები დანამატები, რომლებიც გათვალისწინებულია მცენარეთა კვებისათვის, ნიადაგის ნაყოფიერების რეგულირებისა და ცხოველთა დამატებითი კვებისათვის;

უ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების უსაფრთხო მოხმარება - მოქმედების ნორმები და სტანდარტები, რომლებიც გამორიცხავენ ადამიანის, დასაცავი მცენარეებისა და ცხოველების ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას მათი კონკრეტული სახით გამოყენების, შემუშავების, გამოცდის, ექსპერტიზის, რეგისტრაციის, წარმოების, მარკირების, შეფუთვის, რეალიზაციის, შენახვის, ტრანსპორტირების, გაუვნებელყოფის, განთავსების, რეკლამისა და ექსპორტ-იმპორტის დროს;

მუხლი 4. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გავრცელება

1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზარზე სავაჭრო არხებით მიწოდების პროცესი და ქვეყნის შიგნით მათი მიმოქცევა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ბ) აკრძალულია იმ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემოტანა, მიმოქცევა, რომლებიც არ არის შეტანილი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგში;

4. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოებას, შემოტანას, ტრანსპორტირებას, შენახვას, რეალიზაციასა და გამოყენებას, ვალდებულნი არიან საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს წარუდგინონ ობიექტური ინფორმაცია პესტიციდებისა და აგროქიმიკატე-

ბის მიწოდების, მიმოქცევისა და მათზე განაცხადების შესახებ.

მუხლი 12. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაცია

10. სახელმწიფო კატალოგს აწარმოებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

11. რეგისტრაციას არ ექვემდებარება: პესტიციდები და აგროქიმიკატები, რომლებიც ექსპორტისათვის არის განკუთვნილი ან საბაჟო ტვირთის სახით საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, დეკორატიული მცენარეების ასაჭრელი ყვავილებისათვის განკუთვნილი ზრდის რეგულატორები, საშუალებები, რომლებიც გამოიყენება მიკროორგანიზმების საწინააღმდეგო სანიტარიული მიზნებისათვის.

12. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს უფლება აქვთ ნებართვა გასცენ არარეგისტრირებული პესტიციდების ან აგროქიმიკატების შემოტანაზე, თუ:

ა) ისინი განკუთვნილია სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის;

ბ) შეიქმნება კონკრეტული (განსაკუთრებით საშიში) მავნე ორგანიზმის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების დაყოვნების საშიშროება.

მუხლი 13. პესტიციდებსა და აგროქიმიკატებთან დაკავშირებული საქმიანობის ლიცენზირება

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სფეროში ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა ხორციელდება ლიცენზიის საფუძველზე, რომელსაც გასცემენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო და აღნიშნულ სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 18. ინფორმაცია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების შესახებ

3. მწარმოებლის, იმპორტიორის (მიმწოდებლის) და რეალიზატორის მიერ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მიმოქცევაში გაშვება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციას მოჰყვება რეკომენდაციები მათი გამოყენების, ტრანსპორტირებისა და შენახვის შესახებ და თუ ტარის ეტიკეტი მარკირებულია დადგენილი

საერთაშორისო წესების მიხედვით.

მუხლი 21. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვა

1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვა ნებადართულია მხოლოდ მათ შესანახად გამიზნულ სპეციალურ საცავებში, სადაც დასაქმებული უნდა იყვნენ სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტები.

2. აკრძალულია პესტიციდების შეუფუთავად შენახვა.

მუხლი 24. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ექსპორტ-იმპორტი

1. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ექსპორტ-იმპორტი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ხელშეკრულებას პესტიციდების ან აგროქიმიკატების ყიდვა-გაყიდვის შესახებ უნდა ერთვოდეს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული პესტიციდის ან აგროქიმიკატის სახელმწიფო სარეგისტრაციო მოწმობა.

3. პესტიციდების ექსპორტ-იმპორტი ხორციელდება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მეცნარეთა დაცვის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, ხოლო აგროქიმიკატების ექსპორტ-იმპორტი - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

4. შემოსატანი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების საჭირო ასორტიმენტს და რაოდენობას, ფიტოსანიტარიული სიტუაციისა და ნიადაგის ნაყოფიერების ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ანესრიგებენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები. გარემოში ნარჩენების დაგროვებას და დაბინძურების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

5. ნებართვას აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდების ექსპორტ-იმპორტზე გასცემს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური.

6. აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდების

ექსპორტ-იმპორტზე წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის განხორციელებისათვის პას ეისმგებელია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

საქართველოს კანონი „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ *(24.12.98, სსმ № 2 (9))*

მუხლი 16. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლის უფლება

1. საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად უცხო ქვეყნის გემები სარგებლობენ საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლის უფლებით.

2. უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდების, ატომური გემებისა და სპეციალური დანიშნულების გემების (საავარიო-მაშველი გემებისა და სამძებრო თვითმფრინავების გარდა) საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გავლის წესები განისაზღვრება ,,საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. მშვიდობიან გავლაში იგულისხმება:

ა) საქართველოს ტერიტორიული ზღვის გადაკვეთა შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში და რეიდებზე შეუსვლელად;

ბ) საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში შესვლა, ნავსადგურის ნაგებობებთან და რეიდზე დგომა, შიდა საზღვაო წყლებიდან გამოსვლა.

4. მშვიდობიანი გავლა უნდა ხორციელდებოდეს სწრაფად და შეუჩერებლად, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად. გაჩერება და ღუზაზე დგომა დაიშვება, თუ იგი დაკავშირებულია ჩვეულებრივ ნაოსნობასთან, გამონვეულია უბედური შემთხვევის ან დაუძლეველი ძალის გამო, ან/და საფრთხეში მყოფი ადამიანების, გემების და საფრენი აპარატებისათვის დახმარების აღმოჩენის აუცილებლობით.

5. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გავლა მშვიდობიანად ითვლება, თუ იგი არ არღვევს მშვიდობას, წესრიგსა და სახელმწიფო უსაფრთხოების საყოველთაო პრინციპებს.

მუხლი 20. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი

გავლის დროს უცხო ქვეყნის გემის გადასახადებისაგან განთავისუფლება

საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლისას უცხო ქვეყნის გემი თავისუფლდება გადასახადებისაგან, მისთვის გაწეული მომსახურების საზღაურის გარდა.

მუხლი 23. საქართველოს სახელმწიფო საზღვაო საზღვრის დაცვა

2. საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებენ:

ა) საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი; ბ) საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრო; გ) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; დ) საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო; ე) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

მუხლი 28. საქართველოს მიმდებარე ზონა

1. საქართველოს მიმდებარე ზონა არის საზღვაო სარტყელი, რომელიც აკრავს საქართველოს ტერიტორიულ ზვას და რომლის გარე საზღვარი 24 საზღვაო მილით არის დაშორებული იმ საწყისი ხაზებიდან, საიდანაც აითვლება ტერიტორიული ზღვის სიგანე.

2. საქართველოს მიმდებარე ზონაში საქართველოს შესაბამისი ორგანოები ახორციელებენ კონტროლს საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, ტერიტორიულ ზღვაში საქართველოს საბაჟო, საემიგრაციო, ფისკალური და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და ამ კანონმდებლობის დამრღვევთა დასჯის მიზნით.

მუხლი 29. საქართველოს მიმდებარე ზონაში საქართველოს საბაჟო, საემიგრაციო, ფისკალური და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთის ღონისძიებები

თუ საქართველოს მიმდებარე ზონაში მყოფმა უცხო ქვეყნის გემმა დაარღვია ან აპირებს დაარღვიოს საქართველოს საბაჟო, საემიგრაციო, ფისკალური და გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, საქართველოს შესაბამის ორგანოებს უფლება აქვთ გააჩერონ გემი და ჩაუტარონ ინსპექტირება, მიიღონ საჭირო ზომები დარვევების თავიდან ასაცილებლად ან დააკავონ გემი დამნაშავე პირის პასუხისგებაში მისაცემად.

თავი V. საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა

მუხლი 30. საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა

1. საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა არის ზღვის რაიონი, ზღვის ფსკერისა და წიაღისეულის ჩათვლით, რომელიც აკრავს საქართველოს ტერიტორიულ ზღვას და ემიჯნება მას.

2. საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სიგანე აითვლება იმ საწყისი ხაზებიდან, საიდანაც აითვლება ტერიტორიული ზღვის სიგანე.

მუხლი 31. საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის გარე საზღვარი

1. საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის გარე საზღვარი ან მისი შემცვლელი გეოგრაფიული კოორდინატები დგინდება საქართველოსა და სხვა შავიზღვისპირა ქვეყნების საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

2. საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის გარე საზღვრის გეოგრაფიული კოორდინატები დაიტანება დადგენილი მასშტაბის რუკებზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ და ქვეყნდება „ზღვაოსანთა უწყებებში". ამ რუკების ასლები შესანახად ეგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 32. საქართველოს უფლება-მოვალეობები თავის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში

1. საქართველო თავის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ახორციელებს:

ა) სუვერენულ უფლებებს წყლის სივრცეზე, ფსკერზე და მის წიაღზე ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური დაზვერვის, დამუშავების, შენარჩუნებისა და მართვის მიზნით, აგრეთვე წყლის დინებისა და ქარის გამოყენებით ენერგიის მისაღებად;

ბ) იურისდიქციას ხელოვნური კუნძულების, ნაგებობების აგებაზე, მონყობილობების დამონტაჟებაზე და მათ გამოყენებაზე, საზღვაო სამეცნიერო კვლევების განხორციელებაზე და ზღვის გარემოს დაცვასა და შენარჩუნებაზე;

გ) საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

2. საქართველო თავის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ამ კანონით დადგენილი უფლებების განხორციელებისას და მოვალეობების შესრულებისას ითვალისწინებს სხვა ქვეყნების უფლება-მოვალეობებს და მოქმედებს საერთაშორისო სამართლით დადგენილი წესების შესაბამისად.

3. ამ კანონით დადგენილი საქართველოს უფლებები საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ზღვის ფსკერისა და ნიაღისეულის მიმართ ხორციელდება ამ კანონის მე-6 თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 33. უცხო ქვეყნის უფლებები საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში

1. საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ყველა ქვეყანა (როგორც ზღვისპირა, ისე ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყნები) საერთაშორისო სამართლისა და ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად სარგებლობს ნაოსნობისა და ფრენის, კაბელებისა და მილსადენების გაყვანის უფლებით და ზღვით სარგებლობის სხვა მართლზომიერი შესაძლებლობებით.

2. ამ კანონისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად უცხო ქვეყანამ თავისი უფლებების განხორციელებისას და მოვალეობების შესრულებისას უნდა გაითვალისწინოს საქართველოს უფლება-მოვალეობები.

მუხლი 34. საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული ხელოვნური კუნძულები, ნაგებობები და მოწყობილობები

1. საქართველოს აქვს განსაკუთრებული უფლება თავის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ააგოს, აგრეთვე ნება დართოს ააგონ და დაარეგულიროს შექმნა, ექსპლუატაცია და გამოყენება:

ა) ხელოვნური კუნძულების;

ბ) მოწყობილობებისა და ნაგებობების, რომლებიც გამოიყენება ამ კანონის 32-ე მუხლით განსაზღვრული მიზნით, აგრეთვე სხვა ეკონომიკური მიზნებისათვის.

2. საქართველოს ასეთი ხელოვნური კუნძულების მიმართ აქვს განსაკუთრებული იურისდიქცია, მათ შორის, იურისდიქცია საბაჟო ფისკალური, სანიტარიული და საემიგრაციო კანონმდებლობის მიმართ, აგრეთვე უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობისა და წესების მიმართ.

3. საქართველოს უფლება აქვს თავის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული ხელოვნური კუნძულების, ნაგებობებისა და მოწყობილობების ირგვლივ, საჭიროების შემთხვევაში, შექმნას გონივრული უსაფრთხოების ზონები, რომელთა ფარგლებშიც მას შეუძლია მიიღოს საჭირო ზომები ნაოსნობის, აგრეთვე ხელოვნური კუნძულების, ნაგებობებისა და მოწყობილობების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

4. უსაფრთხოების ზონების სიგანე დგინდება საქართველოს მიერ საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ხელოვნური კუნძულების, ნაგებობებისა და მოწყობილობების არსისა და ფუნქციების შესაბამისად და ვრცელდება მათი გარე კიდის ყოველი წერტილიდან ათვლილი არა უმეტეს 500 მეტრისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უსაფრთხოების ზონების სიგანის გაზრდა ნებადართულია საერთაშორისო სტანდარტებით ან რეკომენდებულია შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ინფორმაციას უსაფრთხოების ზონების სიგანის შესახებ საქართველოს შესაბამისი ორგანოები აქვეყნებენ „ზღვაოსანთა უწყებებში".

5. საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებულ ხელოვნურ კუნძულებს, ნაგებობებსა და მოწყობილობებს არა აქვთ კუნძულის სტატუსი და თავისი ტერიტორიული ზღვა, მათი არსებობა გავლენას არ ახდენს საქართველოს ტერიტორიული ზღვის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის საზღვრების დადგენაზე.

6. ხელოვნური კუნძულები, ნაგებობები და მოწყობილობები, აგრეთვე მათი უსაფრთხოების ზონები არ შეიძლება შეიქმნას საყოველთაოდ აღიარებულ, საერთაშორისო ნაოსნობისათვის არსებითად მნიშვნელოვან საზღვაო გზებზე.

7. საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული ხელოვნური კუნძულების, ნაგებობებისა და მოწყობილობების გამოყენებასა და ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი უცხო ქვეყნის იურიდიული პირები და საერთაშორისო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ხელოვნურ კუნძულებზე, ნაგებობებზე და მოწყობილობებზე წესრიგში იქონიონ მათი არსებობის შესახებ გამაფრთხილებელი საშუალებები. ამ პირებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა მიტოვებული ან გამოუყენებელი ხელოვნური კუნძულების, ნაგებობებისა და მოწყობილობების ლიკვიდაცია უნდა მოახდინონ

მათი აშენების ნებართვაში განსაზღვრულ ვადებში ისე, რომ ხელი არ შეუშალონ ნაოსნობასა და თევზჭერას და არ შექმნან ზღვის გარემოს დაბინძურების საფრთხე.

8. საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ხელოვნური კუნძულების და ნაგებობების აგების, მოწყობილობების დამონტაჟების, მათ ირგვლივ უსაფრთხოების ზონების შექმნის, ხელოვნური კუძულების, ნაგებობებისა და მოწყობილობების სრული ან ნანილობრივი ლიკვიდაციის შესახებ უნდა ეცნობოს საქართველოს შესაბამის ორგანოებს, ამავე დროს, მითითებული უნდა იყოს მათი მდებარეობის სიღრმე და იმ ნარჩენების ზომები, რომლებიც მთლიანად არ არის ლიკვიდირებული. ეს ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს „ზღვაოსანთა უწყებებში".

მუხლი 44. ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყნის ზღვით სარგებლობისა და ზღვაზე გასვლის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი ტრანზიტის უფლება

1. ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყანას უფლება აქვს ზღვაზე გასვლის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე ისარგებლოს ტრანზიტის თავისუფლებით ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ზღვაზე გასვლის მიზნით ტრანზიტის წესი განისაზღვრება საქართველოსა და ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყნებს შორის დადებული ორმხრივი ან რეგიონული ხელშეკრულებებით.

3. საქართველოს უფლება აქვს მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, რათა ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყნის უფლებებით არ შეიზღუდოს საქართველოს უფლებები.

მუხლი 45. ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყნის სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გადასახადის, სხვა გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან განთავისუფლება ზღვაზე გასვლის მიზნით სატრანზიტო მოძრაობის დროს

საქართველოს ტერიტორიაზე ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყნის სატრანსპორტო საშუალებების ზღვაზე გასვლის მიზნით სატრანზიტო მოძრაობა არ ექვემდებარება საბაჟო გადასახადის, სხვა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდას, ამ მოძრაობასთან დაკავშირებული კონკრეტული მომსახურების საფასურის გარდა.

მუხლი 6. განსაკუთრებული უფლება

1. რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან.

2. განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის:

ა) იდენტურია და საქონელიც იდენტური;

ბ) იდენტურია, ხოლო საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის. მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

გ) მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

დ) იდენტური ან მსგავსია და დაცულია სასქონლო ნიშნის საქართველოში კარგი რეპუტაციის გამო, ამ ნიშნის გამოყენება მესამე პირს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს, ან ზიანს აყენებს სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან მის გამასხვავებელუნარიანობას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სხვა შესაძლო აკრძალვათა გარდა იკრძალება:

ა) სასაქონლო ნიშნის დატანა საქონელზე ან მის შეფუთვაზე;

ბ) ისეთი საქონლის შეთავაზება, სავაჭრო ბრუნვაში შეტანა ან საწყობში ამ მიზნით შენახვა. იმპორტი ან ექსპორტი, რომელიც ნიშანდებულია ამ ნიშნით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ქმედება ხორციელდება სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირის მიერ ნიშანდებული საქონლით;

გ) სასაქონლო ნიშნის გამოყენებით მომსახურების შეთავაზება ან გაწევა;

დ) სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეკლამისათვის ან საქმიან ქაღალდებზე.

4. სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე მესამე

პირს ეკრძალება:

ა) ამ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნის დატანა შესაფუთ საშუალებაზე, ეტიკეტზე და ა.შ.

ბ) ამ სასაქონლო ნიშნის იდენტრი ან მსგავსი ნიშნით ნიშანდებული შესაფუთი მასალის ან შეფუთვის შეთავაზება, მიმოქცევაში შეტანა, გასაღება ან გასაღებისათვის მომზადება, მათი იმპორტი ან ექსპორტი.

საქართველოს კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“ *(16.04.99, სსმ № 13 (20))*

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ღ) **საოპერაციო კომპანია** - საქართველოში ჩამოყალიბებული იურიდიული პირი, რომელიც ინვესტორისათვის და ინვესტორის სახელით ახორციელებს ნავთობისა და გაზის ოპერაციებს, სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად;

ჰ) **პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება** - სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრულ ფართობზე, განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურებადი ურთიერთობის საფუძველზე ინვესტორს ენიჭება საქართველოს წიაღში ან/და კონტინენტურ შელფზე ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ექსკლუზიური უფლება. ინვესტორი იღებს ვალდებულებას თავისი რისკითა და ხარჯებით, ხელშეკრულების შესაბამისად, აწარმოოს ძებნა-ძიებისა და მოპოვების ყველა სამუშაო. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ნავთობისა და გაზის აღმოჩენის და მოპოვების შემთხვევაში ხელი შეუწყოს ინვესტორის მიერ გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურებას ამ კანონისა და ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 13. პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება

5. პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება მოიცავს:

ვ) ინვესტორის უფლებას გაიტანოს თავისი წილი საკომპენსაციო და მოგებული ნავთობი და გაზი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ყოველგვარი შეზღუდვისა და დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდის გარეშე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ზ) ინვესტორის ან მისი სახელით ან/და დავალებით საოპერაციო კომპანიის მიერ გადასახდელ გადასახადებს, რომლებიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ გადასახადებს:

ზ.ზ) საბაჟო გადასახადს და დამატებული ღირებულების გადასახადს, თუ საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტორისა და საოპერაციო კომპანიის მიერ შეთანხმებული პროექტით ნავთობისა და გაზის ოპერაციების სანარმოებლად შემოზიდული და ამ კანონის შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობით საბაჟო გადასახადისა და დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან განთავისუფლებული მოწყობილობა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, სათადარიგო ნაწილები და მასალები გაიყიდება ან გასხვისდება სხვა ფორმით, ან გამოიყენება სხვა მიზნით, გარდა ამ კანონით განსაზღვრულ ნავთობის ეროვნულ კომპანიას, ინვესტორებსა და საოპერაციო კომპანიებს შორის ნავთობის და გაზის ოპერაციების საწარმოებლად მათი მიწოდების ან/და სხვა ფორმით გადაცემისა;

ზ.თ) დამატებული ღირებულების გადასახადს ინვესტორის მიერ თავისი წილი ნავთობისა და გაზის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გაყიდვის შემთხვევაში;

თ) ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა შემდეგ საგადასახადო უფლება-მოვალეობებს:

თ.ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი და ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების პროექტით შეთანხმებული მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილების და მასალების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა თავისუფლდება საბაჟო და დამატებული ღირებულების გადასახადისაგან;

თ.ბ) უცხოელ თანამშრომლებს და მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს აქვთ პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების ყოველგვარი გადასახადის გადახდის გარეშე

საქართველოში იმპორტისა და საქართველოდან რეექსპორტის უფლება. ასეთი ქონების საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვის ან სხვაგვარად გასხვისების შემთხვევაში გადაიხდება საბაჟო და სხვა გადასახადები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ *(22.06.99.სსმ №30 (37))*

მუხლი 54. ოზონის შრის დაცვა

1. „ოზონის შრის დაცვის შესახებ“ კონვენციითა და „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის ოქმით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად დედამიწის ოზონის შრის დაცვის მიზნით სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ეტაპობრივად შემცირდეს ან შეწყდეს ისეთი ქიმიური ნივთიერებების წარმოება და გამოყენება, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ოზონის შრეზე და შლიან მას.

2. ოზონდამშლელი ქიმიური ნივთიერებების შემცველი პროდუქციის საქართველოში შემოტანა ხდება მხოლოდ სპეციალური ნებართვით. ამ ნივთიერებებისა და მათი შემცველი პროდუქციის იდენტიფიკაცია, აგრეთვე საბაჟო სტატისტიკა წარმოებს ამგვარ ნივთიერებათა და პროდუქციის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურით დადგენილი სასაქონლო აღწერისა და კოდირების სისტემის გამოყენებით.

3. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იკრძალება „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ **მონრეალის ოქმის A და B დანართებით განსაზღვრულ ოზონდამშლელ ნივთიერებათა წარმოება.**

4. „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის ოქმით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად ოზონდამშლელ ნივთიერებათა მოხმარებიდან ეტაპობრივად ამოღების ეროვნული პროგრამისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში ოზონის შრის დაცვის სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება დებულებით „საქართველოს ტერიტორიაზე ოზონდამშლელ ნივთიერებათა რეგულირების შესახებ“, რომელსაც ბრძანებულებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ *(23.06.99, სსმ №31(38))*

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზნები

ეს კანონი ადგენს საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ან/და კონტრაფაქციული პროდუქციის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას (იმპორტირებისას) ან საქართველოდან ექსპორტირებისას სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა გამოყენების წესს. იგი ეფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში დადებული ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ასპექტების შესახებ ხელშეკრულების დებულებებს სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა თაობაზე.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **უფლების მფლობელი** - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს საავტორო უფლება, განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე ან/და რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლება;

ბ) **საავტორო უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია** - ნებისმიერი საქონელი, რომელიც წარმოადგენს უფლების მფლობელის ან საქონლის წარმოშობის ქვეყანაში მისი რწმუნებულის ნებართვის გარეშე წარმოებული საქონლის ასლს და რომელიც საქარველოში წარმოშობის შემთხვევაში წარმოებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით;

გ) **საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია** - ნებისმიერი საქონელი, რომელზედაც უკანონოდ არის გამოყენებული ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა;

დ) **კონტრაფაქციული პროდუქცია** - ნებისმიერი საქონელი, მათ

შორის შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან, და, აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს;

ე) „დე-მინიმის" იმპორტი - არაკომერციული დანიშნულების მქონე მცირე რაოდენობის საქონელი, რომელიც მოთავსებულია მგზავრის ბარგში ან იგზავნება მცირე კონტეინერით.

თავი II. საქონლის შეჩერება

მუხლი 3. საქონლის შეჩერება საბაჟო ორგანოების მიერ

უფლების მფლობელს, რომელსაც საკმარისი საფუძველი აქვს ივარაუდოს საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ან/და კონტრაფაქციული პროდუქციის იმპორტის ან ექსპორტის შესაძლებლობა, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ასეთი პროდუქციის იმპორტის ან ექსპორტის შეჩერება.

მუხლი 4. განცხადება

1. უფლების მფლობელი, რომელიც მოითხოვს საქონლის შეჩერებას ამ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს წერილობით წარუდგენს:

ა) იმის სათანადო დასაბუთებას, რომ ირღვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლების მფლობელის უფლებები;

ბ) საქონლის დეტალურ აღწერას - საბაჟო ორგანოების მიერ მისი ამოცნობის გაადვილების მიზნით;

გ) სასამართლოს მოთხოვნით, უზრუნველყოფის გარანტიას. ასეთი უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების წარმოდგენით, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით მისაღებია გარანტიის უზრუნველსაყოფად.

2. მხარეებს, თავიანთი განცხადების საფუძველზე, განცხადების შეტანიდან არა უგვიანეს 3 დღისა გადაეცემათ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები და ეცნობებათ საქართველოს სახელმ-

ნიფო საბაჟო დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ შესაბამის ღონისძიებათა ჩატარებისათვის დადგენილი ვადების შესახებ.

მუხლი 5. საქონლის შეჩერების ხანგრძლივობა

თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანიდან 14 დღის განმავლობაში უფლების მფლობელი ვერ უზრუნველყოფს სასამართლოში სარჩელის შეტანას, შეჩერებული საქონელი ექვემდებარება გაშვებას.

მუხლი 6. ზარალის ანაზღაურება

სასამართლოს შეუძლია მოსარჩელეს დააკისროს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც საქონლის შეჩერებით განიცადა იმპორტიორმა, ექსპორტიორმა, ტვირთის მიმღებმა ან საქონლის მესაკუთრემ.

მუხლი 7. შემოწმების ჩატარებისა და ინფორმაციის მიღების უფლება

სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი კონფიდენციალური ინფორმაციისათვის ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე უზრუნველყოფს უფლების მფლობელის მიერ შეჩერებული საქონლის შემოწმების ჩატარებას. სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი იმპორტიორს ან ექსპორტიორს ატყობინებს ამგვარი შემოწმების ჩატარების შესახებ, აგრეთვე უზრუნველყოფს მის დასწრებას შემოწმებაზე და საქონლის შემოწმების თანაბარ შესაძლებლობას. სასამართლოს მიერ უფლების მფლობელის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი უფლების მფლობელს აცნობებს ტვირთის გამგზავნის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და ტვირთის მიმღების ვინაობას და მისამართს, აგრეთვე მოცემული საქონლის რაოდენობას.

მუხლი 8. ღონისძიებები

1. სასამართლოს მიერ უფლების მფლობელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შემთხვევაში სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოაქვს გადაწყვეტილება მოცემული საქონლის განადგურების ან განკარგვის შესახებ.

2. საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ან/და კონტრაფაქციული პროდუქციის განადგურებისა და განკარგვის წესი განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით.

3. სასამართლოს მიერ უფლების მფლობელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შემთხვევაში სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი არ დაუშვებს კონტრაფაქციული პროდუქციის ექსპორტს ან რეექსპორტს.

მუხლი 9. „დე-მინიმის“ იმპორტი

ეს კანონი არ გამოიყენება არაკომერციული დანიშნულების მქონე მცირე რაოდენობის საქონლის მიმართ, რომელიც მოთავსებულია მგზავრის ბარგში ან იგზავნება მცირე კონტეინერით.

თავი III. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 10. გარდამავალი დებულება

დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ამ კანონის ამოქმედებიდან ორი თვის განმავლობაში გამოსცეს საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ან/და კონტრაფაქციული პროდუქციის განადგურებისა და განკარგვის წესი.

მუხლი 11. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“ *(25.06.99, სსმ № 29(36))*

მუხლი 24. თესლისა და სარგავი მასალის რეექსპორტი და ტრანზიტი

1. საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი, რეექსპორტისათვის განკუთვნილი თესლი და სარგავი მასალა დასტურდება:

ა) წარმომშობ ქვეყანასა და საქართველოში გაცემული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატით;

ბ) წარმომშობ ქვეყანაში გაცემული ხარისხის სერტიფიკატით;

გ) იმპორტზე ნებართვით, თუ ამ ნებართვას ითხოვს თესლისა და სარგავი მასალის მიმღები ქვეყანა.

2. თესლისა და სარგავი მასალის ტრანზიტი საქართველოს ტერ-

იტორიაზე წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით.

3. რეექსპორტისა და ტრანზიტის ..ვის განკუთვნილი თესლისა და სარგავი მასალის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა ითვლება ამ კანონით დადგენილი წესების დარღვევად და ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს კანონი „სტანდარტიზაციის შესახებ“ *(25.06.99 სსმ № 30 (37))*

მუხლი 14. შესაბამისობის დადასტურება

1. შესაბამისობის დადასტურება არის პროდუქციის, მომსახურების ან წარმოების პროცესის სტანდარტთან შესაბამისობის ნებაყოფლობითი ან სავალდებულო შემოწმება.

2. შესაბამისობის დადასტურების პროცედურის შემუშავება, დამტკიცება და გამოყენება არ უნდა ქმნიდეს ვაჭრობაში ტექნიკურ დაბრკოლებებს. მსო-ს წევრ ქვეყანაში გამოყენებული შესაბამისობის დადასტურების პროცედურა საქართველოში მიღებული უნდა იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ ეს პროცედურა განსხვავდება საქართველოში გამოყენებული პროცედურებისაგან, მაგრამ მათი ეკვივალენტურია და უზრუნველყოფს ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობას.

3. შესაბამისობის დადასტურების პროცედურის შემუშავების, დამტკიცების და გამოყენების წესები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს კანონი „სურსათისა და თამბაქოს შესახებ“ *(25.06.99, სსმ № 31(38))*

მუხლი 2. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სურსათი** - ადამიანის საკვებად განკუთვნილი ბუნებრივი წარმოშობის ნატურალური პროდუქტი, აგრეთვე მცენარეული, ცხოველური და მინერალური საკვები ნედლეულის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტი; ამ კანონით სურსათის მიმართ დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება დამხმარე მასალებზეც: გარსებზე, აპკებსა და შესაფუთ მასალაზე, რომელებიც სურსათისა და თამბაქოს პროდუქცი-

ის წარმოების, რეალიზაციისა და მოხმარების მიზნით გამოიყენება;

გ) თამბაქოს ნაწარმი - ნედლი თამბაქოსაგან ან მისი გამოყენებით დამზადებული და მოსაწევად, საღეჭად ან საყნოსად განკუთვნილი ნაწარმი; თამბაქოს ნაწარმის ცნება მოიცავს სიგარეტის ქაღალდს, ხელოვნურ გარსს და თამბაქოს ნაწარმთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა კომპონენტებს, სიგარეტების მუნდშტუკებისა და ყველა სახის ფილტრის გარდა;

დ) ხარისხი - სურსათისა და თამბაქოს ის მახასიათებლები (სტანდარტებით და ნორმებით განსაზღვრული მაჩვენებლების ერთობლიობა), რომლებიც აკმაყოფილებს დადგენილ და სავარაუდო მოთხოვნებს.

მუხლი 11. კონტროლი

1. საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ყველა სახის სურსათი, თამბაქო და მათი ნედლეული ექვემდებარება ხარისხის კონტროლს, ხოლო სურსათისა და თამბაქოს მწარმოებელი და მარეალიზებული ყველა ობიექტი - სახელმწიფო სანიტარიულ კონტროლს, კერძოდ:

ა) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის (მათ შორის, თავთავიანი კულტურების მარცვლისა და მათგან წარმოებული ფქვილის) ხარისხს აკონტროლებს მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო;

ბ) სურსათისა და თამბაქოს მზა პროდუქციის ხარისხს აკონტროლებს მხოლოდ ,,საქსტანდარტის" სურსათის ხარისხის კონტროლის სამსახური.

მუხლი 12. სურსათისა და თამბაქოს ექსპორტი და იმპორტი

1. სურსათისა და თამბაქოს ექსპორტი და იმპორტი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება სურსათისა და თამბაქოს საბაჟო კონტროლით გადაადგილებაზე და საბაჟო საწყობებში შენახვაზე.

3. ამ კანონის მოთხოვნები არ ვრცელდება სამეცნიერო დანიშნულებისათვის და გამოფენებისათვის, აგრეთვე მფლობელის პირადი მოხმარებისათვის განკუთვნილი სურსათისა და თამბაქოს ხარისხზე.

4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იკრძალება უხარისხო, ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნებელი სურსათის

საქართველოდან ექსპორტი და საქართველოში იმპორტი.

5. საქართველოში იმპორტირებული უხარისხო, ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნებელი სურსათის გადამუშავება, განადგურება და უკან დაბრუნება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

(22.07.99, სსმ №41(48))

მუხლი 214. საბაჟო წესის დარღვევა

1. საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე.

3. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის (22.06.2001 № 989 სსმ №–224). ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე.

4. საქართველოს საბაჟო საზღვარზე შხამიანი, მომწამლავი, რადიაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერების, შეიარაღების, ასაფეთქებელი მოწყობილობის, ცეცხლსასროლი იარაღის, იმ მასალის ან მოწყობილობის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

5. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებუ-

ლი ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) საბაჟო კონტროლის განმხორციელებლის მიმართ ძალადობით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე.

6. ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.

შენიშვნა: 1. ამ მუხლით დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის საბაჟო ღირებულების თანხა აჭარბებს სამი ათას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის საბაჟო ღირებულების თანხა აჭარბებს თხუთმეტ ათას ლარს.

2. საბაჟო წესის დარღვევისათვის სასჯელთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიება დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევის სახით. (05.05.2000 №292 სსმ № 18)

მუხლი 215. საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის საქართველოში დაუბრუნებლობა (22.06.2001 № 989 სსმ № 22)

საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის (22.06.2001 № 989 სსმ № 22) დადგენილ ვადაში საქართველოში დაუბრუნებლობა -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

მუხლი 218. გადასახადისათვის თავის არიდება

1. დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდება, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წალამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) განსაკუთრებით დიდი ოდენობით, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლში დიდი ოდენობად ითვლება გადაუხდელი თანხა ორი ათასიდან ათი ათას ლარამდე, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად - გადაუხდელი თანხა ათი ათასი ლარის ზევით.

მუხლი 219[1]. ლიცენზიის გარეშე თამბაქოს პროდუქციით ვაჭრობა ან/და გადაზიდვა

„თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ლიცენზიის გარეშე ვაჭრობა ან/და გადაზიდვა განმეორებით, -

ისაჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან შვიდ წლამდე".

მუხლი 262. საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა.

1. საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა)დიდი ოდენობით;

ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

დ) არაერთგზის;

ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;

ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 263. საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონ-

ოდ შემოტანა საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა

1. საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;

ბ) ჯგუფურად;

გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

დ) არაერთგზის;

ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან თორმეტ წლამდე.

საქართველოს კანონი „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ *(23-07.99, სსგ. №40 (47))*

მუხლი 16. საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის პრინციპები

1. საქართველოს ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილებისა და სატრანზიტო ფოსტის მოძრაობის თავისუფლება და დაცვა გარანტირებულია.

2. სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სათანადო დაწესებულებებთან შეთანხმებით ადგენს იმ გზავნილებათა ნუსხას, რომელთა საფოსტო კავშირის ქსელებით სახელმწიფოში შემოტანა ან სახელმწიფოდან გატანა აკრძალული ან შეზღუდულია (რაოდენობით, ვადებით ან სხვა პირობებით).

მუხლი 49. რადიოელექტრონული და მაღალსიხშირული მოწყობილობები

2. იკრძალება რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების დაპროექტება, წარმოება, მშენებლობა,

გამოყენება, ექსპლუატაცია და უცხო ქვეყნიდან მათი შემოტანა და რეალიზაცია კომისიის მიერ გაცემული სათანადო ნებართვის გარეშე.

საქართველოს კანონი „სალიცენზიო მოსაკრებლის შესახებ“ *(23.07.99, სსმ №39(46))*. (გაუქმებულია)

მუხლი 5. სალიცენზიო მოსაკრებლის განაკვეთები

8. მედიკამენტების იმპორტზე - შემოტანილი მედიკამენტების ღირებულების 0,1 %

9. მედიკამენტების ექსპორტზე - 100 ლარი.

36. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავებისათვის - 1000 ლარი.

37. საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავებისათვის - 1000 ლარი.

39. საბაჟო ბროკერის საქმიანობისათვის - 1000 ლარი.

40. საბაჟო გადამზიდველის საქმიანობისათვის - 1000 ლარი.

მუხლი 7. სალიცენზიო მოსაკრებლის ბიუჯეტში გადახდის წესი

1. სალიცენზიო მოსაკრებლის ბიუჯეტში ჩარიცხვა ხორციელდება ,,საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდევინება წარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმებით.

4. ზედმეტად გადახდილი თანხა ლიცენზიის მაძიებელ პირს უბრუნდება 20 დღის ვადაში, მისი წერილობითი განცხადების მიღების დღიდან.

საქართველოს კანონი „ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ“ *(09.09.99 სსმ № 43 (50))*

მუხლი 4

1. სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად აკონტროლებს ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების, საწოვრიანი ბოთლების, საწოვრებისა და სატყუარების წარმოებას, შენახვას, განაწილებას, ექსპორტს, იმპორტსა და გამოყენებას, აგრეთვე მათ შესახ-

ებ ნებისმიერი ფორმითა და გზით გავრცელებულ ინფორმაციას.

მუხლი 5

1. საქართველოში წარმოებული ან იმპორტირებული ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტები, საწოვრიანი ბოთლები, საწოვრები და სატყუარების ხარისხით, შემადგენლობით, შეფუთვით და გაფორმებით უნდა შეესაბამებოდეს „კოდექსს ალიმენტარიუმის" (Codex Alimentarius) საფძველზე განსაზღვრულ სტანდარტებს.

2. ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებს, აგრეთვე საწოვრიანი ბოთლების, საწოვრებისა და სატყუარების შესაფუთ მასალას უნდა ახლდეს გასაგებად, არაორაზროვნად, დამაჯერებლად და დასაბუთებულად გადმოცემული ინფორმაცია ბუნებრივი კვების უპირატესობის შესახებ.

მუხლი 21

1. ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტის ეტიკეტზე ზუსტად, ნათლად, ადვილად წასაკითხად და იოლად გასაგებად უნდა აისახოს:

ა) საკვების მომზადების წესი და მიღების რეჟიმი;

ბ) მომზადებული საკვების ნარჩენის ბავშვის საკვებად ხელმეორედ გამოყენების დაუშვებლობა;

გ) სიტყვებით და ციფრებით გამოხატული ასაკი, რომლის შემდეგაც ბავშვისათვის შეიძლება ამ პროდუქტის მიღება;

დ) პროდუქტის შემადგენლობა და კვებითი ღირებულება;

ე) პროდუქტის დასამზადებლად გამოყენებული კომპონენტები;

ვ) პროდუქტის შენახვისა და ტრანსპორტირების პირობები;

ზ) პროდუქტის ვარგისიანობის ვადა განსხვავებულ კლიმატურ და შენახვის პირობებში;

თ) პროდუქტის პარტიის ნომერი და წარმოების თარიღი.

2. ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების ეტიკეტზე, აგრეთვე საწოვრიანი ბოთლების, საწოვრებისა და სატყუარების შესაფუთი მასალის ეტიკეტზე მთავრული ასოებით უნდა აღინიშნოს შემდეგი წინადადებები:

ა) „ყურადღება! ქალის რძე თქვენი ბავშვისათვის საუკეთესო საკვებია";

ბ) „ყურადღება! თქვენი ბავშისათვის ხელოვნური საკვების მიცემამდე რჩევისთვის მიმართეთ ექიმს; ზუსტად დაიცავით საკვების გამოყენებასა და მომზადებასთან დაკავშირებული ყველა მითითება".

მუხლი 22

აკრძალულია ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტის ეტიკეტზე:

ა) ისეთი გამონათქვამის გამოყენება, რომელიც ადასტურებს ხელოვნური საკვების იდენტურობას ან მსგავსებას ქალის რძესთან;

ბ) ჩვილის ან სხვა გამოსახულების განთავსება, რომელიც ხელოვნური კვების ღირსებებზე მიანიშნებს.

მუხლი 23

1. საწოვრიანი ბოთლისა და საწოვარას შესაფუთი მასალის ეტიკეტზე ზუსტად, ნათლად, ადვილად წასაკითხად და იოლად გასაგებად უნდა აისახოს მათი სწორად გამოყენებისათვის საჭირო ინფორმაცია.

2. საწოვრიანი ბოთლისა და საწოვარას შესაფუთი მასალის ეტიკეტზე უნდა განთავსდეს:

ა) ამ კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაცია;

ბ) სიტყვიერი ან/და დასურათებული ინსტრუქცია ბოთლისა და საწოვარას რეცხვისა და სტერილიზაციის შესახებ;

გ) ბოთლისა და საწოვარას მწარმოებლის ან გამსაღებლის სახელწოდება და მისამართი.

მუხლი 24

სატყუარას შესაფუთი მასალის ეტიკეტზე უნდა განთავსდეს:

ა) ამ კანონის 23-ე მუხლში მითითებული ინფორმაცია;

ბ) მთავრული ასოებით აღნიშნული წინადადება: „ყურადღება! სატუარას გამოყენება ხელს შეუშლის ბუნებრივ კვებას".

მუხლი 26

საქართველოში ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების, საწოვრიანი ბოთლების, საწოვრებისა და სატყუარების იმპორტი და გავრცელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ეტიკეტი შეესაბამება ამ კანონის მოთხოვნებს.

მუხლი 27

ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების, საწოვრიანი ბოთლების, საწოვრებისა და სატყუარების ეტიკეტზე ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე.

საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ *(23.02.00, სსმ №8)*

მუხლი 40

1. საქართველოში დასაშვებია მხოლოდ იმ ორგანოს შემოტანა, რომლის აღება-დამუშავება და ვარგისობის დადასტურება მოხდა შესაბამისი ქვეყნის კანონების მოთხოვნათა დაცვით, რაც უნდა აისახოს თანმხლებ დოკუმენტებში.

2. საქართველოში ორგანოს შემოტანის უფლება აქვს სათანადო ლიცენზიის მქონე დაწესებულებას.

3. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის ორგანოთა შემოტანა დაუბრკოლებლად ხდება სათანადო ლიცენზიის მქონე დაწესებულების სპეციალური განაცხადის და ორგანოს თანმხლები დოკუმენტების საფუძველზე.

4. საერთო ზედამხედველობას ადამიანის იმპორტირებული ორგანოების გამოყენებაზე აწარმოებს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მუხლი 41

საქართველოდან ადამიანის ორგანოთა გატანა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვით, ტრანსპლანტაციის ბანკის მეშვეობით.

მუხლი 52

აკრძალულია ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა.

მუხლი 57

1. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით 2000 წლის 1 ივნისამდე მიღებულ იქნეს შემდეგი ნორმატიული აქტები:

ბ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები:

ბ.ბ) „ორგანოთა ექსპორტ-იმპორტის წესის დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს კანონი „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ *(05.12.00 სსმ №48)*

მუხლი 4.

ფინანსთა სამინისტროს სპეციალური წოდებები

1. ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები:

ა) **საშუალო სპეციალური წოდება** - უმცროსი ინსპექტორი, III კლასის ინსპექტორი, II კლასის ინსპექტორი, I კლასის ინსპექტორი;

ბ) **უფროსი სპეციალური წოდება** - III კლასის მრჩეველი, II კლასის მრჩეველი, I კლასის მრჩეველი;

გ) **უმაღლესი სპეციალური წოდება** - საგადასახადო შემოსავლების სახელმწიფო მრჩეველი და საგადასახადო შემოსავლების მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.

2. ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის სისტემის მოსამსახურეთა სპეციალურ წოდებას წინ ემატება სიტყვა ,,საგადასახადო სამსახურის".

3. ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სისტემის მოსამსახურეთა სპეციალურ წოდებას წინ ემატება სიტყვა ,,საბაჟო სამსახურის".

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები:

ა) **უმცროსი სპეციალური წოდება** - რიგითი, უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი;

ბ) **საშუალო სპეციალური წოდება** - უმცროსი ლეიტენანტი, ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი;

გ) **უფროსი სპეციალური წოდება** - მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი, პოლკოვნიკი;

დ) **უმაღლესი სპეციალური წოდება** - ლეგიონის გენერალ-მაიორი.

5. რიგით შემადგენლობას სპეციალურ წოდებებს ანიჭებს საგამოძიებო დეპატრამენტის უფროსი, ხოლო უმცროს და უფროს ოფიცერთა შემადგენლობას –საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

6. საგამოძიებო დეპარტამენტის გენერალ-მაიორის წოდებას ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 6. სამსახურის ვადა სპეციალური წოდების მისანიჭებლად

1. მორიგი სპეციალური წოდების მისანიჭებლად დაწესებულია სპეციალური წოდებით სამსახურის შემდეგი ვადა:

ა) **უმცროსი ლეიტენანტი, უმცროსი იურისტი, უმცროსი ინსპექტორი** - 1 წელი;

ბ) **ლეიტენანტი, III კლასის იურისტი, III კლასის ინსპექტორი** - 2 წელი;

გ) **უფროსი ლეიტენანტი, II კლასის იურისტი, II კლასის ინსპექტორი** - 3 წელი;

დ) კაპიტანი, I კლასის იურისტი, I კლასის ინსპექტორი - 3 წელი;

ე) მაიორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, III კლასის მრჩეველი - 4 წელი;

ვ) ვიცე-პოლკოვნიკი, იუსტიციის მრჩეველი, II კლასის მრჩეველი - 5 წელი;

ზ) პოლკოვნიკი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, I კლასის მრჩეველი - 5 წელი.

2. უმაღლესი სპეციალური წოდებების მინიჭებისას სამსახურის ვადები არ განისაზღვრება.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ერთი დაწესებულებიდან მეორეში მოსამსახურის გადასვლისას ან შესვლისას მოსამსახურეს მიენიჭება შესაბამისი სპეციალური წოდება წელთა ნამსახურობის გათვალისწინებით.

საქართველოს კანონი „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებისაგან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“ *(13.13.00 სსმ. №50)*

მუხლი 3

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო ორგანოების მიერ მობილიზებული საბაჟო გადასახადიდან ანარიცხის გრძელვადიანი ნორმატივი 2001-2003 წლებისათვის განისაზღვროს 50 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 4

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო ორგანოების მიერ მობილიზებული დამატებული ღირებულების გადასახადიდან და აქციზიდან ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივები 2001-2003 წლებისათვის განისაზღვროს 40 პროცენტის ოდენობით, ხოლო საგადასახადო ორგანოების მიერ მობილიზებული დამატებული ღირებულების გადასახადიდან - 30 პროცენტის ოდენობით.

საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ *(08.06.01, სსმ №18)*

სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების წესი

მუხლი 3

1. სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება გააკონტროლოს მხოლოდ მაკონტროლებელმა ორგანომ. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მეწარმის სამეწარმეო საქმიანობის შემოწმების წინადადებით სხვა სახელმწიფო ორგანომ შეიძლება მიმართოს მაკონტროლებელ ორგანოს ან სასამართლოს.

2. მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია კონტროლი გაუწიოს სამეწარმეო საქმიანობას (მათ შორის, შეავიდეს საწარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა, დალუქოს მეწარმის კუთვნილი ქონება, დაათვალიეროს საწარმო, შეამოწმოს მეწარმის მიერ გამოშვებული ნაწარმის ხარისხი ან საწარმოში გარემოს დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობა) მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

3. მოსამართლე ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონტროლებელი ორგანო მას წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით მეწარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შესახებ.

4. თუ მოსამართლე არ გასცემს ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ, მეწარმის შემოწმება არ განხორციელდება. თუ მეწარმის შემოწმება უკვე დაწყებულია, მოსამართლის მიერ შემოწმების შესახებ ბრძანების გაცემაზე უარის თქმისას იგი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს და მეწარმეს უპირობოდ დაუბრუნდეს მაკონტროლებელი ორგანოსათვის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხა ან სხვა გადაცემული ქონება თუ დოკუმენტი, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მეწარმეს მიეცემა სათანადო და სრული ანაზღაურება. მეწარმეს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს უკანონო შემოწმებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5. კანონის დარღვევით განხორციელებული შემოწმების შედეგად მიღებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ აქვს.

6. მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია შეამოწმოს მეწარმე მხოლოდ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც

არსებობს მოსამართლის ბრძანება.

7. ამ მუხლით განსაზღვრული საკითხის მოსამართლის მიერ განხილვისა და გადაწყვეტის წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით.

მუხლი 4

1. თუ მეწარმე შეამოწმა უფლებამოსილმა მაკონტროლებელმა ორგანომ, დაუშვებელია საქმიანობის იმავე საკითხთან დაკავშირებით იგი შეამოწმოს სხვა მაკონტროლებელმა ორგანომ (გარდა ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ან იმავე მაკონტროლებელი ორგანოს სხვა დანაყოფმა.

2. მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია კონტროლის განხორციელებამდე მეწარმეს გადასცეს მისი უფლებებისა და მოვალეობების წერილობითი ჩამონათვალი.

მუხლი 5

ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება:

ა) საგადასახადო ორგანოების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებულ გეგმურ შემოწმებებზე;

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე;

გ) საქართველოს კონტროლის პალატის კანონმდებლობით გათკალისწინებულ საქმიანობაზე;

დ) დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე;

ე) ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე;

ვ) დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული კომისიებისა და საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობაზე.

ზ) საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ განხორციელებულ, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემოწმებაზე. (23.07.2003 №2565, ძალაშია 2005 წლის 1 იანვრიდან)

ზ[1]) საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის და საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინ-

სპექციის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობაზე. (26.08.2003 №3115)

2. ყველა მაკონტროლებელ ორგანოს ეკრძალება მოსთხოვოს მეწარმეს ისეთი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს. კონტროლის პალატა საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა შემოწმებისას უფლებამოსილია შესაბამისი ორგანოსაგან მოითხოვოს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ამსახველი დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარდგენა მათი კამერალური წესით შემოწმების მიზნით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ - „ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ცალკეული იურიდიული პირის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

4. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებაზე. ის მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს თხოვნით, შემოწმების უფლებას მოიპოვებს მოსამართლის ბრძანებით. სასამართლოში შემოწმების შესახებ შუამდგომლობით შედის მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო, რომელიც მოსამართლეს წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას მეწარშის მიერ კანონმდებლობის დარღვევების შესახებ. მოსამართლე საკითხს იხილავს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობის გარშე. განსახორციელებელ შემოწმებაზე არ მოქმედებს ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

საქართველოს კანონი „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ" *(22.06.01. სსმ №23)*

პრეამბულა

ამ კანონის მიზანია დაიცვას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობები საქართველოდან მათი უკანონო გატანისა და უნ-

ებართვო არქეოლოგიური გათხრებისაგან.

კანონი ხელს უწყობს საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების ხალხთა კულტურული ურთიერთობების განმტკიცებასა და კულტურულ ფასეულობათა გაცნობას, უზრუნველყოფს საქართველოსა და უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ საქართველოში დროებით შემოტანილ და საქართველოდან დროებით გატანილ კულტურულ ფასეულობათა დაცვასა და სახელმწიფოში დაბრუნებას.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს კანონმდებლობა კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის სფეროში

1. საქართველოს კანონმდებლობა კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციისაგან, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

2. ეს კანონი ადგენს საქართველოს კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ერთიან წესს.

მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

ამ კანონით განსაზღვრული საქართველოს კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის წესი ვრცელდება ნებისმიერ კულტურულ ფასეულობაზე.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა - ნებისმიერი პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობის გადაადგილება მისი უკან შემოტანის ვალდებულების გარეშე.

2. **კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანა** ნებისმიერი პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობის გადაადგილება დადგენილ ვადებში

მისი უკან შემოტანის ვალდებულებით.

3. **კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთიდან შემოტანა** - ნებისმიერი პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთით კულტურული ფასეულობის შემოტანა მისი უკან გატანის ვალდებულების გარეშე.

4. **კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთიდან დროებით შემოტანა** - ნებისმიერი პირის მიერ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთით კულტურული ფასეულობის შემოტანა დადგენილ ვადებში მისი უკან გატანის ვალდებულებით.

5. **კულტურული ფასეულობა** - არქეოლოგიის, წინაისტორიული პერიოდის, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და სხვა მნიშვნელოვანი სასულიერო თუ საერო ხასიათის ფასეულობა, რომელიც:

ა) შექმნილია საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ერის ან სხვა ერების მიერ, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ) შექმნილია საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე და უცხოელი მოქალაქეების მიერ, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) აღმოჩენილია საქართველოს ტერიტორიაზე;

დ) წარმოადგენს საჩუქარს, ან შეძენილია იმ უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების თანხმობით, სადაც შექმნილია ეს კულტურული ფასეულობა;

ე) შეძენილია საქართველოს არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და საბუნებისმეტყველო ექსპედიციების მიერ იმ უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების თანხმობით, სადაც შექმნილია ეს კულტურული ფასეულობა.

6. **კულტურულ ფასეულობათა კოლექცია** - ერთგვარ ან გარკვეული ნიშნით შეკრებილ სხვადასხვაგვარ კულტურულ ფასეულობათა ერთობლიობა, რომელსაც აქვს ისტორიული, მხატვრული, სამეცნიერო ან სხვა კულტურული მნიშვნელობა.

მუხლი 4. კულტურულ ფასეულობებად მიჩნეული ნივთები, რომლებზედაც ვრცელდება ეს კანონი

1. ეს კანონი ვრცელდება:

ა) ფლორისა და ფაუნის, მინერალოგიისა და პალეონტოლოგიისათვის საინტერესო იშვიათ კოლექციებსა და ნიმუშებზე;

ბ) ღირებულებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიასთან, მათ შორის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ომებსა და საზოგადოების ისტორიასთან, აგრეთვე ეროვნულ მოღვაწეთა, მოაზროვნეთა, მეცნიერთა, ხელოვანთა და სპორტსმენთა ცხოვრებასთან და დიდმნიშვნელოვან ეროვნულ ფაქტებთან;

გ) არქეოლოგიურ აღმოჩენაზე;

დ) მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლების ფრაგმენტებზე;

ე) 100 წელზე მეტი ხნის წარწერაზე, მონეტასა და ბეჭედზე;

ვ) ეთნოგრაფიულ მასალაზე;

ზ) ნებისმიერი მასალით ხელით შესრულებულ ტილოზე, სურათზე, ნახატზე (ნახაზისა და ხელით შემკული სამრეწველო ნაწარმის გარდა) და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშზე;

თ) ნებისმიერი მასალისაგან შესრულებული ქანდაკების ორიგინალურ ნაწარმოებზე;

ი) ორიგინალურ გრავიურაზე, ესტამპსა და ლითოგრაფიაზე;

კ) ნებისმიერი მასალისაგან დამზადებულ ორიგინალურ მხატვრულ შენარჩევსა და მონატაჟზე;

ლ) იშვიათ ხელნაწერზე და ინკუნაბულზე, ძველ წიგნზე, გუჯარსა და გამოცემაზე, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს (ისტორიულ, მხატვრულ, სამეცნიერო, ლიტერატურულ და სხვა) იწვევენ ცალ-ცალკე და კოლექციად;

მ) მიმოქცევიდან ამოღებულ საფოსტო მარკაზე, საგადასახადო და ანალოგიურ მარკაზე ცალ-ცალკე ან კოლექციად;

ნ) არქივზე, მათ შორის ფონო-, ფოტო- და კინოარქივზე;

ო) 100 წელზე მეტი ხნის ავეჯსა და ძველებურ მუსიკალურ საკრავზე.

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება თანამედროვე სუვენირული ხასიათის ნაკეთობაზე, აგრეთვე სერიული და მასობრივი წარმოების კულტურული დანიშნულების ნივთზე.

მუხლი 5. კულტურული ფასეულობა, რომელიც არ ექვემდებარება საქართველოდან გატანას

1. აკრძალულია საქართველოს ფარგლებს გარეთ იმ კულტურული ფასეულობის გატანა, რომელსაც სახელმწიფომ განსაკუთრებულის სტატუსი მიანიჭა.

2. საქართველოდან საზღვარგარეთ გატანას არ ექვემდებარება:

ა) მოძრავი ნივთი, რომელსაც განსაკუთრებული, ეროვნული ან ადგილობრივი მნიშვნელობის ისტ[illegible]ული, მხატვრული ან სხვა კულტურული ღირებულება აქვს და მიეკუთვნება საქართველოს ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებულად ფასეულ ობიექტს, მიუხედავად მათი შექმნის დროისა;

ბ) მოძრავი ნივთი, რომელიც სახელმწიფოს მიერ ამ კანონის მიღებამდე უკვე შეტანილია დაცვით სახელმწიფო სიასა და რეესტრში, ან რომელსაც ამ კანონის მოთხოვნათა საფუძველზე საქართველოს კულტურის სამინისტრო შეიტანს სპეციალურ სიასა და რეესტრში და რომელსაც იცავს სახელმწიფო;

გ) კულტურული ფასეულობა, რომელიც მისი აღმოჩენის ან შექმნის დროიდან მუდმივად ინახება სახელმწიფო სამუზეუმო ფონდში, არქივში, ბიბლიოთეკაში, კულტურული ფასეულობის დაცვის სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში, აგრეთვე საკუთრების სხვა ფორმით არსებულ ანალოგიური დანიშნულების დაწესებულებაში;

დ) სხვა უნიკალური კულტურული ფასეულობა, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ კანონის მე-4 მუხლის „ი" და „კ" ქვეპუნქტებით.

3. კულტურული ფასეულობების კონკრეტულ ნუსხას, რომლებიც არ ექვემდებარება საქართველოდან გატანას, ცალკე სახელმწიფო რეესტრით ადგენს და ამტკიცებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

მუხლი 6. კულტურული ფასეულობა, რომლის საქართველოში შემოტანა აკრძალულია

აკრძალულია იმ კულტურული ფასეულობის საქართველოში შემოტანა, რომელზედაც უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების შეტყობინების საფუძველზე გამოცხადებულია ძებნა.

თავი II. კულტურული ფასეულობის საქართველოდან უკანონო გატანა, საქართველოში შემოტანა და მასზე საკუთრების უფლების სამართლებრივი რეჟიმი

მუხლი 7. კულტურული ფასეულობის საქართველოდან უკანონო გატანა, საქართველოში შემოტანა და მასზე საკუთრების უფლების უკანონო გადაცემა

1. უკანონოდ ითვლება კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა, საქართველოში შემოტანა და მასზე

საკუთრების უფლების გადაცემა, თუ დარღვეულია ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. უკანონოდ ითვლება აგრეთვე კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა, საქართველოში შემოტანა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემა, თუ იგი უცხო სახელმწიფოს მიერ ქვეყნის ნაწილობრივი ან სრული ოკუპაციის ან ქვეყნის ცალკეულ ტერიტორიაზე სახელმწიფოს იურისდიქციის სხვა მიზეზით დაკარგვის პირდაპირი ან არაპირდაპირი შედეგია.

მუხლი 8. საქართველოდან უკანონოდ გატანილი კულტურული ფასეულობის საქართველოში დაბრუნება

1. საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კულტურული ფასეულობის მესაკუთრეს უფლება აქვს თხოვნით მიმართოს საქართველოს შესაბამის ორგანოებს, მხარდაჭერა აღმოუჩინონ საქართველოდან უკანონოდ გატანილი ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონო მფლობელობაში მყოფი კულტურული ფასეულობის საქართველოში დასაბრუნებლად.

2. ამ კატეგორიის კულტურულ ფასეულობაზე კანონიერი მესაკუთრის უფლების აღდგენის გარანტი სახელმწიფოა.

მუხლი 9. საზღვარგარეთიდან საქართველოში უკანონოდ შემოტანილი კულტურული ფასეულობის დაბრუნება

1. საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებითა და საქართველოს კანონმდებლობით საზღვარგარეთიდან საქართველოში უკანონოდ შემოტანილი კულტურული ფასეულობა დაუბრუნდება მესაკუთრეს.

2. დაბრუნება ხდება მომთხოვნი მხარის განაცხადისა და მის მიერ სათანადო დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე.

3. კულტურული ფასეულობის ამოღებისა და კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე მისი გადაადგილების ხარჯებს გაიღებს მომთხოვნი მხარე.

4. საზღვარგარეთიდან უკანონოდ შემოტანილი კულტურული ფასეულობის კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების გარანტი სახელმწიფოა.

მუხლი 10. კულტურული ფასეულობის კეთილსინდისიერი შემძენის უფლება

საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანილი კულტურული ფასეულობის ამოღებისა და კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების შემთხვევაში მის კეთილსინდისიერ შემძენს მომთხოვნმა მხარემ, თუ იგი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო, მისი მოქალაქე ან იურიდიული პირია, უნდა გადაუხადოს ამ კულტურული ფასეულობის კომპენსაცია, თუ ამ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ასეთი კომპენსაციის გადახდა. სხვა შემთხვევაში გადახდა მოხდება ნებაყოფლობით ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი III. სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მონაწილეობა კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის სფეროში

მუხლი 11. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის რეგულირების სახელმწიფო ორგანოები და მათი კომპეტენციები

1. საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების თანახმად კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანას, დროებით გატანას, საქართველოში შემოტანასა და დროებით შემოტანას არეგულირებს და აკონტროლებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

2. საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამ საკითხებთან თავიანთ ფუნქციებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ახორციელებენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად.

3. საქართველოს კულტურის სამინისტრო საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის ორგანიზაციებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის საერთო კოორდინაციას ახორციელებს ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 12. საქართველოს კულტურის სამინისტროს კომპეტენცია კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტა-

ნის სფეროში

1. საქართველოს კულტურის სამინისტრო:

ა) ხელს უწყობს კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნას; სათანადო-სამეცნიერო და ტექნიკური დანესებულებების დაარსებასა და განვითარებას;

ბ) ადგენს იმ კულტურული ფასეულობის დაცვით სახელმწიფო სიასა და რეესტრს, რომლებზედაც ვრცელდება ამ კანონის მოქმედება;

გ) ანარმოებს კულტურული ფასეულობის პასპორტიზაციას;

დ) დაცვითი სახელმწიფო სიისა და რეესტრის ბაზაზე ადგენს საკუთრების ნებისმიერი ფორმით არსებული კულტურული ფასეულობის იმ სახელმწიფო რეესტრს, რომელიც ამ კანონის თანახმად არ ექვემდებარება გატანას, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვნად გააღარიბოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა;

ე) იღებს გადაწყვეტილებას კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის ან დროებით გატანის შესაძლებლობის შესახებ;

ვ) უზრუნველყოფს საქართველოდან გასატანად განცხადებული კულტურული ფასეულობის, აგრეთვე დროებით გატანის შემთხვევაში მისი უკან დაბრუნებისას საკალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარებას;

ზ) გასცემს ნებართვას კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანაზე ან დროებით გატანაზე;

თ) ანარმოებს საქართველოში დროებით შემოტანილი კულტურული ფასეულობის სახელმწიფო რეგისტრაციას;

ი) კულტურული ფასეულობის დაკარგვის ან ხელყოფის ფაქტების შესახებ საზოგადოებას ინფორმაციას ანვდის როგორც საქართველოში, ისევე მის ფარგლებს გარეთ პუბლიკაციებით, მასობრივი ინფორმაციებითა და კანონით ნებადართული სხვა საშუალებებით;

კ) საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების თანახმად იღებს ზომებს კულტურული ფასეულობის მესაკუთრის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

მუხლი 13. საქართველოს მუზეუმებში დაცული მოძრავი ძეგლების საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის სახ-

ელმწიფო რეგულირება

საქართველოს მუზეუმებსა და საცავებში დაცული მოძრავი ძეგლების საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის სახელმწიფო რეგულირებას ახორციელებს საქართველოს კულტურის სამინისტრო ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 14. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მონაწილეობა კულტურული ფასეულობის დაცვის, მისი საქართველოდან გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის რეგულირების საქმეში

საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს უფლება აქვთ შეუზღუდავად მიიღონ სრული და ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს კულტურული ფასეულობის დაცვის, მისი საქართველოდან გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის შესახებ, თუ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს სახელმწიფო ინტერესებთან ან ამ ფასეულობის გამტანი ფიზიკური და იურიდიული პირების კანონით დაცულ ინტერესებთან დაკავშირებულ საიდუმლოებას.

თავი IV. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის სახელმწიფო რეგულირება

მუხლი 15. კულტურული ფასეულობის სახელმწიფო ექსპერტიზა

1. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის ან დროებით გატანის განმცხადებელი ნებისმიერი პირი ვალდებულია წარადგინოს იგი სახელმწიფო ექსპერტიზისათვის.

2. თუ ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ კულტურული ფასეულობა თავისი მნიშვნელობით ექვემდებარება კულტურული ფასეულობის დაცვით სახელმწიფო სიასა და რეესტრში შეტანას, საქართველოს კულტურის სამინისტრო ამას განახორციელებს კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის ან დროებით გატანის განმცხადებელი პირის თანხმობის გარეშე.

3. საქართველოდან დროებით გასატანად განცხადებული,

აგრეთვე დროებით გატანის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული კულტურის მოძრავი ძეგლი ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო ექსპერტიზას.

მუხლი 16. კულტურული ფასეულობის ექსპერტიზის ჩატარების წესი

1. კულტურული ფასეულობის ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ დებულებას ამტკიცებს საქართველოს კულტურის მინისტრი.

2. საზღვარგარეთ გასატანად განცხადებული ან დროებით გასატანად განცხადებული, აგრეთვე დროებით გატანის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული კულტურული ფასეულობის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარებას ორგანიზებას უწევს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

3. საზღვარგარეთ დროებით გასატანად განცხადებული, აგრეთვე დროებით გატანის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული კულტურის მოძრავი ძეგლი ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო ექსპერტიზას.

4. ექსპერტიზის ჩასატარებლად საქართველოს კულტურის სამინისტრო ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ მუზეუმებთან, არქივებთან, ბიბლიოთეკებთან, აგრეთვე ასეთი ექსპერტიზის ჩატარების უფლების (ლიცენზიის) მქონე სხვა მოწვეულ დამოუკიდებელ სპეციალისტებთან.

მუხლი 17. ექსპერტიზის ანაზღაურების წესი

კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანასთან, მასზე საკუთრების უფლების გადაცემასთან, აგრეთვე სხვა ანალოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებით ჩასატარებელი ექსპერტიზის ღირებულებას ანაზღაურებს მესაკუთრე საქართველოს კულტურის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 18. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის წესი დიპლომატიური პრივილეგიით აღჭურვილი

პირისათვის

1. ამ კანონით დადგენილი კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის, დროებით გატანის, საქართველოში შემოტანისა და დროებით შემოტანის წესი ვრცელდება დიპლომატიური პრივილეგიითა და იმუნიტეტით აღჭურვილ პირებზედაც.

2. ამ პირის პირადი ბარგის საბაჟო შემოწმება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთიდან საქართველოში შემოტანის წესი

საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი წესით საზღვარგარეთიდან საქართველოში შემოტანილი კულტურული ფასეულობა ექვემდებარება აუცილებელ საბაჟო კონტროლს, ტარდება სპეციალურ რეგისტრაციაში და ამის შესახებ ერთი კვირის ვადაში ეცნობება საქართველოს კულტურის სამინისტროს.

მუხლი 20. კულტურული ფასეულობის ტრანზიტი

კულტურული ფასეულობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის დროს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს შესაბამის ორგანოებს წარედგინება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობითა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებით განსაზღვრული საბუთები, რომელთა საფუძველზედაც დგინდება ამ კულტურული ფასეულობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის მიზნით შემოტანა.

მუხლი 21. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა საფოსტო გზავნილისა და ამანათის სახით

კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა საფოსტო გზავნილისა და ამანათის სახით ხორციელდება ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობითა და ამ კანონით დადგენილი წესებისა და პირობების გათვალისწინებით.

თავი V. კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანისა და საქართველოში შემოტანის რეგულირება

მუხლი 22. კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანა

1. კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანას სამუზეუმო, საარქივო, საბიბლიოთეკო დაწესებულებები,

ფიზიკური და იურიდიული პირები ახორციელებენ შემდეგი მიზნებისათვის

ა) გამოფენის ორგანიზება;

ბ) სარესტავრაციო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება;

გ) საკონცერტო, თეატრალური ან სხვა სახის სამსახიობო საქმიანობა;

დ) სხვა შემთხვევაში, როდესაც ეს არ ეწინააღმდეგება ამ კანონს და საქართველოს კანონმდებლობას.

2. საქართველოდან დროებით გატანას ექვემდებარება აგრეთვე ის კულტურული ფასეულობები ან მათი კოლექციები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე-5 მუხლით.

მუხლი 23. განცხადება კულტურის მოძრავ ძეგლს ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს მიკუთვნებული კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანაზე ნებართვის მისაღებად

საქართველოს სახელმწიფო სამუზეუმო ფონდი, არქივი, ბიბლიოთეკა, კულტურული ფასეულობის საცავი სხვა სახელმწიფო დაწესებულება, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები და სხვა პირები კულტურის მოძრავ ძეგლს ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს მიკუთვნებული კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანაზე ნებართვის მისაღებად განცხადებით მიმართავენ საქართველოს კულტურის სამინისტროს. განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) მიმღებ მხარესთან დადებული ხელშეკრულება კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანის მიზნებისა და პირობების შესახებ;

ბ) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მიმღები მხარის მიერ სადაზღვევო რისკის ყველა შემთხვევის უზრუნველყოფას, კომერციული დაზღვევა ან დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მიმღები მხარის მიერ ყველა სხვა რისკის ფინანსურ უზრუნველყოფას სახელმწიფო გარანტიით;

გ) მიმღები მხარისა და სახელმწიფოს დოკუმენტურად დამოწმებული გარანტიები საქართველოდან დროებით გატანილი კულტურული ფასეულობის დაცვისა და საქართველოში დაბრუნების შესახებ;

დ) ცნობა იმის შესახებ, არის თუ არა საქართველოდან დროებით გასატანი კულტურული ფასეული ა შეტანილი საქართველოს კულტურულ ფასეულობათა დაცვით სახელმწიფო სიასა და რეესტრში.

მუხლი 24. უარი კულტურის მოძრავ ძეგლს ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს მიკუთვნებული კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანაზე ნებართვის მისაღებ განცხადებაზე

განმცხადებელს კულტურის მოძრავ ძეგლს ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს მიკუთვნებული კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანაზე ნებართვის მისაღებ განცხადებაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ:

ა) არ შეუძლია ამ კანონით დადგენილი წესით წარადგინოს კულტურული ფასეულობის საქართველოში შემოტანის (დაბრუნების) გარანტიები;

ბ) გასატანად განცხადებული კულტურული ფასეულობის მდგომარეობა არ იძლევა შენახვის პირობების შეცვლის შესაძლებლობას, ან თუ ასეთი შეცვლა გამოიწვევს მისი ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებას ნებისმიერი სახით;

გ) გაურკვეველია გასატანად განცხადებული კულტურული ფასეულობის მესაკუთრე ან თუ იგი წარმოადგენს მასზე საკუთრების უფლების მოპოვებაზე დავის საგანს;

დ) გასატან ქვეყანაში უახლოეს წარსულში მოხდა, ხდება ან მოსალოდნელია სტიქიური უბედურება ან შეიარაღებული კონფლიქტი, ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის დროებით გასატანი კულტურული ფასეულობის დაცვას;

ე) საქართველოს არ გააჩნია დიპლომატიური ურთიერთობა იმ ქვეყანასთან, სადაც აპირებენ კულტურული ფასეულობის გატანას.

მუხლი 25. საქართველოდან დროებით გატანილი კულტურული ფასეულობის ექსპერტიზა მისი საქართველოში დაბრუნების შემდეგ

კულტურული ფასეულობა საქართველოდან დროებით გატანის შემდეგ საქართველოში დაბრუნებისას ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო ექსპერტიზას, რომელიც ტარდება ამ კანონის მე-15-17 მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 26. საქართველოდან დროებით გასატანი კულტურული

ფასეულობის დიპლომატიური არხით დაცვა

საქართველოდან დროებით გატანილ კულტურულ ფასეულობას მისი განთავსების ქვეყანაში დიპლომატიური არხით იცავს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი საზღვარგარეთ.

მუხლი 27. კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთიდან საქართველოში დროებით შემოტანის წესი

1. საზღვარგარეთიდან დროებით შემოტანილი კულტურული ფასეულობა საქართველოში ექვემდებარება აუცილებელ საბაჟო რეგისტრაციას საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

2. აღნიშნული ფასეულობის დაცვის სახელმწიფო გარანტია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხორციელდება საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად.

3. საქართველოში საზღვარგარეთიდან დროებით შემოტანილი კულტურული ფასეულობის მიმართ რისკის ყველა შემთხვევაში ფინანსური უზრუნველყოფის სახელმწიფო გარანტიის საერთო წესს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

თავი VI. კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ გატანასა და და დროებით გატანაზე ნებართვის გაცემა

მუხლი 28. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანასა და დროებით გატანაზე ნებართვის გაცემა

1. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანასა და დროებით გატანაზე ნებართვას გასცემს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

2. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანასა და დროებით გატანაზე ნებართვა წარმოადგენს ამ ფასეულობის საქართველოს საბაჟო და სახელმწიფო საზღვარზე გატანის საფუძველს.

3. საქართველოში დადგენილია კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და დროებით გატანის ნებართვის ერთიანი ფორმა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

4. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და დროებით გატანის შესახებ ნებართვის გაცემის, მოქმედების შე-

ჩერების, განახლების, გაუქმების, მასზე უარის თქმისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი განისაზღვრება ,,სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

5. ნებართვა ერთჯერადია და მისი მოქმედების ვადაა 3 თვე.

მუხლი 29. იმ კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანაზე ნებართვის გაცემა, რომელიც შეტანილია კულტურულ ფასეულობათა დაცვით სახელმწიფო სიასა და რეესტრში

1. საქართველოს კულტურის სამინისტრო ნებართვას გასცემს აგრეთვე იმ კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანაზე, რომელიც მუდმივად ინახება სახელმწიფო და მუნიციპალურ მუზეუმში, არქივში, ბიბლიოთეკაში, კულტურული ფასეულობის საცავ სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში.

2. განცხადებას კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ დროებით გატანაზე ნებართვის მისაცემად წარადგენს ამ ფასეულობის მესაკუთრე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

3. მიღებული გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ განმცხადებელს უნდა ეცნობოს განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

მუხლი 30. კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანის შესახებ ხელშეკრულების ურღვეობა

კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანის პირობებისა და მიზნების შესახებ მის მიმღებ მხარესთან დადებული ხელშეკრულება დროებით გატანაზე ნებართვის გაცემის შემდეგ არ ექვემდებარება შეცვლას.

მუხლი 31. კულტურული ფასეულობა, რომელიც შეიცავს ძვირფას ლითონებსა და ქვებს

იმ კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანაზე ნებართვის გაცემა, რომელიც შეიცავს ძვირფას ლითონებსა და ქვებს, ხორციელდება ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

მუხლი 32. იარაღის სახეობა, რომელიც წარმოადგენს კულტურულ ფასეულობას

ნებართვა ნებისმიერი კატეგორიის იმ იარაღის საზღვარგარეთ გატანაზე, რომელსაც აქვს ისტორიული, სამეცნიერო, მხატვრუ-

ლი ან სხვა კულტურული ღირებულება, გაიცემა ამ კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

თავი VII. კულტურული ფასეულობის საკუთრების უფლების უკანონო გადაცემის თავიდან აცილება

მუხლი 33. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრების უფლება გასატანად განცხადებულ კულტურულ ფასეულობაზე

1. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა შეიძლება განხორციელდეს კანონიერი მესაკუთრის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, ამ კანონით დადგენილი წესით.

2. კულტურული ფასეულობის გატანისას იურიდიული პირი ვალდებულია დოკუმენტურად დაასაბუთოს საკუთრების უფლება გასატან ნივთზე.

3. საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად გამსვლელი ფიზიკური პირი ვალდებულია წარადგინოს საკუთრების უფლების დამამტკიცებელი საბუთები კულტურულ ფასეულობაზე, თუ განცხადებულია, რომ იგი საოჯახო რელიქვიისა და მემორიალური ფასეულობის სახით ინახება მის ოჯახში და არა სახელმწიფო მუზეუმში, არქივში ან კულტურული ფასეულობის საცავ სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში.

4. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოდან დროებით გასატან კულტურულ ფასეულობაზე.

მუხლი 34. სახელმწიფოს უპირატესი უფლება საქართველოდან გასატანად განცხადებულ კულტურულ ფასეულობაზე

1. სახელმწიფო საექსპერტო დასკვნის საფუძველზე საქართველოს მუზეუმების, არქივებისა და ბიბლიოთეკების ფონდების შევსებისათვის საქართველოს კულტურის სამინისტროს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება იმ კულტურული ფასეულობის შესყიდვაზე, რომელიც საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ან უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ განცხადებულია საქართველოდან გასატანად.

2. საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად გამსვლელი ფიზიკური პირის მიერ კულტურული ფასეულობის გატანის შესახებ განცხადებისას და მისი აუცილებელი თანხმობის არსებობისას ფასეულობის შესყიდვისათვის საჭირო თანხას ანაზღაურებს სახელმ-

ნიფო მესაკუთრის საზღვარგარეთ გასვლამდე, ხელშეკრულების საფუძველზე.

3. ავტორის მიერ კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისას ამ ფასეულობის მიმართ არ გამოიყენება სახელმწიფოს უპირატესი შესყიდვის უფლება.

4. კულტურული ფასეულობის შესყიდვაზე სახელმწიფოს უპირატესი უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული დავა განიხილება სასამართლო წესით.

მუხლი 35. საბაჟო ან/და სამართალდამცავი ორგანოების მიერ კულტურული ფასეულობის დაკავება

1. კულტურული ფასეულობა, რომლის მესაკუთრეც ვერ დადგინდა და რომელიც დროებით დაკავებულია საქართველოს საბაჟო ორგანოების, შინაგან საქმეთა ან სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ, კულტურული ფასეულობის მესაკუთრის დადგენამდე შესანახად გადაეცემა საქართველოს კულტურის სამინისტროს.

2. საქართველოს კულტურის სამინისტრო ახორციელებს ამ კულტურული ფასეულობის დაცვას, მის სახელმწიფო ექსპერტიზას და მასზე საკუთრების უფლების დადგენის მიზნით ავრცელებს ოფიციალურ ინფორმაციას.

3. სასამართლოს მიერ აღნიშნული კულტურული ფასეულობის მესაკუთრის დადგენისას ეს უკანასკნელი გადაეცემა მესაკუთრეს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, თუ დადგინდა, რომ კულტურული ფასეულობა საბაჟო წესების დარღვევის საგანი გახდა მათი სურვილისაგან დამოუკიდებლად.

4. აღნიშნული კულტურული ფასეულობის დაცვის, შენახვისა და ექსპერტიზასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მესაკუთრე, თუ სასამართლო სხვა რამეს არ დაადგენს.

5. დაკავებულ კულტურულ ფასეულობას, რომლის მესაკუთრეც ვერ დადგინდა, საქართველოს კულტურის სამინისტრო საკუთრების უფლებით გადასცემს სახელმწიფო მუზეუმს, ბიბლიოთეკასა და არქივის ფონდს.

6. კულტურული ფასეულობა, რომელიც არ გადაეცემა საკუთრების უფლებით მუდმივი შენახვისა და დაცვისათვის სახელმწიფო ან მუნიციპალურ მუზეუმს, არქივს, ბიბლიოთეკას ან კულტურული ფასეულობის დაცვის სხვა სახელმწიფო დაწესებულებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდე-

ბარება რეალიზაციას და თანხა შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 36. კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა ავტორის ან მისი მემკვიდრის მიერ

კულტურული ფასეულობის ავტორს (ან მის მემკვიდრეს ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში), იმის მიუხედავად, იგი საქართველოს საზღვრებს გარეთ დროებით გადის თუ მუდმივ საცხოვრებლად, უფლება აქვს გაიტანოს მის (მამკვიდრებლის) მიერ შექმნილი კულტურული ფასეულობა, მიუხედავად ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებისა.

მუხლი 37. კულტურული ფასეულობის საცავის მიერ უცხო სახელმწიფოდან დატაცებული ან უკანონოდ შეძენილი კულტურული ფასეულობის შეძენის თავიდან აცილება

სახელმწიფო ან საკუთრების სხვა ფორმით არსებული მუზეუმი, ბიბლიოთეკა, არქივი ან კულტურული ფასეულობის საცავი, სხვა სახელმწიფო დაწესებულება ვალდებულია უცხო სახელმწიფოდან დატაცებული ან უკანონოდ ნაყიდი კულტურული ფასეულობის შეძენის თავიდან აცილების მიზნით დაადგინოს ამ კულტურული ფასეულობის კანონიერი მესაკუთრე ან მფლობელი.

თავი VIII. გადასახადები და მოსაკრებლები

მუხლი 38. საბაჟო-საგადასახადო პირობები კულტურული ფასეულობის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების დროს

ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გაფორმებული კულტურული ფასეულობის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას გადაიხდება საბაჟო გადასახადები და მოსაკრებლები კულტურული ფასეულობის გაფორმების საბაჟო რეჟიმის შესაბამისად დადგენილი წესით.

თავი IX . პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

მუხლი 39. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ უკანონო გადაადგილება და საქართველოდან დროებით გატანილი კულტურული ფასეულობის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში დაუბრუნებლობა, რაც კულ-

ტურული ფასეულობის საზღვარგარეთ უკანონო გატანად ითვლება, იწვევს საქართველოს კანონმდებლობის დადგენილ პასუხისმგებლობას.

თავი X. საერთაშორისო თანამშრომლობა და საერთაშორისო ხელშეკრულებები

მუხლი 40. საერთაშორისო თანამშრომლობა კულტურული ფასეულობის საქართველოდან უკანონო გატანისა და საქართველოში უკანონო შემოტანის და მასზე საკუთრების უფლების უკანონო გადაცემის თავიდან აცილების მიზნით

კულტურული ფასეულობის საქართველოდან უკანონო გატანის ან საქართველოში შემოტანის, მასზე საკუთრების უფლების უკანონო გადაცემის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კულტურის სამინისტრო თანამშრომლობს უცხო სახელმწიფოების ანალოგიურ სამსახურებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მუხლი 41. საერთაშორისო ხელშეკრულებები საქართველოდან უკანონოდ გატანილი და საქართველოში უკანონოდ შემოტანილი კულტურული ფასეულობის დაბრუნების შესახებ

1. საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო ხელშეკრულებებში საქართველოდან უკანონოდ გატანილი კულტურული ფასეულობის დაბრუნების შესახებ.

2. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როცა ეს შესაძლებელია, საქართველო ვალდებულია შესთავაზოს უცხო სახელმწიფოს იმ კულტურული ფასეულობის უკან დაბრუნება, რომელიც უკანონოდაა შემოტანილი მის ტერიტორიაზე.

მუხლი 42. კულტურული ფასეულობის გადაადგილება და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის საკითხის საერთაშორისო რეგულირება

კულტურული ფასეულობის გადაადგილებისა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემის საერთაშორისო რეგულირების მიზნით სახელმწიფო ვალდებულია:

ა) აღკვეთოს თავის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმის, არქივის, ბიბლიოთეკისა და სხვა ანალოგიური დაწესებულების მიერ უცხო სახელმწიფოში შექმნილი იმ კულტურული ფასეულობის შეძენა, რომელიც უკანონოდაა შემოტანილი ან შეძენილი;

ბ) მიიღოს აუცილებელი ზომები უცხო სახელმწიფოს მოთხ-

ოვნით ყოველი ისეთი კულტურული ფასეულობის მისაგნებად და დასაბრუნებლად, რომელიც შემოტანილია საქართველოს ტერიტორიაზე, იმ აუცილებელი პირობით, რომ კეთილსინდისიერი მყიდველისათვის კომპენსაციის სრული ანაზღაურების გარანტი არის უცხო სახელმწიფო, თუ ასეთი კომპენსაციის გადახდა არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ვალდებულებებს ან საქართველოს კანონმდებლობას.

თავი XI. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 43. ამ კანონთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

1. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს გამოსცეს ბრძანებულება საქართველოში დროებით შემოტანილი კულტურული ფასეულობის დაცვისა და მის მიმართ რისკის ფინანსური უზრუნველყოფის სახელმწიფო გარანტიების შესახებ.

2. საქართველოს კულტურის სამინისტრომ გამოსცეს:

ა) დებულება კულტურული ფასეულობის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარებისა და მასზე გაწეული მომსახურების ანაზღაურების წესის შესახებ;

ბ) დებულება კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის ან დროებით გატანის ნებართვის ფორმის, მისი გაცემისა და მასზე გაწეული მომსახურების ანაზღაურების წესის შესახებ.

3. საქართველოს კულტურის სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცენ ინსტრუქცია კულტურული ფასეულობის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების წესის შესახებ.

თავი XII. დასკვნითი დებულება

მუხლი 44. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „მუზეუმების შესახებ“ *(22.06. სსმ №23)*

მუხლი 25. საქართველოს სამუზეუმო ფონდში შეტანილი ნივთის საზღვარგარეთ გატანა და საქართველოში შემოტანა

საქართველოს სამუზეუმო ფონდში შეტანილი ნივთის საზღ-

ვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის წესს არეგულირებს საქართველოს კანონი „კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ".

საქართველოს კანონი „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ" *(26.10,01. სსმ № 33)*

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **„საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი"** - შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით აღიარებული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული სერტიფიკატი, რომლითაც განისაზღვრება საქონლის წარმოშობა;

ბ) **„საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის დამოწმება"** - საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის დამოწმება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, საამისოდ უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

მუხლი 4. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიზნები და ფუნქციები

3. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ნებაყოფლობით წარდგენილი განაცხადის საფუძველზე ახორციელებს:

ა) საექსპორტო და იმპორტირებული საქონლის წარმოშობის სერტიფიკატების დამოწმებას.

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტაციის გავლის შემდეგ ადგილობრივი და საზღვარგარეთული საქონლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ექსპერტიზას და შეფასებას;

გ) საქართველოში მოქმედი სავაჭრო, საბაჟო და სანავსადგურო წესების შესახებ ინფორმაციის დამოწმებას;

დ) ფორს-მაჟორისა და საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გარემოებების დამოწმებას.

მუხლი 12. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.

საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვის მოსაკრებლის შესახებ“ *(18.12.01, სსმ №36.)* (გაუქმებულია)

მუხლი 3. საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვის მოსაკრებლის გადამხდელი

1. საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვის მოსაკრებლის გადამხდელია უცხო ქვეყნის გადამზიდველი, რომელიც ახორციელებს საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვას ,,საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ“ საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული კვოტების ფარგლებს ზევით და ამ საქმიანობისათვის იღებს ნებართვას.

2. საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვის ნებართვის გაცემის პირობები და წესი განსაზღვრულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

მუხლი 4. საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვის მოსაკრებლის ოდენობა, მისი გადახდის წესი და ვადები

1. საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვის მოსაკრებელი შეადგენს 500 ლარს.

საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ *(14.05.02. სსმ №15)*

მუხლი 4. დამატებითი ლიცენზიისა და ნებართვის შემოღების დაუშვებლობა

1. დაუშვებელია ლიცენზიისა და ნებართვის შემოღება ამ კანონით გაუთვალისწინებელ საქმიანობაზე.

2. დაუშვებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ისეთი დოკუმენტის შემოღება, რომელიც გულისხმობს რაიმე საქმიანობაზე შინაარსობრივად სალიცენ-

ზიო ან სანებართვო რეჟიმის დაწესებას.

მუხლი 6. ლიცენზირებადი საქმიანობის სახეები და ლიცენზიის გამცემი ორგანოები

ლიცენზირებადი საქმიანობის სახეები და შესაბამისი ლიცენზიის გამცემი ორგანოებია:

ა) სადაზღვევო საქმიანობა და დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობა - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური;

ბ) საბანკო და არასაბანკო სადეპოზიტო საქმიანობა, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობა - საქართველოს ეროვნული ბანკი;

გ) ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების, აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალური დეპოზიტარის საქმიანობა - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია;

დ) სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ე) საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა - საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო;

ვ) აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა - საქართველოს განათლების სამინისტრო;

ზ) აუდიტორული საქმიანობა - საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო;

თ) მეტროლოგიური და გაზომვათა საშუალებების წარმოება და შეკეთება - აუდიტორული საქმიანობის საბჭო;

ი) იარაღისა და საბრძოლო მასალების დამზადება, შეკეთება და მათით ვაჭრობა - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

კ) საზღვაო სამგზავრო გადაყვანა - საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაცია;

ლ) საბაჟო ბროკერისა და საბაჟო გადამზიდველის საქმიანობა - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი;

მ) ბირთვული და რადიაციული საქმიანობა - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

ნ) კვების (მათ შორის, ბავშვთა კვების) პროდუქტების, თამბაქოს

პროდუქციის წარმოება - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო;

ო) ელექტროენერგიის წარმოება („ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მნიშვნელობით), გადაცემა, დისპეტ-ჩერიზაცია, განაწილება, ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, რე-იმპორტი, ტრანსპორტირება და განაწილება - საქართველოს ენ-ერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია;

პ) კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობა - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

ჟ) ვეტერინარულ დანესებულებათა საქმიანობა, ვეტერინარია-ში გამოსაყენებელი ბიოლოგიური და სამკურნალო პრეპარატებ-ის, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოება და მათით ვაჭრობა - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო;

რ) ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობა, ნავთობის გადამუშავება, გაზის დამუშავება და ნავთობის ტრანსპორტირე-ბა - საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირე-ბელი სახელმწიფო სააგენტო;

ს) საშემფასებლო საქმიანობა - საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო;

ტ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა (გარდა ნავთობისა და გაზის, მიწის რესურსებითა და ტყით სარგებლობისა) - საქართვე-ლოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

უ) გარემოსდაცვითი საქმიანობა - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამიინისტრო;

ფ) გარემოზე ზემოქმედების შეფასებითი საქმიანობა - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინ-ისტრო;

ქ) სამთომოპოვებითი და სამთამადნო საქმიანობა - საქართვე-ლოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

ღ) ჰიდრომეტეოროლოგიური საქმიანობა - საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი;

ყ) გეოლოგიური საქმიანობა - საქართველოს გეოლოგიის სახ-ელმწიფო დეპარტამენტი;

შ) მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების ბეჭდვა და შენახვა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ჩ) რეგულარული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა - საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია.

მუხლი 19. ნებართვის სახეები და ნებართვის გამცემი ორგანოები

1. ნებართვის სახეები და შესაბამისი ნებართვის გამცემი ორგანოებია:

ა) საერთაშორისო საავტომობილო გადაყვანა - გადაზიდვის, საქალაქთაშორისო, საგარეუბნო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისა და სახიფათო ტვირთების საავტომობილო გადაზიდვის ნებართვა - საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია;

ბ) საჰაერო ხომალდის სამგზავრო და სატვირთო მოცულობების რეალიზაციის, არარეგულარული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ან/და საქართველოს ტერიტორიაზე საავიაციო სამუშაოების წარმოების ნებართვა - საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია;

გ) საშიში საწარმოო ობიექტების ექსპლუატაციასთან, კონსტრუირებასთან, გაუქმებასთან, ექსპლუატაციის შეწყვეტასა და კონსერვაციასთან, საშიშ საწარმოო ობიექტებზე გამოყენებული ტექნიკური მოწყობილობების დამზადებასა და მონტაჟთან, მომსახურებასა და რემონტთან, ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზის ჩატარებასთან, მშენებლობის წარმოებისას საშიში საწარმოო მექანიზმების გამოყენებასთან (გარდა ნავთობისა და გაზის სფეროებისა), სახელმწიფოს დაკვეთით სამოქალაქო საჰაერო ტრანსპორტით საშიში ტვირთების ტრანსპორტირებასთან , სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების ბრუნვასთან, საწარმოო უსაფრთხოების სფეროში პერსონალის მომზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა - საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია;

დ) ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე სამუშაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვა - საქართველოს კულტურის სამინისტრო;

ე) განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ნებართვა - საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო;

ვ) ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის ნებართვა - საქართველოს კულტურის სამინისტრო;

ზ) გარემოსდაცვითი ნებართვა - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

თ) საბაჟო საწყობების (გარდა საბაჟო ორგანოების მიერ დაარსებული საწყობების) საქმიანობის, უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის საქმიანობის საბაჟო კონტროლის ქვეშ და საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ნებართვები - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი;

ი) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისათვის აუცილებელი დიაგნოსტიკური ცენტრების საქმიანობის ნებართვა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

კ) ნავთობგადამამუშავებელი ობიექტების სათბობ-ენერგეტიკულ სისტემაში განთავსების, ელექტროენერგიის წარმოების ობიექტების, აგრეთვე იმ საშუალებების განთავსების ნებართვა, რომლებიც გამოიყენება ელექტროენერგიის ტრანზიტისათვის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისათვის - საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო;

ლ) ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების, კაზინოების (სამორინეების) მოწყობის ნებართვა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

მ) ქვეყნის ტერიტორიაზე ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, კარტოგრაფიული და აეროგადაღებითი საქმიანობის (გარდა თემატური ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა) ნებართვა - საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტი;

ნ) ტყითსარგებლობის ნებართვა - საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი;

ო) საქონლის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის სფეროში:

ო.ა) შეიარაღების (მათ შორის, იარაღის), საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, აგრეთვე იარ-

აღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და მომსახურების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

ო.ბ) სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციების და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტისა და რეექსპორტის ნებართვა, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის და ექსპორტის ნებართვა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ო.გ) ხე-ტყის ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა - საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი;

ო.დ) შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების (მათ შორის, საწარმოო ნარჩენების) ექსპორტისა და რეექსპორტის, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა - საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო;

ო.ე) პესტიციდების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური;

ო.ვ) არასახიფათო ნარჩენების იმპორტისა და ტრანზიტის, ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა იმპორტის ნებართვა - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

ო.ზ) მხოლოდ ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების, ცხოველთა, ცხოველური წარმოების პროდუქტების, ცხოველთა საკვების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი;

ო.თ) აგროქიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური;

ო.ი) კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქტების იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვა - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური;

ო.კ) წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის ნებართვა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პ) ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან, ნავთობის გადამუშავებასთან, გაზის დამუშავებასა და ნავთობის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოების ნებართვა - საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო;

ჟ) კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის ნებართვა - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

რ) იარაღის შეძენის, შენახვის, ტარების, გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის, იარაღის ცალკეული ეგზემპლარების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის (გარდა ექსპორტ-იმპორტისა, ტრანზიტისა და რეექსპორტისა), ტირის, სასროლეთის, სასროლო სანადირო სტენდის გახსნის ნებართვა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო უცხო სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის ნებართვა - საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური;

ს) საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვა- საქართველოს კულტურის სამინისტრო;

ტ) ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფეროში საქმიანობის ნებართვა - საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია;

უ) ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა - საქართველოს ფინანს-

თა სამინისტრო;

ფ) დაკვირვების ელექტრონულ ააშუალებების დამზადების, შეძენის, საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის ნებართვა - საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო;

ქ) ბეჭდებისა და შტამპების დამზადების ნებართვა- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ღ) საზღვაო ბუქსირზიდვის (გარდა სანავსადგურო ბუქსირზიდვისა) ნებართვა - საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაცია;

ყ) კვების (მათ შორის, ბავშვთა კვების) პროდუქტების, თამბაქოს პროდუქციის მწარმოებელი საწარმოს ნებართვა, დადგენილი სანიტარიული ნორმებისა და წესების დაცვით განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

საქართველოს კანონი „მეფუტკრეობის შესახებ"

(18.05.02, სსმ № 16)

მუხლი 4. ქართული ფუტკრის შენარჩუნება

1. ქართული ფუტკრის ჯიშის სიწმინდის შესანარჩუნებლად აკრძალულია სხვა ქვეყნიდან ფუტკრის ოჯახის, დედა ფუტკრისა და ფუტკრის ამანათნაყარის შემოყვანა, სპერმის, ჭიისა და კვერცხის შემოტანა, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტირებული ან გაყვანილი ფუტკრის უკან დაბრუნება.

მუხლი 15. მეფუტკრეობაში რეგისტრაცია და სერტიფიკატის გაცემა

3. აკრძალულია სამინისტროს სანაშენე საქმის უფლებამოსილი ორგანოს სერტიფიკატის გარეშე ფუტკრის სანაშენე პროდუქციის ექსპორტი.

4. საქართველოში წარმოებული ფუტკრის ყველა სახის საექსპორტო პროდუქცია ექვემდებარება სახელმწიფო სტანდარტებთან ხარისხის შესაბამისობის სავალდებულო სერტიფიცირებას.

5. აკრძალულია ვეტერინარული და ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატების გარეშე საქართველოს ტერიტორიაზე ფუტკრის პროდუქციის შემოტანა (იმპორტი).

კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის *(22.10.2002 წ. სსმ №116)*

მუხლი 6

5. ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია-მისი დამზადება, შემოტანა, მინოდება და შემოწირულობა,ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან.

ტერმინთა განმარტება

25. საღვთისმსახურო (საეკლესიო) პროდუქცია - ეკლესია-მონასტრები და საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი (კათოლიკოს-პატრიარქის ან მღვდელმთავრის რეზიდენციები, სასულიერო სასწავლებლები) - მათი პროექტირება, არქეოლოგია, მშენებლობა, რესტავრაცია - კონსერვაცია; საეკლესიო მხატვრობა; საეკლესიო-საღვთისმსახურო ნივთები (ბარძიმ-ფეშხუმი, ლახვარი, სანანილე, ოდიკი, გარდამოხსნა, ემბაზი, ანალოღია, შანდალი, ტაკუკი, ვარსკვლავი, საცეცხლური, სასაკმევლე, კიოტი, საეკლესიო ნახშირი, სკვნილი, კვერთხი, პანაღია, სუდარა, სანათლავი, კვართი, სარტყელი, საეკლესიო სამშვენისი, ნაკურთხი წყლის ღვინის, მიწის ზეთისა და მირონის ჭურჭელი); ხატი, ჯვარი, საეკლესიო სანთელი, საღვთისმსახურო (სარიტუალო) ღვინო, საკმეველი, საკანდელე ზეთი, წმიდა წყალი, სეფისკვერი (სარიტუალო პური); სასულიერო პირის შესამოსელი; მომლოცველობა,საღვთისმეტყველო-საღვთისმსახურო და სასულიერო-საგანმანათლებლო ლიტერატურა, ასევე ამ დანიშნულების ტელე-კინო-ვიდეო-აუდიო და რადიო პროდუქცია.

საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“

(05.12.02, სსმ № 33)

მუხლი 20. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შენახვა

3. საქართველოში აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებების

შენახვის საბაჟო სანყობის რეჟიმი.

მუხლი 26. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შემოტანა, გატანა, ტრანზიტი და რეექსპორტი

1. III და IV სიებში მითითებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იურიდიულ პირს.

2. II სიაში მითითებული ნარკოტიკული საშუალებების შემოტანა ნებადართულია მხოლოდ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო-დიაგნოსტიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით. ამ მიზნით შემოტანილი ნარკოტიკული საშუალებების მიმღებ ორგანიზაციათა ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შემოტანამდე (გატანამდე) შემომტანი (გამტანი) იურიდიული პირი ვალდებულია მიიღოს წინასწარი ნებართვა, რომელსაც გასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

4. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გატანის შემდეგ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოდან საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული წესით მოითხოვს ინფორმაციას გატანილი ნივთიერებების რაოდენობისა და დანიშნულების ადგილამდე მიტანის შესახებ.

5. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემოტანის შემდეგ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული წესით ანვდის ინფორმაციას შემოტანილი ნივთიერებების რაოდენობის შესახებ.

6. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემოტანის (გატანის) შემდეგ საქართველოს საბაჟო ორგანოები აფიქსირებენ შემოტანილი (გატანილი) ნივთიერებების რაოდე-

ნობას და ამ ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უგზავნიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

7. საქართველოს ტერიტორიაზე იმ საბაჟო პუნქტების ნუსხას, საიდანაც ნებადართული იქნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემოტანა და გატანა, განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების:

ა) შემოტანა და გატანა საფოსტო ყუთის ან ბანკის მისამართით;

ბ) გატანა მინერითი საბაჟო საწყობის მისამართით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულ წინასწარ ნებართვაში მითითებულია მინერითი საბაჟო საწყობი;

გ) ტრანზიტი;

დ) რეექსპორტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობას.

9. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების წინასწარი ნებართვის გარეშე შემოტანის მცდელობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი უზრუნველყოფს ტვირთის უკან დაბრუნებას მომწოდებლის ხარჯით.

10. საქართველოში სტიქიური უბედურების ან სხვა საგანგებო სიტუაციების დროს ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შემომტანი და გამტანი იურიდიული პირები არ საჭიროებენ წინასწარ ნებართვას. ამ დროს შემოტანილი, სამკურნალო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვაზე ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული კონტროლის რეჟიმი.

11. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესებს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სა-

ბაჟო დეპარტამენტთან შეთანხმებით.

მუხლი 30. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენება სამედიცინო მიზნით

3. ნებისმიერი ტრანსპორტით საერთაშორისო რეისების შესრულებისას ან საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებისას, შესაბამისად მგზავრთა და მონაწილეთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით ნებადართულია სამკურნალო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრული რაოდენობით გადაზიდვა საქართველოს ტერიტორიის გავლით. აღნიშნული პროცესი არ განიხილება როგორც შემოტანა, გატანა ან ტრანზიტი.

მუხლი 31. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენება ტრანზიტით მიმავალი ავადმყოფის მკურნალობისათვის

1. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მიმავალ ავადმყოფს უფლება აქვს მკურნალობის მიზნით თან იქონიოს ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები სათანადო სამედიცინო და საბაჟო დოკუმენტებთან ერთად.

<u>**დანართი**</u>

საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების სიები

სია I

ნარკოტიკული საშუალებების კრებსითი ჩამონათვალი

- ალილოპრიდინი (ALLYLOPRODINE)

3-allyl-1-methyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine

- ალფამეთადოლი (ALPHAMETHADOL)
alpha-6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-heptanol

- ალფა-მეთილთიოფენტანილი (ALPHA-METHYLTHIOFENTANYL)
N-[1-[1-methyl-2-(2-thienyl)ethyl]-4-piperidyl]propionanilide

- ალფა-მეთილ-4-მეთილთიოფენეტილამინი (4-MTA)
alpha-methyl-4-methylthiophenethyl-amine

- ალფა-მეთილფენტანილი (ALPHA-METHYLFENTANYL)
N-[1-[alpha–methylphenethyl)-4-piperidyl]propionanilide

- ალფამეპროდინი (ALPHAMEPRODINE)
alpha-3-ethyl-1-methyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine

- ალფაპროდინი (ALPHAPRODINE)
alpha-1,3-dimethyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine

- ალფაცეტილმეთადოლი (ALPHACETYLMETHADOL)
alpha-3-acetoxy-6-dimethylamino-4,4-diphenylheptane

- ალფენტანილი (ALFENTANIL)
N-[1- [2-(4-ethyl-4,5-dihydro-5-oxo-1H-tetrazol - 1 -yl)ethyl]-4-metoxymethyl)-4-piperidinyl] - N - phenylpropanamide

- ამობარბიტალი (ბარბამილი) (AMOBARBITAL)
5-ethyl-5-isopentylbarbituric acid

- ამფეტამინი (AMFETAMINE)
(+ -) -- alpha-methylphenethylamine

- ანილერიდინი (ANILERIDINE)
1-para-aminophenethyl-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester

- აცეტილ-ალფა-მეთილფენტანილი (ACETYL-*ALPHA*-METHYLFENTANYL)
N-[1-(alpha-methylphenethyl)-4-piperidyl]-acetanilide

- აცეტილდიჰიდროკოდეინი (ACETYLDIHYDROCODEINE)

- აცეტილმეთადოლი (ACETYLMETHADOL)

3-acetoxy-6-dimethylamino-4,4-diphenylheptane

- აცეტორფინი (ACETORPHINE)
3-0-acetyltetrahydro-7alpha-(1-hydroxy-1-methylbutyl)-6,14-endoetheno-oripavine

- ბეზიტრამიდი (BEZITRAMIDE)
1-(3-cyano-3,3-diphenylpropyl)-4-(2-oxo-3-propionyl-1-benzimidazolinyl)-piperidine

- ბენზეთიდინი (BENZETHIDINE)
1-(2-benzyloxyethyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester

- ბენზილმორფინი (BENZYLMORPHINE)
3-O-benzylmorphine

- ბეტამეთადოლი (BETAMETHADOL)
beta-6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-heptanol

- ბეტამეპროდინი (BETAMEPRODINE)
beta-3-ethyl-1-methyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine

- ბეტაპროდინი (BETAPRODINE)
beta-1,3-dimethyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine

- ბეტაცეტილმეთადოლი (BETACETYLMETHADOL)
beta-3-acetoxy-6-dimethylamino-4,4-diphenylheptane

- ბეტა-ჰიდროქსი-3-მეთილფენტანილი
(BETA-HYDROXY-3-METHYLFENTANYL)
N-[1-(beta-hydroxyphenethyl)-3-methyl-4-piperidyl]propionanilide

- ბეტა-ჰიდროქსიფენტანილი (BETA-HYDROXYFENTANYL)
N-(1-beta-hydroxyphenethyl)-4-piperidyl-propionanilide

- ბროლამფეტამინი (დობ) (BROLAMFETAMINE) (DOB)
(+-)-4-bromo- 2,5-dimethoxy-alpha-methylphenethylamine

- 4-ბრომო- 2,5-დიმეთოქსიფენეტილამინი (2C-B)
4-bromo- 2,5-dimethoxyphenethylamine

- ბუპრენორფინი (BUPRENORPHINE)
21-cyclopropyl-7-alpha-[(S)(-1-hydroxy-1,2,2-trimethylpropyl]-6,14-endo-ethano-6,7,8,

- ბუტალბიტალი (BUTALBITAL)
5-allyl-5-isobutylbarbituric acid
-ბუტორფანოლი (BUTORPHANOL), (-)-17-(cyclobuthylmethyl)-morphinan,3,14 diol
(22.07 2003 N2556)

- გლუტეთიმიდი (ნოქსირონი) (GLUTETHIMIDE)
2-ethyl-2-phenylglutarimide

- დეზომორფინი (DESOMORPHINE)
dihydrodeoxymorphine

- დეტ (DET)
3-[2-(diethylamino)ethyl] indole

- დექსამფეტამინი (DEXAMFETAMINE)
(+)-alpha-methylphenethylamine

- დექსტრომორამიდი (DEXTROMORAMIDE)
(+)-4-[2-methyl-4-oxo-3,3-diphenyl-4-(1-pyrrolidinyl)-butyl] morpholine

- დექსტროპროპოქსიფენი (DEXTROPROPOXYPHENE)
alpha-(+)-4-dimethylamino-1,2-diphenyl-3-methyl-2-butanol propionate

- დიამპრომიდი (DIAMPROMIDE)
N-[2-(methylphenethylamino)-propyl]propionanilide

- დიეთილთიამბუტენი (DIETHYLTHIAMBUTENE)
3-diethylamino-1,1-di-(2'- thienyl)-1-butene

- დიმეთილთიამბუტენი (DIMETHYLTHIAMBUTENE)
3-dimethylamino-1,1-di-(2'-thienyl)-1-butene

- დიმენოქსადოლი (DIMENOXADOL)
2-dimethylaminoethyl-1-ethoxy-1,1-diphenylacetate

- დიმეფეპტანოლი (DIMEPHEPTANOL)
6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-heptanol

- დიოქსაფეტილ ბუტირატი (DIOXAPHETYL BUTYRATE)
ethyl-4-morpholino-2,2-diphenylbutyrate

- დიპიპანონი (DIPIPANONE)

4,4-diphenyl-6-piperidine-3-heptanone

- დიფენოქსილატი (DIPHENOXYLATE)
1-(3-cyano-3,3-diphenylpropyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester

- დიფენოქსინი (DIFENOXIN)
1-(3-cyano-3,3-diphenylpropyl)-4-phenylisonipecotic acid

- დიპიდროეტორფინი (DIHIDROETORPHINE)
7,8-dihidro-7-alpha-[1-(R)-hydroxy-1-methylbutyl]-6,14-endo-ethanotetrahydro-oripavi

- დიპიდროკოდეინი (DIHYDROCODEINE)

- დიპიდრომორფინი (DIHYDROMORPHINE)

- დმა, 2,5-დიმეთოქსიამფეტამინი (DMA, 2,5-DIMETHOXY*AMFETAMINE*)
(+-)-2,5-dimetoxy-alpha-methylphenethylamine

- დმტ, დიმეთილტრიპტამინი (DMT, DIMETHYLTRIPTAMINE)
3-[2-(dimethylamino)ethyl] indole

- დმჰპ, დიმეთილპეპტილპირანი (DMHP, DIMETHYLHEPTILPIRANE)
3-(1,2-dimethylheptyl)-7,8,9,10-tetrahydro-6,6, 9-trimethyl-6H-dibenzo [b,d]-pyran-1-ol

-დოეტ,2,5-დიმეთოქსი-4-ეთილამფეტამინი(DOET, 2,5-DIMETHOXY-4-ETHYL*AMFETAMINE*)
(+-)-4-ethyl -2,5-dimethoxy- -alpha-phenethylamine

- დრონაბინოლი - ტრანს-დელტა-9-ტეტრაჰიდროკანაბინოლი
(DRONABINOL-(-)-trans-delta-9-tetrahydrocanabinol)
დელტა-9-ტეტრაჰიდროკანაბინოლი და მისი სტერეოქიმიური ვარიანტები
(6aR,10aR)-6a,7,8,10a-tetrahydro-6,6,9-trimethyl-3-pentyl-6H-dibenzo[b,d]pyran-1-ol

- დროტებანოლი (DROTEBANOL)
3,4-dimethoxy-17-methylmorphinan-6-beta,14-diol

- N-ეთილ მდა, ნ-ეთილ მეთილენდიოქსიამფეტამინი (N-ETHYL MDA, N-ETHYL METHYLENEDIOXY*AMFETAMINE*)
(+-)-N-ethyl-alpha-methyl-3,4-(methylenedioxy)-phenethylamine

- ეთილმეთილთიამბუტენი (ETHYLMETHYLTHIAMBUTENE)

3-ethylmethylamino-1, 1-di-(2'-thienyl)-1-butene

- ეთილმორფინი (ETHYLMORPHINE)
3--ethylmorphine

- ეკგონინი (ECGONINE)
ეკგონინის რთული ეთერები და წარმოებულები, რომელთა ეკგონინად ან

კოკაინად გარდაქმნა შესაძლებელია

- ეტიციკლიდინი (ETICYCLIDINE)
N-ethyl-1-phenylcyclohexylamine

- ეტონიტაზენი (ETONITAZENE)
1-diethylaminoethyl-2-para-ethoxybenzyl-5-nitrobenzimidazole

- ეტორფინი (ETORPHINE)
tetrahydro-7-alpha-(1-hydroxy-1-methylbutyl)-6,14-endoetheno-oripavine

- ეტოქსერიდინი (ETOXERIDINE)
1-[2-(2-hydroxyethoxy)- ethyl]-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester

- ეტრიპტამინი (ETRYPTAMINE)
3-(2-aminobutyl)indole

- ეფედრონი (EPHEDRONE)

- თებაინი (THEBAINE)
ოპიუმის ალკალოიდი

- თებაკონი (THEBACON)
acetyldihydrocodeinone

- თიოფენტანილი (THIOFENTANYL)
N-[1-[2-(2-thienyl) ethyl]-4-piperidyl]-propionanilide

- იზომეთადონი (ISOMETHADONE)
6-dimethylamino-5-methyl-4,4-diphenyl-3-hexanone

- კათინი (ნორფსევდოეფედრინი) (CATHINE)
(+)-norpseudoephedrine;
(-)-(R)-alpha-[(R)-1-aminoethyl]benzyl alcohol

- კათინონი (CATHINONE)
(-)-(S)-2-aminopropiophenone

კანაფი (მცენარე) (CANNABIS)
მცენარე კანაფის ყველა სახეობა, მათ შორის, მარიხუანა (ნედლი, გამომშრალი და დაწნეხილი)

- კანაფის ექსტრაქტი და ნაყენი (EXTRACTS AND TINCTURS OF CANNABIS)

კანაფის ზეთი (CANNABIS OIL)
მცენარე კანაფისგან ნებისმიერი გზით მიღებული ზეთი

კანაფის ფისი (CANNABIS RESIN)
მცენარე კანაფისგან გამოყოფილი, გასუფთაევებული ან/და გაუსუფთაევებელი ფისი

კეტობემიდონი (KETOBEMIDONE)
4-meta-hydroxyphenyl-1-methyl-4-propionylpiperidine

კლონიტაზენი (CLONITAZENE)
2-para-chlorbenzyl-1-diethylaminoethyl-5-nitrobenzimidazole

კოდეინი (CODEINE)
3-methylmorphine

- კოდეინის - - ოქსიდი (CODEINE-N-OXIDE)

- კოდოქსიმი (CODOXIME)
dihydrocodeinone-6-carboxymethyloxime

- კოკაინი (COCAINE)
methyl ester of benzoylecgonine

- d-კოკაინი (D-COCAINE)
(+)-3beta-benzoyloxytropan-2alpha-carbon-sauremethylester

- კოკას ფოთოლი (COCA LEAF)
„კოკას ფოთოლში" იგულისხმება კოკაინის ბუჩქის ფოთოლი, გარდა იმ ფოთლებისა, რომლებიდანაც მთლიანად არის გამოდევნილი ეკგონინი, კოკაინი და ეკგონინის სხვა ნებისმიერი ალკალოიდი;
თუ კოკას ფოთლისგან მიღებული პრეპარატი მეიცავს 0,1%-ზე მეტ

კოკაინს, ასევე პრეპარატი განიხილება, როგორც კოკას ფოთოლი.

- ლევამფეტამინი (LEVAMFETAMINE)
(-)-(R)-alpha-methylphenethylamine;

- ლევომეთორფანი (LEVOMETHORPHAN)
(-)-3-methoxy-N-methylmorphinan

- ლევომეტამფეტამინი (LEVOMETAMFETAMINE)
l-N.alpha-dimethylphenethylamine

- ლევომორამიდი (LEVOMORAMIDE)
(-)-4-[2-methyl-4-oxo-3,3-diphenyl-4-(1-pyrrolidinyl) butyl] morpholine

- ლევორფანოლი (LEVORPHANOL)
(-)-3-hydroxy-N-methylmorphinan

- ლევოფენაცილმორფანი (LEVOPHENACYLMORPHAN)
(1)-3-hydroxy-N-phenacylmorphinan

- ლიზერგინის მჟავა, მისი წარმოებულები და პრეპარატები, მათ შორის, ლიზერგიდი - (LYSERGIC ACID and their preparacion including (+)- LYSERGIDE)
(+)-N.N-diethyllysergamide (d-lysergic acid diethylamide)

- მდმა, 3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინი
(MDMA, 3,4-METHYLENEDIOXYMETAMFETAMINE)
(+-)-N.alpha-dimethyl-3,4-methylene-dioxy)phenethylamine

- მეთადონი (METHADONE)
6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-heptanone

- D - მეთადონი (D-METADONE)
(+)-6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-heptanone

- L- მეთადონი (L-METADONE)
(-)-6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-heptanone

- მეთადონის სინთეზის შუალედური პროდუქტი
(METHADONE INTERMEDIATE)
4-cyano-2-dimethylamino-4,4-diphenylbutane

- მეთაქუალონი (METHAQUALONE)
2-methyl-3-o-tolyl--4 (3H)-quinazolinone

- 4-მეთილამინორექსი (4-METHYLAMINOREX)
(+-)-cys-2-amino-4- methyl-5-phenyl-2-oxazoline

- მეთილდეზორფინი (METHYLDESORPHINE)
6-methyl-delta-6-deoxymorphine

- მეთილდიჰიდრომორფინი (METHYLDIHYDROMORPHINE)
6-methyldihydromorphine

- 3-მეთილთიოფენტანილი (3-METHYLTHIOFENTANYL)
N-[3-methyl-1-[2-(2-tienyl) ethyl]-4-piperidyl] propionanilide

- მეთილფენიდატი (METHYLPHENIDATE)
methyl alpha-phenyl-2--piperidineacetate

- 3-მეთილფენტანილი (3-METHYLPHENTANYL)
N-(3-methyl-1-phenethyl-4-piperidyl)propionanilide;

- მეთკათინონი, ეფედრონი (METHCATHINONE, EPHEDRON)
2-(methylamino)-1-phenylpropan-1-one

- მეკლოკვალონი (MECLOQUALONE)
3-(o-chlorophenyl)-2-methyl-4-(3H)-quinazolinone

- მესკალინი (MESCALINE)
3,4,5-trimethoxyphenethylamine

- მეტაზოცინი (METAZOCINE)
2'-hydroxy-2,5,9-trimethyl-6,7-benzomorphan

- მეტამფეტამინი (METAMFETAMINE)
(+)-(S)-N,alpha-dimethylphenethylamine

- მეტამფეტამინის რაცემატი (METAMFETAMINE RACAMATE)
(+ -)-N,alpha-dimethylphenethylamine

- მეტოპონი (METOPON)
5-methyldihydromorphinone

- მიროფინი (MYROPHINE)
myristylbenzylmorphine

- ძილა, 5-მეთოქსი-3,4-მეთილენდიოქსიამფეტამინი (MMDA, 5-METHOXY-3,4-METHYLENEDIOXY*AMFETAMINE*)
2-metoxy-alpha-methyl-4,5-(methylenedioxy)phenethylamin

- მორამიდის მუალედური პროდუქტი
(MORAMIDE INTERMEDIATE)
2-methyl-3-morpholino-1,1-diphenylpropane carboxylic acid

- მორფერიდინი (MORPHERIDINE)
1-(2-morpholinoethyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester

- მორფინი (MORPHINE)
-ნალბუფინი (NALBUPFYNE), (-)-17-(cyclobuthylmethyl)-4,5a–epoxy morphinan-3,6a, 14 – triol *(22 07.2003 N2556)*

- მორფინის მეთობრომიდი (MORPHINE METHOBROMIDE)
მორფინის სხვა, ხუთვალენტიანი აზოტის წარმოებულები, მათ შორის, -ოქსი-მორფინის
წარმოებულები, რომელთაგან ერთ-ერთი -ოქსი-კოდეინია

- მორფინ- -ოქსიდი (MORPHINE - N-OXIDE)

- მფპპ (MPPP)
1-methyl-4-phenyl-4-piperidine propionat (ester)

-ნალბუფინი (NALBUPFYNE), (-)-17-(cyclobuthylmethyl)-4,5a–epoxy morphinan-3,6a, 14 – triol *(22.07.2003 N2556)*

- ნიკოდიკოდინი (NICODICODINE)
6-nicotinyldihydrocodeine

- ნიკოკოდინი (NICOCODINE)
6-nicotinylcodeine

- ნიკომორფინი (NICOMORPHINE)
3,6-dinicotinylmorphine

- ნორაციმეთადოლი (NORACYMETHADOL)
(+-)-alpha-3-acetoxy-6-methylamino-4,4-diphenylheptane

- ნორკოდეინი (NORCODEINE)
N-demethylcideine

- ნორლევორფანოლი (NORLEVORPHANOL)
(-)-3-hydroxymorphinan

- ნორმეთადონი (NORMETHADONE)
6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-hexanone

- ნორმორფინი (NORMORPHINE)
demethylmorphine or N-demethylated morphine

- ნორპიპანონი (NORPIPANONE)
4,4-diphenyl-6-piperidino-3-hexanone

- ომნოპონი (OMNOPONE)
ოპიუმის ალკალოიდის ჯამი

- ოპიუმი (აშფიონი) (OPIUM)
დაშაქრებული ან შეოლეანი ყაყაჩოს შედედებული რძეწვენი

- ოპიუმი ექსტრაქციული
ასი მორის:
ა) ნარკოტიკული საშუალებების (მორფინი, კოდეინი, თებაინი, ორიპავინი) მემცველი
ნებისმიერი სახეობის მცენარიდან წყლიანი გამონაწვლილი, გამონახარში, გამონაცემი, ნაყენი ან ამოქროლების შედეგად მიღებული მშრალი ნამთი;
ბ) დაშაქრებული ყაყაჩოსგან ნებისმიერი გზით მიღებული, ნარკოტიკულად აქტიური ალკალოიდები;
გ) ყაყაჩოს ნამჯისგან კუსტარულად დამზადებული ნებისმიერი პრეპარატი

- ოპიუმი სამედიცინო (OPII MEDICINALIS)

- ოპიუმის ექსტრაქტი (EXTRACTI OPII)

- ოპიუმის ნაყენი (TINCTURAE OPII)

- ოქსიკოდონი (OXYCODONE)

14-hydroxydihydrocodeinone

- ოქსიმორფონი (OXYMORPHONE)
14-hydroxydihydromorphinone

- პარა-ფლუოროფენტანილი (PARA-FLUOROFENTANYL)
4'-fluoro-N-(1-phenethyl-4-piperidyl) propionanilide

- პარაჰექსილი (PARAHEXYL)
3-hexyl-7,8,9,10-tetrahydro-6,6,9-trimethyl-6H-dibenzo [b,d] pyran-1-ol

- პეთიდინი (PETHIDINE)
1-methyl-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester

- პეთიდინის სინთეზის მუალედური პროდუქტი A, B, C
(PETHIDINE INTERMEDIATE A, B, C)
4-cyano-1-methyl-4-phenylpiperidine (A);
4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester (B);
1-methyl-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid (C)

- პენტაზოცინი (PENTAZOCINE)
(2R, 6R*,*
11R)-1,2,3,4,5,6-hexahydro-6,11-dimethyl-3-(3-methyl-2-butenyl)-2,6-methano-3-ben*

- პენტობარბიტალი (PENTOBARBITAL)
5-ethyl-5-(1-methylbutyl)barbituric acid

- პეპაპ (PEPAP)
1-phenethyl-4-phenyl-piperidinol acetate (ester)

- პიმინოდინი (PIMINODINE)
4-phenyl-1-(3-phenylaminopropyl)-piperidine-4-carboxylic acid ethyl ester

- პირიტრამიდი (PIRITRAMIDE)
1-(3-cyano-3,3-diphenylpropyl)-4-(1-piperidino)-piperidine-4-carboxylic acid amide

- პმა, პარამეთოქსიამფეტამინი (PMA, PARAMETHOXY*AMFETAMINE*)
p-methoxy-alpha-methylphenethylamine

- პროპერიდინი (PROPERIDINE)
1-methyl-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid isopropyl ester

- პროპირამი (PROPIRAM)
N-(1-methyl-2-piperidinoethyl)-N-2-pyridylpropionamide

- პროსიდოლი (PROSIDOLUM)

- პროჰეპტაზინი (PROHEPTAZINE)
1,3-dimethyl-4-phenyl-4-propionoxyazacycloheptane

- პსილოციბინი (PSILOCYBINE)
3-[2-(dimethylamino)ethyl]indol-4-yl-dihydrogen phosphate

- პსილოცინი, პსილოტსინი (PSILOCINE, PSILOTSIN)
3-[2-(dimethylamino)ethyl]indol-4-ol

- პსილოციბინის ან პსილოცინის მემცველი სოკოს ნებისმიერი სახეობა

- რაცემეთორფანი (RACEMETHORPHAN)
(+-)-3-methoxy-N-methylmorphinan

- რაცემორამიდი (RACEMORAMIDE)
(+-)-4-[2-methyl-4-oxo-3,3-diphenyl-4-(1-pyrrolidinyl)- butyl] -morpholine

- რაცემორფანი (RACEMORPHAN)
(+-)-3-hydroxy-N-methylmorphinan

- რემიფენტანილი (REMIFENTANIL)
1-(2-methoxy carbonyl-ethyl)-4-(Phenylpropionylamino)-piperidine-4-carboxylic acid methyl ester

- როლიციკლიდინი (ROLICYCLIDINE)
1-(1-phenylcyclohexyl)-pyrrolidine

- სეკობარბიტალი (SECOBARBITAL)
5-allyl-5-(1-methylbutyl)barbituric acid

- სტპ, დომ (STP, DOM)
2,5-dimethoxy-alpha,4-dimethylphenethylamine

- სუფენტანილი (SUFENTANIL)
N-[4-(methoxymethyl)-1-[2-(2-thienyl)-ethyl]-4-piperidyl] propionanilide

<u>ტაბლეტები:</u>

ალბაკოსის
ბარბამილი 0,15 გ + ბრომიზოვალი 0,15 გ
ეტამინალ ნატრიუმის
კოდეინის კამფოსულფატის
კოდეინის შემცველი „ხველების საწინააღმდეგო"
კოდეინი 0,03 გ + პარაცეტამოლი 0,500 გ
კოლეფინი 0,015 გ + ნატრიუმის ბიკარბონატი 0,25 გ
კოლტერმინის
ტერპინკოდი (22 07 2003 N 2556)

- ტენამფეტამინი (TENAMFETAMINE) (MDA)
alpha-methyl-3,4-(methylenedioxy)phenethylamine

- ტენოციკლიდინი (TENOCYCLIDINE)
1-[1-(2-thienyl) cyclohexyl] piperidine

- ტეტრაჰიდროკანაბინოლი, მისი იზომერები და მათი სტერეოქიმიური ვარიანტები:

7,8,9,10-tetrahydro-6,6,9-trimethyl-3-pentyl-6H-dibenzo[b,d] pyran-1-ol;
(9R.10aR)-8,9,10,10a- tetrahydro-6,6,9-trimethyl-3-pentyl-6H-dibenzo[b,d] pyran-1-ol;

(6aR.9R.10aR)-6a,9,10.10a- tetrahydro-6,6,9-trimethyl-3-pentyl-6H-dibenzo[b,d] pyran-1-ol;
(6aR,10aR)-6a,7,10,10a- tetrahydro-6,6,9-trimethyl-3-pentyl-6H-dibenzo[b,d] pyran-1-ol;
6a7,8,9- tetrahydro-6,6,9-trimethyl-3-pentyl-6H-dibenzo[b,d] pyran-1-ol;
(6aR,10aR)-6a,7,8,9,10,10a-hexahydro-6,6-dimethyl-9-methylene-3-pentyl-6H-dibenz pyran-1-ol;

- ტილიდინი (TILIDINE)
(+-)-ethyl-trans-2-(dimethylamino)-1-phenyl-3-cyclohexene-1-carboxylate
-ტრამადოლი (TRAMADOL)*(22.07.2003 N2556)*

- ტმა, 3,4,5-ტრიმეთოქსიამფეტამინი
(TMA, 3,4,5-TRIMETHOXY*AMFETAMINE*)
(+-)-3,4,5-trimethoxy-alpha-methylphenethylamine

-ტრამადოლი (TRAMADOL)*(22.07.2003 N2556)*

- ტრიმეპერიდინი (TRIMEPERIDINE)
1,2,5-trimethyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine

- ფენადოქსონი (PHENADOXONE)
6-morpholino-4,4-diphenyl-3-heptanone

- ფენაზოცინი (PHENAZOCINE)
2'-hydroxy-5,9-dimethyl-2-phenethyl-6,7-benzomorphan

- ფენამპრომიდი (PHENAMPROMIDE)
N-(1-methyl-2-piperidinoethyl)- propionanilide

- ფენეტილინი (FENETYLLINE)
7-[2-[(alpha-methylphenethyl)]amino]ethyl]theophylline

- ფენმეტრაზინი (PHENMETRAZINE)
3-methyl-2-phenylmorpholine

- ფენომორფანი (PHENOMORPHAN)
3-hydroxy-N-phenethylmorphinan

- ფენოპერიდინი (PHENOPERIDINE)
1-(3-hydroxy-3-phenylpropyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester

- ფენტანილი (FENTANYL)
1-phenethyl-4-N-propionylanilinopiperidine

- ფენციკლიდინი (PHENCYCLIDINE) (PCP)
1-(1-phenylcyclohexyl) piperidine

- ფლუნიტრაზეპამი (FLUNITRAZEPAM)
5-(o-fluorophenyl)-1,3-dihydro-1-methyl-7-nitro-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- ფოლკოდინი (PHOLCODINE)
morpholinylethylmorphine

- ფურეთიდინი (FURETHIDINE)
1-(2-tetrahydrofurfuryloxyethyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester

- ყაყაჩო დამაძინებელი (OPIUM PIPPY)

Papaver somniferum L- ის სახეობის მცენარე

- ყაყაჩოს ნამჯა
  დამაძინებელი ყაყაჩოს ყველა ნაწილი, გარდა თესლებისა

- ყაყაჩოს ნამჯისგან მიღებული კონცენტრატი
  მასალა, რომელიც მიიღება ყაყაჩოს ნამჯაში არსებული ალკალოიდების კონცენტრირების პროცესში

- ყაყაჩოს ნამჯის ექსტრაქტი
  დამაძინებელი ყაყაჩოს ნამჯისგან ნებისმიერი გზით მიღებული, ნარკოტიკულად აქტიური ალკალოიდები, აგრეთვე ყაყაჩოს ნამჯისგან კუსტარულად დამზადებული ნებისმიერი პრეპარატი

ყაყაჩოს (დამაძინებელი ყაყაჩოს) ნებისმიერი სახის ნაყენი და რძეწვენი

- ყველა იმ სახეობის ყაყაჩო და მისგან მომზადებული პროდუქტი, რომელიც არ წარმოადგენს დამაძინებელ ყაყაჩოს, მაგრამ შეიცავს ამ სიაში მითითებულ ნარკოტიკულ საშუალებას

- ციკლობარბიტალი (ციკორაპიიაო) (CYCLOBARBITAL)
5-(1-cyclohexen-1-yl)-5-ethylbarbituric acid

ციპეპროლი (ZIPEPROL)
alpha-(alpha-methoxybenzyl)-4-(beta-methoxyphenethyl)-1-piperazineethanol

ჰეროინი (HEROIN)
diacetylmorphine

ჰიდროკოდონი (HYDROCODONE)
dihydrocodeinone

- ჰიდრომორფინოლი (HYDROMORPHINOL)
14-hydroxydihydromorphine

ჰიდრომორფონი (HYDROMORPHONE)
dihydromorphinone

- N-ჰიდროქსი მდა, ნ-ჰიდროქსიმეთილენდიოქსიამფეტამინი
(N-HYDROXY ˙ MDA, N-HYDROXY METHYLENEDIOXY*AMFETAMINE*)
(+-)-N-[alpha-methyl-3,4-(methylenedioxy) phenethyl]-hydroxylamine

- ჰიდროქსიეთიდინი (HYDROXYPETHIDINE)
4-meta-hydroxyphenyl-1-methylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester

<u>შენიშვნა: 1. I სიას მიეკუთვნება:</u>

ა) მასში ჩამოთვლილი ნივთიერებების იზომერები, თუ ასეთი იზომერების არსებობა შესაძლებელია მოცემული კონკრეტული ქიმიური აღნიშვნის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რომელიმე ნივთიერების იზომერი სპეციალურად არის ამოღებული ამ სიიდან;

ბ) მასში ჩამოთვლილი ნივთიერებების რთული და მარტივი ეთერები, თუ ასეთი ეთერების არსებობა შესაძლებელია;

გ) მასში ჩამოთვლილი ნივთიერებების მარილები, მათ შორის რთული და მარტივი ეთერების, იზომერების მარილები, თუ ასეთი მარილების არსებობა შესაძლებელია;

დ) აცეტილდიჰიდროკოდეინის, დიჰიდროკოდეინის, კოდეინის, ნიკოდიკოდინის, ნიკოკოდინის, ნორკოდეინის, ფოლკოდინის ან ეთილმორფინის შემცველი პრეპარატები, რომლებიც დოზის ერთეულზე მეიცავს მის 100 და მეტ მილიგრამს, ხოლო კონცენტრაცია 2,5 და მეტი პროცენტია;

ე) პროპირამის შემცველი პრეპარატები, რომლებიც დოზის ერთეულზე მეიცავს მის 100 და მეტ მილიგრამს, რომელიც მეერთებულია არანაკლებ ამავე რაოდენობის მეთილცელულოზასთან;

ვ) პერორალურად მისაღები, დექსტროპროპოქსიფენის შემცველი პრეპარატები, რომლებიც დოზის ერთეულზე მეიცავს მის 135 და მეტ მილიგრამს, ან განუყოფელი პრეპარატები, რომლებშიც დექსტროპროფოქსიფენის კონცენტრაცია 2,5 და მეტი პროცენტია;

ზ) კოკაინის შემცველი პრეპარატები, რომლებიც მეიცავს მის 0,1%-ზე მეტს კოკაინ-ფუძეზე გადაანგარიშებით;

თ) ოპიუმის ან მორფინის შემცველი პრეპარატები, რომლებიც მეიცავს 0,2%-ზე მეტ მორფინს უწყლო მორფინ-ფუძეზე გადაანგარიშებით;

ი) დიფენოქსინის შემცველი პრეპარატები, რომლებიც მეიცავს მის 0,5 და მეტ მილიგრამს და ატროპინის სულფატის იმ რაოდენობას, რომელიც

ეკვივალენტურია დიფენოქსინის დოზის 5 პროცენტისა;

კ) დიფენოქსილატის შემცველი პრეპარატები, რომლებიც შეიცავს მის 2,5 და 10 მილიგრამს დიფენოქსილატ-უოძეზე გადაანგარიშებით და ატროპინის სულფატის იმ რაოდენობას, რომელიც ეკვივალენტურია დიფენოქსილატის დოზის 1 პროცენტისა;

ლ) მასში ჩამოთვლილი ნივთიერებებისაგან კუსტარულად დამზადებული ნებისმიერი სახის ნარევი.

2. I სიას არ მიეკუთვნება ლევომეტორფანის და ლევორფანოლის იზომერები, შესაბამისად *დექსტრომეტორფანი* [(+)-3-methyl-N-methylmorphinan] და *დექსტრორფანი* [(+)-3-hydroxy-N-methylmorphinan], რომლებიც სპეციალურად არის ამოღებული ამ სიიდან.

სია II

მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული სამუალებების ჩამონათვალი

- ალფა-მეთილთიოფანტანილი (ALPHA-METHYLTHIOFENTANYL)
- ალფა-მეთილ-4-მეთილთიოფენტანილამინი (4-MTA)
- ალფა-მეთილფენტანილი (ALPHA-METHYLFENTANYL)
- აცეტილ-ალფა-მეთილფენტანილი (ACETYL-*ALPHA*-METHYLFENTANYL)
- აცეტილმეთადოლი (ACETYLMETHADOL)
- აცეტორფინი (ACETORPHINE)
- ბეტა-ჰიდროქსი-3-მეთილფენტანილი (BETA-HYDROXY-3-METHYLFENTANYL)
- დექსამფეტამინი (DEXAMFETAMINE)
- დიამპრომიდი (DIAMPROMIDE)
- დიეთილთიამბუტენი (DIETHYLTHIAMBUTENE)
- დიმეთილთიამბუტენი (DIMETHYLTHIAMBUTENE)
- დიმენოქსადოლი (DIMENOXADOL)
- დიმეფეპტანოლი (DIMEPHEPTANOL)
- დიოქსაფეტილ ბუტირატი (DIOXAPHETYL BUTYRATE)
- დიპიპანონი (DIPIPANONE)
- დიფენოქსინი (DIFENOXIN)
- დიჰიდრომორფინი (DIHYDROMORPHINE)
- N-ეთილ მდა (N-ETHYL MDA)
- ეტიციკლიდინი (ETICYCLIDINE)
- ეტორფინი (ETORPHINE)

- ეტრიპტამინი (ETRYPTAMINE)
- ეფედრონი (EPHEDRONE)
- თიოფენტანილი (THIOFENTANYL)
- კათინონი (CATHINONE)
- კანაფი (მცენარე) (CANNABIS)
  მცენარე კანაფის ყველა სახეობა
- კანაფის ზეთი (CANNABIS OIL)
  მცენარე კანაფისგან ნებისმიერი გზით მიღებული ზეთი
- კანაფის ფისი (CANNABIS RESIN)
  მცენარე კანაფისგან გამოყოფილი, გასუფთავებული ან/და გაუსუფთავებელი ფისი
- კეტობემიდონი (KETOBEMIDONE)
- კოკას ფოთოლი (COCA LEAF)
  „კოკას ფოთოლში" იგულისხმება კოკაინის ბუჩქის ფოთოლი, გარდა იმ ფოთლებისა,
  რომლებიდანაც მთლიანად არის გამოდევნილი ეკგონინი, კოკაინი და
  ეკგონინის სხვა ნებისმიერი ალკალოიდი.
- ლიზერგინის მჟავა, მისი წარმოებულები და პრეპარატები, მათ შორის,
  ლიზერგიდი - (LYSERGIC ACID and their preparacion including
  (+)- LYSERGIDE)
- მარიხუანა (ნედლი, გამომშრალი)
- მდმა (MDMA)
- 4-მეთილამინორექსი (4-METHYLAMINOREX)
- მეთილდიჰიდრომორფინი (METHYLDIHYDROMORPHINE)
- 3-მეთილთიოფენტანილი (3-METHYLTHIOFENTANYL)
- მეთილფენიდატი (METHYLPHENIDATE)
- 3-მეთილფენტანილი (3-METHYLFENTANYL)
- მეთკათინონი (METHCATHINONE)
- მესკალინი (MESCALINE)
- მეტამფეტამინი (METAMFETAMINE)
- მმდა (MMDA)
- მფპპ (MPPP)
- ოპიუმი (ამფიონი) (OPIUM)
  დამამძინებელი ან ზეთიანი ყაყაჩოს შედედებული რძეწვენი
- პარა-ფლუოროფენტანილი (PARA-FLUOROFENTANYL)
- პარაჰექსილი (PARAHEXYL)
- პეფაპ (PEPAP)
- პმა (PMA)
- პსილოციბინი (PSILOCYBINE)
- პსილოცინი (PSILOCINE)
- პსილოციბინის ან პსილოცინის შემცველი სოკოს ნებისმიერი სახეობა
- როლიციკლიდინი (ROLICYCLIDINE)
- სტპ, დომ (STP, DOM)

- ეტრიპტამინი (ETRYPTAMINE)
- ეფედრონი (EPHEDRONE)
- თიოფენტანილი (THIOFENTANYL)
- კათინონი (CATHINONE)
- კანაფი (მცენარე) (CANNABIS)
  მცენარე კანაფის ყველა სახეობა
- კანაფის ზეთი (CANNABIS OIL)
  მცენარე კანაფისგან ნებისმიერი გზით მიღებული ზეთი
- კანაფის ფისი (CANNABIS RESIN)
  მცენარე კანაფისგან გამოყოფილი, გასუფთავებული ან/და გაუსუფთავებელი ფისი
- კეტობემიდონი (KETOBEMIDONE)
- კოკას ფოთოლი (COCA LEAF)
  „კოკას ფოთოლში" იგულისხმება კოკაინის ბუჩქის ფოთოლი, გარდა იმ ფოთლებისა,
  რომლებიდანაც მთლიანად არის გამოღებული ეკგონინი, კოკაინი და
  ეკგონინის სხვა ნებისმიერი ალკალოიდი.
- ლიზერგინის მჟავა, მისი წარმოებულები და პრეპარატები, მათ შორის,
  ლიზერგიდი - (LYSERGIC ACID and their preparacion including
  (+)- LYSERGIDE)
- მარიხუანა (ნედლი, გამომშრალი)
- მდმა (MDMA)
- 4-მეთილამინორექსი (4-METHYLAMINOREX)
- მეთილდიჰიდრომორფინი (METHYLDIHYDROMORPHINE)
- 3-მეთილთიოფენტანილი (3-METHYLTHIOFENTANYL)
- მეთილფენიდატი (METHYLPHENIDATE)
- 3-მეთილფენტანილი (3-METHYLFENTANYL)
- მეთკათინონი (METHCATHINONE)
- მესკალინი (MESCALINE)
- მეტამფეტამინი (METAMFETAMINE)
- მმდა (MMDA)
- მფპპ (MPPP)
- ოპიუმი (ამფიონი) (OPIUM)
  დამაძინებელი ან ზეთიანი ყაყაჩოს მედედებული რძეწვენი
- პარა-ფლუოროფენტანილი (PARA-FLUOROFENTANYL)
- პარაჰექსილი (PARAHEXYL)
- პეპაპ (PEPAP)
- პმა (PMA)
- პსილოციბინი (PSILOCYBINE)
- პსილოცინი (PSILOCINE)
- პსილოციბინის ან პსილოცინის მემცველი სოკოს ნებისმიერი სახეობა
- როლიციკლიდინი (ROLICYCLIDINE)
- სტპ, დომ (STP, DOM)

- ტენამფეტამინი (TENAMFETAMINE) (MDA)
- ტენოციკლიდინი (TENOCYCLIDINE)
- ტეტრაჰიდროკანაბინოლები (ყველა იზომერი)
  (TETRAHYDROCANNABINOL all isomers)
- ტმა (TMA)
- ყაყაჩო დამაძინებელი (OPIUM PIPPY)
  papaver somniferum L- ის სახეობის მცენარე
- ყაყაჩოს ნამჯა
  დამაძინებელი ყაყაჩოს ყველა ნაწილი, ბირდა თესლებისა
- ყაყაჩოს ნამჯისგან მიღებული კონცენტრატი
  მასალა, რომელიც მიიღება ყაყაჩოს ნამჯამი არსებული ალკალოიდების კონცენტრირების პროცესში
- ყაყაჩოს ნამჯის ექსტრაქტი
  დამაძინებელი ყაყაჩოს ნამჯისგან ნებისმიერი გზით მიღებული, ნარკოტიკულად აქტიური ალკალოიდები, აგრეთვე ყაყაჩოს ნამჯისგან კუსტარულად დამზადებული ნებისმიერი პრეპარატი
- ყაყაჩოს (დამაძინებელი ყაყაჩო) ნებისმიერი სახის ნაყენი და რძეწვენი
- ყველა იმ სახეობის ყაყაჩო და მისგან მომზადებული პროდუქტი, რომელიც არ წარმოადგენს დამაძინებელ ყაყაჩოს, მაგრამ შეიცავს ამ სიაში მითითებულ ნარკოტიკულ სამუალებას
- ჰეროინი (HEROIN)
- N-ჰიდროქსი მდა (N-HYDROXY MDA)

სია III

შეზღუდული ნარკოტიკული სამუალებების ჩამონათვალი

- ალფენტანილი (ALFENTANIL)
- ამობარბიტალი (AMOBARBITAL)
- ამფეტამინი (AMFETAMINE)
- ბუპრენორფინი (BUPRENORPHINE)
- ბუტალბიტალი (BUTALBITAL)
- ბუტორფანოლი (BUTORPHANOL), (-)-17-(cyclobuthylmethyl)-morphinan,3,14 diol *(22.07.2003 N2556)*
- გლუტეთიმიდი (ნოქსირონი) (GLUTETHIMIDE)
- დექსტრომორამიდი (DEXTROMORAMIDE)
- დექსტროპროფოქსიფენი (DEXTROPROPOXYPHENE)
- დიფენოქსილატი (DIPHENOXYLATE)
- დიჰიდროკოდეინი (DIHYDROCODEINE)
- ეთილმორფინი (ETHYLMORPHINE)
- თებაინი (THEBAINE)
- კოდეინი (CODEINE)
  კოკაინი (COCAINE)

მეთადონი (METHADONE)
- მორფინი (MORPHINE)
-ნალბუფინი (NALBUPFYNE), (-)-17-(cyclobuthylmethyl)-4,5a–epoxy morphinan-3,6a, 14 – triol *(22.07.2003 N2556)*
- ომნოპონი (OMNOPONE)
- ოპიუმი სამედიცინო (OPII MEDICINALIS)
- პეთიდინი (PETHIDINE)
- პენტაზოცინი (PENTAZOCINE)
- პენტობარბიტალი (PENTOBARBITAL)
- პირიტრამიდი (PIRITRAMIDE)
- სუფენტანილი (SUFENTANIL)

<u>ტაბლეტები:</u>

- *ალნაგონის*
- *ბარბამილი 0,15 გ + ბრომიზოვალი 0,15 გ*
- *კოდეინის ,კამფოსულფატის*
- *კოდეინის შემცველი „ხველების საწინააღმდეგო"*
- *კოდეინი 0,03 გ + პარაცეტამოლი 0,500 გ*
- *კოდეინი 0,015 გ + ნატრიუმის ბიდროკარბონატი 0,25 გ*
- *კოდტერპინის*
  ტერპინკოდი (22.07.2003 N 2556)

- ტილიდინი (TILIDINE)
-ტრამადოლი (TRAMADOL)*(22.07.2003 N2556)*
- ტრიმეპერიდინი (TRIMEPERIDINE)
- ფენტანილი (FENTANYL)
- ფლუნიტრაზეპამი (FLUNITRAZEPAM)
- ფოლკოდინი (PHOLCODINE)
ციკლობარბიტალი (ციკლობარბიტალი) (CYCLOBARBITAL)

სია IV

ფსიქოტროპული ნივთიერებების ჩამონათვალი

- ალობარბიტალი (ALLOBARBITAL)
5,5-diallilbarbituric acid

- ალპრაზოლამი (ALPRAZOLAM)
8-chloro-1-methyl-6-phenyl-4H-s-triazolo [4,3-a] [1,4]benzodiazepine

- ამინორექსი (AMINOREX)

2-amino-5-phenyl-2 oxasoline

- ამფეპრამონი (AMFEPRAMONE)
  2-(diethylamino) propiophenone

- ბარბიტალი (BARBITAL)
  5,5-diethylbarbituric acid

- ბენზფეტამინი (BENZFETAMINE)
  N-benzyl-N,alpha-dimethylphenethylamine

- ბრომაზეპამი (BROMAZEPAM)
  7-bromo-1,3-dihydro-5-(2-pyridyl)-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- ბროტიზოლამი (BROTIZOLAM)

2-bromo-4-(o-chlorphenyl)-9-methyl-6H-thyeno[3,2-f]-s-triazolo[4,3-alpha][1,4]diazepi

- ბუტობარბიტალი (BUTOBARBITAL)
  5-buthyl-5-ethylbarbituric acid

- გამა-ოქსიბუთოლეინი მჟავა (GHB)
  gamma-hydroxybutyric acid

- დელორაზეპამი (DELORAZEPAM)
  7-chloro-5-(o-chlorphenyl)-1,3-dihydro-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- დიაზეპამი (DIAZEPAM)
  7-chloro-1,3-dihydro-1-methyl-5-phenyl-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- ეთილ ლოფლაზეპაგი (ETHYL LOFLAZEPATE)

ethyl-7-chloro-5-(o-fluorphenyl)-2,3-dihydro-2-oxo-1H-1,4-benzodiazepine-3-carboxyl

- ეთინამაგი (ETHINAMATE)
  1-ethynylcyclohexanolcarbamate

- ეთქლორვინოლი (ETHCHLORVYNOL)
  1-chloro-3-ethyl-1-penten-4-yn-3-ol

- ესგაზოლამი (ESTAZOLAM)
  8-chloro-6-phenyl-4H-s-triazolo[4,3-alpha]-1,4-benzodiazepine

- �olamphetamine (ETILAMFETAMINE)
N-ethyl-alpha-methylphenetylamine

- ვინილბიგალი (VINYLBITAL)
5-(1-methylbutyl)-5-vinylbarbituric acid

ზოლპიდემი (ZOLPIDEM)

- კამაზეპამი (CAMAZEPAM)
7-chloro-1,3-dihydro-3-hydroxy-1-methyl-5-phenyl-2H-1,4-benzodiazepin-2-one dimethylcarbamat
(ester)

- კეტაზოლამი (KETAZOLAM)

11-chloro-8,12b-dihydro-2,8-dimethyl-12b-phenyl-4H-[1,3]-oxazino[3,2-d][1,4]benzodi

(6H)-dion

- კლობაზამი (CLOBAZAM)
7-chloro-1-methyl-5-phenyl-1H-1,5-benzodiazepine-2,4(3H,5H)-dione

- კლონაზეპამი (CLONAZEPAM)
5-(o-chlorophenyl)-1,3-dihydro-7-nitro-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- კლორაზეპატი (CLORAZEPATE)
7-chloro-2,3-dihydro-2-oxo-5-phenyl-1H-1,4-benzodiazepine-3-carboxylic acid

- კლოტიაზეპამი (CLOTIAZEPAM)
5-(o-chlorphenyl)-7-ethyl-1,3-dihydro-1-methyl-2H-thieno [2,3-e] [1,4] diazepin-2-one

- კლოქსაზოლამი (CLOXAZOLAM)
10-chloro-11b--(o-chlorphenyl)-2,3,7,11b-tetrahydro-oxazolo-[3,2-d][1,4]benzodiazepin-6(5H)-one

- ლეფეტამინი (LEFETAMINE)
(-)-N,N-dimethyl-1,2-diphenylethylamine

- ლოპრაზოლამი (LOPRAZOLAM)
6-(o-chlorphenyl)-2,4-dihydro-2[(4-methyl-1-piperazinyl) methylen]-8-nitro-1H-imidazol[1,2-alpha] [1.4] benzodiazepin-1-one

- ლორაზეპამი (LORAZEPAM)
7-chloro-5-(o-chlorphenyl) 1,3-dihydro-3-hydroxy-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- ლორმეტაზეპამი (LORMETAZEPAM)

7-chloro-5-(o-chlorphenyl)-1,3-dihydro-3-hydroxy-1-methyl-2H-1,4-benzodiazepin-2-o

- მაზინდოლი (MAZINDOL)
5-(p-chlorphenil)-2,5-dihydro-3H-imidazo[2,1-alpha]-isoindol-5-ol

- მედაზეპამი (MEDAZEPAM)
7-chloro-2,3-dihydro-1-methyl-5-phenyl-1H-1,4-benzodiazepine

- მეზოკარბი (სიდნოკარბი) (MESOCARB) (SYDNOCARB)
3-(alpha-methylphenethyl)-N-(phenylcarbamoyl)sidnone imine

- მეთილფენობარბიტალი (METHYLPHENOBARBITAL)
5-ethyl-1-methyl-5-phenylbarbituric acid

- მეთიპრილონი (METHYPRYLON)
3,3-diethyl-5-methyl-2,4-piperidine-dione

- მეპრობამატი (MEPROBAMATE)
2-methyl-2--propyl-1,3-propanediol dicarbamate

- მეფენორექსი (MEFENOREX)
N-(3-chloropropil)-alpha-methylphenetylamine

- მიდაზოლამი (MIDAZOLAM)
8-chloro-6-(o-fluorophenyl)-1-methyl-4H-imidazol(1,5-a)(1,4)benzodiazepin

- ნიმეტაზეპამი (NIMETAZEPAM)
1,3-dihydro-1-methyl-7-nitro-5-phenyl-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- ნიტრაზეპამი (რაღეღორმი) (NITRAZEPAM)
1,3-dihydro-7-nitro-5-phenyl-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- ნორდაზეპამი (NORDAZEPAM)
  7-chloro-1,3-dihydro-5-phenyl-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- ოქსაზეპამი (OXAZEPAM)
  7-chloro-1,3-dihydro-3-hydroxy-5-phenyl-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- ოქსაზოლამი (OXAZOLAM)
  10-chloro-2,3,7,11b-tetrahydro-2-methyl-11b-phenyloxazolo[3,2-d] [1,4]benzodiazepin-6(5H)-one

- პემოლინი (PEMOLINE)
  2-amino-5-phenyl-2-oxazolin-4-one(=2-amino-5-phenyl-4-oxazolidinone)

- პინაზეპამი (PINAZEPAM)
  7-chloro-1,3-dihydro-5-phenyl-1-(2-propynyl)-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- პიპრადოლი (PIPRADOL)
  1,1-diphenyl-1-(2-piperidyl)-methanol

- პიროვალერონი (PYROVALERONE)
  4-methyl-2(pyrrolidinyl)valerophenone

- პრაზეპამი (PRAZEPAM)
  7-chloro-1-(cyclopropylmethyl)-1,3-dihydro-5-phenyl-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- რელაღორმი (დიაზეპამისა და ციკლობარბიტალის შემცველი პრეპარატი)

- სეკბუტაბარბიტალი (SECBUTABARBITAL)
  5 sec-buthyl-5-ethylbarbituric acid

- ტემაზეპამი (TEMAZEPAM)
  7-chloro-1,3-dihydro-3-hydroxy-1-methyl-5-phenyl-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- ტეტრაზეპამი (TETRAZEPAM)
  7-chloro-5-(cyclohexen-1-yl)-1,3-dihydro-1-methyl-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- ტრიაზოლამი (TRIAZOLAM)
  8-chloro-6-(o-chlorphenyl)-1-methyl-4H-s-triazolo-[4,3-alpha]-1,4-benzodiazepine

- ფენდიმეტრაზინი (PHENDIMETRAZINE)
  (+)-(2S,3S)-3,4-dimethyl-2-phenylmorpholine

- ფენკამფამინი (FENCAMFAMIN)
N-ethyl-3-phenyl-2-norbornanamine

- ფენობარბიტალი (PHENOBARBITAL)
5-ethyl-5-phenylbarbitunc acid

- ფენპროპორექსი (FENPROPOREX)
(+-)-3-[(alpha- methylphenethyl)amino]propionitrile

- ფენტერმინი (PHENTERMINE)
alpha, alpha-dimethylphenetylamine

- ფლუდიაზეპამი (FLUDIAZEPAM)
7-chloro-5-(o-fluorophenyl)-1,3-dihydro-1-methyl-2H-1,4-benzodiazepin-2-one

- ფლურაზეპამი (FLURAZEPAM)

7-chloro-1-[2-(diethylamino)ethyl]-5-(o-fluorophenyl)-1,3-dihydro-2H-1,4-benzodiazepi

- ქლორლიაზეპოქსიდი (CHLORDIAZEPOXIDE)
7-chloro-2-(methylamino)-5-phenyl-3H-1,4-benzodiazepin-4-oxide

- ჰალაზეპამი (HALAZEPAM)
7-chloro-1,3-dihydro-5-phenyl-1-(2,2,2-trifluoroethyl)-2H-1,4-benzodiazepin -2-one

- ჰალოქსაზოლამი (HALOXAZOLAM)
10-bromo-11b-(o-fluorphenyl)-2,3,7,11b-tetrahydrooxazolo[3,2-d][1,4]benzodiazepin-6(5H)-one.

<u>შენიშვნა: IV სიას მიეკუთვნება მასში ჩამოთვლილი ნივთიერებების:</u>

ა) წამლის ფორმები;
ბ) მარილები, თუ ასეთი მარილების არსებობა შესაძლებელია, და მათი წამლის ფორმები.

სია V

პრეკურსორების ჩამონათვალი

ცხრილი N 1

- N-აცეტილანგრანილის მჟავა (N-ACETHYLANTRANILIC ACID)

- ერგომეტრინი (ERGOMETRIN)·
  N-(2-hydroxy-1-methylethyl)-D (+)-lysergamid

- ერგოტამინი (ERGOTAMIN)
  (S'alpha)-12' -hudroxy-2'-methyl-5'-(phenyl-methyl)-ergotamin-3',6',18-trion

- ეფედრინი (EPHEDRINUM)
  L-erythro-2-methylamino-1-phenylpropan-1-ol

- იზოსაფროლი (ISOSAFROLE)

- კალიუმის პერმანგანატი (POTASSIUM PERMANGANATE)

- 3,4 - მეთილენდიოქსიფენილ - 2 - პროპანონი
  (3,4-METHYLENEDIOXYPHENYL-2-PROPANONE)

- N - მეთილეფედრინი (N-METHYLEPHEDRINE)

- ნორეფედრინი (NOREPHEDRINE)

- პიპერონალი (PIPERONAL)

- საფროლი (SAFROLE)

- 1-ფენილ-2-პროპანონი (1-PHENYL- 2- PROPANONE)
  1-phenyl-2-propanone

- ფსევდოეფედრინი (PSEUDOEPHEDRINE)
  D-threo-2-methylamino-1-phenylpropan-1-ol

- [illegible] (ACETIC ANHYDRIDE)

ცხრილი N 2

- ანტრანილის მჟავა (ANTRANYLIC ACID)

- აცეტონი (ACETONE)

- გოგირდმჟავა კონცენტრირებული (გარდა მისი მარილებისა) (SULPHURIC ACID)

- ეთილის ეთერი (ETHYL ESTHER)

- მეთილეთილკეტონი (METHYL ETHYL KETONE)

- პიპერიდინი (PIPERIDINE)

- ტოლუოლი (TOLUOLE)

- ქლორწყალბადმჟავა კონცენტრირებული (გარდა მისი მარილებისა) (HYDROCHLORIC ACID)

- ფენილ ძმარმჟავა (PHENYLACETIC ACID)

<u>შენიშვნა: V სიას მიეკუთვნება მასში ჩამოთვლილი ნივთიერებების მარილები (გარდა გოგირდმჟავას და ქლორწყალბადმჟავას მარილებისა), თუ ასეთი მარილების არსებობა შესაძლებელია.</u>

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ *(24.04.03. სსმ №12)*

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზნები

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს და არეგულირებს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტების დამტკიცებას, შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს, აგრეთვე ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას.

მუხლი 2. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ვალდებულებათა შესრულების მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის, საბიუჯეტო პროცესისა და შესაბამისი ბიუჯეტების ერთობლიობა.

მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მინისტრი - საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლება - აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები;

გ) ადგილობრივი ხელისუფლება - საქართველოს ტერიტორიული ერთეულების (სოფელი, დაბა, თემი, რაიონი, ქალაქი და ქალაქი, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში) თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები;

დ) ბიუჯეტი - საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შეს-

რულების მიზნით გასანევი გადასახდელების ნუსხა, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი დონეების მიერ;

ე) ცენტრალური ბიუჯეტი - ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შემოსულობებსა და გადასახდელებს;

ვ) სახელმწიფო ბიუჯეტი - ცენტრალური ბიუჯეტისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ერთობლიობა;

ზ) ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიული ერთეულების (სოფელი, დაბა, თემი, რაიონი, ქალაქი და ქალაქი, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში) ბიუჯეტებს, მათ შემოსულობებსა და გადასახდელებს;

თ) ადგილობრივი ბიუჯეტი - საქართველოს ტერიტორიული ერთეულების (სოფელი, დაბა, თემი, რაიონი, ქალაქი და ქალაქი, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში) ბიუჯეტი, მათი შემოსულობები და გადასახდელები;

ი) სპეციალური სახელმწიფო ფონდი - ფონდი, რომელიც იქმნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ცალკეული და განსაკუთრებული მიზნებისათვის;

კ) მხარჯავი დაწესებულება - ბიუჯეტის ხარჯების ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით პირველი თანრიგის დაწესებულება, რომლისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება ან საშემოსავლო პროგნოზი და რომელიც პასუხისმგებელია ხარჯებისა და შემოსავლების მართვაზე;

ლ) საბიუჯეტო ორგანიზაცია - მხარჯავი დაწესებულება ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, სტანდარტებისა და წესების შესაბამისად;

მ) საბიუჯეტო (ფისკალური) წელი - კალენდარული წელი;

ნ) სახელმწიფო ხაზინა - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;

ო) წლიური საბიუჯეტო კანონი - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი;

პ) ვალდებულების აღება - მომავალში გადახდაზე პასუხისმგებლობის აღება;

ჟ) ბიუჯეტის შემოსულობები - ბიუჯეტებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ანგარიშებზე მისაღები ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა;

რ) ბიუჯეტის გადასახდელები - ბიუჯეტებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ანგარიშებიდან გასაცემი ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა;

ს) ბიუჯეტის შემოსავლები - კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ანგარიშებზე მისაღები ფულადი სახსრები, რომელთა დაბრუნება და ანაზღაურება არ ხდება;

ტ) ბიუჯეტის ხარჯები - ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ მათი ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ფულადი სახსრები.

მუხლი 4. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები

საბიუჯეტო სისტემის ყველა მონაწილემ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები:

ა) ყოვლისმომცველობა - ბიუჯეტის ყველა შემოსულობისა და გადასახდელის სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;

ბ) გამჭვირვალობა - ბიუჯეტების პროექტების საკანონმდებლო ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის;

გ) ანგარიშვალდებულება - საბიუჯეტო პროცესის მონაწილე ყველა პირის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაზე;

დ) დამოუკიდებლობა - სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი

ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლების წყაროები და საკუთარი ხარჯების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლები და ხარჯებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა დგინდება კანონმდებლობით;

ე) ერთიანობა - ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლებით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, ანგარიშთა ერთიანი ჩამონათვალით, საბიუჯეტო დოკუმენტაციით, საქართველოს კონტროლის პალატის ზედამხედველობით სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა;

ვ) უნივერსალურობა - ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, არც ერთი შემოსულობა, დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლების გარდა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული ხარჯის ან/და ღონისძიების დასაფინანსებლად. მხარჯავი დაწესებულების მიერ მიღებული შემოსავლების შენარჩუნება მისი მიზნებისათვის დაუშვებელია;

ზ) კონსოლიდირება - ყველა სახელმწიფო შემოსულობით სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის შექმნა, ამ ფონდიდან ხარჯების გაწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფონდის მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მისი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში.

მუხლი 5. საბიუჯეტო პროცესი

1. საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია, საბიუჯეტო პროცესი არის საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

2. ბიუჯეტის პროექტის მომზადებაზე, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისათვის - საქართველოს აღმასრულე-

ბელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისათვის - შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო;

გ) საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის - შესაბამისი ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლება.

3. ბიუჯეტის პროექტის განხილვაზე, დამტკიცებასა და კონტროლზე უფლებამოსილია შესაბამისი საკანონმდებლო ხელისუფლება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისათვის - საქართველოს პარლამენტი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისათვის - შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;

გ) საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის - შესაბამისი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანო.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ზედამხედველობს და კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას. საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე საბიუჯეტო პროცესის ერთიანობისა და ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მინისტრი გამოსცემს სათანადო სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 6. ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობები

ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობებია:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადები;

ა.ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები - სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მიღებული წმინდა მოგება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული მოგება, ადმინისტრაციული გადასახდელები (მათ შორის, მოსაკრებლები), ჯარიმები და საურვები, ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებით მიღებული და სხვა არასაგადასახადო შემოსავლები (კაპიტალური

შემოსავლების გარდა);

ა.გ) კაპიტალური შემოსავლები - ფიქსირებული კაპიტალური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, აქციების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, მიწისა და არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი და არასახელმწიფო წყაროებიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერები;

ბ) გრანტები - საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები ან სასაქონლო ფორმით მიღებული და მონეტიზებული გრანტები;

გ) სესხები - საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში, ქვეყნის შიგნით და გარეთ აღებული სესხები.

მუხლი 7. სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსულობები

სპეციალური სახელმწიფო ფონდები ფინანსდება შესაბამისი კანონებითა და წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული შემოსავლებით. სპეციალური სახელმწიფო ფონდების ბიუჯეტები სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და მტკიცდება და სრულდება სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად.

მუხლი 8. ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსულობები

ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსულობებია:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა.) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები;

ა.ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები;

ა.გ) კაპიტალური შემოსავლები;

ბ) გრანტები - საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები;

გ) სესხები - ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული და ამ კანონით განსაზღვრული სხვა სესხები.

მუხლი 9. ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობები

ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობებია:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა.) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები;

ა.ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები;

ა.გ) კაპიტალური შემოსავლები;

ბ) გრანტები - საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები;

გ) სესხები - ცენტრალური ბიუჯეტიდან, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან მიღებული და ამ კანონით განსაზღვრული სხვა სესხები.

მუხლი 10. ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების და სპეციალური სახელმწიფო ფონდების გადასახდელები

ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების და სპეციალური სახელმწიფო ფონდების გადასახდელებია:

ა) ხარჯები, მათ შორის:

ა.ა.) მიმდინარე ხარჯები - ხელფასები, დახმარებები, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა ხარჯები, მიმდინარე ტრანსფერები, სუბსიდიები, პროცენტის დაფარვა და საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სხვა მიმდინარე ხარჯები;

ა.ბ) კაპიტალური ხარჯები - კაპიტალური აქტივების შეძენა, კაპიტალური ტრანსფერები და საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სხვა კაპიტალური ხარჯები;

ბ) დაკრედიტება - სააქციო კაპიტალში მონაწილეობა;

გ) ვალის ამორტიზაცია - სესხის ძირითადი თანხის დაფარვა.

მუხლი 11. საბიუჯეტო კლასიფიკაცია

1. საბიჯეტო კლასიფიკაცია არის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების სისტემური კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავს: შემოსავლების კლასიფიკაციას შემოსავლების წყაროების მიხედვით, მიმდინარე და კაპიტალური შემოსავლების გამიჯვნით; ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას ხარჯების სახეების მიხედვით, მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების გამიჯვნით; ხარჯების ფუნქციონალურ კლასიფიკაციას ხარჯების მიზნების მსგავსობის მიხედვით; ხარჯების ორგანიზაციულ კლასიფიკაციას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.

2. საბიუჯეტო კლასიფიკაციას საქართველოს კონტროლის პალატასთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტებთან შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს მინისტრი.

3. საბიუჯეტო კლასიფიკაცია ქვეყნდება კანონმდებლობით დად-

გენილი წესით.

მუხლი 12. ასიგნებები

1. ასიგნება არის ფისკალური წლის განმავლობაში საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მიზნებისათვის დამტკიცებული მოცულობის ფარგლებში ხარჯის განევის უფლებამოსილება, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტით. ასიგნების გარეშე ხარჯის განევა და ვალდებულების აღება დაუშვებელია.

2. პროგნოზირებული ასიგნება წარმოადგენს ასიგნებას, რომელიც დაკავშირებულია ვალის მომსახურებასა და ამორტიზაციასთან ან/და სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ სესხზე გადახდასთან. პროგნოზირებული ასიგნების ზევით ვალდებულების აღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მინისტრი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს პროგნოზირებული ასიგნების გადაჭარბების მიზეზის შესახებ და წლის ბოლოს მისაღები შედეგის პროგნოზს, ხოლო პროგნოზირებული ასიგნების კორექტირება გათვალისწინებული იქნება წლიურ საბიუჯეტო კანონში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტში, რომლის მიღების შემდეგაც შეიძლება შესაბამისი ხარჯის განევა.

3. ფიქსირებული ასიგნება წარმოადგენს პროგნოზირებულის გარდა ყველა სხვა ასიგნებას. ცენტრალური, ავტონომიური და ადგილობრივი ხელისუფლებებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების მიერ ფიქსირებული ასიგნების ზევით ხარჯის განევა და ვალდებულების აღება დაუშვებელია.

მუხლი 13. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

1. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი იქმნება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით. ამ ფონდის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფიქსირებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2 პროცენტს.

2. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორიცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები და გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ვალდებულებები. აღნიშნული სახსრები გამოიყოფა წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობებისა და პირობების შესაბამისად.

3. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხებს მხარჯავი დაწესებულების განაცხადისა და ფონდის მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად, პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს მინისტრი. მხარჯავი დაწესებულება ვალდებულია ზუსტად განსაზღვროს საჭირო თანხის მოცულობა და მიზნობრიობა.

4. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის სახსრების ხარჯვის შესახებ კვარტალურ ანგარიშებს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მუხლი 14. ავტონომიური რესპუბლიკების სარეზერვო ფონდები

ამ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისათვის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში იქმნება სარეზერვო ფონდები.

მუხლი 15. ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი

1. ერთი მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ფულად გრანტებს და, მეორე მხრივ, ხარჯებსა და დაკრედიტებას შორის დადებითი სხვაობა წარმოადგენს ბიუჯეტის პროფიციტს, ხოლო უარყოფითი სხვაობა - ბიუჯეტის დეფიციტს.

2. სპეციალური სახელმწიფო ფონდების ბიუჯეტები, როგორც წესი, უდეფიციტოა. მათი დეფიციტის დაფარვა ხდება ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

თავი II. ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება

მუხლი 16. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესის კოორდინირება

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მუხლი 17. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტები

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან,

საქართველოს ეროვნულ ბანკთან და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრულ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან კოორდინაციით, ყოველი წლის 1 მარტს ინყებს მუშაობას ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებზე (საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ პროგნოზზე, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებზე და საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე). ამ მიზნით სახელმწიფო დაწესებულებები (სამინისტროები, უწყებები, დაწესებულებები, ორგანიზაციები), აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ვალდებულნი არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ მოთხოვნილი ინფორმაცია.

2. საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზი ეფუძნება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის პროექტს. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკურ მიმოხილვას და მოიცავს მთლიან შიდა პროდუქტს, ინფლაციას, ხელფასების ცვლილებებს, წარმოებას სექტორების მიხედვით, სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსს, ვალუტის კურსს, მონეტარულ მაჩვენებლებს და სხვა ძირითად ელემენტებს.

3. საშუალოვადიანი ფისკალური პროგნოზები ეფუძნება საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ პროგნოზს. ისინი მოიცავს შემოსავლების, ხარჯებისა და დაფინანსების ძირითად ელემენტებს და ითვალისწინებს სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატურ გეგმას, ფინანსურ და პოლიტიკურ ვალდებულებებს.

4. საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ეფუძნება საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ პროგნოზს, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებს, მიმდინარე წლის ფისკალური მდგომარეობისა და სტრატეგიის ანგარიშს. ისინი მოიცავს მიმდინარე ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობას, წინადადებებს ბიუჯეტის სტრატეგიის შესახებ, რომელიც გამომდინარეობს აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკისა და პრიორიტეტებისაგან, ძირითად ფისკალურ და ფინანსურ დირექტივებ-

სა და მიზნებს, შემოსავლებისა და ხარჯების ძირითად კატეგორიებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის.

5. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტები მოიცავს:

ა) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების მაჩვენებლებს გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმისშემდგომი საბიუჯეტო წლებისათვის;

ბ) გასული საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი და არანაკლებ დასაგეგმი შემდგომი საბიუჯეტო წლებისათვის:

გ.ა) ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებს;

გ.ბ) საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო პრიორიტეტებს სექტორების მიხედვით, ფისკალური საფუძვლების პროგნოზებით;

გ.გ) სახელმწიფო ფისკალურ პოლიტიკას, ძირითადი ფისკალური მიზნებისა და ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად საჭირო მოთხოვნებს;

გ.დ) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების მთლიანი შემოსავლების, ხარჯებისა (ძირითადი ფუნქციებისა და ეკონომიკური მუხლების მიხედვით) და ბიუჯეტის დეფიციტის თანაფარდობას მთლიან შიდა პროდუქტთან;

გ.ე) შემოსავლების, ხარჯების, გრანტებისა და სესხების აგრეგირებულ მაჩვენებლებს.

6. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს არა უგვიანეს 15 აპრილისა.

7. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებს საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტებს არ უგვიანეს 1 მაისისა. ამ კომიტეტებში განხილვების შედეგების გათვალისწინებით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ამზადებს დასკვნას, რომელიც ეგზავნება პრეზიდენტს არა უგვიანეს1 ივნისისა.

მუხლი 18. საბიუჯეტო ცირკულარის მომზადების ვადები და წესი

1. საბიუჯეტო განაცხადის მომზადების დროს ყველა მხარჯავი

დაწესებულება და სპეციალური სახელმწიფო ფონდი იყენებს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ საბიუჯეტო ცირკულარში მითითებულ ძირითად პარამეტრებს. საბიუჯეტო ცირკულარი მოიცავს თითოეული მხარჯავი დაწესებულებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდის მიხედვით ინფორმაციას კადრებისა და ხარჯების ზღვრული მოცულობების შესახებ. საბიუჯეტო ცირკულარს გამოსცემს მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის მიერ მხარჯავი დაწესებულებებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების კადრებისა და ხარჯების ზღვრული მოცულობების 15 ივნისამდე დამტკიცებიდან 5 დღის ვადაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს კონტროლის პალატის კადრებისა და ხარჯების ზღვრულ მოცულობებს პარლამენტის მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი. ამასთან, საქართველოს პარლამენტის ხარჯების ზღვრული მოცულობის დამტკიცებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ იგი არ უნდა იყოს გასულ საბიუჯეტო წელს დამტკიცებულ მოცულობაზე ნაკლები.

მუხლი 19. მხარჯავი დაწესებულებებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების მიერ საბიუჯეტო განაცხადების წარდგენა

1. მხარჯავი დაწესებულებებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ხელმძღვანელები საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არა უგვიანეს 15 აგვისტოსი. საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას;

ა) გასული საბიუჯეტო წლის ფაქტობრივ შემოსულობებსა და გადასახდელებს, მიმდინარე საბიუჯეტო წლის მოსალოდნელ შემოსულობებსა და გადასახდელებს, დასაგეგმი საბიუჯეტო წლის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზებს, მათ შორის, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მესამე დონის შესაბამისად მიმდინარე, კაპიტალურ და პროგრამულ ხარჯებს;

ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით დასაგეგმისშემდგომი საბიუჯეტო წლისათვის გაანგარიშებულ შემოსულობებსა და გადასახდელებს;

გ) ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი თანამშრომლების მოთხოვ-

ნილ ოდენობას, მიმდინარე მაჩვენებლიდან გადახრების ჩათვლით;

დ) შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზების დასაბუთებას;

ე) მიღებულ ან მისაღებ არაფულად გრანტებს საცნობარო მუხლის სახით.

2. საბიუჯეტო განაცხადები, რომლებიც შეიცავს ვალდებულებებს ან/და მრავალწლიან ხარჯს, საინვესტიციო პროექტებსა და დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებს, წარმოდგენილ უნდა იქნეს თითოეული საბიუჯეტო წლისათვის ცალკე სავარაუდო ხარჯთაღრიცხვით.

3. ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ზღვრული მოცულობების ზევით საბიუჯეტო განაცხადის წარდგენა დაუშვებელია.

მუხლი 20. საბიუჯეტო განაცხადების განხილვა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამონმებს საბიუჯეტო განაცხადებს და მხარჯავ დაწესებულებებთან და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებთან ერთად იხილავს არა უგვიანეს 30 აგვისტოსი.

2. მხარჯავ დაწესებულებას ან სახელმწიფო სპეციალურ ფონდს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის შეუთანხმებელი საკითხები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს არა უგვიანეს 5 სექტემბრისა.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და მას განსახილველად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

მუხლი 21. წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის წარდგენა

1. საქართველოს პრეზიდენტი არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტს თანდართული მასალებით, რომლებიც მოიცავს:

ა) საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა.ა) ინფორმაციას ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის შესახებ;

ა.ბ) ინფორმაციას საბიუჯეტო წინადადებებისა და მათი გაანალიზების საფუძვლის შესახებ;

ა.გ) საბიუჯეტო რისკისა და საკრედიტო მდგრადობის საშუალოვადიან ანალიზს;

ბ) ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მეორე რიგის მუხლების მიხედვით თითოეული მხარჯავი დაწესებულებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდის ხარჯების ნუსხას, საინვესტიციო პროექტების შემთხვევაში აგრეთვე თითოეული საბიუჯეტო წლისათვის ცალკე სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას და დეტალურ ინფორმაციას დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ;

გ) ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას, პროფიციტის გამოყენების ღონისძიებებს ან დეფიციტის დაფინანსების წყაროებს;

დ) ინფორმაციას სახელმწიფო ვალის, სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების და გაუთვალისწინებელი ვალდებულებების, ასევე გარანტიის ამოქმედების შედეგად გადასახდელი თანხების პროგნოზის შესახებ;

ე) ასიგნებებისა და საშემოსავლო პროგნოზების დასაბუთებას;

ვ) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში საგადასახადო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პაკეტს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ", ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტებში აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმისშემდგომი წლებისათვის. ამასთან, დასაგეგმისშემდგომი წლის შესახებ ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს ზოგად მაჩვენებლებში.

3. წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს პარლამენტში წარდგენისთანავე.

მუხლი 22. წლიური საბიუჯეტო კანონის მიღება

1. საქართველოს პარლამენტში საკომიტეტო მოსმენების შემდეგ წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტი განიხილება პლენარულ სხდომაზე.

2. საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტსა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებას წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი ან მთავრობის რომელიმე წევრი პრეზიდენტის შესაბამისი აქტით მიღებული დავალებით. პარლამენტი ასევე ისმენს საქართველოს კონტროლის პალატისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს.

3. წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონის შესაბამის შესწორებულ პროექტს. კანონის მიღება უნდა მოხდეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

4. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული წლიური საბიუჯეტო კანონი დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მეორე რიგის მუხლების მიხედვით თითოეული მხარჯავი დაწესებულებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდის ასიგნებების მოცულობას;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებებისათვის ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობას;

გ) საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მოცულობას;

დ) ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

ე) პროფიციტის გამოყენების ღონისძიებებს ან დეფიციტის დაფინანსების წყაროებს;

ვ) საშინაო და საგარეო ვალების ძირითადი თანხის დაფარვისათვის საჭირო ასიგნებების მოცულობას;

ზ) სახელმწიფო ვალის, სახელმწიფო სესხებისა და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების ლიმიტებს;

თ) ინფორმაციას საბიუჯეტო წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის არსებული სახელმწიფო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ.

5. თუ საქართველოს პარლამენტი არ მიიღებს წლიურ საბიუ-

ჯეტო კანონს, საქართველოს პრეზიდენტი 2 კვირის ვადაში წარუდგენს მას კანონპროექტის ახალ ვარიანტს.

6. წლიური საბიუჯეტო კანონი და მისი დანართები უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებისათვის.

მუხლი 23. ასიგნებები წლიური საბიუჯეტო კანონის მიუღებლობის შემთხვევაში

დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე წლიური საბიუჯეტო კანონის მიუღებლობის შემთხვევაში, კანონის ამოქმედებამდე, მინისტრი უფლებამოსილია მხარჯავ დაწესებულებებზე და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებზე ყოველთვიურად გასცეს თანხები არა უმეტეს გასული წლის ასიგნებების 1/12-ის ოდენობით.

მუხლი 24. წლიური საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანა

1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილების შეტანის შესახებ წინადადებას ვალდებულების აღებამდე და ხარჯის განევამდე საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, გარდა ამ კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის პროექტს, რომელიც გავლენას ახდენს წლიური საბიუჯეტო კანონით დადგენილი შემოსავლების ან/და ხარჯების პროგნოზებზე, საქართველოს პარლამენტი მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ახლავს კანონპროექტი წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, გარდა ამ კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ღონისძიება, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობაზე, დაუყოვნებლივ ან სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მომდევნო კვარტალური ანგარიშის განხილვის დროისათვის მაინც უნდა იქნეს ასახული კანონპროექტში წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ.

3. წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტზე დართული მასალები უნდა შეიცავდეს სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო შედეგის პროგნოზებს, საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზის განახლებულ ვერსიასთან და საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათი წარდგენა საჭირო არ არის ცვლილებების შინაარსიდან გამომდინარე.

4. თუ წლის პირველი ნახევრის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშიდან ნათელია, რომ წლიურად პროგნოზირებული შემოსავლები და გრანტები განიცდის 10 %-ით ან მეტ დანაკლისს, საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტს.

მუხლი 25. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, წარდგენა და დამტკიცება

1. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, წარდგენა და დამტკიცება ხორციელდება ამ კანონისა და ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის, საბიუჯეტო ცირკულარის გამოცემისთანავე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას უზრუნველყოფს საბიუჯეტო ცირკლარის შესაბამისი ტექნიკური მითითებებით.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს მას ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ.

მუხლი 26. ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, წარდგენა და დამტკიცება

1. ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, წარდგენა და დამტკიცება ხორციელდება ამ კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.:

2. ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის, საბიუჯეტო ცირკულარის გამოცემისთანავე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ ხელისუფლებას უზრუნველყოფს საბიუჯეტო ცირკულარის შესაბამისი ტექნიკური მითითებებით.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს მას ინფორმაცია ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ.

მუხლი 27. საგანგებო ბიუჯეტი

1. საქართველოში ან მის ცალკეულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს საქართველოს პრეზიდენტის წარდგენით შეუძლია დაამტკიცოს საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

2. საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად გადასახადებს, მოსაკრებლებსა და სავალდებულო გადასახდელებს ანესებს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის წარდგენით.

თავი III. ბიუჯეტის შესრულება

მუხლი 28. ასიგნებული თანხების გაწერა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებლობა

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ წლიური საბიუჯეტო კანონის ხელმოწერისთანავე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თითოეულ მხარჯავ დაწესებულებას ანვდის ინფორმაციას მისთვის გამოყოფილი ასიგნებების შესახებ.

2. მხარჯავი დაწესებულებები პასუხისმგებელნი არიან ასიგნებების შესაბამისად ხარჯების გაწევაზე და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების მოკრებაზე. ამასთან, ისინი პასუხისმგებელნი არიან ბიუჯეტის, სახელმწიფო აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე და პროცედურებისა და მოთხოვნების კონტროლზე.

3. მინისტრი ზედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებასა და მართვას, საქართველოს კონტროლის პალატასთან შეთანხმებით კოორდინაციას უწევს სააღრიცხვო კონტროლსა და შიდა აუდიტს და გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 29. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება

1. შემოსავლების მოკრებაზე პასუხისმგებელმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ბიუჯეტში ჩასარიცხი თანხების სრული და დროული მოკრება კანონმდებლობის შესაბამისად.

2. წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული შემოსავლები წარმოადგენს პროგნოზებს და არ ზღუდავს ფაქტობრივ მოკრე-

ბას მაჩვენებლების გადამეტებით.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა შემოსულობა ექვემდებარება დაუყოვნებლივ დეპონირებას სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის შესაბამის ქვეანგარიშზე.

4. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვისას უნდა გაკეთდეს კორექტირებები უკან დაბრუნებული თანხებისათვის. ამ შემოსულობების უკან დაბრუნება ხდება სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის შესაბამისი ქვეანგარიშიდან.

5. საგადასახადო შემოსავლების განერაში საბიუჯეტო წლის ნახევრისა და კვარტლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები არ უნდა იყოს წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული წლიური მაჩვენებლის შესაბამისად 48 და 23 პროცენტზე ნაკლები.

მუხლი 30. ფულის მართვისა და გაცემის გეგმები

1. საბიუჯეტო დანესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის პროცესი უნდა შეესაბამებოდეს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს და ეფუძნებოდეს ყოველთვიურ ოპერატიულ ფინანსურ გეგმას.

2. მინისტრი ამზადებს მცურავ ყოველკვარტალურ ფინანსურ გეგმას, რომელიც ეფუძნება შესაბამის პერიოდებში შემოსავლების ფაქტობრივი მოკრების პროგნოზებს, დაფინანსების სხვა წყაროებსა და მოსალოდნელ გადასახდელებს.

3. მინისტრის მიერ გამოცემული წესების თანახმად, თვის დაწყებამდე სახელმწიფო ხაზინა მხარჯავ დანესებულებებს აცნობებს ყოველთვიურ ოპერატიულ ფინანსურ გეგმას.

მუხლი 31. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

1. მხარჯავი დანესებულებების მიერ ვალდებულებების აღებისა და ხარჯების განევის უფლებამოსილებები განისაზღვრება მინისტრის მიერ ამ კანონის შესაბამისად გამოცემული წესებით.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინასწარი თანხმობის გარეშე საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ხარჯის განევა და ვალდებულების აღება დაუშვებელია. ხარჯის განევა უნდა მოხდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ აღებული და დამტკიცებული ვალდებულების შესასრულებლად, თუ ამ კანონით ან მინ-

ისტრის მიერ ამ კანონის შესაბამისად გამოცემული ნორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. ამ მუხლის დებულებები არ გამოიყენება სპეციალური სახელმწიფო ფონდების მიმართ.

მუხლი 32. სახელმწიფო ხაზინა

1. სახელმწიფო ხაზინის საქმიანობა ხორციელდება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ყველა სახელმწიფო ფინანსური ოპერაციის გამჭვირვალობა და ანგარიშგება.

2. სახელმწიფო ხაზინა პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების სრულ და სწორ აღრიცხვაზე.

3. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშიდან თანხების მოხსნის შესახებ ნებართვის გაცემის უფლება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ სახელმწიფო ხაზინას.

4. სახელმწიფო ხაზინის ფულადი რესურსები ინახება საქართველოს ეროვნულ ბანკში გასნილ ერთ ან მეტ საბანკო ანგარიშზე, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის ქვეანგარიშს, აგრეთვე სხვა ბანკებში, სახელმწიფო ხაზინის კონტროლით. საოპერაციო მიზნებისათვის სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია გასცეს ნებართვა დამატებითი საბანკო ანგარიშების გახსნის შესახებ. ეს ანგარიშები შენარჩუნებული იქნება ნულოვანი ბალანსის საფუძველზე.

5. ცენტრალური ბიუჯეტის ყველა შემოსულობა და გადასახდელი სრულდება სახელმწიფო სახაზინო სისტემის მეშვეობით და მინისტრის მიერ გამოცემული წესების შესაბამისად. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია მოახდინოს სპეციალური სახელმწიფო ფონდების ან შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე სხვა იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შემოსულობებისა და გადასახდელების ადმინისტრირება.

6. სახელმწიფო ხაზინის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო დანესებულების (ორგანიზაციის) საბანკო ანგარიშის გახსნა. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია გააუქმოს ნებართვა საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ

და გასცეს ბრძანება ამ ანგარიშის დახურვის თაობაზე. მხარჯავი დაწესებულებები უზრუნველყოფენ, რომ მათ მიერ მიღებული ყველა შემოსავალი სრულად და დაუყოვნებლივ აღირიცხოს სახელმწიფო კონსოლიდირებულ ფონდში. ნებისმიერი თანამდებობის პირი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებს კანონით დადგენილი ვადის დარღვევით ინახავს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის გარეთ, პასუხს აგებს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით სახელმწიფო ხაზინა უწევს მას ტექნიკურ მომსახურებას სახაზინო ოპერაციების, აგრეთვე ანგარიშებისა და მოხსენებების მომზადებისათვის. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგენს პროცედურებსა და საალრიცხვო მეთოდოლოგიას, რომლებიც შესაბამისმა ხელისუფლებამ უნდა დაიცვას ფინანსური ოპერაციების წარმოებისას.

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო ანგარიშსა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგების პროექტს, რომელიც წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს.

მუხლი 33. სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულება

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება ხორციელდება საკასო მეთოდით.

2. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გაცემის უფლებამოსილება წყდება მიმდინარე საბიუჯეტო წლის 31 დეკემბერს 24 საათზე.

3. მიმდინარე საბიუჯეტო წლის 31 დეკემბრის შემდეგ მიღებული შემოსულობები ითვლება დასაგეგმი საბიუჯეტო წლის შემოსულობებად.

მუხლი 34. სახელმწიფო ხაზინის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის აღრიცხვა და ანგარიშგება

1. სახელმწიფო ხაზინა ახორციელებს თითოეული მხარჯავი დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციაზე და სპეციალურ სახელმწიფო ფონდზე გაცემული გადასახდელების აღრიცხვას (ცენტრალური ბიუჯეტის შემთხვევაში აღრიცხვა მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების გაწევის ყველა ეტაპის (ვალდებულებები,

დამონმება, თანხების გაცემა და გადასახდელები) შესახებ), ავრეთვე მხარჯავი დაწესებულებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდის შემოსავლებისა და სხვა შემოსულობების აღრიცხვას. ამასთან, სახელმწიფო ხაზინა აღრიცხვას ანარმოებს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შემოსულობებისა და ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების მიხედვით.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით, ყოველი თვის დასრულებიდან 20 დღის განმავლობაში ამზადებს ანგარიშს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, დეფიციტისა და დაფინანსების წყაროების ჩვენებით. სპეციალური სახელმწიფო ფონდის გადასახდელების შესახებ ანგარიშში შეიძლება მოცემული იყოს ინფორმაცია მის მიერ გაცემული თანხების მხოლოდ საერთო რაოდენობის შესახებ.

მუხლი 35. სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველკვარტალური მიმოხილვა

ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ყოველკვარტალურ მიმოხილვას, რომელიც მოიცავს:

ა) მაკროეკონომიკისა და საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენებს;

ბ) შემოსულობების, გადასახდელების, დეფიციტის, სესხების ან დაფინანსების სხვა წყაროების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ მოცულობებთან, ძირითადი განსხვავებების განმარტებებს.

მუხლი 36. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება

1. რომელიმე მხარჯავი დაწესებულებიდან ან სპეციალური სახელმწიფო ფონდიდან ერთ ან რამდენიმე მხარჯავ დაწესებულებასა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდზე ასიგნებების გადანაწილება შეიძლება მხოლოდ წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის გზით.

2. მხარჯავი დაწესებულებისათვის ან სპეციალური სახელმწიფო ფონდისათვის გამოყოფილი ასიგნებების მთლიანი ოდენობიდან თანხები ერთი ან მეტი ასიგნებიდან ერთ ან მეტ ასიგნებაზე შეიძლება გადანაწილდეს მხოლოდ მინისტრის მიერ დადგენილი

ნესის შესაბამისად. ამგვარი გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს პირველადი ასიგნების ოდენობის 10 პროცენტის ფარგლებში.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს მისთვის გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილებისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი უფლების გამოყენება შეუძლია შეუზღუდავად.

მუხლი 37. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულება

1. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულება ხორციელდება ამ კანონის 25-ე და 28-36-ე მუხლების დებულებებისა და ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგენს ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მუხლი 38. ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულება

1. ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულება ხორციელდება ამ კანონის 26-ე და 28-36-ე მუხლების დებულებებისა და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

2. ადგილობრივი ხელისუფლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგენს ინფორმაციას ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

თავი IV. სესხები და ვალი

მუხლი 39. სესხის აღების უფლება

1. სახელმწიფო სესხების აღება და მათზე გარანტიების გაცემა შეიძლება მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ხელისუფლებებს უფლება აქვთ სესხი აიღონ მხოლოდ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახით ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნებართვით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 40. სახელმწიფო სესხების ლიმიტები და სასესხო გარანტიები

1. წლიური საბიუჯეტო კანონი ადგენს ლიმიტებს წლიურ წმინდა სესხებზე, აგრეთვე სახელმწიფო ვალის მთლიან ოდენობაზე, რომელიც შეიძლება დაუფარავი იყოს წლის შესაბამის მონაკვეთში. ლიმიტები ცალ-ცალკე დგინდება საშინაო და საგარეო ვალებისათვის. ცალკე ლიმიტირებას ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკიდან აღებული სესხი.

2. წლიური საბიუჯეტო კანონი ადგენს ლიმიტებს სახელმწიფო გარე და შიდა სასესხო გარანტიებზე, რომლებიც შეიძლება გაიცეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

მუხლი 41. სესხებისა და გარანტიების გაცემის პროცედურები

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლიური საბიუჯეტო კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ვალის აღებისა და სახელმწიფო გარანტიების გაცემის შესახებ.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ,,სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის დაცვით აიღოს სესხი მისი მიმღებისა და გამცემისათვის მისაღები ნებისმიერი ფორმით. ფინანსთა სამინისტრო თავისუფალია ფინანსური ინსტრუმენტის სახის არჩევისას, მისი მახასიათებლებისა და პირობების ჩათვლით. მონეტარული პოლიტიკის ინტერესების ფარგლებში სამინისტრო მოქმედებს საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციის საფუძველზე.

3. ,,ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის დადებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებას.

მუხლი 42. სესხის აღების გამჭვირვალობა

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს სახელმწიფო ვალებისა და სახელმწიფო გარანტიების აღრიცხვას, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ აღებული და გაცემული სესხების აღრიცხვასა და გადახდას. ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებე-

ლია სახელმწიფო ვალის მართვასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

2. საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას დაუფარავი ვალის შესახებ.

თავი V. აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

მუხლი 43. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგია და პასუხისმგებლობა

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საერთაშორისო სტანდარტების პრინციპების საფუძველზე გამოსცემს შესაბამის ნორმატიულ აქტებს, რომლებიც უზრუნველყოფს მხარჯავი დაწესებულებების, სპეციალური სახელმწიფო ფონდების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ სტანდარტული სააღრიცხვო პროცედურებისა და ანგარიშგების მოთხოვნების დაცვას.

2. მხარჯავი დაწესებულებები, სპეციალური სახელმწიფო ფონდები, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებები პასუხისმგებელნი არიან შემოსულობებისა და გადასახდელების ბუღალტრულ აღრიცხვაზე, კონტროლზე და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებთან მათ შესაბამისობაზე.

3. საკუთარ შემოსავლებთან და გაწეულ ხარჯებთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია სესხებთან და სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული და კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვასა და შემოწმებაზე.

მუხლი 44. შიდა აუდიტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ერთობლივად მიღებული (გამოცემული) შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე მხარჯავი დაწესებულება, სპეციალური სახელმწიფო ფონდი, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებები ამტკიცებენ შემოსავლებთან და ხარჯებთან

დაკავშირებულ ოპერაციებზე შიდა აუდიტის განხორციელების პროცედურებს. შიდა აუდიტი ხორციელდება მხარჯავი დაწესებულების, სპეციალური სახელმწიფო ფონდის, ავტონომიური და ადგილობრივი ხელისუფლებების ხელმძღვანელების უშუალო ზედამხედველობით.

მუხლი 45. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციების შესაბამისად და დადგენილ ვადებში მხარჯავი დაწესებულებები და სპეციალური სახელმწიფო ფონდები ამზადებენ საბოლოო ანგარიშებსა და ანგარიშგებებს, რომელთა საფუძველზედაც ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშსა და ანგარიშგებას. ეს ანგარიში და ანგარიშგება და საქართველოს კონტროლის პალატის შესაბამისი დასკვნა წარედგინება საქართველოს პარალმენტს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ვადებში.

მუხლი 46. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგების შინაარსი

წლიური ანგარიშგება მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამის ანგარიშებსა და წლიური საბიუჯეტო კანონის შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, კერძოდ:

ა) სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

ბ) დამტკიცებულ ბიუჯეტსა და ფაქტობრივ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ აღნიშნული შეუსაბამობა აღემატება 10 პროცენტს;

გ) მოხსენებას სახელმწიფო ვალის მართვასთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ, აგრეთვე ფინანსური გარანტიების თაობაზე, რომელთა გაცემა განხორციელდა სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით;

დ) ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის სახსრების ხარჯვის შესახებ;

ე) ინფორმაციას გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შესახებ.

მუხლი 47. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ წლიური ანგარიშების შემოწმება

საქართველოს კონტროლის პალატა ვალდებულია განახორციელოს ცენტრალური ბიუჯეტის, სპეციალური სახელმწიფო ფონდებისა და ადგილობრივი ხელისუფლების საბოლოო ანგარიშების შემოწმება და შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს შესაბამისად საქართველოს პარლამენტს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. კონტროლის პალატის დასკვნაში უნდა აისახოს, თუ რამდენად ზუსტი და სრულია წარმოდგენილი ანგარიშები.

მუხლი 48. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების დამტკიცება

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების განხილვისა და საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენების მოსმენის შემდეგ საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 1 ნოემბრისა იღებს დადგენილებას ანგარიშების დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დაუმტკიცებლობის, აგრეთვე წლიური საბიუჯეტო კანონის დარღვევის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ნაწილში მთავრობის საქმიანობა მიიჩნიოს არადამაკმაყოფილებლად და საქართველოს პრეზიდენტის წინაშე დასვას აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით მისცეს პრეზიდენტს რეკომენდაციული ხასიათის წინადადებები.

მუხლი 49. ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშების მომზადება, წარდგენა და დამტკიცება

ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ბიუჯეტების წლიური ანგარიშების მომზადება, წარდგენა და დამტკიცება ხორციელდება ამ თავში განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

თავი VI. პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის

მუხლი 50. პასუხისმგებლობა

ამ კანონის დამრღვევი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VII. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 51. მისაღები ნორმატიული აქტები

1. ამ კანონის მიღებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს შემდეგი ნორმატიული აქტების პროექტები:

ა) საქართველოს კანონის პროექტი ,,ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ";

ბ) საქართველოს კანონის პროექტი ,,სახელმწიფო ხაზინის შესახებ";

გ) საქართველოს კანონის პროექტი ,,საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის განანილებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივების შესახებ";

დ) საქართველოს კანონის პროექტი ,,სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე";

ე) საქართველოს ორგანული კანონის პროექტი ,,ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე".

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შეიმუშავებს და იღებს ამ კანონის ამოქმედებისათვის აუცილებელი ნორმატიული აქტების პროექტებს საბიუჯეტო და სახაზინო საქმიანობის შესახებ.

მუხლი 52. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" საქართველოს კანონი.

თავი VIII. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 53. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა 30-ე მუხლისა, ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის 30-ე მუხლი ამოქმედდეს 2005 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კანონი „აგროქიმიკატების წარმოების, აგროქიმიკატებით ვაჭრობის, აგროქიმიური და ნიადაგის დაცვისა და აგროქიმიკატების ხარისხის განსაზღვრის სფეროში ლაბორატორიული საქმიანობის ლიცენზიის და აგროქიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვების გაცემის შესახებ“ *(07.05.03, სსმ №14)*

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ამ კანონის რეგულირების სფეროა:

ა) სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში გამოსაყენებელი აგროქიმიკატების წარმოების, აგროქიმიკატებით ვაჭრობის, აგროქიმიური და ნიადაგის დაცვის, აგროქიმიკატების ხარისხის განსაზღვრის სფეროში ლიცენზიის და აგროქიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვის გაცემა;

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **აგროქიმიკატები** - სასუქები, ქიმიური მელიორანტები, სხვადასხვა აგრომადნეულები, საკვები დანამატები, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა კვებისათვის, ნიადაგების ნაყოფიერების რეგულირებისა და ცხოველთა დამატებითი გამოკვებისათვის;

ბ) **მინერალური სასუქი** - ნივთიერება, რომელიც შეიცავს მცენარისათვის საჭირო საკვებ ელემენტებს არაორგანული ნაერთების სახით;

გ) **ორგანული სასუქი** - მცენარისათვის საჭირო საკვები ნივთიერებები ორგანული ნაერთების სახით;

დ) **მიკროსასუქები** - სასუქები, რომლებშიც საკვები ნივთიერება წარმოდგენილია მიკროელემენტებით (ბორი, თუთია, მოლიბდენი, სპილენძი და ა.შ.);

ე) **რთული სასუქები** - სასუქები, რომლებიც შეიცავს ერთიან ტექნოლოგიურ პროცესში მიღებულ, მცენარისათვის საჭირო ორ ან მეტ საკვებ ელემენტს;

ვ) **ორგანულ-მინერალური სასუქები** - სასუქები, რომლებიც შეიცავს როგორც მინერალურ, ისე ორგანულ ნივთიერებებს;

ზ) **წარმოშობის სერტიფიკატი** - აგროქიმიკატის მწარმოებელი

ქარხნის, კომპანიის დასახელება, პროდუქციის გამოშვების თარიღი;

თ) **შესაბამისობის სერტიფიკატი** - აგროქიმიკატის ხარისხობრივი შემოწმების მაჩვენებლების შედარება თანმხლებ სერტიფიკატთან და მისი შესაბამისობის დადგენა;

ი) **ქიმიური მელიორანტი** - ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა ბუნებრივი ნაერთები, რომლებიც გამოიყენება ნიადაგების გასაუმჯობესებლად;

კ) **შეფუთვა** - ჭურჭელი (ტარა) აგროქიმიკატების შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის;

ლ) **წარმოების ნარჩენები** - მრეწველობაში ძირითადი პროდუქციის გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენები, რომლებიც გამოიყენება სასუქად, ნიადაგის გასაუმჯობესებლად;

მ) **საკვები დანამატები** - მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საკვების გასამდიდრებლად გამოსაყენებელი ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებები.

მუხლი 14. ნებართვის სახეები და ნებართვის გამცემი ორგანო

1. აგროქიმიკატების ექსპორტის ან/და იმპორტის ნებართვის სახეებია:

ა) მინერალური სასუქები;

ბ) მიკროსასუქები;

გ) რთული სასუქები;

დ) ქიმიური მელიორანტები;

ე) ორგანული სასუქები;

ვ) ორგანულ-მინერალური სასუქები;

ზ) წარმოების ნარჩენები;

თ) საკვები დანამატები მეცხოველეობის და მეფრინველეობის საკვების გასამდიდრებლად.

2. „სამენარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური.

მუხლი 15. ნებართვის გამცემის უფლება-მოვალეობანი

3. სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის აგროქიმიკატების იმპორტზე ნებართვა გაიცემა „პესტიციდებისა და აგროქიმიკატებ-

ის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 17. ნებართვის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია

1. ნებართვის მისაღებად წარსადგენი ძირითადი დოკუმენტაცია და პირობები განისაზღვრება ,,სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი - მე-3 და მე-5 პუნქტებით.

2. ნებართვის მაძიებლის წერილობით განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) აგროქიმიკატების დასახელება და რაოდენობა, რომლის იმპორტს ან ექსპორტს ახორციელებს ნებართვის მაძიებელი;

ბ) აგროქიმიკატების შეფუთვის ფორმა;

გ) აგროქიმიკატების წარმოშობის სერტიფიკატი;

დ) აგროქიმიკატების სანარმოებისათვის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის მიერ გაცემული დოკუმენტი ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;

ე) პროდუქციის ხარისხის სერტიფიკატი;

ე) ინფორმაცია აგროქიმიკატის გამოყენების არეალისა და რეკომენდაციების შესახებ.

მუხლი 19. ნებართვის მოქმედების ვადა და ამოქმედება

1. ნებართვა გაიცემა ერთჯერადად.

2. ნებართვის ამოქმედება ხორციელდება ,,სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს კანონი „პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ“ *(07.05.03, სსმ №14)*

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი აწესრიგებს პესტიციდების წარმოებისა და ვაჭრობის ლიცენზიის, პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის, ფიტოსანი-

ტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოსა და ლიცენზიის ნებართვის მაძიებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის. განსაზღვრავს სალიცენზიო და სანებართვო საქმიანობის კონკრეტულ სახეებს, სალიცენზიო და სანებართვო პირობებს.

2. ეს კანონი არ ვრცელდება სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის განკუთვნილი პესტიციდების ნიმუშების, ეტალონების, ანალიტიკური სტანდარტების იმპორტზე, რომლებიც ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდებს, სადემონსტრაციო ჩვენებებს, აგრეთვე არარეგისტრირებული პესტიციდების იმპორტზე, რომლებიც განკუთვნილია კონკრეტული (განსაკუთრებით საშიში) მავნე ორგანიზმების საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად, თუ არსებობს ამგვარი ღონისძიებების ჩატარების დაყოვნების საშიშროება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **წინასწარ დასაბუთებული თანხმობა** - პრინციპი, რომლის თანახმად საერთაშორისო ვაჭრობისას არ დაიშვება აკრძალული ან მკაცრად შეზღუდული პესტიციდის იმპორტ-ექსპორტი სათანადო შეთანხმების გარეშე ან იმპორტიორი ქვეყნის სარეგისტრაციო ორგანოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ;

ბ) **ქიმიური პესტიციდის წარმოება** - მოქმედი ნივთიერებების სინთეზი ან მიღება, პრეპარატული ფორმის დამზადება, დაფასოება;

გ) **ბიოლოგიური პესტიციდის წარმოება** - აქტიური შტამის მიღება (გამრავლება) ან მიკრობული სინთეზის პროდუქტის მიღება, მიკრობიოლოგიური საშუალების პრეპარატული ფორმის დამზადება და დაფასოება, მცენარეული ექსტრაქტის მიღება და დაფასოება;

დ) **კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქცია** - ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია, მასალა და ობიექტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საკარანტინო ორგანიზმების გავრცელება.

მუხლი 10. ნებართვის სახეები

1. ექსპორტ-იმპორტისა და სატრანზიტო ნებართვის სახეებია:

ა) გამოსაყენებლად დაშვებული პესტიციდების იმპორტი;

ბ) მკაცრად შეზღუდული პესტიციდების იმპორტი;

გ) მკაცრად შეზღუდული პესტიციდების ექსპორტი.

2. კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტი და ტრანზიტი.

მუხლი 11. ნებართვის გამცემი ორგანო

ამ კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრული ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - მცენარეთა დაცვის სამსახური.

მუხლი 13. ნებართვის მისაღებად წარსადგენი ძირითადი დოკუმენტაცია

ნებართვის მისაღებად წარსადგენი ძირითადი დოკუმენტაცია და პირობები განისაზღვრება „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით.

2. ნებართვის მაძიებლის განცხადება აგრეთვე უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ პესტიციდების რა სახის იმპორტის ან ექსპორტის განხორციელებას მოითხოვს, ასევე პესტიციდის სავაჭრო დასახელებას, პრეპარატულ ფორმას, მოქმედი ნივთიერების დასახელებას და კონცენტრაციას, პესტიციდის რაოდენობას, ხოლო იმპორტისას - შესანახი საწყობის მისამართს. ეტაპობრივად შემოტანისას განცხადებაში უნდა მიეთითოს ყოველი პარტიის პირობითი რაოდენობა, მკაცრად შეზღუდული პესტიციდების იმპორტის შემთხვევაში, აგრეთვე მონაცემები გამოყენების ხერხის, მიზნით, სახის, დროის, ადგილის, რაოდენობის, მოსავლის აღებამდე ლოდინის პერიოდის შესახებ.

3. კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვის მაძიებლის განცხადება აგრეთვე უნდა შეიცავდეს ექსპორტიორი ქვეყნისა და შემოსატანი ტვირთის დასახელებას, რაოდენობას, მოძრაობის მარშრუტს, მისი მიღების ადგილს, ხოლო ეტაპობრივად შემოტანის შემთხვევაში - თითოეული პარტიის რაოდენობასა და შემოტანის ვადას.

4. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) პესტიციდის სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობის ასლი;

ბ) ნასყიდობის ხელშეკრულების ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) პესტიციდის ნარმოშობის სერტიფიკატი;

დ) მკაცრად შეზღუდულ პესტიციდებზე, აგრეთვე:

დ.ა) პესტიციდის ხარისხის სერტიფიკატი;

დ.ბ) სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის მიერ გაცემული დოკუმენტი ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე;

დ.გ) ქვეყნის სარეგისტრაციო ორგანოს თანხმობა ექსპორტზე ან/და იმპორტზე.

5. ნებართვის გამცემი ვალდებულია უზრუნველყოს განცხადებაში მითითებული კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა.

მუხლი 17. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს ,,სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედების დღიდან.

საქართველოს კანონი „საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლების შესახებ" *(07.05.03. სსმ №14)*

მუხლი 3. საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლის ცნება

საკარანტინო მომსახურების მოსაკრებელი არის ფიზიკური და იურიდიული პირების სავალდებულო ფულადი შენატანი (ლარებში) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც გადაიხდება სახელმწიფოს მიერ აუცილებელი საკარანტინო ღონისძიებების ჩასატარებლად განეული მომსახურებისათვის.

მუხლი 4. საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლის გადამხდელები

საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ მცენარეული და ცხოველური წარმოშობის და სხვა, კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის წარმოებას, ტვირთის ტრანსპორტირებას, შენახვას, გადამუშავებასა და რეალიზაციას.

მუხლი 5. საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლის სახეები

საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლის სახეებია:

ა) მოსაკრებელი ფიტოსანიტარიულ-საკარანტინო ღონისძიებებისათვის;

ბ) მოსაკრებელი ვეტერინატულ-საკარანტინო ღონისძიებებისათვის.

მუხლი 6. ფიტოსანიტარულ-საკარანტინო ღონისძიებებისათვის მოსაკრებლის განაკვეთები.

33. სასაზღვრო პუნქტებში (ავტოსაგზაო პუნქტები, აეროპორტები, რკინიგზა) შემოსული, კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთების სატრანსპორტო საშუალებებში დახედვა:

ა) თვითმფრინავი	1ერთეული	10.0
ბ) სარკინიგზო ვაგონი	1 ერთეული	13.0
გ) კონტეინერი	1 ერთეული	8.0
დ) სატვირთო ავტომანქანა	1 ერთეული	8.0
ე) მსუბუქი ავტომანქანა, მიკროავტობუსი	1 ერთეული	4.0
ვ) ავტობუსი	1 ერთეული	5.0

34. სატრანსპორტო საშუალებების (ცარიელისა და კარანტინს დაუქვემდებარებელი ტვირთით დატვირთულისა) დახედვა და კონტროლი საკარანტინო ორგანიზმების კომპლექსზე:

ა) გემები მოცულობით 6000 ტონამდე	1 ტრიუმი	2.0
ბ) გემები მოცულობით 6000 ტონის ზევით	1 ტრიუმი	3.0
გ) თვითმფრინავი	1 ერთეული	7.0
დ) სარკინიგზო ვაგონი	1 ერთეული	3.0
ე) კონტეინერი	1 ერთეული	6.0
ვ) სატვირთო ავტომანქანა	1 ერთეული	6.0
ზ) მსუბუქი ავტომანქანა, მიკროავტობუსი	1 ერთეული	2.0
თ) ავტობუსი	1 ერთეული	4.0

35. საზღვაო ნავსადგურებში იმპორტის რეჟიმით შემოტანილი და საექსპორტო, კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთების გემებში დახედვა:

ა) გემები მოცულობით

6000 ტონამდე	1 ტრიუმი	60.0
ბ) გემები მოცულობით 6000 ტონის ზევით	1 ტრიუმი	90.0
36. ფიტოსანიტარიული კონტროლის ღონისძიებები სატრანზიტო, კარანტინს დაქვემდებარებული ტვირთების ერთ კონოსამენტურ პარტიაზე,	1-დან 5-მდე სატრანსპორტო ერთეული	10.0
სატრანსპორტო საშუალებათა (სარკინიგზო ვაგონი, კონტეინერი, ავტომანქანა) რაოდენობის მიხედვით	5 და მეტი სატრანსპორტოერთეული	50.0

37. სატრანზიტო სატრანსპორტო საშუალებათა ფიტოსანიტარიული კონტროლის ღონისძიებები:

ა) სარკინიგზო ვაგონი	1 ერთეული	3.0
ბ) კონტეინერი	1 ერთეული	6.0
გ) სატვირთო ავტომანქანა	1 ერთეული	6.0
დ) მსუბუქი ავტომანქანა, მიკროავტობუსი	1 ერთეული	2.0
ე) ავტობუსი	1 ერთეული	3.0

მუხლი 7. ვეტერინარულ-საკარანტინო ღონისძიებებისათვის მოსაკრებლის განაკვეთები

1. ექსპორტისა და იმპორტის რეჟიმით მოძრაობის დროს სახელმწიფო ვეტერინარულ-სანიტარიული საზედამხედველო ღონისძიებების კომპლექსი საბაჟო კონტროლის ზონაში ან/და განბაჟების ადგილებში:		
ა) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთები (გარდა ცხოველებისა)	1 სატრანსპორტო ერთეული 1 პარტია	16.6
ბ) ცხოველები (ფრინველი, თევზი, ფუტკარი და სხვ.)	1 სატრანსპორტო ერთეული 1პარტია	21.7
გ) მგზავრების მიერ ბარგით ან ხელბარგით გადასაზიდი,	10 კილოგრამი	1.3

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდე- ბარებული პროდუქცია და ნედლეული		
2. ტრანზიტის რეჟიმით მოძრაობის დროს სახელმწიფო ვეტერინარულ-სანიტარიული საზედამხედველო ღონისძიებების კომპლექსი:		
ა) ტვირთების ერთი კონოსამენტური პარტია, სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და სახეების მიხედვით	1-დან 5-მდე სატრანსპორტო ერთეული	10.0
	5 და მეტი სატრანს- პორტო ერთეული	50.0
	1 ავტომანქანა	5.8
	1 კონტეინერი	6.0
	1 სარკინიგზო ვაგონი	3.0
ბ) ცხოველები (ფრინველი, თევზი, ფუტკარი და სხვ.):	1 სული	2.4
ბ.ა) თანმხლები საბუთების შემოწმება და ცხოველების კლინიკური დათვა- ლიერება	1 სატრანსპორტო ერთეული	6.0
ბ.ბ) ცხოველების გადასაყვანი სატრანს- პორტო საშუალებების ვეტერინარულ- სანიტარიული მდგომარეობის შემოწმება	1 პარტია	1.3
გ) მგზავრების ბარგით ან ხელბარგით გადასაზიდი, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია და ნედლეული	10 კილოგრამი	1.3
3. იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის დროს განსახორციელებელი სხვა ღონისძიებები:		
ა) სასაზღვრო-სატრანსპორტო სახელმწიფო ვეტერინარულ-სანიტარიული საზედამხედველო ღონისძიებების კომპლექსი ცხოველებისა და ადამიანებისათვის საერთო, განსაკუთრებით საშიში და სხვა გადამდები დაავადებების მხრივ მოსაზღვრე		

ქვეყნების არაკეთილსაიმედო ტერიტორიიდან შემოსულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და ნედლეულზე საბაჟო კონტროლის ზონაში	1 სატრანსპორტო ერთეული 1 პარტია	10.0
ბ) რადიაციული დონის მხრივ არაკეთილსაიმედო ტერიტორიიდან შემოსული, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთებისა და სატრანსპორტო საშუალებების ზღვრული რადიაციული დონის განსაზღვრა საბაჟო კონტროლის ზონაში	1 სატრანსპორტო ერთეული 1 პარტია	4.8
გ) გემზე ასვლით, სასაზღვრო, საბაჟო და სხვა სამსახურებთან ერთად, ტრიუმით გადასაზიდი, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთების ვეტერინარულ-სანიტარიული შემოწმება	1 ღონისძიება	12.0
დ) სასაზღვრო-სატრანსპორტო სახელმწიფო ვეტერინარულ-სანიტარიული საზედამხედველო ღონისძიებების კომპლექსი:		
დ.ა) გემის ეკიპაჟისა და მგზავრთა საკვებად	1 ბამონტი	24.0
განკუთვნილი პროდუქტები		
დ.ბ) სატვირთო ავტომანქანების მძღოლთა საკვებად	10 კილოგრამი	1.3
განკუთვნილი პროდუქტები		
ე) არაკეთილსაიმედო კერებიდან სატრანსპორტო საშუალებებით ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთების (მათ შორის, ცხოველების (ფრინველის, თევზის, ფუტკრისა და სხვ.) გადაზიდვისას დაცლის შემდეგ სატრანსპორტო საშუალებების ვეტერინა-		

რულ სანიტარიული დამუშავება (სადეზ-ინფექციო და დამხმარე მასალის ღირებ-ულების ჩათვლით)	1 ერთეული	12.0
ე) ცხოველების (ფრინველის, თევზის, ფუტკრისა და სხვ.) გადაზიდვისას სატრანსპორტო საშუალებებიდან ლეშის ჩამოხსნა, გაკვეთა, პათოლოგიური მასალის ლაბორატორიაში გაგზავნა, ლეშის უტილიზაცია, სატრანსპორტო საშუალების დეზინფექცია (სადეზინ-ფექციო და დამხმარე მასალის ღირე-ბულების ჩათვლით)	1 ლეში 1 სატრანსპორტო ერთეული	24.0
ზ) სასაზღვრო პუნქტებში ვეტერინარულ სადეზინფექციო ბარიერებში ან შემასხურებელი დანადგარით აღჭურვილ სადეზინფექციო ხალიჩაზე შემოსულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატარება (სადეზინფექციო და დამხმარე მასალის ღირებულების ჩათვლით):		
ზ.ა) პროფილაქტიკური დეზინფექციისას:		
ზ.ა.ა) მსუბუქი ავტომანქანა	1 ერთეული	3.6
ზ.ა.ბ) მიკროავტობუსი	1 ერთეული	4.8
ზ.ა.გ) სატვირთო ავტომანქანა, ავტობუსი	1 ერთეული	9.6
ზ.ა.დ) სატვირთო მისაბმელია-ნი ავტომანქანა	1 ერთეული	12.0
ზ.ბ) იძულებითი დეზინფექციისას:		
ზ.ბ.ა) მსუბუქი ავტომანქანა	1 ერთეული	5.4
ზ.ბ.ბ) მიკროავტობუსი	1 ერთეული	7.2
ზ.ბ.გ) სატვირთო ავტომანქანა, ავტობუსი	1 ერთეული	12.0
ზ.ბ.დ) სატვითრო მისაბმელიანი ავტომანქანა	1 ერთეული	15.0
თ) ცხოველების, მეცხოველეობის პროდუქტებისა და		

ნედლეულის გადაზიდვის ან გადატვირთვის შემდეგ
სარკინიგზო ვაგონის ვეტერინარულ-სანიტარიული
დამუშავება (სადეზინფექციო და დამხმარე მასალის
ღირებულების ჩათვლით):

თ.ა) I კატეგორია	1 ერთეული	18.0
თ.ბ) II კატეგორია	1 ერთეული	24.0
თ.გ) III კატეგორია	1 ერთეული	37.0

მუხლი 8. საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლის გადახდევინების წესი

საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლის გადახდევინების კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები.

საქართველოს კანონი „სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების შესახებ“

(07.05.03. სსმ №15)

მუხლი 5. ფეთქებადი მასალების ბრუნვასთან დაკავშირებული შეზღუდვები

1. საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია:

ა) საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის მიერ გაცემული ნებართვის გარეშე ფეთქებადი მასალებისა და საამფეთქებლო საქმის ხელსაწყოების გამოცდა, დამზადება, შეფუთვა, შენახვა, გამოყენება, შეძენა, რეალიზაცია, ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება. ფეთქებად მასალებთან და საამფეთქებლო საქმესთან დაკავშირებული პერსონალის მომზადება, ხოლო საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ საქართველოს საკანონმდებლო აქტების შესაბამისად გაცემული ნებართვის გარეშე - ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი.

მუხლი 17. საქართველოში ფეთქებადი მასალებისა და საამფეთქებლო საქმის ხელსაწყოების ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი

ფეთქებადი მასალებისა და საამფეთქებლო საქმის ხელსაწყოების ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს კანონი „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ *(08.05.2003)*

მუხლი 5. ლიცენზირებადი ფარმაცევტული საქმიანობის სახეები

ლიცენზირებადი ფარმაცევტული საქმიანობის სახეებია:

თ) სამკურნალო საშუალებების (გარდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებებისა) იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და საბითუმო რეალიზაცია (ფარმაცევტული ბაზა);

ი) ნარკოტიკული საშუალებების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და საბითუმო რეალიზაცია (ფარმაცევტული ბაზა);

კ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და საბითუმო რეალიზაცია (ფარმაცევტული ბაზა);

ლ) სამკურნალო საშუალებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) წარმოება; წარმოებული სამკურნალო საშუალებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) ექსპორტი და რეალიზაცია; სამკურნალო საშუალებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) იმპორტი საკუთარი წარმოებისათვის (ფარმაცევტული წარმოება);

მ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემცველი იმ კომბინირებული პრეპარატების წარმოება, რომლებიც არ მიეკუთვნება ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალს; წარმოებული პრეპარატების ექსპორტი და რეალიზაცია; პრეპარატების იმპორტი საკუთარი წარმოებისათვის (ფარმაცევტული წარმოება),

საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“

(8.05.03, სსმ №14)

მუხლი 14. იარაღის სერტიფიცირება

1. ყველა სახის იარაღი, რომლის დამზადება ან შემოტანა ხდება საქართველოში, ექვემდებარება სავალდებულო სერტიფიცირებას.

2. იარაღის სერტიფიცირებას ახდენს საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი.

3. იარაღის სერტიფიცირების წესს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

მუხლი 22. იარაღის ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი

1. იარაღის, საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, აგრეთვე იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და მომსახურების ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. ნებართვის მისაღებად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარედგინოს:

ა) საექსპორტო ან საიმპორტო კონტრაქტი (ხელშეკრულება);

ბ) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;

გ) ხელმოწერილი კონტრაქტის (ხელშეკრულების) ასლი ან გაფორმებული განზრახულობათა ოქმი;

დ) იარაღის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა. გაცემული იმ ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომლის ტერიტორიაზედაც არის რეგისტრირებული კონტრაქტის (ხელშეკრულების) ან გაფორმებული განზრახულობათა ოქმის მონაწილე მხარე;

ე) საბოლოო მოხმარების სერტიფიკატი, თუ ნებართვის მაძიებელი არ არის მომხმარებელი.

2. ამ მუხლით გათვალისწინებულ ნებართვას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო გასცემს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, რომელსაც წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ასლებს.

3. სანადირო გლუვლულიანი, სასპორტო, ჯილდოდ მიღებული,

გაზის, საფანტის, საკოლექციო იარაღისა და მათთვის საჭირო საბრძოლო მასალების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა გაიცემა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციის გარეშე.

4. ამ კანონის საფუძველზე გაცემული ნებართვისა და კონტრაქტების (ხელშეკრულებების) დედნებს ნებართვის მფლობელი წარუდგენს საქართველოს საბაჟო ორგანოებს.

მუხლი 24. იარაღის საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა

1. ფიზიკური პირების მიერ იარაღის ცალკეული ეგზემპლარების საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა (გარდა ექსპორტ-იმპორტისა, ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

2. უცხო სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აქტით განსაზღვრული რეესტრით გათვალისწინებულ სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ნებართვით, რაც ეცნობება საქართველოს საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს.

მუხლი 26. უცხო სახელმწიფოს მოქალაქის მიერ იარაღის საქართველოში შეძენა, შემოტანა და საქართველოდან გატანა

1. უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს უფლება აქვს, საქართველოში შეიძინოს იარაღი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შესაბამისი სახელმწიფოს შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული ნებართვით, შესყიდვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს უფლება აქვს, საქართველოში შემოიტანოს სანადირო და სასპორტო იარაღი, თუ არსებობს შესაბამისი კონტრაქტი (ხელშეკრულება) ნადირობაზე ან მოწვევა

სპორტულ ღონისძიებაზე და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვა, ხოლო ექსპონირებაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნებართვა. შემოტანილი იარაღი საქართველოდან გატანილ უნდა იქნეს იმ ვადებში, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისად კონტრაქტით (ხელშეკრულებით) ან მონწვევით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ვადების დარღვევის შემთხვევაში ხდება იარაღის დროებითი ამოღება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საკითხის გადაწყვეტამდე.

საქართველოს კანონი „საქართველოს სანიტარიული კოდექსი“ *(08.05.03, სსმ №14)*

მუხლი 4. ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

კ) **სანიტარულ-საკარანტინო კონტროლი** - სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტებზე, საბაჟო ზონებსა და ტვირთის განბაჟების სხვა ადგილებში საერთაშორისო მედიკო-სანიტარიული წესების, საერთაშორისო კონვენციებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქვეყანაში საკარანტინო და სხვა საშიში ინფექციური დაავადებების და ადამიანის ჯანმრთელობისათვის პოტენციურად საშიში პროდუქციის ან/და ტვირთის შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით;

მ) **პროდუქციის ჰიგიენური სერტიფიკატი** - პროდუქციის წარმოების, ექსპორტის, იმპორტის, მინოდებისა და რეალიზაციისათვის სავალდებულო, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის დაწესებულების მიერ გაცემული, ამ პროდუქციის სანიტარიულ ნორმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მუხლი 13. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის დაწესებულებები

1. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განხორციელების მიზნით ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მინისტრის ადმინისტრაციუ-

ლი აქტით იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირები - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ცენტრალური ინსპექცია და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტებზე სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია, რომელთა საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

4. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განხორციელების სფეროში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ცენტრალური ინსპექციის კომპეტენცია არის:

ა) ქვეყნის ტერიტორიაზე ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიერ სანიტარიული ნორმების დაცვასა და პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი;

ბ) პროდუქციის, მათ შორის, ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებისა და საშუალებების, ფიზიკური ფაქტორების წარმომქმნელი დანადგარის, მონყობილობის, სამრეწველო დანიშნულებისა და სახალხო მოხმარების სხვა ნანარმის ჰიგიენური სერტიფიკაცია და პროდუქციის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემა (გარდა ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენური სერტიფიკატის საფუძველზე სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებული ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებისა და საშუალებებისა);

პ) რადიოაქტიური ნივთიერებებისა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების მოპოვების, მიღების, დამზადების, წარმოების, ექსპორტის, იმპორტის, გამოყენებისა და ჩამარხვის პირობებზე ჰიგიენური დასკვნის გაცემა, აგრეთვე სანიტარიული ნორმების დაცვაზე კონტროლი.

5. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განხორციელების სფეროში სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტებზე, სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო ზონებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტებზე სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის კომპეტენცია არის:

ა) ქვეყანაში საკარანტინო და სხვა საშიში ინფექციური დაა-

ვადებებისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის პოტენციურად საშიში პროდუქციის ან/და ტვირთის შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელება;

ბ) ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიერ სანიტარიული ნორმების დაცვასა და პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი;

გ) სატრანსპორტო (საჰაერო, სანაოსნო) საშუალებაზე სანიტარული ნორმების დაცვისა და პროფილაქტიკური სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი;

დ) სანიტარიული ნორმების დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის, აგრეთვე თანამდებობის პირის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა და სანიტარიული ნორმების დარღვევის აღმკვეთი ზომების გამოყენება;

ე) ქვეყნის ტერიტორიის სანიტარიული დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე და გამოვლენილი სანიტარიული ნორმების დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მიწერილობის შედგენა;

ვ) საბაჟო ორგანოსთვის დასკვნის წარდგენა პოტენციურად საშიში პროდუქციის ან/და ტვირთის გადაადგილებაზე თანხმობის შესახებ, ან იმ პროდუქციის ან/და ტვირთის ექსპორტის, იმპორტისა და ტრანზიტის დროებით შეჩერების ან აღკვეთის შესახებ, რომელთა მიმართ სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელებისას დადგინდება, რომ მათი გადაადგილება გამოიწვევს ინფექციური და მასობრივი არაგადამდები დაავადებების (მოშხამვების) გავრცელების საშიშროებას;

ზ) საკარანტინო და სხვა საშიში ინფექციური დაავადებების მხრივ არაკეთილსაიმედო ქვეყნიდან ჩამოსული მგზავრისა და სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟის წევრების რეგისტრაცია;

თ) საკარანტინო და სხვა საშიში ინფექციური დაავადებების გავრცელების შეზღუდვისა და აღკვეთის მიზნით, იმ ადამიანის (ადამიანთა ჯგუფის), რომელიც ეპიდემიური თვალსაზრისით ინფექციური დაავადების გავრცელების წყაროა, ქვეყნის სასაზღვრო ზოლ-

ში ან საბაჟო ზონებში გადაადგილების შეზღუდვა ან დროებით აკრძალვა;

ი) საკარანტინო და სხვა საშიში ინფექციური დაავადებების მხრივ (გარდა ვეტერინარული და ფიტოსაკარანტინო დაავადებებისა) არაკეთილსაიმედო ქვეყნიდან ჩამოსულ სატრანსპორტო (საჰაერო, სანაოსნო) საშუალებაზე სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოების ორგანიზება და განხორციელება;

კ) ობიექტის მშენებლობის (რეკონსტრუქციის) საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა და ჰიგიენური დასკვნის გაცემა, ხოლო ექსპლოუატაციაში მიღების შემდეგ მისი ჰიგიენური სერტიფიკაცია და ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემა;

ლ) საბაჟო ორგანოს მოთხოვნით ან მისი თანხმობის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, პროდუქციის სინჯის (ნიმუშის) აღება ლაბორატორიული გამოცდის, კვლევის მიზნით, პროდუქციის სანიტარიულ ნორმებთან შესაბამისობის განხილვა და ჰიგიენური დასკვნის გაცემა;

მ) ექსპორტის, იმპორტისა და ტრანზიტის დროს საბაჟო ორგანოს მიერ წარდგენილი პოტენციურად საშიში პროდუქციის ან/და ტვირთის თანმხლები დოკუმენტაციის განხილვა, აგრეთვე ამ პროდუქციის ან/და ტვირთის გადასაადგილებლად გადაწყვეტილების მიღების მიზნით ჰიგიენური შეფასება;

ნ) ინფექციური და მასობრივი არაგადამდები დაავადებებისა და მოშხამვების აღმოცენების, გავრცელების მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, ამ დაავადებებისა და მოშხამვების პროფილაქტიკისათვის სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი;

ო) სასმელი და სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების წყაროების წყლების, აგრეთვე ნიადაგისა და ჰაერის სინჯების აღება ლაბორატორიული გამოცდის, კვლევის მიზნით, წყლის, ნიადაგისა და ჰაერის სანიტარიულ ნორმებთან შესაბამისობის განხილვა და ჰიგიენური დასკვნის გაცემა;

პ) სატრანსპორტო საშუალებით საკვები პროდუქციის გადაზიდვისას სანიტარიული ნორმების დაცვაზე კონტროლი და სანიტარიული პასპორტის გაცემა;

ჟ) ინფექციური და მასობრივი არაგადამდები დაავადებებისა და მოშხამვების აღმოცენების, გავრცელებისა და პროფესიული დაავადებების გამომწვევი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, ამ დაავადებებისა და მოშხამვების პროფილაქტიკისათვის სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსანინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი;

რ) რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა.

მუხლი 17. საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადმინისტრაციული ტერიტორიის, ქალაქისა და რაიონის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმის (მოადგილის) უფლებები

3. საქართველოს მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმს (მოადგილეს), გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული უფლებებისა, აგრეთვე უფლება აქვს:

გ) გასცეს ჰიგიენური დასკვნა:

გ.დ) ახალი სახის პროდუქციის გამოშვებაზე (დანერგვაზე), ექსპორტსა და იმპორტზე;

გ.ე) საშიში ქიმიური ნივთიერების წარმოებაზე, გამოყენებაზე, იმპორტზე, ექსპორტსა და ტრანზიტზე;

გ.ვ) რადიოაქტიური ნივთიერებებისა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების მოპოვებაზე, მიღებაზე, დამზადებაზე, წარმოებაზე, იმპორტზე, ექსპორტზე, გამოყენებასა და ჩამარხვაზე.

მუხლი 18. სანიტარიული ნორმების დარღვევის აღმკვეთი ზომები

1. მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმს (მოადგილეს) სანიტარიული ნორმების დარღვევის აღკვეთის მიზნით, დადგენილებით, მიწერილობით ან დასკვნით უფლება აქვს:

გ) აკრძალოს პროდუქციის, აგრეთვე მოწყობილობისა და მაიქანა-დანადგარების წარმოება, იმპორტი, ექსპორტი, მიწოდება და რეალიზაცია, თუ მათ არ გაუვლიათ ჰიგიენური სერტიფიკაცია;

ე) მიმართოს საბაჟო ორგანოს ქვეყნის სასაზღვრო ზოლში ან საბაჟო ზონაში ადამიანის ჯანმრთელობისათვის პოტენციურად საშიში პროდუქციის ან/და ტვირთის გადაადგილების დროებით შეჩერების ან აღკვეთის შესახებ, თუ მათ არ გააჩნიათ პროდუქციის ჰიგიენური სერტიფიკატი, არ აკმაყოფილებენ სანიტარიულ

ნორმებს და საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას;

ვ) შეზღუდოს ან დროებით აკრძალოს ქვეყნის სასაზღვრო ზოლში ან საბაჟო ზონაში იმ ადამიანის (ადამიანთა ჯგუფის) გადაადგილება, რომელიც საკარანტინო და სხვა საშიში ინფექციური დაავადებების ეპიდემიური გავრცელების წყაროა.

მუხლი 24. სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებისა და საშუალებების წარმოების, იმპორტის, ექსპორტის, ტრანზიტის, მიწოდების, რეალიზაციის, ტრანსპორტირების, შენახვის, გამოყენებისა და უტილიზაციის შესახებ

1. ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ვალდებულია ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებისა და საშუალებების წარმოების, იმპორტის, ექსპორტის, ტრანზიტის, მიწოდების, რეალიზაციის, ტრანსპორტირების, შენახვის, გამოყენებისა და უტილიზაციის დროს დაიცვას სანიტარიული ნორმები და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული ან იმპორტირებული ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებები და საშუალებები (გარდა ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენური ექსპერტიზის საფუძველზე სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებული ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებისა და საშუალებებისა) ექვემდებარება სავალდებულო ჰიგიენურ სერტიფიკაციას.

3. ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ვალდებულია შეაჩეროს იმ ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებისა და საშუალებების წარმოება, იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი, მიწოდება, რეალიზაცია და გამოყენება, რომლებიც არ შეესაბამება სანიტარიულ ნორმებს ან/და, რომლებსაც არ გაუვლიათ ჰიგიენური სერტიფიკაცია (გარდა ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენური ექსპერტიზის საფუძველზე სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებული ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებისა და საშუალებებისა).

მუხლი 35. მოთხოვნები ქვეყნის ტერიტორიის სანიტარიული დაცვის შესახებ

1. ქვეყნის ტერიტორიის სანიტარიული დაცვის მიზნით სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტზე, საბაჟო ზონასა და ტვირთის განბაჟების სხვა ადგილებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი.

2. სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული ინფექციური დაავადებებისა და პოტენციურად საშიში პროდუქციის ან/და ტვირთის ჩამონათვალს ადგენს სამინისტრო დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

3. ქვეყნის ტერიტორიაზე აკრძალულია:

ა) იმ პროდუქციის იმპორტი, რომელსაც წინასწარ არ გაუვლია ჰიგიენური სერტიფიკაცია (გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა და ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენური ექსპერტიზის საფუძველზე სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებული ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებისა და საშუალებებისა);

ბ) პოტენციურად საშიში პროდუქციის ან/და ტვირთის იმპორტი, რომელთა მიმართ სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელებისას დადგინდება, რომ მათი შემოტანა შექმნის ინფექციური და მასობრივი არაგადამდები დაავადებებისა და მოშხამვების გავრცელების საშიშროებას.

4. ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ვალდებულია საერთაშორისო მიმოსვლის სატრანსპორტო საშუალებაზე, სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტზე, საბაჟო ზონასა და ტვირთის განბაჟების სხვა ადგილებში, საკარანტინო და სხვა საშიში ინფექციების გავრცელების აღკვეთის მიზნით, დაიცვას სანიტარიული ნორმები და განახორციელოს პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

5. საკარანტინო და სხვა საშიში ინფექციური დაავადებების მხრივ არაკეთილსაიმედო ქვეყნიდან ჩამოსული მგზავრი და სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟის წევრები ექვემდებარებიან სავალდებულო რეგისტრაციას სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

6. ქვეყნის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტი და იმპორტი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 36. სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები პროდუქციის წარმოების, იმპორტის, რეალიზაციისა და გამოყენების შესახებ

3. საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია პროდუქციის იმპორტი და რეალიზაცია პროდუქციის სავალდებულო ჰიგიენური სერტიფიკატის გარეშე (გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებე-

ბით გათვალისწინებული შემთხვევებისა და ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენური ექსპერტიზის საფუძველზე სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებული ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებისა და საშუალებებისა).

6. ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ვალდებულია სანიტარიული ნორმების, ეროვნული სტანდარტებითა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში შეაჩეროს პროდუქციის წარმოება, იმპორტი, ექსპორტი, მიწოდება, ტრანსპორტირება, რეალიზაცია და გამოყენება.

დანართი

ჰიგიენურ სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის სახეობათა ჩამონათვალი*

1. საკვები პროდუქცია.**
2. საკვებდანამატები.
3. საკვებისათვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატები.
4. თამბაქო, თამბაქოს ნაწარმი, მათი წარმოებისათვის საჭირო ინგრედიენტები და ნედლეული.
5. მასალა, საგანი და მოწყობილობა-დანადგარები, რომლებიც

შენიშვნები:

**პროდუქციის სახეობათა ჩამონათვალის შესაბამისად ჰიგიენურ სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის კოდიფიცირებული სია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით ერთობლივად განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს და საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან (უწყებებთან) შეთანხმებით.*

***ცხოველური წარმოშობის საკვებ პროდუქციას უნდა ახლდეს ვეტერინარული კეთილსაიმედოობის დამადასტურებელი დოკუმენტი.*

გამოიყენება საკვები პროდუქციის წარმოების, გადამუშავების, შენახვის, რეალიზაციის, მანიპულირებისა და მოხმარების დროს და უშუალო შეხებაშია საკვებ პროდუქციასთან.

6. საბავშვო საქონელი: სათამაშო, ტანსაცმელი (მათ შორის ლოგინის თეთრეული), ფეხსაცმელი, წიგნი და სასწავლო თვალსაჩინოებები, ავეჯი, ეტლი, ზურგჩანთა.

7. საბავშვო საქონლის დასამზადებელი ხელოვნური, პოლიმერული და სინთეზური მასალები, ნივთიერებები.

8. მასალა, მოწყობილობა და ნივთიერება, რომლებიც გამოიყენება სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებაში.

9. პარფიუმერულ-კოსმეტიკური საშუალებები.

10. საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქცია (მათ შორის სადეზინფექციო) საპონი, სხვა სარეცხი საშუალებები.

11. პირადი ჰიგიენის საშუალებები.

12. პოლიმერული და სინთეზური მასალები, რომლებიც გამოიყენება მშენებლობაში, ტრანსპორტში, აგრეთვე ავეჯისა და სხვა საოჯახო საგნების დასამზადებლად.

13. ქიმიური ბოჭკო, ძაფი.

14. საფეიქრო, სამკერვალო და ტრიკოტაჟის მასალა, რომელიც შეიცავს ქიმიურ ბოჭკოებსა და საფეიქრო დამხმარე ნივთიერებებს.

15. ხელოვნური და სინთეზური ტყავები და საფეიქრო მასალა ფეხსაცმლის დასამზადებლად.

16. საწარმოო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის პროდუქცია.

საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ *(06.06.03 წ., სსმ №17)*

მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო

1. ამ კანონის მიზანია საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

2. ეს კანონი არეგულირებს საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამოვლენასთან და აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ამ კანონით გათვალისწინებულ საამისოდ უფლებამოსილ ორგანოებსა და შესაბამის პირებს შორის, აგრეთვე ურთიერთობებს, ერთი მხრივ, საქართველოს და, მეორე მხრივ, სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის.

3. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს რეზიდენტ და არარეზიდენტ პირებზე, მათ წარმომადგენლებზე, წარმომადგენლობებსა და ფილიალებზე, თუ მათ მიერ დადებული ან შესრულებული გარიგებები ექვემდებარება მონიტორინგს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **უკანონო შემოსავალი** - პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ფულადი სახსრები, სხვა ქონება ან ქონებრივი უფლებები, რომლებიც მან მიიღო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის (მათ შორის, იარაღით ვაჭრობის, ნარკოტიკული დანაშაულების, ტრეფიკინგის, ტერორიზმის) ჩადენის შედეგად, გარდა საგადასახადო და საბაჟო სფეროებში დანაშაულების ჩადენის შემთხვევებისა;

ბ) **ქონება** - საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ქონება;

გ) **უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია** - წინასწარი შეცნობით უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ან/და ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობა;

დ) **მონიტორინგი** - ამ კანონით გათვალისწინებული პირების მიერ მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების მონაწილე პირის იდენტიფიკაცია, გარიგების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა, სისტემატიზაცია და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარდგენა ამ კანონითა და მის შესაბამისად მიღებული (გამოცემული) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით;

ე) **არაკოოპერირებადი (არამოთანამშრომლე) ზონა** - ქვეყანა ან ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ასეთად აღიარებულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ, კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციაზე დაყრდნობით;

ვ) **კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციები** - ევროსაბჭო, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი (FATF) და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ასეთად აღიარებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ;

ზ) **საზედამხედველო ორგანო** - ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული საზედამხედველო ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ზედამხედველობას უწევს მონიტორინგის განმახორციელებელი შესაბამისი პირების საქმიანობას;

თ) **საეჭვო გარიგება** - გარიგება, რომელზედაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი დაიდო ან შესრულდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით (არა აქვს დასაბუთებული ეკონომიკური (კომერციული) შინაარსი ან აშკარა კანონიერი მიზანი, არ შეესაბამება გარიგების მონაწილე პირის ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, შეუძლებელია გარიგების მონაწილე პირის იდენტიფიკაცია ან გარიგების თანხის წარმოშობის დადგენა) ან რომ მისი მონაწილე პირი დაკავშირებულია ტერორისტ ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირებთან;

ი) **სამართალდამცავი ორგანოები** - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამოძიებო ორგანოები;

კ) **არარეზიდენტი პირი** - პირი, რომელიც არ არის რეზიდენტი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;

ლ) **პირის იდენტიფიკაცია** - ფიზიკური პირის ვინაობის დადგენა იურიდიული ძალის მქონე მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მეშვეობით ან/და იურიდიული პირის შექმნის იურიდიული საფუძვლების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთა დადგენა მისი შექმნისა და რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების მეშვეობით;

მ) **საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური** - ამ კანონის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული

პირი, რომელიც ახორციელებს ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს;

ნ) **მონიტორინგის განმახორციელებელი პირი** - ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირი, რომელიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით ატარებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ღონისძიებებს;

ო) **არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი** - „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული იურიდიული პირი.

მუხლი 3. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები

მონიტორინგის განმახორციელებელი პირები არიან:

ა) კომერციული ბანკები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები;

ბ) საბროკერო კომპანიები და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები;

გ) სადაზღვევო კომპანიები და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლები;

დ) ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი პირები;

ე) ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირები:

ვ) საბაჟო ორგანოები;

ზ) გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირები;

თ) ნოტარიუსები;

ი) საფოსტო ორგანიზაციები.

მუხლი 4. საზედამხედველო ორგანოები

საზედამხედველო ორგანოები არიან:

ა) **საქართველოს ეროვნული ბანკი** - კომერციული ბანკების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისათვის;

ბ) **საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია** - საბროკერო კომპანიებისათვის და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისათვის;

გ) **საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის**

სამსახური - სადაზღვევო კომპანიებისათვის და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლებისათვის;

დ) **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** - ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი პირებისათვის; ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებლი პირებისათვის; საბაჟო ორგანოებისათვის და გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირებისათვის;

ე) **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო** - ნოტარიუსებისათვის;

ვ) **საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო** - საფოსტო ორგანიზაციებისათვის.

მუხლი 5. მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები

1. ამ კანონის მიზნებისათვის, მონიტორინგს ექვემდებარება პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ან/და მისი დანაწევრების მიზნით განხორციელებულ გარიგებათა ერთობლიობა. თუ ამ გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის ფასი აღემატება 20 000 ლარს ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში და 40 000 ლარს უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში და, ამავდროულად, გარიგება საეჭვოა და წარმოადგენს ამ მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ გარიგებას.

2. კომერციული ბანკების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მონიტორინგს ექვემდებარება შემდეგი გარიგებები:

ა) თანხის მიღება წარმომდგენზე საბანკო ჩეკით, აგრეთვე ბანკნოტის ერთი ნომინალის მეორეზე გადაცვლა;

ბ) უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ნაღდი ანგარიშსწორებით;

გ) თანხის არაკოოპერირებად (არამოთანამშრომლე) ზონაში რეგისტრირებულ ბანკში საბანკო ანგარიშის მფლობელის მიერ საქართველოში არსებულ საბანკო ანგარიშზე გადმორიცხვა ან ასეთ ზონაში რეგისტრირებულ ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე საქართველოდან გადარიცხვა;

დ) არაკოოპერირებად (არამოთანამშრომლე) ზონაში რეგისტრირებული პირის მიერ სესხის გაცემა ან მიღება;

ე) თანხის საქართველოდან სხვა სახელმწიფოში გადარიცხვა

ანონიმური პირის საბანკო ანგარიშზე ან ანონიმური პირის სხვა სახელმწიფოში არსებული საბანკო ანგარიშიდან საქართველოში გადმორიცხვა;

ვ) სანარმოს სანესდებო კაპიტალში ფულადი სახსრების შეტანა, გარდა ,,ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ სანარმოთა აქციების შეძენისა;

ზ) საბანკო ანგარიშის (მათ შორის, სადეპოზიტო ანგარიშის) გახსნა მასზე ფულადი სახსრების ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით განთავსებით;

თ) სესხის გაცემა წარმომდგენზე ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფით;

ი) სესხის გაცემა უზრუნველყოფის გარეშე;

კ) იურიდიული პირის რეგისტრაციიდან 3 თვის განმავლობაში თანხის მის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა ან ამ ანგარიშიდან გადარიცხვა.

3. საბროკერო კომპანიებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების მონიტორინგს ექვემდებარება:

ა) გარიგებები, შესრულებული წარმომდგენზე ფასიანი ქაღალდებით, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა;

ბ) გარიგებები, შესრულებული ფასიანი ქაღალდებით, არაკოოპერირებად (არამოთანამშრომლე) ზონაში მყოფი ან რეგისტრირებული პირის ან/და ასეთ ზონაში რეგისტრირებულ ბანკში საბანკო ანგარიშის მფლობელის მიერ.

4. სადაზღვევო კომპანიებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების მონიტორინგს ექვემდებარება სადაზღვევო პრემიის ან/და საპენსიო შესატანის მიღება.

5. ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი პირების მონიტორინგს ექვემდებარება მოგების ფულადი ან ნივთობრივი სახით გაცემა, აგრეთვე ფულადი სახსრების მიღება.

6. ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირების მონიტორინგს ექვემდებარება ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვებისა და მათი ნაწარმის და ანტიკვარული ნივთების ყიდვა-გაყიდვა.

7. საბაჟო ორგანოების მონიტორინგს ექვემდებარება ფულადი

ნიშნების საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა.

8. გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირების მონიტორინგს ექვემდებარება გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების ფულადი სახით მიღება და გაცემა.

9. ნოტარიუსების მონიტორინგს ექვემდებარება ქონების ყიდვა-გაყიდვასთან ან სხვაგვარად განკარგვასთან დაკავშირებული გარიგებები.

10. საფოსტო ორგანიზაციების მონიტორინგს ექვემდებარება საფოსტო ფულადი გზავნილების მიღება ან გაგზავნა.

მუხლი 6. მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებანი გარიგების შესახებ ინფორმაციის (დოკუმენტების) აღრიცხვასთან დაკავშირებით

1. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან მოახდინონ მათთან საქმიანი ურთიერთობით დაკავშირებული პირის (მისი წარმომადგენლისა და მარწმუნებლის) იდენტიფიკაცია.

2. კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან მოახდინონ აგრეთვე საბანკო ანგარიშის გამხსნელი ყველა პირის, მის გახსნაზე ან განკარგვაზე უფლებამოსილი ყველა წარმომადგენლისა და იმ მესამე პირის იდენტიფიკაცია, რომლის სახელზედაც იხსნება ანგარიში.

3. კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან საბანკო ოპერაციები, რომლებიც არ ითვალისწინებს პირის მიერ საბანკო ანგარიშის გახსნას, მათ შორის, ფულადი გზავნილების მიღება და გაგზავნა, აწარმოონ მხოლოდ ამ პირის იდენტიფიკაციის შემდეგ. ასეთი ოპერაციები შესაბამისი საფუძვლების არსებობისას ექვემდებარება მონიტორინგს ამ კანონის მიზნიდან გამომდინარე.

4. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან აღრიცხონ ამ კანონის შესაბამისად მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ შემდეგი ინფორმაცია (დოკუმენტები):

ა) გარიგების სახე, ფორმა, საგანი, საფუძვლები და მიზანი;

ბ) გარიგების დადების თარიღი და ადგილი, აგრეთვე გარიგების თანხის ოდენობა და ვალუტა, რომელშიც გარიგება უნდა შესრულდეს;

გ) გარიგების მონაწილე პირის იდენტიფიკაციისათვის წარმოდ-

გენილი, ამ კანონით განსაზღვრული ინფორმაცია (დოკუმენტები);

დ) იმ პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაცია (დოკუმენტები), რომლის დავალებითაც იდება ან სრულდება გარიგება;

ე) იმ პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაცია (დოკუმენტები), რომელიც დავალების საფუძველზე დებს ან ასრულებს გარიგებას.

5. პირის იდენტიფიკაციისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია (დოკუმენტები) საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ დადგინდეს ფიზიკური პირის შემთხვევაში - მისი სახელი, გვარი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი და საცხოვრებელი ადგილი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - მისი სახელწოდება, საქმიანობის საგანი, იურიდიული მისამართი, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები, წარმომადგენლობები და ფილიალები.

6. რეზიდენტი პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო დოკუმენტებია: ფიზიკური პირის შემთხვევაში - იურიდიული ძალის მქონე მოქალაქის პირადობის მოწმობა ან იურიდიული ძალის მქონე მოქალაქის პასპორტი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - სასამართლოს დადგენილება იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ ან ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

7. არარეზიდენტი იურიდიული პირი ვალდებულია მოახდინოს მისი იდენტიფიკაციისათვის საჭირო დოკუმენტების ლეგალიზაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებანი გარიგების შესახებ ინფორმაციის (დოკუმენტების) შენახვასთან დაკავშირებით

1. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან პირის იდენტიფიკაციისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია (დოკუმენტები) შეინახონ ამ პირთან საქმიანი ურთიერთობის გაწყვეტის მომენტიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, ხოლო მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ სხვა ინფორმაცია (დოკუმენტი) - გარიგების დადების ან შესრულების დღიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით ასეთი ინფორმაციის (დოკუმენტების) შენახვისათვის უფრო მეტი ვადა არ არის დაწესებული.

2. გარიგების შესახებ, მათ შორის, პირის იდენტიფიკაციისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია (დოკუმენტი) ინახება ორიგინალის სახით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ინახება ამ ინფორმაციის (დოკუმენტის) ასლი, დამოწმებული ნოტარიუსის ან თავად მიმღები პირის (მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ.

3. ინფორმაცია (დოკუმენტი) იმგვარად უნდა იყოს აღრიცხული და შენახული, რომ მისი მონაცემები სრულად ასახავდეს დადებულ ან შესრულებულ გარიგებას და საჭიროების შემთხვევაში, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დევნისას, შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება მტკიცებულების სახით.

მუხლი 8. მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებანი შიდა კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით

1. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან აცილების მიზნით განახორციელონ შიდა კონტროლი.

2. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან და შესაბამის საზედამხედველო ორგანოსთან შეთანხმებით შეიმუშაონ შიდა ინსტრუქციები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან ასაცილებლად და მიიღონ შესაბამისი ზომები მათი შესრულების მიზნით.

3. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან მოახდინონ მონიტორიგს დაქვემდებარებული გარიგებების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია ანუ შეიმუშაონ მონაცემთა აღრიცხვის სისტემა და უზრუნველყონ მისი წარმოება.

4. ინფორმაციის სისტემატიზაციისა და შიდა კონტროლის განხორციელებისათვის მონიტორინგის გამახორციელებელი პირის ხელმძღვანელი ვალდებულია ამისათვის სპეციალურად განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი თანამშრომელი ან სტრუქტურული ერთეული.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებელი თანამშრომელი ან სტრუქტურული ერთეული ვალდებულია:

ა) განახორციელოს ამ კანონის შესაბამისად შემუშავებული შიდა ინსტრუქციის შესრულების კონტროლი ინსტრუქციით გათვალისწინებული წესითა და პერიოდულობით;

ბ) მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ხელმძღვანელს

წერილობით, შიდა ინსტრუქციით გათვალისწინებული წესითა და პერიოდულობით მიაწოდოს ინფორმაცია მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების შესახებ.

6. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენის პროცესში ჩართული თანამშრომლების პერიოდული სწავლება.

7. თუ მონიტორინგის განმახორციელებელ პირს არ შეუძლია შიდა კონტროლის უშუალოდ განხორციელება, შიდა კონტროლის წესი და პირობები განისაზღვრება შესაბამისი საზედამხედველო ორგანოს ნორმატიული აქტით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან შეთანხმებით.

მუხლი 9. მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებანი საეჭვო გარიგებაზე ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებით

1. თუ მონიტორინგის განხორციელებისას მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს გაუჩნდებათ დასაბუთებული ვარაუდი, რომ მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგება საეჭვოა ან/და დადებულია ან შესრულებულია საეჭვო გარიგების დანაწევრების ან სხვა არაკანონიერი მიზნით, ისინი ვალდებულნი არიან წერილობით აცნობონ ეს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს.

2. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის ცნობის წერილობით მიწოდება გულისხმობს მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ საეჭვო გარიგებაზე ანგარიშგების სპეციალური ფორმის შევსებასა და გაგზავნას. ანგარიშგება წარდგენილი უნდა იქნეს გარიგების დადების ან შესრულების დღიდან ან/და დასაბუთებული ვარაუდის გაჩენიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში.

3. ანგარიშგების წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, მაგრამ მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია შეინახოს ანგარიშგების ნაბეჭდი ფორმა არანაკლებ 5 წლის განმავლობაში.

4. თუ ანგარიშგების წერილობით წარდგენა დადგენილ ვადაში ვერ ხერხდება, მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია ანგარიშგება მოახდინოს სიტყვიერად, მაგრამ სი-

ტყვიერი შეტყობინების დრო და მიმღები პირი აღნიშნოს შემდეგ წარდგენილ წერილობით ცნობაში.

მუხლი 10. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

1. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური იქმნება საქართველოს ეროვნულ ბანკთან, ამ კანონის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოსა და ,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად და ახორციელებს ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური შესაბამის საზედამხედველო ორგანოსთან შეთანხმებით ადგენს საეჭვო გარიგებაზე ანგარიშგების ფორმას. ანგარიშგების ფორმა სხვა ინფორმაციასთან ერთად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საეჭვო გარიგებისა და მისი მონაწილე პირების, აგრეთვე საბანკო ანგარიშების (სადაც ეს შესაძლებელია) შესახებ.

3. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური განსაზღვრავს და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ გარიგების საეჭვოობის დადგენის მიზნით აწვდის მათ ინფორმაციას (ჩამონათვალს, მითითებებს და ა.შ.) საეჭვო გარიგებისა და მისი მონაწილე პირების შესახებ.

4. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისაგან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია სხვა შესაბამისი გარიგებისა და მისი მონაწილე პირების შესახებ;

ბ) საზედამხედველო ორგანოებს მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამისი რეაგირებისათვის;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღოს (გამოსცეს) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გადაცემის პირობებისა და წესის შესახებ;

დ) მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკური სფეროს მარეგულირებელ და მის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებასა და განხილვაში;

ე) მინიჭებული ფუნქციების შესრულების მიზნით გააგზავნოს შეკითხვები და მიიღოს ინფორმაცია ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოდან ან დაწესებულებიდან, აგრეთვე ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული.პირისაგან, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს საჯარო - სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

5. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ვალდებულია:

ა) შექმნას საინფორმაციო ქსელი, განახორციელოს მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და ანალიზი, უზრუნველყოს შესაბამისი მონაცემთა აღრიცხვის ბაზის შექმნა და ფუნქციონირება;

ბ) შესაბამისი ინფორმაციის ანალიზის შედეგად დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში, რომ გარიგება საეჭვოა, დაუყოვნებლივ, რომელიმე ორგანოსთან ან პირისაგან ნებართვის მიღების გარეშე გადასცეს ეს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია) და სათანადო მასალები საქართველოს გენერალური პროკურატურის შესაბამის სამსახურს;

გ) შეისწავლოს ამ კანონის შესრულების მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ კანონის მიზნის მიღწევას.

6. ნებისმიერი პირი ან ორგანო საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში არსებულ, საქართველოს კანონმდებლობით კონფიდენციალურად აღიარებულ ინფორმაციას მიიღებს მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი აქტის წარდგენის საფუძველზე.

7. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მართვასთან, სტრუქტურასთან, წარმომადგენლობასთან, ანგარიშვალდებულებასთან და კონტროლთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 11. საზედამხედველო ორგანოების პასუხისმგებლობა

1. საზედამხედველო ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების (გარიგების შესახებ, მათ შორის, მისი მონაწილე პირების იდენტიფიკაციისათვის წარმოდგენილი ინფორმაციის სისტემატიზაციისა და მიწოდების, შიდა

კონტროლის განხორციელებისა და სხვ.) შესრულების შემოწმებისათვის, განსაზღვრული წესითა და პროცედურით.

2. საზედამხედველო ორგანოები ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ ერთმანეთთან, საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების მეშვეობით და დაეხმარონ სამართალდამცავ ორგანოებს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში.

3. თუ ზედამხედველობის განხორციელებისას საზედამხედველო ორგანოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ გარიგება საეჭვოა, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული ინფორმაცია სამსახურს უკვე მიანოდა მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა.

მუხლი 12. პასუხისმგებლობა ინფორმაციის დაცვასა და გაცემასთან დაკავშირებით

1. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, მონიტორინგის განმახორციელებელ პირებსა და საზედამხედველო ორგანოებს არა აქვთ უფლება, შეატყობინონ გარიგების მონაწილე პირებს ან სხვა პირებს, რომ გარიგების შესახებ ინფორმაცია გადაეცა შესაბამის ორგანოს ან პირს მათი ამ კანონით განსაზღვრული ვალდებულებებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მათ ეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობით.

2. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, საზედამხედველო და სამართალდამცავი ორგანოები, მათი ხელმძღვანელები და თანამშრომლები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ამ კანონის შესაბამისად მიღებული იმ ინფორმაციის დაცვა, რომელიც შეიცავს პირად, საბანკო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოს, და ასეთი ინფორმაცია გასცენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს, საზედამხედველო ორგანოებს, მათ ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული შესაბამისი მოქმედების შედეგად ნორმატიული

აქტით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების დარღვევისათვის, ან/და ასეთი ინფორმაციის დაცვისათვის ან გაცემისათვის, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა.

4. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისაგან მიღებულ ინფორმაციასა და მასალებს საქართველოს გენერალური პროკურატურა გადასცემს ქვემდებარეობის წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. საერთაშორისო თანამშრომლობა

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე (საქართველოს საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობენ სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საჭირო ინფორმაციის მიღების, წინასწარი გამოძიების, სასამართლო განხილვისა და გადაწყვეტილებების აღსრულების სტადიაზე.

2. სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ის ინფორმაცია, რომელიც ეხება უკანონო შემოსავლის გამოვლენასთან დაკავშირებულ საკითხებს, გადაეცემა იმ შემთხვევაში, თუ იგი ზიანს არ აყენებს საქართველოს ეროვნულ უშიშროებას და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და საშუალებას აძლევს ამ სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, შესაბამის საკითხზე ანარმოონ გამოძიება.

3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს უგზავნიან თხოვნებს საჭირო ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე და უპასუხებენ მათ ანალოგიურ თხოვნებს.

4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები უზრუნველყოფენ შესაბამისი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას და მას იყენებენ მხოლოდ გაგზავნილ თხოვნაში მითითებული მიზნებისათვის.

მუხლი 14. მატერიალური ზიანის ანაზღაურება

1. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისა და საზედამხედველო და სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების მიერ ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების დარღვევის შედეგად ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მიყენებულ მატერიალურ ზიანს ანაზღაურებს ზიანის მიმყენებელი - შესაბამისად ფინანსური მონიტორინგის სამსახური, მონიტორინგის განმახორციელებელი პირი, საზედამხედველო ან სამართალდამცავი ორგანო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ოდენობით.

2. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ამ კანონის შეუსაბამო - დაუსაბუთებელი ვარაუდის საფუძველზე ინფორმაციისა და მასალების გენერალური პროკურატურის შესაბამისი სამსახურისათვის გადაცემის შედეგად ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მიყენებულ მატერიალურ ზიანს ანაზღაურებს ფინანსური მონიტორინგის სამსახური სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შექმნასთან დაკავშირებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და საქართველოს პრეზიდენტისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

2. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, ამ კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში გამოსცეს ბრძანებულება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

3. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაასრულოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ფინანსური ღონისძიებების შესახებ.

4. 2004 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოფილ იქნეს ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გადაცემის პირობებისა და წესის შესახებ:

ა) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება (გამოცემა) - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და საზედამხედველო ორგანოების მიერ;

ბ) შიდა ინსტრუქციების გამოცემა - მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ.

5. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში საზედამხედველო ორგანოებმა შეიმუშაონ მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ ამ კანონის დარღვევისათვის სანქციების განსაზღვრის წესი.

6. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 1 წლის ვადაში:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ნაღდი ფულის მოძრაობის აღრიცხვასთან დაკავშირებით, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიღებული ინფორმაციის კეთილსინდისიერი გამოყენება და კაპიტალის მოძრაობის თავისუფლება;

ბ) საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაატაროს ანგარიშსწორების უნაღდო ფორმების გამოყენებისა და გავრცელების გაფართოების ხელშემწყობი ღონისძიებები და წარმოადგინოს საკანონმდებლო წინადადებები, რომლებითაც შეიზღუდება დამნაშავე პირებს მიერ კომერციული ბანკების კონტროლი.

მუხლი 16. დასკვნითი დებულებანი

1. კს კანონი, გარდა მე-10 და მე-15 მუხლებისა, ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის მე-10 და მე-15 მუხლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ *(12.08.03, სსმ №26)*

მუხლი 6. სალიცენზიო მოსაკრებლების განაკვეთები

4. სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა

ბ) ლიცენზირებადი ფარმაცევტული საქმიანობა:

ბ.თ) სამკურნალო საშუალებების (გარდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებების) იმპორტი, ექსპორტი,

რეექსპორტი და საბითუმო რეალიზაცია (ფარმაცევტული ბაზა) - 400 ლარი;

ბ.ი) ნარკოტიკული საშუალებების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და საბითუმო რეალიზაცია (ფარმაცევტული ბაზა) - 100 ლარი;

ბ.კ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და საბითუმო რეალიზაცია (ფარმაცევტული ბაზა) - 100 ლარი;

ბ.ლ) სამკურნალო საშუალებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) წარმოება; წარმოებული სამკურნალო საშუალებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) ექსპორტი და რეალიზაცია); სამკურნალო საშუალებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) იმპორტი საკუთარი წარმოებისათვის (ფარმაცევტული წარმოება) - 400 ლარი;

ბ.მ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემცველი იმ კომბინირებული პრეპარატების წარმოება, რომლებიც არ მიეკუთვნება ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალს: წარმოებული პრეპარატების ექსპორტი და რეალიზაცია; პრეპარატების იმპორტი საკუთარი წარმოებისათვის (ფარმაცევტული წარმოება) 100 ლარი.

10. საზღვაო სამგზავრო გადაყვანა - 2000 ლარი.

11. საბაჟო სფეროში საქმიანობა:

ა) საბაჟო ბროკერის საქმიანობა - 1000 ლარი;

ბ) საბაჟო გადამზიდველის საქმიანობა - 1000 ლარი.

მუხლი 7. სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთები

1. საერთაშორისო საავტომობილო გადაყვანა-გადაზიდვის ნებართვა - საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვაზე (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი კვოტების ზევით) ერთჯერადი ნებართვა - 500 ლარი.

2. საშიში საწარმოო ობიექტების ექსპლოატაციასთან, კონსტრუირებასთან, გაუქმებასთან, ექსპლოატაციის შეწყვეტასთან და კონსერვაციასთან, საშიშ საწარმოო ობიექტზე გამოყენებული ტექნიკური მონყობილობების დამზადებასა და მონტაჟთან, მომსახურებასა და რემონტთან, ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზის ჩატარებასთან, მშენებლობის წარმოებისას საშიში საწარმოო მექანიზმების გამოყენებასთან (გარდა „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სფეროებისა), სახელმწიფოს დაკვეთით

სამოქალაქო საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთების ტრანსპორტირებასთან, სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების ბრუნვასთან, საწარმოო უსაფრთხოების სფეროში პერსონალის მომზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა;

გ) სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობა;

გ.ა) შეძენა, გამოცდა, გამოყენება, ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი - 40 ლარი.

7. საბაჟო ტერიტორიაზე ვაჭრობის, საქონლის გადამუშავება და საწყობების საქმიანობის ნებართვა:

ა) უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის შექმნა - 500 ლარი;

ბ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება - 1000 ლარი;

გ) საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავება - 1000 ლარი;

დ) საბაჟო და დროებითი შენახვის საწყობის შექმნა - 500 ლარი;

ე) საერთო მოხმარების შემდეგი ფართობის საბაჟო საწყობზე:

ე.ა) 1000 კვადრატულ მეტრზე ნაკლები - 500 ლარი;

ე.ბ) 1000-დან 2000 კვადრატულ მეტრამდე - 700 ლარი;

ე.გ) 2000 კვადრატულ მეტრზე მეტი - 1000 ლარი.

13. საქონლის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის სფეროში:

ა) შეიარაღების (მათ შორის, იარაღის), საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოების, მომსახურებისა და საბრძოლო მასალების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა - გარიგების ღირებულების 0,5%;

ბ) სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციების და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტისა და რეექსპორტის ნებართვა, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის ნებართვა:

ბ.ა) სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციების და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტსა და რეექსპორტზე - 100 ლარი;

ბ.ბ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტსა და ექსპორტზე - 100 ლარი;

გ) ხე-ტყის ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა:

გ.ა) ხე-ტყის ექსპორტი - 18 ლარი;

დ) შავი და ფერადი ლითონების ჯართის და ნარჩენების (მათ შორის, საწარმოო ნარჩენების) ექსპორტისა და რეექსპორტის, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა:

დ.ა) შავი და ფერადი ლითონების ჯართის და ნარჩენების (მათ შორის, საწარმოო ნარჩენების) ექსპორტისა და რეექსპორტის ნებართვა - 30 ლარი;

დ.ბ) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა - 30 ლარი;

ე) პესტიციდების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა:

ე.ა) გამოსაყენებლად დაშვებული პესტიციდების იმპორტი - 165 ლარი;

ე.ბ) მკაცრად შეზღუდული პესტიციდების იმპორტი - 560 ლარი;

ე.გ) მკაცრად შეზღუდული პესტიციდების ექსპორტი - 520 ლარი;

ვ) წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის ნებართვა - 600 ლარი;

ზ) მხოლოდ ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების, ცხოველთა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ცხოველთა საკვების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა:

ზ.ა) მხოლოდ ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების იმპორტი, ექსპორტი და რეექსპორტი - 50 ლარი;

ზ.ბ) სახელმწიფო ვეტერინარიულ კონტროლს დაქვემდებარებული ცხოველების (მათ შორის, ყველა სახის ძუძუმწოვარა ცხოველი, ფრინველი, თევზი, ფუტკარი) ემბრიონის, საინკუბაციო კვეცხის, განაყოფიერებული ქვირითის, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის (მათ შორის ტყავი, მატყლი, ქურქ-ბეწვეული, ძვალი, ნაწლავი, ძვალ-ხორცის ფქვილი) იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი - 30 ლარი;

ზ.გ) ცხოველთა საკვების (საკვებდანამატების) იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი - 50 ლარი;

ზ.დ) ცხოველური წარმოშობის პროდუქტების იმპორტი,

ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი - 50 ლარი;

თ) აგროქიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა - 300 ლარი;

ი) კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვა - 25 ლარი.

14. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის ნებართვა:

ა) რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების:

ა.ვ) იმპორტი - 20 ლარი.

15. იარაღის შეძენის, შენახვის, ტარების, გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის, იარაღის ცალკეული ეგზემპლარების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის (გარდა ექსპორტ-იმპორტის, ტრანზიტის და რეექსპორტის), ტირის, სასროლეთის, სასროლო სანადირო სტენდის გახსნის ნებართვა:

ა) პნევმატური სანადირო იარაღის შეძენის, შენახავის და ტარების ნებართვა:

ა.ა) ფიზიკური პირისთვის - 10 ლარი;

ა.ბ) იურიდიული პირისთვის - 20 ლარი;

ბ) ხრახნილლულიანი სანადირო იარაღისა და მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის (პისტოლეტი, რევოლვერი) შეძენის, შენახვისა და ტარების ნებართვა:

ბ.ა) ფიზიკური პირისთვის - 8 ლარი;

ბ.ბ) იურიდიული პირისთვის - 16 ლარი;

გ) სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა და გაზის იარაღის (პისტოლეტი, რევოლვერი, აეროზოლური მოწყობილობა) შეძენის, შენახვისა და ტარების ნებართვა:

გ.ა) ფიზიკური პირისთვის - 6 ლარი;

გ.ბ) იურიდიული პირისთვის - 12 ლარი;

დ) ტირის, სასროლეთის, სასროლო სანადირო სტენდის გახსნის ნებართვა - 10 ლარი.

16. საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვა - 14 ლარი.

17. ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და ნაწარმთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა:

,,ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონ-

ტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თითოეული საქმიანობა - 40 ლარი.

18. დაკვირვების ელექტრონული საშუალებების დამზადების, შეძენის, საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის ნებართვა:

ა) დაკვირვების ელექტრონული საშუალებების დამზადება - 100 ლარი;

ბ) დაკვირვების ელექტრონული საშუალებების შეძენა, საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა - გარიგების ღირებულების 1%.

მუხლი 12. დასკვნითი დებულება

ამ კანონის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,სალიცენზიო მოსაკრებლის შესახებ" და ,,საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვის მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონები.

საქართველოს კანონი
„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის შესახებ" *(26.08.05, სსმ №28)*

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებებს, საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, პრინციპებსა და მიმართულებებს. დეპარტამენტში სამსახურის გავლის წესს და დეპარტამენტის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიებს.

მუხლი 2. დეპარტამენტის სამართლებრივი სტატუსი

დეპარტამენტი არის სამართალდამცავი სტატუსის მქონე საგამოძიებო ორგანო, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შედის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სახით. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებას.

მუხლი 3. დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, ეს კანონი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 4. დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

1.დეპარტამენტის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმის, საჯაროობის, დეპარტამენტის სისტემის ერთიანობისა და მისი ცენტრალიზებული მართვის პრინციპებს.

2. დეპარტამენტის თანამშრომელი ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკის, განათლებისა, ენისა, სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა.

3. დეპარტამენტის თანამშრომელს ეკრძალება:

ა) პირად, კომერციულ, პროფესიულ ან/და სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული, აგრეთვე კანონით დაცული სხვა ინფორმაციის გამჟღავნება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) შეთავსებით მუშაობა ანაზღაურებად სამუშაოზე, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა; თანამდებობის დაკავება სხვა სახაზინო დაწესებულებაში, ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება ან თანამდებობის დაკავება უცხო ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში.

მუხლი 5. დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობანი

დეპარტამენტი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან გამომდინარე, კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამშრომლობს სხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მუხლი 6. დეპარტამენტის თანამშრომლობა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან

დეპარტამენტი დაკისრებული ამოცანების განხორციელების

მიზნით თანამშრომლობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ ორგანოებთან, სამართალდამცავ და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან.

თავი II. დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 7. დეპარტამენტის ამოცანები

დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში ჩადენილი დანაშაულების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოძიებას და ამ მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას.

მუხლი 8. დეპარტამენტის უფლებამოსილებანი

დეპარტამენტი დაკისრებული ამოცანების შესრულებისას უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში ჩადენილ დანაშაულზე აღძრას სისხლის სამართლის საქმე ან უარი თქვას მის აღძვრაზე;

ბ) ჩაატაროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ან/და საბაჟო დეპარტამენტების მოკვლევის ორგანოები ან/და ქვედანაყოფები ჩააბას შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;

დ) საგადასახადო ან/და საბაჟო დეპარტამენტების მოკვლევის ორგანოებს ან/და ქვედანაყოფებს მისცეს წერილობითი დავალებები საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ;

ე) საგადასახადო ან/და საბაჟო დეპარტამენტების ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისცეს წერილობითი დავალებები მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ოპერატიულ-სამძებრო და სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების შესახებ;

ვ) საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს რევიზიის, ინვენტარიზაციის, საუწყებო შემოწმების ჩატარება და გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენა;

ზ) განახორციელოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საქმიანობა.

თავი III. დეპარტამენტის ორგანიზება და ხელმძღვანელობა

მუხლი 9. დეპარტამენტის ორგანიზება

1. დეპარტამენტი არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშე.

2. დეპარტამენტი დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ფუნქციონირებს ერთიანი, ცენტრალიზებული წესით.

3. დეპარტამენტისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფენ დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან დეპარტამენტის თავმჯდომარეს ან დეპარტამენტის თავმჯდომარის შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ მის ერთ-ერთ მოადგილეს.

4. დეპარტამენტის ორგანიზება და სტრუქტურა განისაზღვრება მისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

მუხლი 10. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტის მართვას, კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას ახორციელებს დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით.

2. დეპარტამენტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

3. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეთა უფლებამოსილებების გამიჯვნა და საქმიანობის სფეროების განსაზღვრა ხორციელდება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

4. დეპარტამენტის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი ერთ-ერთი მოადგილე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

5. დეპარტამენტის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს დეპარტამენტს, აწესრიგებს დეპარტამენტის გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს, პასუხისმგებელია დეპარტამენტისათვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის;

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასანიშნად წარუდგენს დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსებისა და დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეების კანდიდატურებს;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს დეპარტამენტის გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებზე;

დ) თვალყურს ადევნებს დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას დეპარტამენტის თანამშრომელთა საქმიანობასა და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დეპარტამენტის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ მოსამსახურეებს, გარდა ამ პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა;

ვ) პასუხისმგებელია დეპარტამენტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო და სპეციალური სახსრების, ასევე მატერიალურ-ტექნიკური მონყობილობების (მათ შორის, შეიარაღების, სპეციალური ტექნიკის, სპეციალური საშუალებების და ა.შ.) მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებაზე;

ზ) საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს დეპარტამენტის დებულების პროექტს, სტრუქტურას, ხარჯთაღრიცხვასა და საშტატო განრიგს, ასევე აღნიშნულ აქტებში სათანადო ცვლილებების პროექტებს;

თ) საქართველოს ფინანსთა მინისტრს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ და ინფორმაციას დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების თაობაზე;

ი) დეპარტამენტის გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებზე გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს და მეთოდურ მითითებებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა

დეპარტამენტის თანამშრომელთათვის;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანიჭებს სპეციალურ წოდებებს და შუამდგომლობს საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშე დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის შესაბამისი სპეციალური წოდებების მინიჭების თაობაზე;

ლ) საქართველოს ფინანსთა მინისტრს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის თაობაზე;

მ) წყვეტს დეპარტამენტში სამსახურის გავლის საკითხებს;

ნ) კონტროლს უწევს გამომძიებლების იმ მოქმედებათა დროულობას, რომლებიც დანაშაულის გამოვლენისა და აცილებისკენაა მიმართული; იღებს ზომებს, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად მოხდეს სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება;

ო) ამოწმებს სისხლის სამართლის საქმეს, აძლევს გამომძიებელს მითითებას წინასწარი გამოძიების წარმოების, ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის, დანაშაულის კვალიფიკაციის, ბრალდების მოცულობის, საქმის წარმართვისა და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ;

პ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი IV. დეპარტამენტში სამსახურის გავლის წესი და დეპარტამენტის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები

მუხლი 11. დეპარტამენტში სამსახურის გავლის სამართლებრივი საფუძვლები

1. დეპარტამენტში სამსახურის გავლა რეგულირდება ამ კანონით და მის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. დეპარტამენტში საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით.

2. ამ კანონსა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონს შორის წინააღმდეგობისას გამოიყენება ამ კანონის ნორმები.

მუხლი 12. დეპარტამენტის თანამშრომელი

1. დეპარტამენტის თანამშრომელი არის საჯარო მოსამსახურე.

2. დეპარტამენტის თანამშრომელი ვალდებულია დადგენილი წესით გაიაროს ატესტაცია, რომლის ჩატარების წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

3. დეპარტამენტის თანამშრომელს თანამდებობისა და წელთა ნაპსახურობის გათვალისწინებით, დადგენილი წესით ენიჭება სპეციალური წოდება. დეპარტამენტის თანამშრომელს ასევე ენიჭება სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება.

4. დეპარტამენტის თანამშრომელს თავისი ვინაობისა და უფლებამოსილების დასადასტურებლად ეძლევა მოწმობა და სპეციალური ჟეტონი.

მუხლი 13. დეპარტამენტში სამუშაოდ მიღების წესი და პირობები

1. დეპარტამენტში „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით სამუშაოდ მიიღება საქართველოს მოქალაქე, რომელიც არის არანაკლებ 23 წლისა, ფლობს სახელმწიფო ენას, აქვს სათანადო განათლება (გამომძიებელს - უმაღლესი იურიდიული განათლება), პიროვნული თვისებებით, ფიზიკური მომზადებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეძლებს შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი, გავლილი აქვს სავალდებულო სამხედრო სამსახური ან კანონის საფუძველზე გათავისუფლებულია მისგან და აკმაყოფილებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

2. დეპარტამენტში ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ თანამდებობებზე სამუშაოდ არ მიიღება 35 წელზე მეტი ასაკის საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არა აქვს საგადასახადო, საბაჟო ან სამართალდამცავ ორგანოებში ან/და სპეციალურ სამსახურში მუშაობის 1 წლის სტაჟი მაინც.

3. დეპარტამენტში სამუშაოდ მიღების მსურველმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი;

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

ვ) გაცემული შრომის წიგნაკი (თუ ასეთი არსებობს);

ზ) სამხედრო ბილეთი;

თ) ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ცნობა საგადასახადო სამსახურიდან;

ი) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

კ) სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;

ლ) ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

4. დეპარტამენტში სამსახურის გავლის წესი დგინდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნორმატიული აქტით.

5. დეპარტამენტში სამუშაოდ არ მიიღება:

ა) ნასამართლევი პირი;

ბ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან სხვა ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი;

გ) პირი, რომელიც სასამართლო წესით ქმედუუნაროდ არის ცნობილი;

დ) პირი ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა პირობების არსებობისას.

მუხლი 14. დეპარტამენტის თანამშრომელთა სავალდებულო სამედიცინო შემოწმება

საქართველოს ფინანსთა მინისტრს ან დეპარტამენტის თავმჯდომარეს უფლება აქვს წელიწადში ერთხელ ჩაატაროს დეპარტამენტის თანამშრომელთა სავალდებულო სამედიცინო შემოწმება და მისი შედეგების გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს შესაბამის პირთა გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან, ამ კანონის მე-15 მუხლის ,,ბ" ან ,,მ" ქვეპუნქტის თანახმად.

მუხლი 15. დეპარტამენტის თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები

დეპარტამენტის თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) ზღვრული საპენსიო ასაკის მიღწევა;

ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, დასახიჩრება (დაინვალიდება) ან ქრონიკული დაავადება (რაც დასტურდება სამედიცინო ცნობით), რის გამოც პირს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება;

გ) შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლა;

დ) შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;

ე) დეპარტამენტის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ლიკვიდაცია;

ვ) სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარ-

ღვევა;

ზ) დეპარტამენტის რეორგანიზაცია ან შტატების შემცირება;

თ) სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობის ან პროკურატურის ორგანოებში ან/და სასამართლოში არჩევა ან დანიშვნა;

ი) საკუთარი სურვილი;

კ) დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ლ) სამსახურებრივი შეუთავსებლობა, თუ იგი არ აღმოიფხვრა გამოვლენიდან 10 დღის ვადაში;

მ) ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარება;

ნ) ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

მუხლი 16. დეპარტამენტის თანამშრომლის წახალისების ფორმები

დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მუშაობისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის წესდება მისი წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება და მადლობის სიგელით დაჯილდოება;

ბ) პრემიის მიცემა ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

გ) დამატებითი შვებულების (10 კალენდარული დღის) მიცემა;

დ) დეპარტამენტის სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;

ე) მორიგი სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება;

ვ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე მოხსნა;

ზ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისთვის სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.

მუხლი 17. დეპარტამენტის თანამშრომლის დისციპლინური პასუხისმგებლობა

დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის მის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სახდელები:

ა) შენიშვნის მიცემა;

ბ) საყვედურის გამოცხადება;

გ) სასტიკი საყვედურის გამოცხადება;

დ) დეპარტამენტის სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა;

ე) უფრო დაბალი რანგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს 1 წლით;

ვ) წოდების ერთი საფეხურის დაქვეითება;

ზ) თანამდებობრივი ჩამოქვეითება;

თ) სამსახურიდან გათავისუფლება.

მუხლი 18. დეპარტამენტის თანამშრომლის სოციალური დაცვა

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს დეპარტამენტის თანამშრომლის სოციალურ დაცვას.

2. დეპარტამენტის თანამშრომლისათვის დადგენილია 40-საათიანი სამუშაო კვირა და ნორმირებული სამუშაო დღე.

3. დეპარტამენტის თანამშრომელი დეპარტამენტში მუშაობისათვის იღებს ხელფასს, რომელიც მოიცავს:

ა) თანამდებობრივ და სპეციალური წოდებისათვის განაკვეთებს;

ბ) წელთა ნამსახურობისათვის დანამატს;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დანამატებისა და კომპენსაციების განაკვეთებს ადგენს შესაბამისი საკანონმდებლო აქტი ან საქართველოს პრეზიდენტი.

5. დეპარტამენტის თანამშრომლის წლიური შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება სამხედრო, სამართალდამცავ ან/და სპეციალურ სამსახურებში მუშაობის სტაჟის მიხედვით და შეადგენს:

ა) 30 კალენდარულ დღეს - 10 წლამდე სტაჟისათვის;

ბ) 40 კალენდარულ დღეს - 10-დან 15 წლამდე სტაჟისათვის;

გ) 45 კალენდარულ დღეს - 15 წელზე მეტი სტაჟისათვის.

6. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დეპარტამენტის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ეძლევა ერთდროული კომპენსაცია 10 წლის ხელფასის (დეპარტამენტში უკანასკნელად დაკავებული თანამდებობის მიხედვით) ოდენობით. დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

7. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დეპარტამენტის თანამშრომლის დაჭრის ან დასახიჩრების (დაინვალიდების) შემთხვევაში მას სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის (ინვალიდობის ჯგუფის) შესაბამისად, ბიუჯეტის სახსრებიდან ეძლევა კომპენსაცია 1-დან 5 წლამდე ხელფასის (დეპარტამენტში უკა-

ნასკნელად დაკავებული თანამდებობის მიხედვით) ოდენობით.

8. დეპარტამენტის თანამშრომელს, რომელიც სამსახურიდან გათავისუფლდა ზღვრული საპენსიო ასაკის მიღწევის ან ინვალიდობის გამო, აქვს ხელფასის ოდენობის პენსიის მიღების უფლება.

9. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დეპარტამენტის თანამშრომლის კმაყოფაზე მყოფ მეუღლეს ან/და არასრულწლოვან შვილს, ხოლო მე-7 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში დეპარტამენტის თანამშრომელს ენიშნება პენსია ხელფასის (დეპარტამენტში უკანასკნელად დაკავებული თანამდებობის მიხედვით) ოდენობით.

მუხლი 19. დეპარტამენტის თანამშრომლის პასუხისმგებლობა

1. დეპარტამენტის თანამშრომელი პასუხისმგებელია იმ ზიანისათვის, რომელიც მიაყენა ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს თავისი ბრალეული ქმედებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

2. ზანი ანაზღაურდება საერთო საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

თავი V. დეპარტამენტის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

მუხლი 20. დეპარტამენტის დაფინანსების წყაროები

დეპარტამენტი მისთვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების ჯეროვანი შესრულების მიზნით ფინანსდება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან. დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და თანამშრომელთა მატერიალური სტიმულირება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური სახსრებიდან.

თავი VI. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 21. გარდამავალი დებულებანი

1. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, შეიმუშაოს და ამ კანონის მიღებიდან 1 თვის ვადაში შესაბამის ორგანოებს დასამტკიცებლად წარუდგინოს შემდეგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები:

ა) საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებ-

ისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

ბ) საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მატერიალური სტიმულირების უზრუნველყოფის შესახებ";

გ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ";

დ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის შექმნის თაობაზე";

ე) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის განაკვეთების, წელთა ნამსახურობისათვის დანამატის, კვების ულუფის კომპენსაციისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატებისა და კომპენსაციების ოდენობის თაობაზე".

2. დაევალოს საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ამ კანონის მიღებიდან 1 თვის ვადაში გამოსცეს შემდეგი ბრძანებები:

ა) საგამოძიებო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ;

ბ) საგამოძიებო დეპარტამენტში სამსახურის გავლის წესის შესახებ;

გ) საგამოძიებო დეპარტამენტის თანამდებობებისათვის სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;

დ) საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა სავალდებულო ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ.

3. 2003 წლის 15 ოქტომბერს ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონი. მიღებული იქნეს ცნობად, რომ გამოიცემა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები:

ა) „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულებაში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

ბ) საგანგებო ლეგიონის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 22. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი, გარდა 21-ე მუხლისა, ამოქმედდეს 2003 წლის 1 ოქტომბერს.

2. ამ კანონის 21-ე მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა 3

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 4

საქართველოს კანონი ,,ემიგრაციის შესახებ“ 12

საქართველოს კანონი ,,საქართველოში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ“ 12

საქართველოს კანონი ,,ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ“ 13

საქართველოს კანონი ,,საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ 13

საქართველოს კანონი ,,მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ 14

საქართველოს კანონი ,,მენარმეთა შესახებ“ 15

საქართველოს კანონი ,,მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ 17

საქართველოს კანონი ,,საკონსულო დაწესებულებათა შესახებ“ 17

საქართველოს კანონი ,,საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ“ 18

საქართველოს კანონი ,,საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ 18

საქართველოს კანონი ,,სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ 22

საქართველოს კანონი ,,ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და გადასახადის შესახებ“ 23

საქართველოს კანონი ,,ვეტერინარიის შესახებ“ 23

საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ 26

საქართველოს კონსტიტუცია 26

საქართველოს კანონი ,,ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ 27

საქართველოს კანონი ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ 28

საქართველოს კანონი ,,გრანტის შესახებ“ 30

საქართველოს კანონი ,,სანაშენე მეცხოველეობის შესახებ“ 32

საქართველოს კანონი ,,გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ 33
საქართველოს კანონი ,,პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ 34
საქართველოს საჰაერო კოდექსი 35
საქართველოს კანონი ,,საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ 36
საქართველოს კანონი ,,ცხოველთა სამყაროს შესახებ“ 39
საქართველოს კანონი ,,საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ 41
საქართველოს კანონი ,,წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ 41
საზღვაო კოდექსი 46
საქართველოს კანონი ,,სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ 65
საქართველოს კანონი ,,კულტურის შესახებ“ 68
საქართველოს საგადასახადო კოდექსი 69
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 101
საქართველოს კანონი ,,საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ“ 103
საქართველოს კანონი ,,სტატისტიკის შესახებ“ 104
საქართველოს საბაჟო კოდექსი 105
საქართველოს კანონი ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 174
საქართველოს კანონი ,,მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ 175
საქართველოს კანონი ,,საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ 176
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 179
საქართველოს კანონი ,,საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“..... 189
საქართველოს კანონი ,,შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ 205
საქართველოს კანონი ,,საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ 217
საქართველოს კანონი ,,ვაზისა და ღვინის შესახებ“ 224
საქართველოს კანონი ,,შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და რეექსპორტის რეგულირების შესახებ“..... 225
საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ 226
საქართველოს კანონი ,,ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის ანალიზისა და დადამღვის შესახებ“ 232

საქართველოს კანონი ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხ-
ოების შესახებ'' 238
საქართველოს კანონი ,,პესტიციდებისა და აგროქიმიკატების
შესახებ'' 240
საქართველოს კანონი ,,საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ'' 244
საქართველოს კანონი ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ'' 250
საქართველოს კანონი ,,ნავთობისა და გაზის შესახებ'' 251
საქართველოს კანონი ,,ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ'' 253
საქართველოს კანონი ,,ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკაშ-
ვირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ'' 254
საქართველოს კანონი ,,სასოფლო-სამეურნეო კულტურების
ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და
სარგავი მასალის შესახებ'' 257
საქართველოს კანონი ,,სტანდარტიზაციის შესახებ'' 258
საქართველოს კანონი ,,სურსათისა და თამბაქოს შესახებ'' 258
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 260
საქართველოს კანონი ,,კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ'' 263
საქართველოს კანონი ,,სალიცენზიო მოსაკრებლის შესახებ'' 264
საქართველოს კანონი ,,ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და
ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ'' 264
საქართველოს კანონი ,,ადამიანის ორგანოთა გადანერგვის
შესახებ'' 267
საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო სპეციალური წოდებების
შესახებ'' 267
საქართველოს კანონი ,,საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახა-
დებისაგან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებ-
ისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუ-
ჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივე-
ბის შესახებ'' 269
საქართველოს კანონი ,,სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის
შესახებ'' 270
საქართველოს კანონი ,,კულტურულ ფასეულობათა საქართველო-
დან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ'' 272
საქართველოს კანონი ,,მუზეუმების შესახებ'' 291
საქართველოს კანონი ,,საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პა-
ლატის შესახებ'' 292
საქართველოს კანონი ,,საქართველოს ტერიტორიიდან საერთა-

შორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვის მოსაკრებლის შესახებ" 293
საქართველოს კანონი ,,სამენარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" 293
საქართველოს კანონი ,,მეფუტკრეობის შესახებ" 300
კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 301
საქართველოს კანონი ,,ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" 301
საქართველოს კანონი ,,საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" 333
საქართველოს კანონი ,,აგროქიმიკატების წარმოების, აგროქიმიკატებით ვაჭრობის, აგროქიმიური და ნიადაგის დაცვისა და აგროქიმიკატების ხარისხის განსაზღვრის სფეროში ლაბორატორიული საქმიანობის ლიცენზიის და აგროქიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვების გაცემის შესახებ" 361
საქართველოს კანონი ,,პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ" 363
საქართველოს კანონი ,,საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლების შესახებ" 366
საქართველოს კანონი ,,სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების შესახებ" 372
საქართველოს კანონი ,,სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" 373
საქართველოს კანონი ,,იარაღის შესახებ" 373
საქართველოს კანონი ,,საქართველოს სანიტარიული კოდექსი" 376
საქართველოს კანონი ,,უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" 384
საქართველოს კანონი ,,სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" 399
საქართველოს კანონი ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის შესახებ" 404

გამომცემელი:	
საგამომცემლო სახლი	„ბიზნეს-კურიერი“
დირექტორი	ზაურ ნაჭყებია
ტექნიკური რედაქტორი:	ნანა მამულაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა:	ლია დარბაიძე ნარგიზი გაფრინდაშვილი
კორექტორები:	ქეთინო წახნაკია ნონა ჯღარკავა

აიწყო და დაკაბადონდა საგამომცემლო სახლის
„ბიზნეს-კურიერის“
კომპიუტერულ ცენტრში